

130

აკაკი შანიძე

ქართული სამების კანტი



ქართული საქმის კაცი



აკაკი შანიძე

130



ს. ყანიძე

აკაკი შანიძე თურმე ძალიან განიცდიდა, რომ ქართული დამწერლობის უძველესი სახე – ასომთავრული – დავიწყებას მიეცა. ამიტომ ფიქრობდა, რომ თანამედროვე ქართულში მთავრული ასოები აღედგინა, ხოლო თავად მიმოწერის დროს წინადადების დასაწყისში და საკუთარ სახელებთან ყოველთვის იყენებდა ასომთავრულს. ამის დასტურია მისი ხელმოწერაც.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია კრებულს უძღვნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, დიდი მეცნიერისა და ქართველოლოგიის პატრიარქის აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლისთავს. ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის რა უბანსაც გადასწვდა იგი, ყველგან ფუძემდებლად ან ეტაპის შემქმნელად მოგვევლინა – იქნება ეს ქართველურ ენათა სტრუქტურა და ისტორია თუ უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების კრიტიკული პუბლიკაცია, დიალექტოლოგია და რუსთველოლოგია, ფოლკლორი თუ ეპიგრაფიკა, ლექსიკოლოგია თუ ალბანოლოგია...

პუბლიცისტური ნარკვევები, რომელშიც ამ დიდი პიროვნების მრავალმხრივი მოღვაწეობის ასპექტებია გაშუქებული და გაანალიზებული და რომელშიც დროისა და მოვლენების აკაკი შანიძესთან ურთიერთმიმართებაა წარმოჩენილი, ვფიქრობთ, დაინტერესებს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენას, განსაკუთრებით კი დიდი ადამიანების ბიოგრაფიების მკვლევრებს, ასევე, სტუდენტებსა და საჯარო სკოლების მაღალი კლასების მოსწავლეებს, რომელთაც უნდა იცოდნენ მეცნიერების კლასიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი ფაქტი თუ მოვლენა.

ჩვენი ამოცანა – მომავალი თაობებისთვის ერის ღირსეულ შვილთა სახისა და საქმის შემონახვა, მხოლოდ ამ კრებულით არ შემოიფარგლება. თსუ გახეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია საზოგადოებას პერიოდულად შესთავაზებს ნარკვევთა სერიულ გამოცემებს, რომლებიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და დარგების მესაძირკვლებს, ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და პროფესორებს მიეძღვნება.

კრებულის შემდგენელი და რედაქტორი:

ნინო კაკულია

რეცენზენტი-რედაქტორი:

ავთანდილ არაბული

სარედაქციო ჯგუფი:

მაია ტორაძე

მანანა ჯურხაძე

თამარ ჩიხლაძე

კომპ. უზრუნველყოფა:

ზაზა გულაშვილი

სარჩევი

1	მაძვს განცდა, რომ ამ აღამიანზე ჯერ კიდეც ბავრია სათქმელიც, მისაგნებრიც და წარმოსაჩინიც... (თსუ-ს რექტორის გიორგი შარვაშიძის სიტყვა).....	9
2	საშუაშნოვანი ბზა – „აპაკი მცირეაღან“ ღიღ აპაკიღიღ (ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხები)	12
	მეოთხე ვაჟი	13
	ფათერაკიანი	15
	ყანაში გატარებული დღეები	16
	ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში	18
	რუსულ ენასა და სლაფურ სიტყვიერებაში მიღებული ოთხიანი და დაკარგული ოქროს მედალი	21
	რატომ რიცხავდნენ აკაკი შანიძეს გიმნაზიიდან – რუსიფიკატორული ადმინისტრაციის რისხვა და დამსახურებული (თუ – დაუმსახურებელი) 3-იანი ყოფაქცევაში.....	22
	პეტერბურგის უნივერსიტეტში	26
	ოთხი თვე გერმანიაში ენის დასაუფლებლად	29
	საქმიანობა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრესთან ერთად პეტერბურგში.....	34
	სამეცნიერო მივლინება მთის კილოების შესასწავლად	36
	შეხვედრები ვაჟა-ფშაველასთან	42
	თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფის წევრი	46
	უნივერსიტეტის პირველი დისერტანტი	52
	„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ და პასუხისმგებელი რედაქტორი....	54
	ქართულ შრიფტებზე ზრუნვა.....	57
	სამეცნიერო და სასწავლო ასპარეზზე	61
	ზრუნვა სახელმძღვანელოთა შესაქმნელად.....	62
	სამეცნიერო მუშაობა	64
	გარდაცვალება.....	69
3	აპაკი შანიძის ცხოვრების ძირითადი თარიღები (მოვლენები, ჯიღღოვები, წოღღებები).....	70
4	ახალგაზრდა აპაკი შანიძე სსვა რაკურსიღი – „შმცირეისოგის ჭიშმარიტების“ გაღასარჩინად (ნიღო კაკულია)	76
	რას ვუცადოთ? (აკაკი შანიძის წერილი – გამოქვეყნებული 1906 წელს)	79
5	აპაკი შანიძის ღვანღი პირველი ქართული უნივერსიტეტიის გახსნისთვის.....	84
	რას იტყობინებოდნენ პეტერბურგიდან „პირდაპირი მავთულით“	84
	ტყუიღად ელოდნენ ქართველი მოღვაწენი ფოსტიღ მომავალ არარსებულ მომართვას	86
	ოზაკომის დასტური	89

6	როგორ დანიცვა ტირანიის სამსჯავროზე აკაკი შანიძემ ივანე ჯავახიშვილი (ვახტანგ გურული).....	91
7	მზის 14 სხივით გამთბარი საუკუნე.....	97
8	აკაკი შანიძე – ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი (თამაზ გამყრელიძე).....	98
9	ეროვნული მისია და ევროპული ყაიფის მეცნიერი (ავთანდილ არაბული).....	102
	ვინ იყო აკაკი შანიძე?.....	102
	ფუნდამენტი – მეცნიერული გრამატიკა.....	103
	რატომ დაინტერესდა მეცნიერი, მაინცდამაინც, მთის კილოებით?.....	106
	მოკაფიავე აკაკი	108
	„ქართული კილოები მთაში“.....	110
	აკაკი შანიძე სახელმწიფოებრიობის სათავეებთან	112
10	ქართული ენის კათედრის გაშენი – აკაკი შანიძის ტაძრის (რამაზ ქურდაძე).....	114
	რით გაახარა სინამდვილეში ოქტომბრის რევოლუციამ აკაკი შანიძე	114
	პირველი რექტორობა ნიკო მარს სურდა	115
	ისტორიული რაკურსით.....	116
	1978 წელი, ქართული ენის დაცინების საკითხი და აკაკი შანიძის პოზიცია	118
	უპარტიო აკაკი შანიძე.....	120
11	ქართული ენის უძველესი ძეგლების მაძიებელი, მხსნელი და „ამომხსნელი“-გამომცემელი (დარეჯან თვალთვაძე)	121
	ძველ დროში ქართველები ძველქართულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ როგორ იყო ის ძველი ქართული?.....	125
	როგორ დამკვიდრა ტერმინები „ხანმეტი“ და „ჰამეტი“	126
	უძველესი პალიმფსესტები, რომლებიც მონაბეზ ბიბლიური წიგნების ქართულად არსებობას უკვე V-VI საუკუნეებში	132
	უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერი, რომელშიც ნუსხური ანბანის გამოყენება დასტურდება	133
	ოთხთავის ძველი ქართული რედაქციების პირველი მეცნიერული პუბლიკაცია	135
	ბიბლიის უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერის – ოშკის (ათონის) ბიბლიის გამოცემა	137
	პეტრინონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის შესწავლა აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება	138
12	აკაკი შანიძის გამოცემული „ვაფხისტყაოსნის“ უნიკალურობა (ელგუჯა ხინთიბიძე).....	143
13	ღვანელი ქართული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის წინაშე.....	147

14	დიდი ადამიანის უპრეცედენტო გადაწყვეტილება (ზურაბ ჭუმბურიძე).....	148
	ქართული ენის კათედრის ორად გაყოფის მთავარი მიზეზი.....	149
	მომთხოვნი და შეუვალი ხელმძღვანელი	150
15	1930 წლიდან მას საქართველოს მასწავლებელს უნომუბღნენ (თედო უთურგაიძე).....	153
16	ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ცნობით შიქრული აკაკი შანიძე და ივანე ჯავახიშვილსადმი მიწერილი წერილი	156
17	პირადად მომხრე ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებისა.....	159
	აკაკი შანიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე.....	160
18	აკაკი შანიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ექვთიმე თაყაიშვილის დასაფლავების დღეს.....	162
19	ექსპედიცია იერუსალიმში და რუსთაველის პორტრეტის მიკვლევა (თამარ ჩიხლაძე).....	168
20	აკაკი შანიძე პოეტის ამვლუშაძე	173
	ქართული ეროვნული ჰიმნი – აკაკი შანიძის მიერ დაწერილი ლექსი (ალიფაშას ხმაზე)	174
21	უნივერსიტეტის გაზეთის რედაქცია აკაკი შანიძის ხშირი მასპინძელი იყო.....	176
22	აკაკი შანიძე სიცოცხლეშივე აღიარეს ნამდვილ კლასიკოსად.....	179
	მადლობა პეტერბურგიდან	181
	მოლოცვა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებიდან.....	181
	სსრკ მეცნიერებათა აკადემიიდან მიღებული ბარათი.....	182
	სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შეფასება	183
	საერთაშორისო აღიარება	185
	დიდი ქართველების შეფასებები	188
23	ოჯახური გარემო.....	190
24	გზექალა შანიძე: პირადად არასოდეს გამომიყენებია მამაჩემის სახელი.....	191
	რას მაჩვენებდა მამა?	191
	ბარნოვის ქუჩა № 74	193
	ვინ იყო აკაკი შანიძის მეუღლე?	195
	როგორ გადაურჩა საბჭოთა რეპრესიებს აკაკი შანიძე?	196

პაპა	196
ბატონი ივანე მისთვის განსაკუთრებული იყო.....	196
100 წლის იუბილარი საკუთარ საღამოზე	198
25 ლელა შანიძე: ყველგან პატივისცემით მიღებენ,	
 ქაღინე მხმარაშვილი აკაკის სახელი	200
თვისება და ხასიათი	200
პოლემიკა შვილიშვილთან	200
რამდენი ენა იცოდა?.....	201
პოლიტიკა მისთვის სხვა პლანეტა იყო.....	202
ბოლო ნაშრომი ჯერაც გამოუქვეყნებელია	202
შანიძის გრამატიკის გამო შვილიშვილს „მოხვდა“.....	202
26 ნოღელავი აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის აღდგენას	
 რისთვის	205
27 ღიმილიანი მაცნიერი	209
28 აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე	
 შენიშვნები	214
ექსპოზიციაში გაცოცხლებული ბიოგრაფია.....	215
აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო	
კონფერენცია	218
აკაკი შანიძის შრომების გამოფენა	220
მომავლის საქმე – აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკისა	
და ტექსტ-კორპუსის შექმნა	222
მთა, რომელსაც აკაკი შანიძის სახელი მიენიჭა	224
აკაკი შანიძის სახელწოდების ძუჩა თბილისში	225



მაქვს განცდა, რომ ამ ადამიანზე ჯერ კიდევ ბევრია სათქმელიც, მისაგნებაც და წარმოსაჩენიც...

თსუ-ს რექტორის გიორგი შარვაშიძის სიტყვა

არიან ადამიანები, რომელთა არსებობაც ნებისმიერი ერისთვის საამაყო და სამაგალითოა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ასეთნი ბევრი არ არიან და რომ ამ მცირე რიცხვს ადამიანებისა უდავოდ მიეკუთვნება აკაკი შანიძე. იგი გახლდათ ივანე ჯავახიშვილის მოსწავლეც, თანამებრძოლიც და თანამოაზრეც. იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, იმ საინიციატივო ჯგუფის წევრი, რომელიც უნივერსიტეტის გახსნამდე მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად იყო ჩაბმული. აკაკი შანიძე იყო პირველი პროფესორის წევრი და, რაც ყველაზე საინტერესოა, პირველი, ვინც ახალგახსნილ ქართულ უნივერსიტეტში (1920 წელს) დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

აკაკი შანიძე ის მეცნიერია, რომლის ღვაწლის დაფასებაც ქართული სამეცნიერო საზოგადოების მიერ ყოველწლიურად, ყოველდღე უნდა ხდებოდეს – ეს არის ადამიანი, რომელმაც ქართულ ენათმეცნიერებას ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი. მისი სახელი ისტორიაში ფართოდაა დამკვიდრებული, მაგრამ ჩვენი ვალია, რომ მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, მისი როლი ქართული მეცნიერული აზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში ყოველწლიურად შევახსენოთ ახალ თაობებს, განსაკუთრებით 26 თებერვალს, ყოველ მის დაბადების დღეს.

მხოლოდ ჩამონათვალი იმ სფეროებისა, სადაც აკაკი შანიძეს სამეცნიერო ინტერესები ჰქონდა და რა სფეროებშიც დატოვა მან ძალიან სერიოზული კვლევები, 14-ს აღემატება – ქართველოლოგიის საკითხებით დაწყებული და არმენის-



უნივერსიტეტის პანთეონის ეზოში აკაკი შანიძის ძეგლის ყვავილებით შემკობის ცერემონია მისი დაბადებიდან 130 წლისთავთან დაკავშირებით

ტიკით დამთავრებული... უამრავი სფეროა, სადაც სიტყვა ეთქმოდა და რასაც ნათელი კვალი დაატყო. აკაკი შანიძემ დაგვიტოვა ქართული ენის გრამატიკა – ესაა თაობების შენაძენი ფუნდამენტური მეცნიერული გრამატიკა. გარდა ამისა, იგი არმენისტიკის პირველი კათედრის გამგე გახლდათ, იყო ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელიც... დღემდე მოღწეული მთელი სამეცნიერო სკოლები ფუნქციონირებს იმის გამოისობითაც, რომ არსებობდა აკაკი შანიძე. იშვიათია ასეთი რანგის მეცნიერი. იგი უამრავი გამოკვლევის და წიგნის ავტორია. გახლდათ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, მაგრამ ყველაზე მაღალი ნოდება, რაც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, ესაა – თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი – და აკაკი შანიძემ, რომელიც დამფუძნებელთა შორის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო, ეს ნოდებაც დაისაკუთრა.

ჩვენ აღვნიშნეთ აკაკი შანიძის დაბადებინდან 130 წლის იუბილე: გაიხსნა ძალიან საინტერესო კონფერენცია, მოეწყო სპეციალური გამოფენა და ბევრი რამ გაკეთდა მისი ნაღვანის წარმოსაჩენად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან თავად აკაკი შანიძის პერსონა არის გაცილებით უფრო დიდი და ამოუწურავი... მაქვს განცდა, რომ ამ ადამიანზე ჯერ კიდევ ბევრია სათქმელიც, მისაგნებიც და წარმოსაჩენიც... სხვათა შორის, იშვიათი გამონაკლისია და საქართველოში, ალბათ, ერთეულები არიან, ვისაც ღვანლი სიცოცხლეშივე უფასდება და ასეთი იყო აკაკი შანიძე – ის საყოველთაო სიყვარული, რომელიც მას ერგო, მართლაც იშვიათია. საუკუნოვან მეცნიერზე, რომელიც 100 წლის იუბილეს გრანდიოზულ აღნიშვნასაც მოესწრო, მართლაც შეიძლება ითქვას, რომ თავისი ხალხის მხრიდან დაფასებული ნაჲიდა ამ ქვეყნიდან.

აკაკი შანიძე არ იყო მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის მეცნიერი, ის თავისი ნამოღვაწარით საქართველოს ფარგლებს სცდება და საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს. ვისურვებდი, რომ ასეთი მეცნიერები ბევრი ჰყავდეს საქართველოს მომავალში.

გიორგი შარვაშიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

2

საუკუნოვანი გზა – „აკაკი მცირედან“ დიდ აკაკიმდე (ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხები)

იმ დროს, როდესაც აკაკი შანიძე ახალგაზრდობაში „აკაკი მცირეს“ სახელით პუბლიკაციებს აქვეყნებდა მაშინდელ პრესაში, თავისსავე მოგონილი ფსევდონიმით აკაკი წერეთელს, როგორც დიდ მგოსანს, მეტოქეობდა... აკაკი შანიძისა და აკაკი წერეთლის ურთიერთობა მეცნიერის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში დაიწყო, რასაც ქვემოთ შევხებით, მაგრამ ჩვენი სათქმელი ისაა, რომ აკაკი შანიძემაც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დიდი აკაკის სახელი დაიმკვიდრა.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართველოლოგიის უღლის სიმძიმე ყველაზე მეტად სწორედ მას დააწვა კისერზე და მანაც ღირსეულად და ხანგრძლივად ზიდა იგი: ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის რა უბანსაც გადასწვდა, ყველგან ფუძემდებლად ან ეტაპის შემქმნელად მოგვევლინა – იქნება ეს ქართველურ ენათა სტრუქტურა და ისტორია თუ უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების კრიტიკული პუბლიკაცია, დიალექტოლოგია და რუსთველოლოგია, ფოლკლორი თუ ეპიგრაფიკა, ლექსიკოლოგია თუ ალბანოლოგია.

აკაკი შანიძის მეცნიერული სტილის სპეციფიკაზე მოხდენილად თქვა ერთმა ცნობილმა ესთეტმა მეცნიერმა: „ყოველთვის ფიქრობ: ამ კაცში მგონი შეუცდომლობის ჟინით ატეხილი დემონი ზის და იგი მარადჟამ და ჯიუტად ჩასჩურჩულებს მას ყოველი წვრილმანისადმი ფანატიკურ ერთგულებას. ამა თუ იმ გამოკვლევაში სრულიად უნებლიედ გაპარული კორექტურული შეცდომაც კი, ალბათ, გულის სიღრმემდე შესძრავს ხოლმე და ამ ჭკვიან კაცს ერთი წამითაც არ უნდა დაიჯეროს, რომ ყველაფერი, რაც ადამიანის ხელიდან გამოდის, შეიძლება რაიმე, თუნდაც სულ მცირეოდენ ნაკლს შეიცავდეს. ასეთად დაუბადებია იგი ბუნებას და ჩვენ

ბევრი მოვიგეთ აკაკი შანიძის დემონის დაუცხრომელი კარნახის წყალობით“ (ა. განერელია).

მეოთხე ვაჟი

1887 წლის 26 თებერვალს გაბრიელ ოქროპირის ძე შანიძესა და ეფიზო (ეფემია) იოსების ასულ შარაშენიძეს მეოთხე ვაჟი შეეძინათ, რომელსაც აკაკი დაარქვეს. გაბრიელ შანიძეს სულ ხუთი შვილი ჰყავდა (ნოე, მელქისედეკ, მოსე, აკაკი და თეოლინე).

აკაკი შანიძის მამა – გაბრიელ შანიძე მედავითნე იყო და სოფლის მეურნეობას მისდევდა.

აკაკი შანიძის დედა – ეფიზო (ეფემია) შარაშენიძე დიასახლისი გახლდათ.


არავინ იცის, მედავითნე გაბრიელ შანიძემ ახალშობილი ვაჟის მომავლის გასაგებად ჩაიხედა თუ არა ძველ „საეტლო“ ნიგნში („საეტლო“ – „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ –



გაბრიელ შანიძე და ეფიზო (ეფემია) შარაშენიძე

ასტრონომიულ-ასტროლოგიური შინაარსის ქართული კრებული (არაბულიდანაა გადმოკეთებული) ეხება ციურ ეტლთა დახასიათებას, მთვარის მოძრაობას, მოძღვრებას შვიდი მნათობის შესახებ), რომელშიც თევზის (თებერვლის ზოდიაქოს ნიშანი) ეტლზე დაბადებულთათვის ეწერა: „ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს პირ-კეკლუცი და შესახედავად შუენიერი, ასო-კეკლუცი, ხორცნმინდა და თეთრი, ცნობილი და სიტყუა-წყლიანი, ოქროისა და საქონლისაგან როჭიკიანი, შაჰვის (წადილის) მოყუარე და ღირსობის მოყუარე, ლუანლის მოყუარე და ბრძენი, ანუ მართალი“. ალბათ, რომც წაეკითხა, ძნელად თუ დაიჯერებდა ქალიშვილის შეძენას მონატრებული გაბრიელი უცნობი ასტროლოგის სიტყვებს და ვერც იფიქრებდა, რომ მისი ახალშობილი ვაჟი მომავალში ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებებზე ბევრად აღმატებული გახდებოდა – აკაკი შანიძემ თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ნამდვილად დაიმსახურა ასეთი ეპითეტი: „თავისი ნაყოფიერებით მეცნიერების მსხმოიარე ბერმუხა“. ძნელია ირწმუნო ძველი „საეტლოს“ სიტყვები, მაგრამ აკაკი შანიძე რომ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულა, ეს მისი ცხოვრებით გაცხადდა.

პატარა აკაკიმ ბავშვობა გაატარა საჯავახოში, მდინარე ხევისწყლის ნაპირებზე მდებარე სოფელ ნოლაში, სადაც დაიბადა. ამ მდინარის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფელი



ოზურგეთის მაზრაში შედიოდა, მარჯვენა ნაპირი კი ქუთაისის მაზრას ეკუთვნოდა. გაბრიელ შანიძის სახლი მდინარის მარცხენა ნაპირას, გურიის ნაწილში იდგა. ნოლა ადრე სავაჭრო ცენტრი უნდა ყოფილიყო, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისთვის მას ეს ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა.

პატარა აკაკი ღარიბ ოჯახში იზრდებოდა. ის სამი თუ ოთხი წლისა ყოფილა, როცა მშობლები გაჭირვების გამო იძულებული გამხდარან – ოდა-სახლი გაეყიდათ და ხუთ შვილთან ერთად შვიდი წელი ისლით დახურულ უსარკმლო, მინისიატაკიან ე.წ. „სამზადში“ ეცხოვრათ.

ფათერაკიანი

გაბრიელისა და ეფემიას ხელმოკლე ოჯახში ბუნებრივი სითბო და სიყვარული სუფევდა. ყველა ეს სიკეთე ცხოვრების საგზლად გაჰყვა შვილებსაც. და ამ მადლმა ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გამარჯვებებით ატარა აკაკი შანიძეც. ოღონდ ის კია, რომ განგება თითქოს აკაკის პატარაობისას მკაცრ განსაცდელს უწყობდა, რომ მფარველ ანგელოზს თავისი ძალმოსილება ეჩინა.

ორი წლის აკაკი ძლიერ ავად გამხდარა წითელათი და ყელის სნეულებით, სიკვდილის ზღვარზე მისული გონდაკარგული ბავშვი მაინც გამობრუნებულა – დაზაფრული დედის კივილზე სიკვდილს უკან დაუხევია. მეორედ, ხევისწყალში მოჭყუმაპალავე ბავშვი მდინარის დენას გაუტაცია და წისქვილის რუსკენ გაუქანებია, მაგრამ მოზრდილ თანასოფლელებს ხელი უტაციათ და გადაურჩენიათ. მესამედ, ხუთიოდე წლის ბავშვი ბლის ხეზე ამძვრალა, რომელზეც მისი უფროსი ძმები და ბიძაშვილები იყვნენ ასული. „მომიტეხეთ ერთი ბალი და ჩამომიგდეთ!“ – უთხოვია პატარა აკაკის. ჩამოუგდიათ, წასტანებია ბავშვი ჩამოტეხილ ტოტს დასაჭერად, თავი ვერ შეუკავებია, ჩამოვარდნილა და ქვაზე ისე მძიმედ დაურტყამს თავი, რომ გონება დაუკარგავს. გულგახ-



ძმები მოსე და აკაკი შანიძეები.
1928 წ.

ეთქილ ბიჭებს სასწრაფოდ მოუყვანიათ ბიძა ერმალო, რომელსაც ძმიშვილი შინ წამოუყვანია. სამ კვირაზე მეტი დასჭირვებია ბავშვის გამოკეთებას. მეოთხედ, თეთრი კამურის ყურძნის მოსაკრეფად ხურმის ხეზე ასულ ხუთი თუ ექვსიოდე წლის აკაკის ტოტი მოსტყდომია და ძირს წამოსულა, მაგრამ, ბედად, პერანგის კალთა გამოსდებია ტოტის მონაჭერს და შეუკავებია. შეშინებულს მარცხენა ხელი ტოტისთვის ჩაუვლია, მარჯვენათი პერანგი გაუთავ-

ვისუფლებია და ნელ-ნელა ჩამოსულა. შემდეგშიც არაერთხელ შეხვედრია მას განსაცდელეები, მაგრამ დიდი საქვეყნო საქმეები რომ აღსრულებულიყო, თითქოს მუდამ „ხელი უფლისაი იყო ყრმისა მის ზედა“.

ყანაში გატარებული დღეები

ხუთი შვილის მამას – მედავითნე გაბრიელ შანიძეს ცოლ-შვილის შენახვა უჭირდა, ამიტომ იძულებული იყო – გლეხური მუყაითობით დაემუშავებინა არა მარტო საკუთარი მიწა, არამედ სანახევროდ აღებული სხვისი მიწაც.

აკაკის მამას ნარიონებს გაღმა, ქორეისუბანთან ახლო მდებარე ნასოფლარ ეკალში (ეკალი ნასოფლარია ნარიონების პირას, ნოლიდან 7-ოდე კილომეტრის მანძილზე) საკუთარი საყანე ადგილი ჰქონდა. იქ პატარა ქოხი და სასიმიინდე ედგა. რადგან ეკალი შვიდიოდე კილომეტრით იყო დაშორებული ნოლიდან, გაბრიელი ხშირად ერთკვირიანი საგზლით მიდიოდა შინიდან ეკალში სამუშაოდ, ურმით თავისი ბიჭებიც

თან მიჰყავდა ხოლმე და ყანის თოხნასა თუ მოსავლის აღებაშიც იხმარდა. მამა როგორც სხვებს, ისე უმცროს ვაჟიშვილ აკაკისაც, რომელსაც სიცხისაგან ფართოარშიანი ნაბდის ან ჭილის ქუდი უფარავდა სახეს, ამოიყენებდა გვერდით თოხნისას და ასწავლიდა თოხის დაჭერასა და სიმინდის გაჭრას – „ისე უნდა გაჭრა სიმინდი, რომ გენყინოსო“, – ეუბნებოდა თურმე შვილებს. „ეკალში ქოხი და სასიმინდე გვექონდა. ორშაბათიდან შაბათამდე იქ ვმუშაობდით და ღამით სასიმინდეში გვეძინა, რომ კოლოებს როგორმე დავემალოდითო,“ – იგონებდა მოგვიანებით აკაკი შანიძე.

ასეთი პატოსანი შრომით, ერთგვარად მკაცრად დისციპლინებულ, მაგრამ თბილ ოჯახურ გარემოში ყალიბდებოდა პატარა აკაკის ფსიქიკა, ხასიათი. მართალია, ის ცხოვრებას ზედმეტად არასოდეს გაუნებივრებია, მაგრამ ეს ტკივილად არ აღუქვამს. პირიქით, ლამაზ და მოსანატრებელ წარსულად შემორჩენია ხანდაზმულობისას სოფლად უშფოთველად გატარებული დღეები, ცხოვლად აღუბეჭდავს მეხსიერებაში სოფლის საოცრად ბუნებრივი და ლამაზი სურათები: სიმინდის თოხნა თუ ნამგლით ბალახის თიბვა, საქონლის საძოვად მთაში გარეკვა თუ წისქვილში საფქვავის წაღება, ტყიდან შუშის მოტანა თუ საღამო ხანს ყანიდან მობრუნებული მამისთვის მთის



შანიძეების ოდა

ძირიდან მოჩუხჩუხე წყაროს წყლის მორბენინება (თუ მრუმედ შეღამებული იყო, შეშინებული ბავშვი თავის გასამხნეველად სიმღერას წამოიწყებდა). ყველაფერი ეს პატარა აკაკის სასარგებლო საქმის კეთების აუცილებლობას ჩააგონებდა, რაც შემდგომ მას ცხოვრების უმთავრეს წესად ექცა.

აკაკი შანიძეს ბავშვობიდანვე დაჰყვა მახვილი მზერა და აღქმის უნარი. ის ხარბად აღიქვამდა თავის გარშემო ყველაფერს, რასაც მისი თვალი და სმენა მისწვდებოდა. მოუსვენრობდა უცნობის შეცნობის ძლიერი წადილის გამო. ამის მტკიცებად ორიოდე შტრიხი მისივე მოგონებებიდან: პატარა აკაკის სადილი მიაქვს ყანაში, სადღაც შორიახლო გლეხები მღერიან ნადურს. საამოდ გაოგნებული ბავშვი ჩერდება და სიმღერის გათავებამდე ადგილიდან არ იძვრის, ან კიდევ ყანიდან დაბრუნებული მუშების სიმღერაზე აკაკი იტყვის: „ისე ტკბილად მღეროდნენ, რომ მე კი არ მოვდიოდი, არამედ ასე მეგონა – მოვფრინავდი და ისე მოვყვებოდი მომღერლებს“, – ასე გამძაფრებულად აღიქვამს მგრძნობიარე ბავშვი მშობლიური ხმების სიტკბოს.

ცნობისმოყვარე ბავშვი ერთხელ ხედავს, ბიძამისი (სამეგრელოში მედავითნედ წამსახურები) როგორ გაუბამს მეგრულად საუბარს ერთ მეგრულს და ნატვრა აღმოხდება: „ნეტა მეც მაცოდინა მეგრულიო“. რას წარმოიდგენდა მაშინ, რომ მომავალში არა თუ მეგრულსა და სვანურს, არამედ ბერძნულს, ლათინურს, არაბულს, სპარსულს, სომხურს, თურქულს, გერმანულს, ინგლისურს თუ ფრანგულსაც ისწავლიდა, და არა თუ ისწავლიდა, არამედ ყველაზე შორს შეაღწევდა ქართველურ ენათა სტრუქტურის დახლართულ ლაბირინთში!

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში

გაბრიელ შანიძის ღარიბმა ოჯახმა იცოდა სწავლის ფასი და დიდი წვალებით შვილებს იმაზე მეტი განათლება მიაღებინა, ვიდრე ეს ეკონომიური მდგომარეობის კვალობაზე შეეძლო.

აკაკის უფროსი ძმები ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდნენ, უმცროსმა ძმამ კი თავისი სურვილით მათგან შინ ისწავლა წერა-კითხვა... და აი, პატარა აკაკი სოფლის სამრევლო სკოლაში შეჰყავთ.



აკაკი შანიძე ბავშვობისას, 1898 წ.

აკაკი შანიძე კმაყოფილებით იგონებდა: „პირველად სკოლაში თებერვალში წავედი. ფეხშიშველამ გავიარე თოვლიანი ორლობები. ანბანი უფროსი ძმებისგან მქონდა ნასწავლი. მღვდელმა ვლადიმერ კანდელაკმა

გამომცადა. მან ჯერ დასაწყისიდან ჩამაკითხა ანბანი. რომ კარგად ჩავიკითხე, ახლა ბოლოდან დამაწყებინა, დაზეპირებული ხომ არ აქვსო... ბოლოდანაც უშეცდომოდ ამოვყევი. მერმე აიღო და არია რიგი, სხვადასხვა ასოს დამიდო თითი და მაინც სწორად წავიკითხე ყველა ნაჩვენები ასო. ამის შემდეგ მიმიღეს სამრევლო სკოლაში, რომელიც მოთავსებული იყო მასწავლებლის სახლის ქვედა სართულში, სადაც ბუხარი იყო და მონაფეებს ზამთარში თითო ლერი შეშა შინიდან დაგვქონდა ყოველ დღე“.

1897 წელს 10 წლის აკაკიმ სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. როგორც თვით აკაკი შანიძე თავის მოგონებებში წერს, იგი ბიძამ – ერმალო შანიძემ (თავის შვილთან ერთად) ქუთაისში ჩაიყვანა სასწავლებლად. აკაკის, რადგან მედავითნის შვილი იყო, უფასოდ უნდა ესწავლა, მაგრამ გამოცდების ჩაბარების შემდეგ სავალდებულო ყოფილა შვიდ მანეთ-ნახევრის გადახდა. ამის საშუალება არ ჰქონია აკაკის და სიიდან ამოუშლიათ. მისი ბიძა ძალიან განაწყენებულა და უთქვამს: „სიიდან ამოშალე თუ არა, შენზე ნაკლები გამოვაო“. აკაკი ძალზე შეუშინებია

სიიდან ამოშლას, ქუთაისში ჰყოლია ნათესავი, რომელსაც ეპისკოპოსის კანცელარიაში მდივნად უმუშავია, მას მიუცია ფული სესხად და აკაკი და მისი ბიძაშვილი ჩაურიცხავთ სასწავლებელში.

სასწავლებელში აკაკი შანიძე კარგ მოსწავლედ ითვლებოდა. მას ასწავლიდნენ: ანდრია ბენაშვილი, პოლიევქტოს კვიციანიძე, ესტატე ლამბაშიძე, რაჟდენ ხუნდაძე (სილოვან ხუნდაძის მამა). მოგვიანებით აკაკი იგონებდა: „ბავშვები დილით ადრე ეკლესიაში უნდა წასულიყვნენ სალოცავად, შემდეგ კი გაკვეთილებზე ცხადდებოდნენ, კვირა დღეს კი მოსწავლეები წმინდა გიორგის ეკლესიაში მიჰყავდათ“.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე აკაკის (ცამეტიოდე წლის ბიჭს) ერთი ამბავი შეემთხვა, რომელიც შემდგომ სასიამოვნო მოგონებად დაურჩა: ერთ დღეს მედავითნე მამამისი რაღაც საქმის გამო ვერ წასულა ეკლესიაში წირვაზე და მღვდლის დასახმარებლად აკაკი გაუგზავნია. მღვდელ ეგნატე ჯაშს აუხედ-დაუხედავს ბავშვისთვის და არ მოსწონებია. ეს აბა რას მანირვინებსო. შენუხებულ და დარცხვენო ბიჭს მნათე სიმონ გოგავა წაშველებია და უთქვამს: მღვდელო, რა განუხებს, წიგნს ეს ბიჭი წაიკითხავს, გალობას მე გეტყვი და წირვა გამოვიყვანოთო. მართლაც ასე მომხდარა. წირვას კარგად ჩაუვლია და ბავშვი კმაყოფილი და გახარებული დაბრუნებულა შინ. „სიმონ გოგავას გამხნევებასა და დახმარებას დიდხანს ვიგონებდი მაღლობით“, – მადლიერების გრძნობით წერდა შემდგომ მსცოვანი მეცნიერი.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში აკაკის სწავლის გამო დაუმსახურებელი წყენაც შეხვედრია მამამისს. საქმე შემდგომში ყოფილა: რადგან გაბრიელ შანიძის სახლი გურიის ნაწილში იდგა, შვილებს ოზურგეთში უნდა ესწავლათ და არა ქუთაისში. ეს დაუხვევია ხელზე ერთ გურულ „ბლადოჩინს“ (благочинный) – ეპარქიის ეპისკოპოსისგან დანიშნულ მღვდელს, რომელსაც რამდენიმე ეკლესიის მეთვალყურეობა ევალებოდა და აკაკის მამისთვის ქრთამი მოუთხოვია: არ გაგამხელ, რომ შენი ერთი შვილი ქუთაისში სწავლობსო. გაბრიელს ქრთამი არ მიუცია. როცა ჯორზე შემჯდარ განბილე-

ბულ „ბლადოჩინს“ წასვლა დაუპირებია, გულმოსულ გაბრიელს წნელი მაგრად შემოურტყამს ჯვრისთვის და მღვდელი ეზოდან გაუგდია (ა. შანიძე, „ნახული და გაგონილი: „წინსვლა“, სამტრედია, 1982 წ. 14 სექტემბერი).

რუსულ ენასა და სლავურ სიტყვიერებაში მიღებული ოთხიანი და დაკარგული ოქროს მედალი

აკაკიმ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი 1904 წელს დაამთავრა და სწავლა განაგრძო იქვე, კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მესამე კლასში მიიღეს მომზადების დონის გათვალისწინებით. მეხუთე კლასის დასრულების შემდეგ (1907 წ.) ზაფხულში მოემზადა, მეექვსე კლასი გამოტოვა და პირდაპირ მეშვიდეში ჩააბარა გამოცდები. გიმნაზია წარჩინებით, ვერცხლის მედალზე დაამთავრა 1909 წელს, რვანლიანი კურსი 5 წელიწადში გაიარა, ერთმა ოთხიანმა (რუსულ ენასა და სლავურ სიტყვიერებაში) ხელი შეუშალა, რომ ოქროს მედალი აეღო. გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების ატესტატის შინაარსი იმაზე მეტყველებს, თუ რა საფუძვლიანი მომზადებით მიაშურა გიმნაზიადამთავრებულმა აკაკიმ პეტერბურგის უნივერსიტეტს: „მიეცა ეს შანიძე აკაკი გაბრიელის ძეს, დაბადებულს სოფელ ნოლაში 1887 წ. მასზე, რომ იგი შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში 1904 წ. 1 სექტემბერს და ფრიადი ყოფაქცევით სწავლობდა 1909



აკაკი შანიძე გიმნაზიაში, 1904 წ.

ნ. 11 ივნისამდე, დაამთავრა სრული 8-წლიანი კურსი და დაიმსახურა შემდეგი შეფასება: 1. საღმრთო სჯული – ფრიადი; 2. რუსული ენა და საეკლესიო სლავური სიტყვიერება – კარგი; 3. ფილოსოფიის შესავალი – ფრიადი; 4. ლათინური ენა – ფრიადი; 5. კანონმცოდნეობა – ფრიადი; 6. მათემატიკა – ფრიადი; 7. მათემატიკური გეოგრაფია – ფრიადი; 8. ფიზიკა – ფრიადი; 9. ისტორია – ფრიადი; 10. გეოგრაფია – ფრიადი; 11. ფრანგული ენა – ფრიადი; 12. გერმანული ენა – ფრიადი.

პედაგოგიურმა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში მისი სანიმუშო ყოფაქცევა და მეცნიერებებში ფრიადი წარმატებები, დაადგინა, რომ „დაჯილდოვდეს ა. შანიძე ვერცხლის მედლით და მიეცეს ატესტატი, რომელსაც აქვს შეღავათები სწავლის შემდგომ ეტაპებზე“.

რატომ რიცხავდნენ აკაკი შანიძეს გიმნაზიიდან – რუსიფიკატორული ადმინისტრაციის რისხვა და დამსახურებული (თუ – დაუმსახურებელი) 3-იანი ყოფაქცევაში...

ქართველი ხალხი საგანგებოდ ემზადებოდა, რომ 1908 წელს ღირსეულად აღენიშნა აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. „ეს დღესასწაული მით უფრო სანუკვარი იყო, რომ წინა წელს (1907 წ.) ვერაგულად მოკლეს ილია და საჭირო იყო წინამურის ტრაგედიით დაკოდული ეროვნული სხეული მცირეოდენად მაინც მოშუშებულიყო. აკაკის იუბილე ერთგვარი საღბუნო იყო ამ დიდი ეროვნული ტკივილის დასაამებლად, რადგანაც აკაკის დროშა იგივე ილიას დროშა იყო და უკეთესი მომავლის იმედები მაინც ყველას უღვიოდა გულში“, – წერდა აკაკი შანიძე („მნათობი“ №9, 1960 წ.), რომელიც ერთ-ერთ წერილში ვრცლად იგონებს – რისთვის დაატყდა თავს გიმნაზიის დირექტორის რისხვა, რომელიც აკაკი წერეთლის იუბილეს ამბებს მოჰყვა.

1908 წლის 8 იანვარს აკაკი წერეთელი მიუწვევიათ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც იგი ადრე სწავლობდა. გიმ-



აკაკი წერეთელი



აკაკი შანიძე გიმნაზიაში

ნაზიელებს აკაკი წერეთელი მელიას ეტლით მოუყვანიათ და სხდომა სააქტო დარბაზში შემდგარა. იუბილეს აღსანიშნავად და აკაკისთვის მისართმევად მოსწავლეებს დაუმზადებიათ პორტრეტი „გოჩა – აკაკი“. სურათი დაუხატავს მე-8 კლასელ მოსწავლე დავით კაკაბაძეს (შემდგომში სახელგანთქმულ მხატვარს). ამ სურათის ქვემოთ მიუწერიათ აკაკის პოემიდან („თამარ ცბიერი“) ამოღებული ორი სტროფი:

„ტახტზე ასული ფარისევლობა
სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა
და დღევანდელმა დღემ არ იცოდა,
თუ ხვალინდელი რას მოიტანდა.
მაშინ გავიდა ხალხში მგოსანი,
საერო ცრემლით ჩანგზე დამღერა
და ხალხის გული მიძინებული
გამოაფხიზლა და ააძგერა“.

სურათის უკანა გვერდზე კი ეწერა მე-8 კლასის მოსწავლის აკაკი შანიძის ლექსი, იუბილესადმი მიძღვნილი:

„ჩაფიქრებულა მგოსანი,
შავი ფიქრებით მოცული,
თვალნინ ეხატვის სამშობლო
მტერთაგან გარემოცული,
მაგრამ ეს მას არ ანუხებს,
თუ ხეს ფესვი აქვს მაგარი,
მას ვერ წააქცევს გრიგალი,
ვერც არას ავნებს ავდარი,
გარეშე მტერი რას იზამს,
თუ შიგნით ყველა მზად არი,
დაიცვას თავის სამშობლო,
ტურფა ედემის სადარი“.

ლექსი თავდებოდა წერეთლის „თამარ ცბიერის“ პერსონაჟს – მგოსანი გოჩას მიმართვით ჭადრისადმი:

„შენ მაინც იდექ, ჭანდარო,
ამაყად, ურჩად, უვნებლად,
ეხლანდელ დროის მონამედ,
წარსულის მოსაგონებლად;
ჩვენს შვილიშვილებს მოუთხარ,
ჩვენი ამბავი ყველაო,
ამცნე, რომ ერთობაშია
ქართველთა ხსნა და შველაო“.

აკაკი შანიძე იგონებდა: „ეს სურათი გიმნაზიაში გასამარ-თავ სალამოზე უნდა მიგვერთმია აკაკისტვის, მაგრამ რადგან ამის ნებართვას დაავიანდა და შეიძლება სულაც ვერ მიგველო, ავდექით და იგი 21 დეკემბერს თეატრში გამართულ საიუბილეო სალამოზე მივართვით“ (ეს სურათი ამჟამად ინახება გლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში).

საიუბილეო პროგრამაში, იუბილესადმი მიძღვნილი ლექსების გარდა, რომლებიც მოსწავლეებს წაუკითხავთ,

ყოფილა ორი მოხსენება: ერთი ქართული, იოველ ჟორდანასი, რომელიც ეხებოდა აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას, მეორე – რუსული, აკაკი შანიძისა, რომელშიც საუბარი იყო მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზებსა და აკაკი წერეთლის ისტორიულ პოემებში რომანტიკული ნაკადის მიზეზებზე. აკაკი შანიძეს მგოსნის რომანტიკული მიმართულება აუხსნია, როგორც შედეგი ცარიზმის პოლიტიკისა XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართველ ინტელიგენციას მოლოდინი არ გაუმართლდა. ამ მოხსენებას დამსწრეთა უმრავლესობა ტაშით გამოხმაურებია და, ამრიგად, ცარიზმის პოლიტიკის დაგმობას აშკარად დემონსტრაციული ხასიათი მიუღია. როცა მოხსენება დამთავრებულა და ფარდა ჩამოუშვიათ, სცენაზე აღელვებული ავარდნილა გიმნაზიის დირექტორი მ. გლუშაკოვი და მწყრალად მიუმართავს შანიძისთვის „Вы нас подвели!“ . აკაკის მშვიდად უპასუხია: „Чем я подвел Вас, Михаил Васильевич? Во всяком случае, здесь сейчас говорить об этом не время“. განრისხებულ გლუშაკოვს შანიძისთვის ხელიდან გამოუტაცებია მოხსენება და მეორე დღესვე სასწრაფოდ მოუწვევია გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო იუბილეზე მომხდარი ინციდენტის გამო. რეაქციონერ მასწავლებლებს აკაკის გარიცხვა მოუთხოვიათ, მაგრამ მას გამოქომაგებია მასწავლებელი მიხეილ სალარაძე, რომელსაც ჯერ გაუკიცხავს აკაკი და შემდეგ დაუცავს ასეთი არგუმენტებით: „თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ა. შანიძეს აქამდე არაფერი დაუშავებია და ჩინებულად სწავლობს, თანაც იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრალი რამდენადმე ჩვენც გვედება, რადგანაც ჩვენი მოვალეობა იყო მოხსენება წინასწარ გაგვესინჯა, მისი გარიცხვა არ იქნება სწორი გადანყვეტილებაო“.

დიდი კამათის შემდეგ დაუდგენიათ, რომ მოსწავლე ა. შანიძისათვის ყოფაცქევაში „სამი“ დაესვათ და ეს ამბავი ეცნობებინათ კავკასიის ოლქის მზრუნველ რუდოლფისათვის. ორი თვის შემდეგ პასუხი მოსულა: სასჯელი არ კმარაო და გიმნაზიის დირექტორს სასჯელად მკაცრი საყვედურიც დაუმატებია და ესეც უცნობებია რუდოლფისათვის.

გიმნაზიის ბოლო კლასის მოსწავლე აკაკი გარიცხვას კი გადაურჩა, მაგრამ უსიამოვნო საფიქრალი გაუჩნდა: თუ ყოფაქცევაში სამიანი გამოჰყვებოდა, მას გიმნაზიის დამთავრების შემდეგ არ ექნებოდა უფლება – სწავლა განეგრძო რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში და, თუ ეს მოხდებოდა, მას გადამწყვეტილი ჰქონდა – სწავლა გაეგრძელებინა საფრანგეთში. მაგრამ, საბედნიეროდ, საქმე აქამდე არ მისულა, მომდევნო მეოთხედში მას ყოფაქცევაში „ხუთი“ გამოჰყვა. უსიამოვნო ფაქტმა მაინც თავისი დალი დააჩნია ახალგაზრდას, რასაც გვიან ერთგვარი გულდაწყვეტილი იგონებს ბატონი აკაკი: „ამ ამბით ცოტა აღელვებული ვიყავი და მეცადინეობას კარგად ვერ დავუდე გული... ერთმა ოთხიანმა ხელი შემეშალა, რომ ოქროს მედალი მიმელო...“

ცნობისთვის: 1908-1910 წლებში თავის ახალგაზრდულ ლიტერატურულ თხზულებებს აკაკი შანიძე „გურჯისა“ და „აკაკი მცირეს“ სახელით აქვეყნებდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1909 წელს, აკაკი შანიძე პეტერბურგში გაემგზავრა და უნივერსიტეტის აღმოსავლურ



აკაკი შანიძე პეტერბურგში,
1911-12 წწ.

ენათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. ეს ფაკულტეტი იყო ორიენტალისტიკის ერთ-ერთი აღიარებული ცენტრი, სადაც ქართველოლოგიური საგნებიც ისწავლებოდა. ფაკულტეტი 1854 წელს, აღმოსავლური განყოფილების გაზრდის ბაზაზე, 9 კათედრით შეიქმნა. მათ შორის იყო ქართული ენის კათედრაც, რომლის ექსტრაორდინარულ



ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი

პროფესორად და გამგედ დიმიტრი ჩუბინაშვილი იქნა დანიშნული 1855 წელს; 1871 წლიდან ამ კათედრას განაგებდა პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929), ხოლო 900-იანი წლებიდან ამ ფაკულტეტზე ქართველოლოგიურ-არმენოლოგიური საკითხების კვლევას წარმართავდა უდიდესი ნიჭისა და კოლოსალური ენერგიის ნიკო მარი (1864-1934), რომელმაც მარი-ფელისიტე ბროსეს (1802-1880) მიერ საფუძველჩაყრილი ქართველოლოგია თვისებრივად სრულიად ახალ და მაღალ ეტაპზე აიყვანა. თავად აკაკი შანიძე მოგვიანებით ასე აფასებდა თავის მასწავლებელს: „პეტერბურგის ქართველმეტყველების დროშა მაღლა ეჭირა ნიკო მარს“.

სტუდენტი აკაკი შანიძე არაჩვეულებრივი მონდომებითა და ენერგიით შეუდგა საუნივერსიტეტო საგნების შესწავლას. ბედმაც გაუღიმა, ამ დროს აქ ლექციებს კითხულობდნენ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები: ვ. ბარტოლდი (აღმოსავლეთის ისტორია), ი. ბოდუენ დე კურტენე (ზოგადი ენათმეცნიერება), ნ. მარი (ქართულ-სომხური ფილოლოგია),

ვ. ჟუკოვსკი (სპარსული ენა), ე. კრაჩკოვსკი (არაბული ქრისტიანული მწერლობის ისტორია), ლ. შჩერბა (ექსპერიმენტული ფონეტიკა), ა. შმიდტი (არაბული ენა), ივ. ჯავახიშვილი (საქართველოს ისტორია) და სხვები.

სტუდენტი აკაკი შანიძის მეცნიერულ ზრდაზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი, რომელთა მიმართაც წრფელი მადლიერების გრძნობა არასოდეს განელებია სახელოვან მოწაფეს. ნიკო მარი აკაკი შანიძეს (ისე, როგორც ბევრ სხვა მოწაფეს) არა მარტო სამეცნიერო მუშაობის ჩვევას უნერგავდა, არამედ უანგაროდ უმართავდა ხელს ეკონომიურადაც. უთუოდ მაღალი მოქალაქეობრივი ჟღერადობისაა ის წერილი, რომელსაც გერმანულის დასაუფლებლად პრუსიის კენიგსბერგს მივლინებული მეორეკურსელი აკაკი შანიძე 1910 წელს სწერს მეცენატ დ. სარაჯიშვილის სტიპენდიების გამგებელს ნიკო ცხვედაძეს:

„დიდად პატივცემულო ნიკოლოზ ზებედეს ძე,

ამ წერილთან ერთად ვუგზავნი თხოვნას სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიების გამანაწილებელ კომისიას და ვსთხოვ დახმარებას; მხოლოდ რისი თქმაც თხოვნაში უადგილოა, მიიღო რამდენიმე სიტყვით კერძოდ გაუწყობ. მოგეხსენებათ, თუ რა ძვირად ჯდება დღეს-დღეობით უმაღლესი სწავლის მიღება, უმთავრესად კი რუსეთის სატახტო ქალაქში, სადაც ყველაფერი ძვირია, ავადმყოფობის გარდა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, უბრალო ოთახის ფასი მანათამდის ადის! ეხლა საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, სახელმძღვანელო წიგნები და სხვა. დიახ, წიგნები, თუ ვინმეს სწავლა სწყურია, აუცილებელი საჭიროებაა. მაგრამ არ იკითხავთ, თუ რა ძვირია მეცნიერული გამოცემანი საზოგადოდ და აღმოსავლური ენების შესახებ განსაკუთრებით?

არაბული, სპარსული ლექსიკონები და სხვა გამოცემანი რამდენიმე ათეული მარკა ღირს! თუ სტუდენტს სურს ცოტად თუ ბევრად ხეირიანი მეცადინეობა, კარგს რომ თავი დავანებოთ, გვარიან პირობებში მაინც უნდა ცხოვრობდეს, რომ პეტერბურგის ნოტიო და ჩველებისთვის აუტანელი ჰავის მსხვერპლი არ გახდეს. გთხოვთ დახმარებას და იმედი მაქვს აღმომიჩინოთ.

დასასრულ, არ შემიძლია არა ვთქვა, რომ სასურველი, მეტად სასურველი იქნებოდა, რომ სარაჯიშვილს თუ მეტი არა, ერთი სტიპენდიატი მაინც ჰყოლებოდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. თუ ვინმე აღმოჩნდება ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელსაც სურს ჩვენი წარსული შეისწავლოს, დაე, ნურავინ დაიშურებს მისთვის დახმარების განევას! არ იფიქროთ, ჩემს თავზე ვამბობდე. პეტრე იქნება თუ პავლე, ლუკაშვილი თუ გიორგაძე, ამერი თუ იმერი, სულ ერთია, ოღონდ ნიჭი არ აკლდეს, სამშობლოს სიყვარული გულში უღვივოდეს, ენერჯიის პატრონი იყოს და მუყაითი. თუ ქართველებს რაიმეში სპეციალისტი აკლია, სწორედ აქ, საქართველოს ისტორიაში, ფილოლოგიაში, ლიტერატურაში და სხვა დარგში.

სამკალი ბევრია, მუშაკნი კი, ჩვენდა სასირცხვილოდ, სულ ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება“.

(წერილი გამოაქვეყნა პროფ. ს. ჯორბენაძემ: „ცხოვრება და ღვანლი ი. ჯავახიშვილისა“, თბ., 1981 წ.).

წერილის დანამატში ა. შანიძე წერდა, რომ რადგან ევროპული ენის ცოდნა აუცილებელია ორიენტალისტიკისათვის, მან ზაფხული გერმანიაში გაატარა ენის შესასწავლად: „ჩემს მიზანს მივალნიე, მაგრამ დიდის გაჭირვებით: კაპეიკობით მოგროვილი დოვლათით ძლივს მოვატანე აქამდის. ახლა პეტერბურგში დაბრუნება მინდა და არ ვიცი როგორ მოვუარო გზის ფულის უქონლობასო“.

ოთხი თვე გერმანიაში ენის დასაუფლებლად

აკაკი შანიძემ I კურსის დასრულების შემდეგ არდადეგები პრუსიის ქალაქ კენიგსბერგში გაატარა გერმანულის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით. უალრესად დაძაბულად შრომობდა ახალგაზრდა აკაკი ოთხი თვე კენიგსბერგში, თავდაუზოგავად მიიკვლევდა გზას მდიდარი გერმანული ენის დასაუფლებლად. თავის ჭირსა და ლხინს, დაბრკოლებებს თუ წარმატებებს იგი დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებდა მზრუნველ მასწავლებელს – ნიკო მარს. რადგან ამ წერილებს „აქვთ არა მარტო პიროვნული მნიშვნელობა, არამედ ზოგად-



ნიკო მარი

ისტორიული, თეორიული, წმინდა მეცნიერული ღირებულება“ (გ. ჯიბლაძე, აკაკი შანიძის წერილები ნიკო მარს: „ლიტ. საქართველო“, 1983 წ., 28 იანვარი), საჭიროდ ვთვლით ცოტა ვრცლად შევჩერდეთ მათზე (წერილები შენიშვნებითურთ გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“-ში, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1982 წ.).


1910 წლის 12 მაისს სტუდენტი აკაკი სწერს ნიკო მარს (წერილები რუსულ ენაზეა): „ღრმად პატივცემულო მასწავლებლო, მივიღე თქვენი წერილი, რისთვისაც დიდად გმადლობთ. მე ბევრით ვარ დავალებული თქვენგან. ღრმად პატივცემულო ბატონო ნიკო, ახლა კიდევ შეგანუხოთ, ამის გაბედულება არ მყოფნის, მით უმეტეს, რომ მე კარგად ვიცი, ვინ არის ის კაცი, ვისი სახელითაც თქვენ გადმომეცით ფული პეტერბურგიდან ჩემი გამომგზავრების წინ. გამოგიტყდებით, მე არ ვიცი რითი ვუპასუხო ღრმად პატივცემულ ქალბატონ ალექსანდრას და მარიას კეთილი სურვილებისთვის, რომ დამეხმარონ მე, რომელსაც არ დამიმსახურებია სრულებით ასეთი ყურადღება. ცხადია – უპირველესად უღრმესი

მაღლობით და შემდეგ რამდენადაც ძალა მეყოფა, პატიოსანი ბეჯითი შრომით“.

შემდეგ მონაფე თავის მოძღვარს უზიარებს პირველ შთაბეჭდილებებს: „ჯერჯერობით შილერს ვკითხულობ, მერმე გადავალ სამეცნიერო შრომებზე. ერთი მოგასმენინათ, როგორ ვესაუბრები ნაცნობებს ჩემი „დამტვრეული“ ენით. მაგრამ ვფიქრობ, ასე თუ ისე საქმე კარგად წავა“.

ნიკო მარი თავის მონაფეს ფულთან ერთად უგზავნის ახალ შრომას („ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და დასკვნითი სტროფები“, 1910 წელი), რაზეც მეტად გახარებული აკაკი 16 მაისს სწერს მასწავლებელს: „დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანზე“. ცხადია, კიდევ არაერთხელ წავიკითხავ მას. მხოლოდ იმას ვწუხვარ, აქ არავინაა, რომ სათანადოდ დაინტერესდეს ამით. მაგრამ, თუნდაც იყვნენ დაინტერესებულნი, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, ჯერ მე არ ვარ იმ მდგომარეობაში, რომ ნათლად და თავისუფლად გამოვთქვა ყველაფერი ის, რაც ჩემს სულშია (ვის მოესურვება უსმინოს ისეთ „გერმანელ“ ორატორს, როგორიც მე ვარ)“.

გადის თვენახევარი, ძალიან მცირე დრო უცხო ენის დაუფლებისათვის, მაგრამ ნიჭი და რუდუნება პირველ ერთობლივ ნაყოფს იმკიან. 12 ივნისს მასწავლებელს აცყობინებს: „უკვე თვენახევარია, რაც კენიგსბერგში ვარ. უკან რომ მოვიხედავ, ვამჩნევ დიდ სხვაობას იმათ შორის, რაც ადრე იყო და რაც ახლაა, მაგრამ ისე, რომ დავეუფლო გერმანულ ენას, როგორც საჭიროა, ბევრი მუშაობა მომიწევს კიდევ, არა ერთი ზაფხული და არა ერთი 3-4 თვე“. ამასთანავე, აკაკი შანიძე წერილშივე იტყობინებოდა, რომ თავიდან უფიქრია კენიგსბერგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ჩანერილიყო და მოესმინა ებრაული ენის კურსი, მაგრამ შემდგომ გადაუფიქრებია: „ისწავლო ერთი უცნობი (ებრაული ენა) მეორე უცნობის (გერმანული ენის) მეშვეობით, იოლი საქმე სრულებით არაა. ებრაულის დასაუფლებლად მეცადინეობა დიდ დროს წამართმევდა. თანაც ღირდა პროფესორის შეწუხება ორი თვით? მე აქ აგვისტოს შემდეგ დარჩენა



პეტერბურგის უნივერსიტეტი

არ შემიძლია, თუმცა ცუდი არ იქნებოდა, ერთი წელი დავრჩენილიყავ გერმანიის რომელიმე უნივერსიტეტში, ვთქვათ, სტრასბურგისა და სხვაგან, სადაც კარგადაა დაყენებული საქმე სემიტური ენების სწავლებისა“.

გადის დღეები უკიდურესად დაძაბულ შრომაში. გერმანული ენის მოკლე დროში საფუძვლიანად დაუფლების სურვილი უმწვავდება და უმძაფრდება აკაკის, მაგრამ რთული ენა იოლად არ ნებდება მისი სწრაფად დაძლევის მსურველს. საამისოდ დროის გარკვეული მონაკვეთია საჭირო. დრო კი ძალიან მცირე რჩება. ა. შანიძე იძულებულია უდროობის საკომპენსაციოდ გააათვეცოს შრომა და მალე მიიღწეოს იმას, რომ გერმანულ ტექსტს ულექსიკონოდ კითხულობს. მაგრამ მაინც შეცბუნებულია იმით, რომ ზეპირი მეტყველება უჭირს და 8 ივლისს გულახდილად სწერს ნ. მარს: „მე წინასწარ არ მივარაუდია, რომ საჭირო იყო გერმანული ენის აღება ბრძოლით, საჭირო იყო მისი დაპყრობა. მე ვფიქრობდი: ჩავალ, მოვისმენ გერმანულ მეტყველებას და გავხდები გერმანელი. არა, კეისრის ნათქვამი (გენი, ვიდი, ვიცი – „მოვედი, ვნახე, გავიმარჯვე“) ამ შემთხვევაში არ გამოდგება ჩემ მიმართ.

მნიგნობრული გერმანული ენა საკმარისად დავძლიე. ნაკითხული ტექსტის გაგებაში ხელს არ მიშლის უცნობი სიტყვები, რომლებიც აქა-იქ მხვდება. მაგრამ რაც შეეხება სასაუბრო ენას, ამაში ძალიან სუსტი ვარ. ჯერ ერთი – ვმეტყველებ ნელა, რაც მომაკვდინებლად მოქმედებს გერმანელზე, და მეორეც, ისეთი შეცდომები მომდის, რომ ოი, ოი! თუმცა ერთმა პრივატ დოცენტმა თქვა ჩემზე, მშვენივრად (*grossartig*) ლაპარაკობსო, მე თვითონ კარგად ვხედავ რაშიც მდგომარეობს ეს „მშვენიერობა“. უმეტესად ვზივარ შინ და ვკითხულობ, ლაპარაკი კი ცოტა მიწევს. ვფიქრობ, ამით უნდა აიხსნას ის, თუ რატომაა, რომ ყველაფერს ვერ „ვიჭერ“, როცა ჩქარა ლაპარაკობენ. საშინლად არასასიამოვნოა, მაგრამ ფაქტს უნდა შევურიგდე“.

ხელმოკლე სტუდენტი აკაკი ბევრ რამეს იკლებს, მაგრამ მზადაა – უშურველად გაიღოს ხარჯები სასწავლო წიგნების შესაძენად. 26 ივლისს ამის თაობაზე თავის მოძღვარს სწერს: „ერთი თვე და დაბრუნება მომიწევს პეტერბურგს. მაგრამ არ მინდოდა იქ ჩასვლა ცარიელი ხელებით, მსურდა ორი-სამი აუცილებელი წიგნი მაინც შემეძინა. სამწუხაროდ, წიგნის ბაზარზე გასაყიდად ვერ ვიპოვე ხაიამის ლექსები, რომელსაც ჩვენ მომდევნო სემესტრში წავიკითხავთ. თარგმანები, რამდენიც გნებავთ, არის. მაგრამ მე მინდა ორიგინალის ტექსტი“. წერილში აკაკი შანიძე იმასაც იტყობინება, რომ მას კატალოგიდან გაუგია ლაიპციგის ერთ-ერთ საკომისიო მალაზიაში Mayer-ის ხელნაწერი შრომის არსებობა (*Lazisch. Nomina*), მიუწერია კომისიონერისთვის – სად შეიძლებოდა მისი შეძენა და იმედოვნებს, რომ ნ. მარი მალე მიიღებს ამ შრომას.

ასეთ მეცადინეობაში გაატარა სტუდენტმა აკაკი შანიძემ ოთხი თვე გერმანიაში. ეს ოთხი თვე დიდად ნაყოფიერი და „ახალი ცხოვრების წყაროს სათავე იყო“, რათა ახალგაზრდა მეცნიერის „ტვინსა და გულს მოძრაობა მისცემოდა“ და მოლონიერებული მუხლებით შეუპოვრად შესდგომოდა მეცნიერების მაღალი მწვერვალებისკენ აღმავალ ვინრო ბილიკს.

საქმიანობა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრესთან ერთად პეტერბურგში

აკაკი შანიძე თავიდანვე აქტიურად ჩაება ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1908 წლის თებერვალს შექმნილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, 1909 წლიდან იყო მისი სარევიზიო კომისიის წევრი, 1910 წლიდან – მდივანი, 1911 წლიდან – თავმჯდომარე. ამ წრის საქმიანობა მეტად შინაარსიანი იყო. უნივერსიტეტის ქართულ სათვისტომოსთან ერთად ზრუნავდა შეძლებისამებრ დახმარებოდა მძიმე მატერიალური მდგომარეობის სტუდენტებს, ამუშავებდა პერიოდულ გამოცემათა ქართულ ბიბლიოგრაფიას. წრის სხდომებზე ქართულად იკითხებოდა მოხსენებები, რასაც, მეცნიერ-ხელმძღვანელის ივანე ჯავახიშვილის ღრმა რწმენით, ხელი უნდა შეეწყოს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და სტილის გამომუშავებისათვის. სხვათა შორის, ამ წრეზე წაკითხულ საუკეთესო მოხსენებათა კრებულში, რომელიც ივანე ჯავახიშვილის წინასიტყვაობით თბილისში 1915 წელს გამოვიდა, დაიბეჭდა აკაკი შანიძის ერთ-ერთი ადრეული ლინგვისტური შრომა – „ქართული კილოები მთაში“.

სტუდენტთა მიერ 1908 წელს დაწყებული პერიოდულ გამოცემათა ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენა (1852-1910 წლებისა) ძირითადად დამთავრებული იყო 1912 წელს. ივანე ჯავახიშვილის წარდგინებითა და ნიკო მარის მხარდაჭერით (ნ. მარი 1913 წლიდან აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი იყო) უნივერსიტეტმა შეიძინა „ქართული ბიბლიოგრაფიის ორი ტომის მასალები 250 მანეთად და 1913 წლიდან ბეჭდვას უნდა შესდგომოდა“. პროფესორ ს. ჯორბენაძის სიტყვებით, „ეს იყო ერთადერთი და ყველაზე დიდი ჰონორარი, რომელიც წრემ თავისი არსებობის მანძილზე მიიღო. მეტიც, ასე დიდი სახსრები, რაც 1913 წელს გააჩნდა, ამ წრეს არასოდეს ჰქონია“ (ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, თბ., 1981 წ.).

ბიბლიოგრაფიული კრებულის I ტომი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, გეოგრა-

ფია, არქეოლოგია, ისტორია, ხალხური სიტყვიერება და ძვ. მწერლობა, 1913 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ დაავიანდა (დაიბეჭდა 1916 წელს ი. ყიფშიძის რედაქტორობით). ამ დაყოვნებით ისარგებლეს ივ. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ და, ბიბლიოგრაფია რომ სრულყოფილი გაეხადათ, 1913 წელს „სახალხო გაზეთში“ (№ 802) გამოაქვეყნეს წერილი – მიმართვა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და წიგნების გამომცემლობებისადმი, რომელშიც მწვავედ აყენებდნენ საკითხს: „უნდა ვიცოდეთ ყველა ის, რა დანერილია და რა გაკეთებული!.. საჭიროა ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფია რაც შეიძლება სრული და უნაკლო“. უიმისოდ კი არ გვეცოდინება, „რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობას არ ეცოდინება – რას ვაკეთებთ ჩვენ და, ცხადია, თუ რომელიმე შრომა არ ემყარება წინანდელ გამოცდილებას, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია“.

ამ მიმართვაში კონკრეტულად იყო საუბარი, თუ როგორ უნდა წარმართულიყო მომავალში მეცნიერული ბიბლიოგრაფიის შედგენა. მაგრამ ამ წრის ყველაზე დიდი და სანუკვარი წადილი იყო ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის შექმნა. საამისო ნიადაგის მოსინჯვასა და წინასწარი თადარიგის დაჭერის მიზნით, ამ წრემ 1912-1913 წლებში, ივ. ჯავახიშვილის მითითებით, შეადგინა და დააგზავნა ორი ანკეტა (ერთი – 57-მუხლიანი, პეტერბურგს მოსწავლე სტუდენტთათვის და მეორე – 15-პუნქტიანი, რუსეთის სხვა ქალაქებსა და საზღვარგარეთ მოსწავლე სტუდენტთათვის) იმის დასადგენად, თუ რამდენი ქართველი სტუდენტი რომელი კუთხიდან იყო, სად და რა სპეციალობებზე სწავლობდა, რომელ ენებს ფლობდა და სხვა. აკაკი შანიძის სიტყვებით, ამის გარდა საჭირო იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად იქნებოდა მოსახერხებელი სათანადო მეცნიერული კვალიფიკაციის მქონე პირების მოწვევა ქართულ უნივერსიტეტში, როდესაც ამის განხორციელების მომენტი დადგებოდა. ივანე ჯავახიშვილს ამ მხრივაც ჰქონდა დაჭერილი თადარიგი. მას შეკრებილი ჰქონდა ცნობები – თუ სად, რომელ ქალაქში და რა სპეციალობის ქართველი პროფესორი, დოცენტი და ასისტენტი იყო.

ზოგ მათგანს პირადადაც იცნობდა და იმედი ჰქონდა, რომ საჭირო შემთხვევაში ისინი სამშობლოს მიაშურებდნენ (ა. შანიძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958 წ. 8 თებერვალი).

წრემ მალე მიიღო შევსებული ანკეტები მრავალი ქალაქიდან. როგორც აკაკი შანიძე ამბობდა, „ამ ანკეტამ ბევრი რამ საყურადღებო გამოარკვია. წინათ, მაგალითად, გამტკიცებული იყო აზრი, თითქოს ქართველობა უმთავრესად იურიდიულ ფაკულტეტს ეტანებოდა, თითქოს დიდი ნაწილი სტუდენტებისა ფუქსავაგტ ცხოვრებას ატარებდა და სხვ. ანკეტამ ცხადყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია... ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე ამ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი იყო“.

* * *

სტუდენტი აკაკი შანიძე დაძაბულად მუშაობს, ბეჯითად ეუფლება აღმოსავლურ ენებს, ენერგიულად მონაწილეობს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ყველა საქმიანობაში, ამასთანავე „რუსული ენციკლოპედიის“ III, IV, V, VI ტომებში 1912-1913 წლებში ბეჭდავს საინტერესო წერილებს ქართული კულტურისა და მეცნიერების საკითხებზე: „ბესარიონ გაბაშვილი“, „დავით გურამიშვილი“, „ვახტაგ VI“, „ვახუშტი ბაგრატიონი“, „ქართული ანბანი“, „ქართული ენა“, „ქართული ლიტერატურა“, და სხვა. მაგრამ აკაკი შანიძე ნამდვილ დამოუკიდებელ მეცნიერულ კვლევა-ძიებას 1911 წლიდან ქართულ მთის კილოებზე დაკვირვებით იწყებს.

სამეცნიერო მივლინება მთის კილოების შესასწავლად

ნიკო მარის წინადადებით პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტმა III კურსის სტუდენტი აკაკი შანიძე 1911 წლის ზაფხულში ფშავსა და ხევსურეთს

დიალექტოლოგიური მასალების შესაკრებად მიავლინა. ნიკო მარს, ცხადია, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ქართული სამწერლო ენის შესასწავლად აუცილებელი იყო კილოური და უმწერლობო ქართველურ ენათა ტექსტების მოპოვება და ანალიზი. ფართო სამეცნიერო პროგრამის განსახორციელებლად იგი ნიჭიერ მოწაფეებსაც აბამდა მუშაობაში. მაგრამ ამ მოწაფეთაგან ისტორიამ მხოლოდ აკაკი შანიძეს დააკისრა საპატიო მისია – ყოფილიყო ქართული მეცნიერული დიალექტოლოგიის ფუძემდებელი.

აკაკი შანიძემ 1911 წელს ფშავ-ხევსურეთში მხოლოდ ერთი თვე დაჰყო, მაგრამ საკმაო რაოდენობის ტექსტები ჩაინერა. მან ფშაურისა და ხევსურულის დიალექტური ლექსიკონი შეადგინა და ამ კილოთა ძირითადი ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი შეისწავლა. მუშაობის შედეგების გამოქვეყნება მესამე კურსის სტუდენტმა მომავლისთვის გადადო, რადგან ფიქრობდა, რომ მასალები საკმარისი არ იყო.

ნიკო მარი აკაკი შანიძეს ქართული მთის კილოების შესასწავლად მთაში მივლინებით, უკვე მეორედ, 1913 წელს აგზავნის.


1913 წლის მაისში აკაკი შანიძემ პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა და, რადგან უკვე სტუდენტობის წლებში გამოჩნდა მისი განსაკუთრებული შესაძლებლობანი, ნიკო მარის წარდგინებით იგი საპროფესოროდ მოსამზადებლად ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრაზე დატოვეს.

მთაში მეორე სამეცნიერო მივლინების წინ მაგისტრანტმა აკაკი შანიძემ წინასწარი გეგმა შეადგინა: მას ფშავ-ხევსურეთში 1911 წელს მოპოვებული დიალექტოლოგიური მასალები უნდა შეეცხო; უნდა დაეზუსტებინა ჩანერილ სიტყვათა განმარტებანი და შეესწავლა სამი ახალი კილო: მთიულური, მოხეური, თუშური, ასევე, უნდა მოეპოვებინა ამ კილოთა ტექსტები და ლექსიკური ერთეულები. ხანგრძლივი მივლინება (1913 წლის 10 ივნისიდან 10 ოქტომბრამდე) მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა და, მასწავლებლის მზრუნველობითა და თავისი კვლევა-ძიების შედეგებით კმაყოფილი, მოგვიანებით, 95 წლის აკაკი შანიძე გაუნელებელი მადლიერების გრძნობით

აღნიშნავდა: „მოვალედ ვგრძნობ თავს დიდი მადლობით მოვიგონო ჩემი მოძღვარი და პროფესორი პეტერბურგ-პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ნიკო მარი, რომელმაც მომიწყო მივლინება მთებში (1911 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტისგან, ხოლო 1913 წელს საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისაგან), რის გამოც საშუალება მომეცა – შემეკრიბა ძვირფასი დიალექტოლოგიური მასალა: ტექსტები (პროზა, პოეზია) და მრავალფეროვანი ლექსიკა“.

მართალია, დღეს ცნობილია აკაკი შანიძის მიერ მთის კილოების შესასწავლად განეული მუშაობის შედეგები, რადგან დაბეჭდილია: მივლინებების ანგარიში (1913 წ.), გამოკვლევა „ქართული კილოები მთაში“ (1915 წ.), „ქართული ხალხური პოეზია, I ხვესურული“ (1931 წ.), „ქართული კილოები მთაში“ (ტექსტები, მთის კილოთა ლექსიკონი – 1984 წ.), მაგრამ ახალგაზრდა მეცნიერის დაძაბულ და დიდად ნაყოფიერ შრომაზე მეტად საყურადღებო ცნობებია დაცული თვით მის წერილებში, რომელსაც მადლიერი მონაფე 1913 წლის 15 ივნისსა და 7

აკაკი შანიძის მოგზაურობა 1913 წ. მთაში ქართული კილოების შესასწავლად (რუკა შედგენილია მზექალა შანიძის მიერ. იგი დაცულია ქართული ენის კაბინეტში).



ოქტომბერს შუა სწერდა: „დიდად პატივცემულ მოძღვარს, ბატონ ნიკოს“ (აკაკი შანიძის წერილები ნიკო მარს: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1982 წ.). თითოეული ეს წერილი იმას ადასტურებს, თუ რა თავდადებული მონდობებით იკვლევდა გზას მეცნიერებაში ახალგაზრდა აკაკი შანიძე, რამდენს შრომობდა, რა ფანატიკური ერთგულებით სწავლობდა ენებს, წყვეტდა პრობლემებს, საფუძველს უყრიდა ახალ ქართულ ფილოლოგიას.

15 ივნისს გაგზავნილ წერილში აკაკი შანიძე ნიკო მარს აცნობს უახლოეს სამუშაო გეგმას, კერძოდ იმ რეგიონებს, რომელთა „დალაშქვრას“ თანმიმდევრულად აპირებს: „ღრმად პატივცემულო მოძღვარო ბატონო ნიკო! მოჩქარეს დაუგვიანდაო. ჯერ იყო და თბილისს შევრჩი 10-მდე. მერე თვალივში (დუშეთიდან 20 ვერსის დაშორებით) დავჰყავ ოთხი დღე ბიძაშვილთან. გუშინ მოვედი ფასანაურს და დღეს მივდივარ გუდამაყარს, სადაც ერთ კვირამდე დავრჩები, ჯერ ვიქნები სოფ. დუმატხოში, შემდეგ შევუხვევ სოფელ ბაკურხევს, სადაც გუდამაყარელებს გარდა ოცდაათიოდე კომლი ხევსურია. შემდეგ ვიქნები მთიულეთში (არჩეული მაქვს სამი სოფელი). აქედან გადავალ ხევს (სადგ. ყაზბეგთან) და იქიდან პირიქით ხევსურეთს ვეწვევი“.

გადის ათი დღე. აკაკი შანიძე მოივლის მთელ სოფლებს, აკვირდება მთიულურ მეტყველებას, იწერს ტექსტებსა და ლექსიკურ ერთეულებს ან აზუსტებს მნიშვნელობებს 1911 წელს ჩანწერილი სიტყვებისას და პირველი კვირის მუშაობის შედეგებს სასწრაფოდ 26 ივნისს აცნობებს თავის მასწავლებელს: „გუდამაყარში ვიყავ, შევჰკრიბე ხალხური სიმღერები, გადავსინჯე ჩემი ლექსიკონი. ვიყავი ხევსურთ სოფელშიაც. მათი საუბარი არაფრით არ განირჩევა პირიქითელი კილოსაგან. გუდამაყარული კილო ზემომთიულურისაგან ძალიან განირჩევა. ამ უკანასკნელში, როგორც გუშინ აქ, ფასანაურში, მთიულეთთან საუბრის დროს გამოირკვა, გრძელი ხმოვნები არსებობს. უფრო დაწვრილებით შემდეგ“.

გადის ორიოდე კვირა და აკაკი შანიძე დაწვრილებით აცნობებს ნიკო მარს მთიულურზე დაკვირვების შედეგებს, უყოყ-

მანოდ შეაქვს შესწორება წინა დღეებში გამოტანილ დასკვნებში და გუდამაყრულს დამოუკიდებელ კილოდ კი არა, მთიულურის კილოკავად თვლის. „მე გწერდით გუდამაყრული მეტად განსხვავდება მთიულურისაგან. ახლა ცოტაოდენი შესწორება უნდა შევიტანო: გუდამაყრულიც მთიულურს ეკუთვნის, მაგრამ მასში არ არის გრძელი ხმოვნები, როგორც საკუთრად მთიულურში... ამგვარად, მთიულურ კილოს ორ უმთავრეს კილოკავად ვჭყოფ. საკუთრად მთიულური და გუდამაყრული“.

საყურადღებოა, რომ ამავე წერილში გამოკვეთილად ჩანს ახალგაზრდა მეცნიერის მკაცრი სიზუსტისადმი სწრაფვა, რაც შემდგომ მის ორგანულ თვისებად დარჩა. ჭეშმარიტების მაძიებელი მკვლევარი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მის მიერ ჩაწერილი ტექსტები ადეკვატურად არ ასახავენ ბუნებრივ კილოურ მეტყველებას, რადგან ინფორმატორები ხშირად შეგნებულად „ლიტერატურულად“ ასწორებენ დიალექტურ ფორმებს: „უნდა გამოვტყდე, რომ ჩემ მიერ დაწერილი ოდნავად ვერ გამოჰხატავს ნამდვილ სახეს მთიულურისას, ნამდვილი ენა თუ გნებავთ, უნდა უსმენდეთ, როცა ისინი ერთურთს ელაპარაკებიან. როცა ჩემთან საუბრობენ, – ამან მომიკლა გული! – ცდილობენ „კარგად“ სთქვან და ჩაურთავენ საუბარში ბარულს. რა მეშველება და რაა ჩემი წამალი, რომ არ ვიცი! მე იმას ვჩივი, რომ ნამდვილი კილოს ნიმუშები ვერ შევჭკრიბე, ის, რაც მიწერია (და ალბათ რასაც ჩავსწერ), მხოლოდ დაახლოებითი სურათია“.

აკაკი შანიძე მთიულურისა და მოხეურის შესწავლის შემდეგ, აგვისტოს ბოლოს, თუშეთში გადასვლას აპირებს, ოღონდ ნაადრევად აცივება და თოვლი აფიქრებს – თუშეთში ასული იქ მოსალოდნელი თოვლისაგან გზების შეკვრის გამო არ ჩარჩეს. მაგრამ დაწყებული საქმის არგადადებისა და მისი ბოლომდე მიყვანის ორგანიზაციის იმდენად ძლიერია, რომ არც ეს გარემოება აშინებს მას და მასწავლებელს სწერს: „ადგილობრივი მკვიდრნი მეუბნებიან, გზის შეკვრა ოქტომბრამდე შეუძლებელიაო. ჩემი თუშეთში გადაუსვლელიობაც შეუძლებელია, მაინც გადავალ, რაც უნდა მომივიდეს“. ამავე წერილში მონაფე თავის მოძღვარს ახალ ცნობებს აწვდის ხევსურული კი-

ლოს თავისებურებებზე. მას საყურადღებო ფაქტად მიაჩნია, რომ ხევსურულში შენახულია წყვილობითი (ორობითი) რიცხვის ფორმა – ნ/თა-თი ნაწარმოები „უმთავრესად წყვილობითის დაბოლოვებაა, ეს ეჭვს გარეშეა“, აგრეთვე თავისებურადაა ნაწარმოები მწკრივები. ამასთანავე, „ხანდახან ისეთი სიტყვა გამოვარდება, რომ გაგეხარდება: ფოროცა („შუკა“), ტარიგი, შიშაქი („ერთი-ორი წლის დედალი ცხვარი“), კიცვი, გირკო/კურკო („რკო“), ჩვიჩვილი („ჩვილი“), აღვსება („აღდგომა“) და სხვ. კარგა საკმაოდ შევჭკრიბე ხალხური ლექსები და სიმღერები... ხალხური ლექსები აქ, მთებში, უმაღლეს განვითარებამდე მისულა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ პოეზიის სამეფოა“.

მთის ჭეშმარიტად მაღალი პოეზიით მოხიბლულ მკვლევარს ლინგვისტურად უაღრესად საინტერესო და მეცნიერთაგან თითქმის ხელუხლებელ კილოთა ნაირგვარი სპეციფიკის გარკვევის სურვილი თანდათან უმძაფრდება, მუშაობს შეუპოვრად, ენერჯის მაქსიმუმის გაღებით; ხევსურეთიდან თუშეთს გადადის. თოვლია. ჰანუნტის გადმოსავალ უღელტეხილზე მხრით გადმოაქვს ბარგი, რადგან შიშობს, ჯორს ფეხი არ დაუცდეს და კლდე-ლრეს არ მისცეს თავისი მცირე ავლა-დიდება; 2 სექტემბერს ჩადის სოფ. ფარსმაში და მეორე დღესვე ატყობინებს თავის მასწავლებელს, რომ აქ ორ კვირას დარჩება და შემდეგ ფშავს გადავა. გადის ეს ორი კვირაც და თუშებსა და თუშურ კილოზე საინტერესო ცნობებს აწვდის თავის მოძღვარს: „წინანდელი აზრი შემიცვალა თუშეთში ყოფნამ. მოხევეურს წინად ხევსურულის კილოკავად ვთვლიდი. ეხლა კი, თუშურის შესწავლის შემდეგ, სურათი გამოიცვალა: ხევსურული, მოხევეური და თუშური ერთ ჯგუფს შეადგენს, რომელსაც უნდა ეწოდოს ფხო(ვ)ური (Пховское наречие) „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის მიხედვით, სადაც მთიელები, საზოგადოდ, ფხოველებად იწოდებიან. ეს წოდება შეგვიძლია მივაკუთვნოთ ზემოხსენებულ ჯგუფს მით უფრო, რომ დღესაც ფხი-ები არიან ხევსურები ქისტურ ენაზე. ფხოველები წინად, რასაკვირველია, უფრო სამხრეთითაც იქნებოდნენ: ფშავი, შუაფხო (სოფელი ფშავში)...

თუშურზე რომ ვსაუბრობ, სახეში მაქვს მხოლოდ დედაკაცების ენა. თუშეთში დღეს ორი ენაა (წოვურს ხომ არ ვთვლი) – მამაკაცებისა და დედაკაცებისა. ჰო, სწორედ ორი ენა! მამაკაცებს ხანდახან თუ წამოცდებათ თუშური, თორემ ჩვეულებრივ კახურად უქცევენ; თუშური ენა მხოლოდ დედაკაცებს შერჩენიათ. ამის გამო ტექსტების ჩასაწერად დედაკაცები მოვიწვიე, მამაკაცები მხოლოდ ლექსიკონის გადასინჯვის დროს მშველიან“. აკაკი შანიძე ამავე წერილში თუშურის რამდენიმე თავისებურებას აღნიშნავს.

აკაკი შანიძე თუშეთიდან თიანეთის გავლით ფშავს გადადის 24 სექტემბერს, ორი კვირა ავსებს და აზუსტებს ლექსიკონს და, დიდძალი ძვირფასი დიალექტოლოგიური მასალების მოპოვებით კმაყოფილი, მაგრამ მეტის კეთების სურვილგაუნელებელი, გულდანყვევით სწერს 7 ოქტომბერს მარს: „გავათავე მთაში ხეტიალი, ვფიქრობდი, ორ თვეს დავრჩები-მეთქი და აგერ თითქმის ოთხი თვე სრულდება, გვარიანი მასალები შევჰკვრიბე, მაგრამ რომ ვუკვირდები ჩემს მუშაობას ამ მთებში, ვამჩნევ, რომ მხოლოდ ნალები მომიხდია. კაცი რომ ვინმე იყოს ან დრო იყოს, კიდევ კარგი ყველის ამონურვა შეიძლებოდა. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ შარშან არაფერი დავბეჭდე. ფშავ-ხევსურეთში მეორედ ყოფნას არსებითად არაფერი მოუცია ჩემთვის, მაგრამ მთიულეთ-გუდამაყრისა, ხევისა და თუშეთის მოვლამ დიდი სარგებლობა მომიტანა“. ასე გამარჯვებული დაბრუნდა მთიდან ახალგაზრდა მეცნიერი და, საბედნიეროდ, ეს გამარჯვება ისტორიული მნიშვნელობისა იყო, რადგან თვისებრივად ახალი ეტაპის დაწყებას მიანიშნებდა ქართველოლოგიაში.

შეხვედრები ვაჟა-ფშაველასთან

აკაკი შანიძეს ბედმა გაუღიმა და დიდ ვაჟას შეახვედრა. „მე ერთი იმ ბედნიერთაგანი ვარ, რომლებიც პირადად იცნობდნენ მთის არწივს, ვაჟას, იმ ვაჟას, რომელმაც თავისი გენიალური ნაწერებით შორს გაუთქვა სახელი ქართულ

ლიტერატურას და ასახელა ქართველი ერი“, – წერდა ნახევარი საუკუნის შემდეგ აკაკი შანიძე.

აკაკი შანიძე სულ ოთხჯერ შეხვდა ვაჟა-ფშაველას. აკაკი შანიძემ ვაჟა პირველად 1908 წლის ზაფხულში გაიცნო, როცა ბოლო კურსის გიმნაზიელი აკაკი თვალღვიწიკში ეწვია ბიძას – ბესო შანიძეს. ამ უკანასკნელს ცოლად ჰყავდა ნინო ხუცურაული ხორხიდან (ეს სოფელი



ვაჟა-ფშაველა

ჟინვალიდან 12-ოდე კილომეტრის მოშორებით არის მთიულეთისა და ფშავის არაგვის შორის) და თვალღვიწიკში დუქანი ჰქონდა გამართული. ბესო აქ დაახლოვებია ვაჟას, შვილებს ანათვლინებდა და დიდ პატივს სცემდა. ბიძას ერთხელაც გიმნაზიელი აკაკი ცხენზე შემოუსვამს და ხორხში ასულან. იმ ხანად ვაჟაც ხორხში ყოფილა ცოლეურთას, დიდებანთ ოჯახში (ვაჟას ცოლი თამარი ხორხელი იყო). ვაჟას რომ გაუგია ბესოს ჩამოსვლა, სადილად გადაუპატიჟებია და კარგად გამასპინძლებია ბესოს და აკაკის. ვაჟა თავის ოთხი წლის ვაჟს – ვახტანგს გახუმრებია: „აბა, გვიამბე, როგორ იყო, რომ ფუტკარმა დაგკოდა და „ძოლი“ გაგიტეხაო“ (ა. შანიძე, მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე).

მეორედ აკაკი ვაჟას 1909 წელს შეხვედრია სოფელ თვალღვიწიკში ბიძამისთან. ვაჟა და ბესო შანიძე ძალიან შეხუმრებულნი ყოფილან ერთმანეთთან. ვაჟას აკაკისთვის უხუმრია: ბიძაშენი რომ პირველად გამოჩნდა ჩვენში, ხმა გაავრცელა, რომ თავადი ვარო. მე შანიძე თავადის გვარი არ გამეგონა, რადგან კარგად არ ვიცოდი ლიხს გადაღმური ამბები და შორიდან მორიდებულ სალამს ვაძლევდი; შემდეგ აფხედ-დაფხედ, როგორღაც ვერ ვიცანი თავადად, მაგრამ ვიფიქრე, აზნაური მაინც იქნება-მეთქი, და მაინც მორიდე-

ბულად ვიყავი. შემდეგ კი გამოირკვა, რომ არც აზნაურია და მხოლოდ მღვდლის შვილისშვილი ყოფილა. ვაჟას ხუმრობაზე ბევრი უცინიათ და ბესოს ასე მიუმართავს: „აი, შე ბრმაო დევოო“ (ვაჟას ამ დროს ერთი თვალი დაზიანებული ჰქონდა. ბესო მეგობრულად „ბრმა დევს“ ეძახდა.)

ვაჟას სხვა ხუმრობიდან ახალგაზრდა აკაკის კარგად დამახსოვრებია ასეთი ამბავი: სოფლიდან თბილისში ჩასული ვაჟა თმის შესაკრეჭად საპარიკმახეროში შესულა. პარიკმახერი შესდგომია კრეჭას, მაგრამ არ მოსწონებია თმების მდგომარეობა და ვაჟასთვის მიუმართავს: „აგეთი თავი მე ჯერ არ გამიკრეჭიაო“. ვაჟას აუხედავს დალაქისთვის და არც თუ ხუმრულად უპასუხნია: „მაგისთანა თავი შენ ჯერ მართლაც არ გაგიკრეჭიაო“ (ა. შანიძე, მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე... ნახული და გაგონილი: გაზ. „ნინსვლა“ (სამტრედია), 1982 წ. 26 ოქტომბერი).

მესამედ აკაკი (უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი) ვაჟას 1911 წლის ზაფხულს შეხვდა ჩარგალში, როცა მივლინებული იყო ფშავ-ხევსურეთში მთის კილოთა შესასწავლად. აკაკი შანიძე იგონებს: „ჩარგალში მჟავე წყალი ამოდიოდა და ხალხი სამკურნალოდ ეტანებოდა. ვილაც ტყის მცველს („აბეშჩიკს“) მოუხდომებია, რომ სამკურნალოდ მოსულ ხალხს ფული ეხადა. მაგრამ ვაჟა მისულიყო და ტყის მცველის საგანგებოდ ნაშენები ნაგებობა დაენგრია: „ესლა გვაქვს უფასო და ამასაც ფასი უნდა დაადოო?“ აკაკი შანიძე დასძენს: „ვისაც კი გამოვკითხე ეს ამბავი, ყველამ დამიდასტურაო“ (მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე).

ვაჟა-ფშაველას დიდად გახარებია, რომ გაუგია სტუდენტი აკაკი შანიძე მთის კილოების შესასწავლად იყო ჩასული, კარგად გამასპინძლებია და შემდეგ მეგზურობაც გაუნეგია, რათა ლაშარის ჯვარში ხატობას დასწრებოდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ გლებ ბონჩ-ოსმოლოვსკისთან ერთად. ჩარგალს რომ გამოსცილებიან, ვაჟას აკაკისთვის უჩვენებია ჩარგლის გორაზე ერთი ადგილი და უთქვამს: „მე აქ უნდა დავიმარხოვო“. აკაკის უპასუხია: „თუმცა ეს ადგილი კარგია, მაგრამ თქვენი სამარხი ადგილი მთანმინდაა თბილისში, რო-

მელიც ჩვენი პანთეონი უნდა გახდესო“. ვაჟას ეს პასუხი არ სწყენია, მაგრამ ერთბაშად სიტყვა სხვა რამეზე გადაუტანია.

ხატობაზე მიმავალთ ხომში შელამებიან და ღამე მინდ-
ორში გაუთენებიათ. 29 ივნისს ორწყალში ასულან, ჩაი დაუ-
ლევიან, კოვზების უკმარისობის გამო ვაჟას ხის პატარა
ტოტი მოუტეხია, გაუთლია და ამ ნკირით მოურევია შაქრის
გასადნობად. მერე აჰყოლიან ფშავის არაგვს, გაუვლიან
შუაფხო, ღამე თამარ მეფის გორაზე გაუთევიან. აკაკი შან-
იძე იგონებს: „31 ივნისს, პარასკევს, ხატობას დასწრებიან
ლაშარში. ხევისბერ ელიზბარ გოდერძაულს მეორე დღეს
სტუმრები თავისთან ახადში მიუწვევია, ძველი ხელნაწერები
და საბუთები უჩვენებია, ვაჟას და აკაკის გადაუთვალეიერე-
ბიან, რადგან ნაწერები გვიანდელი ყოფილა, აკაკის მხოლოდ
რამდენიმე საბუთი გადმოუწერია, 1699, 1716, 1734 წლებისა
(ამჟამად ეს ტექსტები გამოცემულია: ა. შანიძე, თხზულებანი
თორმეტ ტომად, ტ. I, 1984 წ.).

აკაკი შანიძე ვაჟა-ფშაველას მეოთხედ და უკანასკნელად
1915 წლის ზაფხულს შეხვდა, როცა სწეული პოეტი ქართული
გიმნაზიის შენობაში მოთავსებულ სამხედრო ლაზარეთში
იწვა (ამჟამად უნივერსიტეტის პირველი კორპუსი). ქართული
პოეზიის არწივს ფრთები ჩამოეკეცა და ნაღველი ჩასდგომო-
და თვალეებში. მაგრამ ეს ნაღველი არ იყო მხოლოდ სალოცავ
სამშობლოსთან მიახლოებული განშორების და მზიანეთის
სამუდამოდ დატოვების შეგრძნებით გამოწვეული, მას უფრო
გულს ის სტკენდა, რომ ვერ შეესწრებოდა თავისი სათაყვანე-
ბელი ქვეყნის აღორძინებას. არა და ამ აღორძინების რწმენა
ჰქონდა. აკაკი შანიძე იგონებს: „ჩამოვარდა საუბარი ომი-
ანობაზედაც. ვაჟამ თქვა: „ასეთ დიდ ომს არ შეიძლება დიდი
ამბები არ მოჰყვესო“. ამას რომ ამბობდა, მას მხედველობაში
ჰქონდა საქართველოს მომავალი ბედი“.

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფის წევრი

1913 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულმა აკაკი შანიძემ წარმატებით დაასრულა სწავლის კურსი ნიკო მარის ხელმძღვანელობით და 1915 წელს ჩააბარა ზეპირი სამაგისტრო გამოცდები ქართული ენათმეცნიერების სპეციალობით. ასპირანტურის პერიოდში 1914 წლის ზაფხულს, ნიკო მარის წინადადებით, აკაკი შანიძე სამეცნიერო მივლინებით ერმიადინში ჩავიდა „ქებათა ქების“ ქართულ-სომხური ვერსიების წარმოშობისა და ურთიერთმიმართების გარკვევის მიზნით, მაგრამ იქ მალარია შეეყარა და იძულებული გახდა – გუმბრში ანუ ალექსანდროპოლში (ყოფილ ლენინაკანში, ახლანდელ გიუმრიში) გადმოსულიყო, სადაც, გამოჯანმრთელებისთანავე, სომხური ენის შესწავლას შეუდგა.

1916 წლის ზაფხულს აკაკი შანიძე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით სამეგრელოში (ძველი სენაკის ახლო სოფლებში) საგანგებოდ სწავლობდა მეგრულს, კრებდა ტექსტებს (ამ ტექსტების ერთი ნაწილი, პოეტური „ეკური ქალ-ვაჟიანი“ მოგვიანებით გამოაქვეყნა კიდეც: ლიტ. ძიებანი. XI, 1958 წ.), ორი კვირა მთიანი რაჭის სოფლებშიც (ლებსა და გლოლაში) იყო, სადაც დიალექტოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს კრებდა. აკაკი შანიძე მივლინების შედეგებს ატყობინებდა თავის მასწავლებელს ივანე ჯავახიშვილს და 1916 წლის 1 ივლისს სწერდა: „სამეგრელოში მე სულ ორი კვირა ვიყავ. ვცხოვრობდი სოფ. ეკში, ძველი სენაკის მახლობლად. ვაჩვენედი ყურს მეგრულ ლაპარაკს და ვკრებდი ხალხური სიტყვიერების მასალებს. სამეგრელოში წასვლა კიდევ მინდა, თუ მოვახერხე ან დრო დამრჩა“. ეს სურვილი მკვლევარს შემდგომ დაუკმაყოფილებელი არ დარჩენია.

ივანე ჯავახიშვილი ყურადღებით ადევნებდა თვალს და ყოველმხრივ ეხმარებოდა აკაკი შანიძეს, რომ ახალგაზრდა

მეცნიერის მუშაობა სწორად და ქვეყნის სასარგებლოდ წარმართულიყო. ივანე ჯავახიშვილი არ ცდებოდა, როცა თავის უმცროს კოლეგებში – იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეში დიდ სამეცნიერო ძალას ხედავდა და ცდილობდა, ისინი ქართული ეროვნული მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში საიმედო თანამოსანგრეებად ჰყოლოდა. მონუმენტური „ქართველი ერი ისტორიის“ ავტორს თავიდანვე ღრმად სჯეროდა, რომ ქართველი ერის მატე-



იოსებ ყიფშიძე

რიალური და სულიერი კულტურის სრულყოფილად წარმოჩენა კომპლექსურად შესწავლის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ სრულებით გასაგებია, რომ ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერასთან ერთად, საჭიროდ თვლიდა აღმოსავლეთის ისტორიისა და ქართული თუ ზოგადი ენათმეცნიერების კურსების შედგენას. ამის თაობაზე 1915 წლის აპრილს ის სწერდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგამომცემლო რედაქციას: „ჩემს მოწაფეებსაც მოველაპარაკე და სასურველია, დაიწეროს ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებისა: ერთი უნდა შეეხებოდეს საზოგადო ენათმეცნიერებას, მეორე – ქართულ ენათმეცნიერებას. ამ ორი წიგნის დაწერა იკისრეს იოსებ ყიფშიძემ და აკაკი შანიძემ. თუ თქვენც მოინონებთ ამ განზრახვას, მაშინ ისინი შეუდგებიან მუშაობას“ (ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1981 წ.).

აკაკი შანიძემ 1915 წელს დაამთავრა მონოგრაფიის წერა („Субъектный префикс второго лица и объектный третьего в

грузинских глаголах“) და შემოდგომაზე დასაბუქდად გადას-
ცა აკადემიის სტამბას. დაიბეჭდა სამი რვეული (48 გვერდი),
მაგრამ ნიგნის დამთავრება ვერ მოხერხდა სხვადასხვა დაბ-
რკოლებათა გამო (ამ შრომის ვრცელი ქართული ვარიანტი
დაიბეჭდა 1920 წელს თბილისში).

აკაკი შანიძეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ბრწყინვა-
ლუ სამეცნიერო კარიერა ელოდა, მაგრამ, როგორც კი დადგა
ნანატრი ჟამი ქართული უნივერსიტეტის შექმნის შესაძლე-
ბლობისა, უყოყმანოდ ამოუდგა მხარში ამ დიდი ეროვნული
საქმის ერთადერთ მოთავეს ივანე ჯავახიშვილს და საიმედო
ძალად მოეგვინა თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელ-
თა საინიციატივო ჯგუფს. მოგვიანებით, კავკასიაში პირველი
უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეებში, აკა-
კი შანიძე იგონებდა: „თებერვლის რევოლუციის შემდეგ უფრო
გაჩნდა ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესაძლებლობა.
ივანე ჯავახიშვილმა ისარგებლა ამით და თავის ბინაზე (1917
წლის 1 მარტს) მოიწვია რამდენიმე კაცი პეტერბურგში მყოფ
ქართველ მეცნიერთაგან და გააცნო თავისი გეგმები. ამასო-
ბაში რევოლუციის მოძრაობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ივანე ჯავახიშვილი მალე (აპრილში) თბილისს გამოემუ-
რა და აქ შეუდგა სათანადო სამზადისს. პრივატ-დოცენტ ი.
ყიფშიძესა და მე ცოტა მოგვიგვიანდა, მაგრამ მაისში ჩვენც
თბილისში გავჩნდით, მთელი ზაფხული უნივერსიტეტის
დაარსებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას
დასჭირდა. შემოდგომაზე უკვე ყველაფრად ცხადი იყო, რომ
დიდი ხნის ოცნება განხორციელდებოდა და ოქტომბრის
21-ს ი. ყიფშიძე და მე პეტროგრადს გავემგზავრეთ იქაური
საქმეების სალიკვიდაციოდ და ივ. ჯავახიშვილისა და ჩვენი
ნიგნისაცავის გადმოსატანად. მოსკოვამდე მატარებელი
გაჭედილი იყო ხალხით, მოსკოვიდან პეტერბურგამდე კი შე-
დარებით თავისუფლად ამოვისუნთქეთ. თურმე ჩვენი გზაში
ყოფნისას პეტროგრადში დიდი ამბები მომხდარიყო, მა-
გრამ ჩვენ არაფერი ვიცოდით პეტროგრადში ჩასვლამდის.
იქ რომ ჩავედით, 27 ოქტომბერს დილით ი. ყიფშიძე თავის
ბინაზე წავიდა, მე კი – ჩემსაზე. რა ამბავია ქალაქში-მეთქი,

– ვჭკითხე მეეტლეს. – აქ ახალი ის არის, რომ მთავრობას სათავეში ლენინი უდგასო. იმ სალამოსვე ნიკო მარი ვნახე გამოსამშვიდობებლად მის ბინაზე. მან საუბარი ჩამომიგდო იმის შესახებ, რომ პეტროგრაღში მიეღოთ დასამტკიცებლად ქართული უნივერსიტეტის წესდების პროექტი, რომელიც მისთვის გადაეცათ დასკვნისათვის. მან გულახდილად მითხრა: მე დასკვნა მივეცი, რომ შეიძლება ნება დაერთოს, გახსნან ქართული უნივერსიტეტი. მაგრამ თბილისში უნდა დაარსდეს სახელმწიფო უნივერსიტეტიო. ეს ნიშნავდა, ქართული უნივერსიტეტი იქნებოდა კერძო, მაგრამ, ამასთანავე, თბილისში უნდა დაარსებულიყო რუსული უნივერსიტეტი სახელმწიფო ხარჯზე. ამ საკითხის გამო მე კამათი მომიხდა მართან, რომელსაც ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება, სათანადოდ მოწყობა და გაძლოლა... პირადი საქმე ერთ კვირაში მოვანესრიგე და თბილისს გამოვემგზავრე. რაც შემეძლო, თან წამოვიღე წიგნები და სხვა ი. ყიფშიძეს ჩავაბარე წამოსაღებად. იგი ნოემბრის ბოლოს გამოემგზავრა და ივ. ჯავახიშვილის წიგნთსაცავი – თავისი და ჩემი – ერთ ვაგონში მოათავსა და გამოაგზავნა, მეორე ვაგონში კი იყო კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის მასალები (ანისის გათხრების სურათები და სხვ.), აგრეთვე გ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა, რომელშიც იყო მისი პაპის, ლექსიკოგრაფ დავით ჩუბინაშვილის დღიური და ზოგი ხელნაწერი. სამწუხაროდ, ამ ორმა ვაგონმა, რომელსაც მოჰქონდა ახალი უნივერსიტეტის მუშაკთათვის მეტად საჭირო წიგნები და მასალები, თბილისამდე ვერ მოაღწია და ვერც გავიგეთ, რა მოუვიდა და სად გაქრა“ (ა. შანიძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1958 წ. 8 თებერვალი).

თუ როგორ მოისწრაფოდა ა. შანიძე საუნივერსიტეტო საქმეების გამო თბილისს, ეს კარგად ჩანს მის მიერ 1917 წლის 14 აპრილს პეტროგრადიდან ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილი წერილიდან: „მე ამ თვის ბოლოს ვაპირებ წამოსვლას, რადგან ბილეთებზე დიდისგან დიდი თავისა და ცხვირპირის მტვრევაა და რადგანაც, სულერთია პირველსა და

მეორე კლასში, ახლა უკვე დასაძინებელი ადგილები მოსპეს, ამიტომ ყოველ შემთხვევისთვის მესამე კლასის ბილეთი ავიღე 30 აპრილისთვის. ძალიან მომეჩქარება სამშობლოში დაბრუნება და სულ რომ ფეხზე დგომა მომიხდეს, მაინც წამოვალ მესამე კლასით“.

1917 წლის 26 ნოემბერს აკაკი შანიძე მდივნობდა იმ ისტორიული მნიშვნელობის პროფესორთა საბჭოს პირველ წინასწარ სხდომას, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა მოიწვია ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე და რომელზეც გადაწყდა თბილისის უნივერსიტეტში შექმნილიყო ერთი სიბრძნისმეტყველების ანუ საფილოსოფიო ფაკულტეტი სამი განყოფილებით (ჰუმანიტარული, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო) და შემდგარიყო ჰუმანიტარული განყოფილების პროფესურა გ. ახვლედიანის, ფ. გოგიჩაიშვილის, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, დ. უზნაძის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, ი. აბულაძის, ექ. თაყაიშვილის მონაწილეობით.

უნივერსიტეტის გახსნამდე ათასგვარი ფინანსური, ორგანიზაციული თუ აკადემიური საკითხი იყო მოსაგვარებელი და პროფესორთა კოლეგიას ხშირად უხდებოდა სხდომების მოწვევა. მარტო 1917 წლის დეკემბერში ოთხჯერ (8, 17, 19, 27 რიცხვებში) შედგა სხდომა, რომლებსაც ასევე აკაკი შანიძე მდივნობდა. ამ კოლეგიის 3 და 10 იანვრის სხდომებზე აკაკი შანიძეს (და ი. ყიფშიძეს) დაევალა არა მარტო სტუდენტებისა და თავისუფალი მსმენელებისათვის სალექციო კურსების შედგენა-დაბეჭდვა, არამედ ისეთი თითქოსდა არაპრესტიჟული, წმინდა ტექნიკური საქმის მოგვარება, როგორცაა სამეცადინო აუდიტორიებში განათების ორგანიზება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით ყველა საუნივერსიტეტო საქმის ორგანიზატორს ივანე ჯავახიშვილსაც კი 10 იანვრის სხდომაზე სკამების შეკვეთისა და დამზადების მოგვარება დაეკისრა, აშკარა გახდება, რომ ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელ ენთუზიასტ მეცნიერთათვის იმჟამად არ არსებობდა დიდი და პატარა, პრესტიჟული და არაპრესტიჟული საქმე – ყველა აკეთებდა ყველაფერს, აკეთებდა შესაძლებლობის მაქსიმუმს.



აკაკი შანიძე და გიორგი აბზელდიანი



სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ნუცუბიძე და აკაკი შანიძე. 60-იანი წლები.

ისტორიის რჩეულთა ძალისხმევა დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა – 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი და აკაკი შანიძე შევიდა უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა კოლეგიაში. ამის შემდეგ ეპითეტი

„პირველი“ მოუცილებელი ელემენტი გახდა მეცნიერის შემოქმედებითი ბიოგრაფიისა.

* * *

აკაკი შანიძეს უნივერსიტეტის გახსნის დღიდანვე (1918 წლის 26 იანვარი) დაევალა სალექციო კურსების წაკითხვა არაბულსა და ძველ სომხურ ენებში, ხოლო 1919 წლიდან (პროფესორ ი. ყიფშიძის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ) – ქართულ ენაშიც. მეცნიერი არც ორგანიზაციულ საქმეებს მორიდებია: 1918-1920 წლებში იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანი, ხოლო 1919-1921 წლებში – პროფესორთა საბჭოს მდივანი.

უნივერსიტეტის არსებობის პირველსავე წლებში აკაკი შანიძემ ითავა ერთ-ერთი უმთავრესი სასწავლო-სამეცნიერო რგოლის, ქართული ენის კათედრის ჩამოყალიბება (ეს კათედრა მოგვიანებით, 1945 წელს მისივე ინიციატივით გაიყო ახალი ქართული ენისა და ძველი ქართული ენის კათედრებად. თავად ძველი ქართული ენის კათედრა ჩაიბარა, ხოლო ახალი ქართული ენის კათედრა საკუთარ მონაფეს – ვარლამ თოფურას – მიანდო).

უნივერსიტეტის პირველი დისერტანტი

აკაკი შანიძემ თბილისის უნივერსიტეტში 1920 წლის 9 მაისს პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. დისერტაციის საჯარო დაცვა კვირა დღეს შედგა №1 აუდიტორიაში. სხდომა გახსნა ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა კორნელი კეკელიძემ, ხოლო ფაკულტეტის მდივანმა, პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გააცნო დისერტანტის ბიოგრაფია. თავმჯდომარის მიწვევით, დისერტანტი აკაკი შანიძე კათედრაზე ავიდა. იმჟამად უნივერსიტეტში მიღებული წესისამებრ, იგი ნაქირავებ თეთრ ხელთათმანებსა და ფრაკში იყო გამოწყობილი. რადგან დაწერილი შესავალი სიტყვა შინ დარჩენოდა, ზეპირად ილაპარაკა: „დიდად ბედნ-



აკაკი შანიძე

იერი ვარ, რომ საქართველოს პირველ უმაღლეს სასწავლებელში პირველი დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბედმა მე მარგუნა. ბედნიერი ვარ მით უმეტეს, რომ ჩემი დისერტაციის საგანია ერთი მოვლენა ქართული ენისა, და სად, თუ არა საქართველოში? სად, თუ არა ჩვენს დედაქალაქში? სად, თუ არა ქართულ სამეცნიერო ტაძარში უნდა იყოს დაცული ასეთი დისერტაცია?! ბედ-

ნიერი ვარ უზომოდ, მაგრამ, ამასთანავე, მაფიქრებს ერთი გარემოება: ვაი, თუ ჩემი პატარა შრომა არ შეეფერებოდა იმ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორცაა სამეცნიერო ხარისხის მოპოვების დაწყება ჩვენში. მაფიქრებს ეს გარემოება, მაგრამ თანაც ის მაძლევს გამბედაობას და მიმატებს მხნეობას, რომ დიდი საქმე, საზოგადოდ, მცირით დაწყებული და ამიტომ ეგების მცირედი შრომა, რამდენადმე მაინც, აკმაყოფილებდეს დღევანდელი დღის მოთხოვნილებას“ (ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, 1981 წ.).

შესავალ სიტყვაში აკაკი შანიძე ხაზს უსვამდა ქართული ენის შესწავლის ეროვნულ და ზოგადკულტურულ მნიშვნელობას, ჯეროვან პატივს მიაგებდა მისი მეცნიერული შესწავლის დამწყებთ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია – კრიტიკულად შეეფასებინა მათი ნაღვანი. იგი სამართლიანად უარყოფდა დიდი მასწავლებლის ნ. მარის იაფეტურ თეორიას, მაგრამ ამასთანავე ამბობდა: „ერთი ნუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი ღვანლი, რომელიც ნიკო მარს მიუძღვის ქართული ფილოლოგიისა და ქართული ენათმეცნიერების წინაშე. მას მრავალი ჩინებული შრომა აქვს, რომელთაც დიდი მკვლევრის ბეჭედი აზის. მრავალმხრივად უდგება სხვადასხვა საკითხს და იშვიათი ხერხითა და ოსტატობით სჭრის მათ“.

დისერტაციად წარმოდგენილი იყო 1920 წელს თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ოფიციალურმა ოპონენტებმა – გიორგი ახვლედიანმა და ივანე ჯავახიშვილმა მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ მე-2 სუბ. და მე-3 ობ. პირთა თავსართების ბუნების გამოკვლევა აკაკი შანიძის დამსახურებაა. მან ამ ორ საკითხს ძვ. ქართულ წერილობით ძეგლებსა და თანამედროვე ცოცხალი კილოების მეთოდურ შესწავლაზე დამყარებული მშვენიერი მონოგრაფია უძღვნა. ეს თხზულება პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული, შრომაა ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად“ (ქართული პალეოგრაფია, 1949 წ.; შდრ. ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922-1923 წწ.).

დისერტანტმა დამაჯერებლად უპასუხა ოპონენტთა შენიშვნებს, რომლებსაც ის წინასწარ არ იცნობდა (მაშინ მიღებული წესისამებრ). ექვსსაათიანი პაექრობის შემდეგ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა ერთხმად მიანიჭა აკაკი შანიძეს ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხი, რომელიც ამავე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ასევე ერთხმად დაამტკიცა 5 დღის შემდეგ, 15 მაისს.

„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ და პასუხისმგებელი რედაქტორი

1918 წლის ბოლოდან აკაკი შანიძე ახლადფეხადგმული უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისიას ხელმძღვანელობდა: იგი იყო მთელი საგამომცემლო და სასტამბო საქმის ორგანიზატორი და დამფუძნებელი, „ნამდვილი მნიგნობართუხუცესი“, როგორც მას უწოდა ერთმა ცნობილმა მეცნიერმა.

უნივერსიტეტის დაარსებიდან, კერძოდ კი 1919 წლიდან, აკაკი შანიძე იყო „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორი, ხოლო 1920 წლიდან – მისი პასუხისმგებელი რედაქტორი (როგორც მაშინ წერდნენ, „ხელმძღვანელი რედაქტორი“). ამ მოვალეობას „მოამბის“ პირველი და უცვლელი

რედაქტორი (1919-1930) უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებდა, მაგრამ არც ერთ ნომერზე მას საჭიროდ არ ჩაუთვლია დაებეჭდა, რომ იგი „პასუხისმგებელი (ხელმძღვანელი) რედაქტორია „მოამბისა“.

„მოამბემ“ უდიდესი როლი შეასრულა სამეცნიერო ენის სრულყოფაში. გავიხსენოთ, რომ მასში მხოლოდ და მხოლოდ ორიგინალური გამოკვლევები იბეჭდებოდა. არსებული ლიტერატურის მიმოხილვის დაბეჭდვა იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ იგი პირველწყაროებზე იყო დამყარებული და საკითხის ახალ გაშუქებას შეიცავდა. ამავე დროს, საკითხის თანამედროვე მდგომარეობა ორიოდ ნინადადებით უნდა ყოფილიყო გამოხატული იმ მთავარ ლიტერატურაზე მითითებებით, რომელშიც ამ საკითხის ვრცელი მიმოხილვა და წყაროების სია მოიპოვებოდა.

თავიდან დაგეგმილი იყო „მოამბის“ გამოსვლა ფაკულტეტების მიხედვით, მაგრამ ეს არ მოხერხდა, ამიტომ აკაკი შანიძეს, როგორც პასუხისმგებელ რედაქტორს, ერთიანი ენობრივი პრინციპების გატარება მოუხდა საუნივერსიტეტო მეცნიერების ყველა დარგის ნაშრომებში; ეს, რასაკვირველია, უაღრესად რთულ პრობლემებს ქმნიდა.

„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორობამ აკაკი შანიძის წინაშე მრავალთა შორის ორი უაღრესად მწვავე საკითხი დააყენა: განუხრელი ზრუნვა მეცნიერული ტერმინოლოგიის სრულყოფაზე და სპეციალური სამეცნიერო გამომცემლობის შექმნის აუცილებლობა.

აკაკი შანიძე აქტიური მონაწილე იყო იმ უდიდესი სატერმინოლოგიო მუშაობისა, რომლის მეცნიერულ-ორგანიზაციული საფუძვლები ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა და რომელსაც იგი თითქმის 40 წელი არნახული ენერგიით წარმართავდა. ტერმინოლოგიური სიჭრელე, საერთოდ, დიდ დაბრკოლებას ქმნიდა „მოამბეში“ ცალკეული სტატიების გამოქვეყნებისათვის. ჩანს, ავტორისა და რედაქტორის შეთანხმება არასაკმარისად მიაჩნდა აკაკი შანიძეს ტერმინოლოგიის სრულყოფის გზაზე. იმ წლების უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს, გამგეობის, ფაკულტეტების არქივები ინახავენ აკაკი შანიძის არაერთ წარდგინებას იმის შესახებ,

რომ ფაკულტეტებს შეემუშავებინათ შეთანხმებული, ერთიანი ტერმინოლოგია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აკაკი შანიძე უკვე არაერთგზის აყენებს თბილისში სპეციალური სამეცნიერო სტამბის მოწყობის საკითხს, „რომლისთვისაც, – ნერდა იგი 1923 წლის მაისში, – „მოამბის“ რედაქცია კარგა ხანია მონადინებულია, ფიქრობს და ზრუნავს და რამდენჯერმე შესაფერისი შუამდგომლობაც აღუძრავს მთავრობის წინაშე, სათანადო საშუალების ჩვენებით და პრაქტიკული ზომების დასახელებით საქმის მოსაგვარებლად“.

სტამბის ნაციონალიზაციამ შექმნა პირობები, დასმულიყო საკითხი სტამბის დაარსებისა თბილისის უნივერსიტეტთან. 1921 წლის 11 მარტს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი წერს საქართველოს რევკომის სახელზე შემდგომი შინაარსის შუამდგომლობას: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აუარებელი სახელმძღვანელობისა და მრავალი სამეცნიერო გამოკვლევის დაბეჭდვა უხდება. უკვე გამოცემულია „უნივერსიტეტის მოამბის“ პირველი ნომერი და აგრეთვე ბევრი გამოკვლევა და სახელმძღვანელო სხვადასხვა სამეცნიერო დარგში.

უნივერსიტეტს განზრახული აქვს, რომ ამიერიდან კიდევ უფრო გააფართოოს გამომცემლობის საქმე. მაგრამ ეს საქმე რომ ჩქარის ნაბიჯით წავიდეს წინ, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას თავისი საკუთარი სტამბა ჰქონდეს, სტამბა დიდი და კარგად მოწყობილი, რომელმაც უნდა ადვილად შესძლოს უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტის ყოველმხრივი საჭიროების და მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ გთხოვთ, რათა ჩამორთმეული სტამბათგან ერთი რომელიმე დიდი და კარგად მოწყობილი სტამბა (ან ორი პატარა, რომლებიც უნდა შეერთდნენ) გადმოეცეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სრულ განკარგულებაში. ამით მეტად დაჩქარდება და ხელი შეეწყობა ქართული სამეცნიერო ლიტერატურის აღორძინებას. მოლაპარაკება ამ საქმის შესახებ დავალებული აქვს „უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორს აკაკი შანიძეს“.

„უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემის დაბრკოლებას აკაკი შანიძე პირად ტკივილად იღებდა. ამიტომ, როცა იგი, მიუხედავად მიღებული თავგანწირული ზომებისა, საქმის ჩავარდნის რეალურ საფრთხეს ხედავდა, ითხოვდა პასუხისმგებელი რედაქტორის მოვალეობისგან გათავისუფლებას. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო არ ეთანხმებოდა ამ თხოვნას (უკეთესი პასუხისმგებელი რედაქტორი მას არც შეეძლო წარმოედგინა). იგი დაადგენდა ხოლმე: მადლობა ეთქვას აკაკი შანიძეს განუელი დიდი მუშაობისათვის, კვლავ დარჩეს იგი პასუხისმგებელი რედაქტორის თანამდებობაზე და „იქნას მიღებული ყოველგვარი ზომები მისი რედაქტორობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად“.

აკაკი შანიძის, როგორც ახალი დროის მეცნიერების პირველი ქართული ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორის, მდგომარეობა სრულიადაც არ შემსუბუქებულა ჟურნალის არსებობის მთელი ხნის მანძილზე (1919 – 1930 წწ.), მაგრამ იგი წინააღმდეგობებსა და სიძნელეებს არ გაჰქცევია. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ რეგულარულად გამოდიოდა. ამასთან ყოველი ახალი მეცნიერული სტატიის დაბეჭდვა იყო ნამდვილი ზეიმი, ვინაიდან ხშირად ეს არა მარტო ახალი სიტყვა იყო მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, არამედ ქართულ ენაზე მეცნიერული ცნებების პირველი ამეტყველება. ერთადერთი, რაც ახარებდა და ახალისებდა აკაკი შანიძეს, ეს იყო თითოეული ავტორის გულწრფელი მადლობა განუელი მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

აკაკი შანიძემ გიორგი ახვლედიანთან ერთად ასევე დიდი შრომა გასწია უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნისა და ორგანიზების საქმეში – 1919 წლიდან 1922 წლამდე იგი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასაც განაგებდა.

ქართულ შრიფტებზე ზრუნვა

„ახალი სასტამბო ნიშნების ჩამოსხმისათვის დიდი დრო, რაც შესაფერისად მონყობილი სტამბის უქონლობითაა გამოწვეული, ჟურნალის ბეჭდვისათვის ისეთ სიძნელეს

წარმოადგენს, რომ ამ სტრიქონების დამწერს გული აქვს გამოკლული. ვიდრე არ გაიმართება ერთი რიგიანი სტამბა, უზრუნველყოფილი სხვადასხვა შრიფტებითა და ნიშნებით, მანამდე „უნივერსიტეტის მოამბეც“ მძიმედ-მძიმედ ივლის და საფრთხეში იქნება ჩაყენებული, არა მარტო „მოამბე“, არამედ საზოგადოდ ქართული სამეცნიერო საქმე“, – წერდა აკაკი შანიძე 1923 წელს.

რასაკვირველია, აკაკი შანიძე არ იზღუდება მხოლოდ შუამდგომლობების აღძვრით, იგი არც ვახტანგ მეექვსის შექმნილი შრიფტის აღდგენით კმაყოფილდება. 1923 წლის 21 დეკემბერს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განიხილა აკაკი შანიძის მოხსენება შრიფტისა და ნიშნების შედენის შესახებ. საბჭომ დაადგინა: „გამოთხოვილი იქნას საგანგებო თანხა საჭირო შრიფტის შესაძენად. აღიძრას სათანადო შუამდგომლობა პოლიგრაფიული განყოფილების წინაშე ზოგიერთი შრიფტის ჩამოსხმის შესახებ“.

აკაკი შანიძე იმ დროიდან დაუცხრომელი ენერგიით ზრუნავს ქართული შრიფტის სრულყოფისათვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი აღტაცებულია ქართველი ხალხის გენიის მიერ შექმნილი ანბანის სიდიადით: „დაილოცოს ქართული წერა და კითხვა! ყოველ ასოს მხოლოდ ერთი ბგერა შეესატყვისება და ყოველი ბგერისათვის ცალკეული ასო მოიპოვება“. და რომ „ეს დიდი ღირსებაა ჩვენი ანბანისა და, ამ მხრივ, უცხო ანბანზე მაღლა დგას“.

აკაკი შანიძეს ყოველთვის კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ახალი სრულყოფილი შრიფტი შეიძლება შეიქმნას ტექნიკისა და ხელოვნების შერწყმით. ამიტომაც იგი მიმართავდა თანამშრომლობას ქართველ მხატვრებთან (დ. შევარდნაძე, ან. დუმბაძე და სხვა).



1929 წელს მხატვარ დ. შევარდნაძის დახმარებით მან შეიმუშავა ძველი ქართული შრიფტი, რომლითაც დაიბეჭდა მისი „ძველი ქართული ქრესტომათია“. მანვე

1928 წელს ვ. მადერის დახმარებით შექმნა დიაკრიტიკული ნიშნების მქონე ასოთა შრიფტი დიალექტური ტექსტებისათვის, ხოლო 1938 წელს რამდენიმე ახალი იერის ძველი ასოები ვენურ შრიფტთან მისადაგებული.



აკაკი შანიძის მემორიალური ნივთი

1935-1936 წლებში აკაკი შანიძემ აღადგინა მხედრული შრიფტი, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა 1712 წელს ვახტანგ VI-ის მიერ. რუსთველის პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის ნაირგვარი შეცდომების ფაქიზად გასწორებასთან ერთად, აკაკი შანიძეს მოუხდა ამ გამოცემის გამეორების გზაზე წამოჭრილი მრავალი დაბრკოლების გადალახვა: 1935 წლის ივნისში უნივერსიტეტის ფოტოგრაფს მ გვერდი გადააღებინა პოემის ვახტანგისეული გამოცემიდან, შემდეგ ფოტოები დააჭრევინა სტრიქონ-სტრიქონებად, ხოლო იქიდან ცალ-ცალკე ასოები ამოაჭრევინა; თავი მოიყარა რამდენიმე ერთნაირმა ასომ, რომელთაგან ამოირჩია საუკეთესოები. ასეთ ამორჩეულ ასოთაგან შედგა მთელი ანბანი. ამ მუშაობის შედეგად აშკარად გამოჩნდა ვახტანგისეულ ასოთა ნაკლი. საჭირო გახდა პირველნაბეჭდი ასოების შესწორება, ხელახლა დახატვა მთელი კომპლექტისა და ერთიანობის დაცვა სიმეტრიასა და ხაზებში. ეს სამუშაო აკაკი შანიძის დავალებით შეასრულა მხატვარმა ვლ. გრიგოლიამ. ახლად დახატული ასოების კვალობაზე უნივერსიტეტის გამომცემლობის შრიფტის კაბინეტმა დაამზადა ასოთა პუნსონები და 1936 წლის აგვისტოში შრიფტი ჩამოსხმული იყო. 1937 წელს ამ შრიფტით დაიბეჭდა აკაკი შანიძის მიერ აღდგენილი 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ, გამეორებულ გამოცემათა შორის, შანიძისეულ 1937 წლის პუბლიკაციას, მეცნიერული და ტექნიკური თვალსაზრისით, დღემდე ბადალი არ გასჩენია საქართველოში.

აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით მხატვარმა ანტონ დუმბაძემ შექმნა ქართული შრიფტის ახალი გარნიტური „უნივერსიტეტი“. ამ ახალი ქართული შრიფტის შექმნის ისტორია აკაკი შანიძეს გადმოცემული აქვს ბროშურაში – „ქართული შრიფტის ახალი გარნიტური – „უნივერსიტეტი“.

ზოგიერთი რთული ტექსტის აწყობის საჭიროებამ განაპირობა, რომ 60-იან წლებში აკაკი შანიძეს ეზრუნა ქართული შრიფტის ახალი გარნიტურის შექმნისათვის. 1962-1963 წლებში მხატვარმა ანტონ დუმბაძემ აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით დახატა ძველი და ახალი ქართული ასოები იმ ვარაუდით, რომ, საჭირო შემთხვევაში, შესაძლებელი ყოფილიყო მათი ერთმანეთში გარევა. ტექსტის აწყობის მექანიზაცია რომ ნაყოფიერი ყოფილიყო, საჭირო გახდა ლინოტიპის კლავიატურაზე მოთავსებულიყო რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ასოებისა, რაც შესაძლებელი გახდა იმით, რომ თითო მატრიცაზე ორ-ორი ნიშანი მოთავსდა.

აკაკი შანიძემ 1963 წლის 18 სექტემბერს თათბირი მოიწვია მოსკოვის „პოლიგრაფმაშის“ თანამშრომლებისა, სადაც დამტკიცდა პროექტი ასოთა ნახაზებისა და კლავიატურის სქემისა, რომელიც გადაეცა „პოლიგრაფმაშის“ ინსტიტუტს, რათა დაემზადებინა ხელით სანყობი შრიფტის მატრიცები და სათანადო დოკუმენტაცია შეედგინა ლინოტიპის მატრიცებისათვის. ხელით სანყობი შრიფტის მატრიცები თბილისის უნივერსიტეტმა მიიღო 1964 წლის აპრილში, რომლის საფუძველზეც თბილისის შრიფტის ჩამომსხმელმა ქარხანამ ჩამოასხა ასოები, ხოლო მოსკოვიდან მიღებული ნახაზები და დოკუმენტაცია გადაეგზავნა სალინოტიპო მატრიცების დასამზადებლად პოლიგრაფიული მანქანათმშენებლობის ქარხანას ლენინგრადში. რადგან ნახაზებსა და დოკუმენტაციას გარკვეული ნაკლი აღმოაჩნდა, მათ გასასწორებლად საჭირო გახდა – აკაკი შანიძე და მხატვარი ან. დუმბაძე ჩაფრენილიყვნენ პეტერბურგში (მაშინ ლენინგრადში). ამის შემდეგ ქარხანამ 1964 წლის ბოლოსათვის დაამზადა რამდენიმე კომპლექტი და 1965 წლის დასაწყისში გამოუგზავნა უნივერსიტეტს.

სპეციალური დანიშნულების ამ ახალმა შრიფტმა არა თუ გაამრავალფერა არც თუ მდიდარი ასორტიმენტის ქართული

საშრიფტო მეურნეობა, არამედ გააადვილა ნაირგვარი ტექსტების ჯეროვნად გამოცემა. ამ შრიფტით შეიძლება აინყოს ყველანაირი ტექსტი ნებისმიერი ქართული ანბანით, ძველით თუ ახლით, მათი ერთმანეთში გარევით თუ ცალ-ცალკე. ახალი შრიფტი („უნივერსიტეტი“) სამი ზომისა გაკეთდა ხელით წყობისათვისაც და ლინოტიპით წყობისათვისაც.

ძნელია წარმოდგენა, თუ რამდენი დრო, ენერგია და ხარჯები აქვს გაღებული აკაკი შანიძეს ქართული საშრიფტო მეურნეობის გასამდიდრებლად. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ერთერთ ქართულ შრიფტს „აკაკი შანიძე“ ჰქვია.

სამეცნიერო და სასწავლო ასპარეზზე

მართალია, ახლად შექმნილი უნივერსიტეტის მრავალგვარი ორგანიზაციულ-პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა-მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ აკაკი შანიძე მაინც ახერხებდა თავიდანვე ენერგიულად გაეშალა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა. ახალგაზრდა თბილისის უნივერსიტეტისთვის დიდი დანაკლისი იყო თავისი ერთ-ერთი დამაარსებლის, პროფესორ იოსებ ყიფშიძის მოულოდნელი სიკვდილი. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფესორების – იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროოდ გარდაცვალების გამო უდიდესი



აკაკი შანიძე და ჰაინც ფენრიხი

ტვირთი ორს უკანასკნელს დაანვა“ (ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937 წ.).

მართლაც, მეტად მძიმე იყო ეს ტვირთი. მაგრამ აკაკი შანიძემ იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ ითავა არა მხოლოდ ქართული ენის სალექციო კურსის ნაკითხვა, არამედ მან შეძლო სრულებით ახალი სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინების შექმნა და სწავლება: ქართული დიალექტოლოგია, ქართული პალეოგრაფია, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, სვანური ენა, ნოვა-თუმური, სპეცკურსი – „რუსთველის ენა“.

უნივერსიტეტის გარდა, 1935-1936 წლებში იგი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს – „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ და „ქართული დიალექტოლოგია“. 1946-1948 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ენის კათედრას პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტშიც.

ზრუნვა სახელმძღვანელოთა შესაქმნელად

აკაკი შანიძემ კარგად იცოდა, რომ ამა თუ იმ საგნის ჯეროვნად სწავლებისათვის საჭირო იყო მეცნიერულად გამართული სასწავლო სახელმძღვანელოები და ისიც თავის მუშაობაში დიდ ადგილს უთმობდა საშუალო და უმაღლესი სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების შექმნას. 1930 წელს დაბეჭდა „ქართული გრამატიკა. I მორფოლოგია“, პირველი მეცნიერული კურსი სტუდენტთათვის ქართულ ენაში. ამ კურსის სრულყოფის შედეგად მივიღეთ „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ ორი ნაკვეთი, I-ლი (1942 წ.) და მე-2 (1943 წ.), მათი გადამუშავებითა და გაერთიანებით კი – 674-გვერდიანი ფუნდამენტური მონოგრაფია-სახელმძღვანელო სტუდენტთა და მეცნიერ-მუშაკთათვის „ქართული გრამატიკის საფუძვლები. I მორფოლოგია“ (1953 წ., II გამოცემა – 1973 წ., III – 1980 წ.).

აკაკი შანიძემ ქართულ პალეოგრაფიაში სავარჯიშოდ ლითოგრაფიული წესით ჯერ კიდევ 1924 წელს გამოსცა

„თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსა“ (36 გვ.), 1935 წელს კი ძველ ქართულ ენაში სავარჯიშოდ დაბეჭდა „ძველი ქართულის ქრესტომათია I, ქრესტომათია“, რომელშიც მოყვანილია ნაწყვეტები უძველესი ქართული ხელნაწერებიდან და ძველი წარწერების ტექსტები.

თითქმის ნახევარი საუკუნე ქართულ საშუალო სკოლებში უცვლელად მოქმედი სახელმძღვანელო იყო ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც პირველად 1939 წელს გამოვიდა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი მართლწერის საკითხებითურთ), მეორედ – 1941 წ., მესამედ – 1946 წელს, ხოლო 1948 წლიდან ორ ნაწილად გაიყო: ნაწ. I. ფონეტიკა და მორფოლოგია (სახელმძღვანელო V და VI კლასებისათვის), ნაწ. II. სინტაქსი (სახელმძღვანელო VII-VIII კლასებისათვის). ამ უკანასკნელი სახელმძღვანელოს გადამუშავებულ სახეობათა რამდენიმე ათეული გამოცემა არსებობს.

1934 წელს აკაკი შანიძემ (ა. ბარამიძისა და ილ. აბულაძის თანაავტორობით) შეადგინა და გამოსცა სასკოლო სახელმძღვანელო: „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. ქრესტომათია საშუალო სკოლის VIII კლასისათვის“. მის ადრეულ 14 გამოცემას (1934-1955 წლებში) ერთვოდა ა. შანიძისავე კომპაქტური შრომა „ძველი ქართული ენა“. შემდეგში ეს სახელმძღვანელო არაერთხელ დაბეჭდილა, როგორც „ძველი ქართული ლიტერატურა. ქრესტომათია საშუალო სკოლის VIII კლასისათვის“ (1956-1961 წლებში) ან „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, საშუალო სკოლის IX კლასისათვის“ (1963 წლიდან).

აღსანიშნავია, რომ აკაკი შანიძემ 90 წლის ასაკში შექმნა ახალი სახელმძღვანელო „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის. ამ წიგნის შექმნა დააჩქარა მიუნხენელი პროფესორის იულიუს ასფალგის თხოვნამაც, რომელიც ძველ ქართულ ენას ასწავლიდა გერმანულ სტუდენტებს. შრომა ითარგმნა გერმანულად პროფესორ ჰაინც ფენრიხის მიერ და გამოიცა 1982 წელს, ხოლო შემდეგ ითარგმნა სომხურადაც ჰ. მარგარიანისა და ჰ. ჩობანიანის მიერ და დაიბეჭდა ერევანში 1983 წელს.

სამეცნიერო მუშაობა

„სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს“ (ივ. ჯავახიშვილი).



ალექსანდრე ცაგარელი

„იოსებ ყიფშიძის და-კარგვა მძიმე დანაკლისი იყო ახლადფუხადგმული უნივერსიტეტისათვის და, კერძოდ, ქართველოლოგიისათვის. მაგრამ მისი ადგილი დაიკავა აკაკი შანიძემ, რომლის ზედიზედ გამოსულმა ფუნდამენტურმა შრომებმა ცხადყვეს, რომ ქართველოლოგიას მოეწვინა დიდი ენათმეცნიერი“, – წერდა გიორგი ახვლედიანი, რომელიც 1923 წელს დაარსე-

ბული „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ თავმჯდომარედ აირჩიეს, მის მოადგილედ კი აკაკი შანიძე დაინიშნა.

ამ საზოგადოების ორგანოში აკაკი შანიძემ დაბეჭდა შესანიშნავი გამოკვლევა „ნელინადის ეტიმოლოგიისათვის“ („ნელინდეული“, I-II, ტფ., 1923-1924 წწ.), რომელშიც ახსნილია რედუქციის მექანიზმი და დადგენილია მისი ინტენსივობის ხარისხი ქართველურ ენებში.

აკაკი შანიძე 1933-1936 წლებში განაგებდა ენის სექტორს უნივერსიტეტთან არსებულ რუსთველის ინსტიტუტში.

როგორც ადრე ნიკო მარსა და ალექსანდრე ცაგარელს, აკაკი შანიძესაც თავიდანვე ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების საფუძვლიანად შესწავლა მონათესავე უმწერლობო ენების – სვანურისა და მეგრულ-ჭანურის მონაცემების გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იყო. ამიტომ იგი ენერგიულად

შეუდგა ამ ენების შესწავლას. 1916 წელს მეგრულს სწავლობდა და ტექსტებს ინერდა ძველი სენაკისა და მის ახლო სოფლებში, ხოლო სვანურის შესასწავლად 20-იან წლებში სამჯერ იყო მივლინებით სვანეთში. ბრწყინვალედ დაეუფლა მას, ჩაინერა ლექსიკური მასალა, ნაირგვარი ტექსტები (ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, საწესჩვეულებო ამბები, ანდაზა-გამოცანები), დაადგინა სვანური კილოების განმასხვავებელ-გამმიჯნავი ენობრივი ნიშნები და შექმნა ჭეშმარიტად გზამკვლევი ნაშრომი „უმლაუტი სვანურში“ (დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში: „არილი“, 1925 წ.).

1924 წელს აკაკი შანიძე სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება სომხეთში გ. ჩუბინაშვილთან, ლ. მელიქსეთბეგთან და ნ. სევეროვთან ერთად. ამ ექსპედიციის დროს აკაკი შანიძემ შეისწავლა კომისა და თაიჩარუხის ქართული წარწერები, რომელთაგანაც კომისა გამოსცა 1960 წ. (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ I.). ეს იყო პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, მოწყობილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

აკაკი შანიძე გახლდათ არნოლდ ჩიქობავას სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელიც. არნოლდ ჩიქობავა თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი მსმენელი იყო. აკაკი შანიძის წინადადებით, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული არნოლდ ჩიქობავა 1922 წელს დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად. ამ პერიოდში მან აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით გაიარა სპეციალური კურსები ძველ ქართულსა და დიალექტოლოგიაში და 1928 წელს გამოსცა მონოგრაფია „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“.

1935 წელს, როდესაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი შეიქმნა (მის შემადგენლობაში გადავიდა კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტიც), აკაკი შანიძე ენერგიულად ჩაება აკადემიის სისტემის მუშაობაშიც. იგი 1936-1941 წლებში განაგებდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან არსებულ აკად. ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ქართველურ ენათა სექტორს, ხოლო 1941 წლის 22 თებერ-

ვალს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, დაამტკიცეს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ ნამდვილ წევრად. 1948 წლის 1 მარტიდან 1951 წლის 12 ივლისამდე აკაკი შანიძე მუშაობდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. 1939 წელს იგი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

აკაკი შანიძე თავისი მრავალმხრივი მუშაობის შედეგებს ხშირად აცნობდა საბჭოთა და უცხოელ სპეციალისტებს, რითაც ზრდიდა მათ ინტერესებს ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური პრობლემებისადმი. იგი სამეცნიერო მოხსენებებით გამოვიდა: ორიენტალისტთა XVII საერთაშორისო კონგრესზე ოქსფორდში (1928 წ.), აღმოსავლეთმცოდნეთა სრულიად უკრაინის II ყრილობაზე ხარკოვში (1929 წ.).

მან 1941 წელს ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სამეცნიერო სესიაზე საბჭოთა ლინგვისტებს გააცნო ახალი თეორია ზმნის მწკრივის კატეგორიაზე.



პირველ რიგში მარცხნიდან სხედან: ვარლამ თოფურია, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი; მეორე რიგში მარცხნიდან დგანან: გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა

1957 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე ბაქოში წაიკითხა მოხსენება „კლასიფიკაციის პრინციპები ქართულ დიალექტებში“.

1960 წელს ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში მსოფლიო მეცნიერებს გააცნო თავისი კვლევის შედეგები ალბანური ენისა და დამწერლობის შესახებ.

აკაკი შანიძეს მტკიცედ სწამდა, რომ ქართული ენისა და კულტურის ისტორიის შესწავლა უძველესი წერილობითი ძეგლების მეცნიერულად გამოცემის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ იყო, რომ, როცა 1938 წლის 9 მაისს ენიმკის სამეცნიერო საბჭო განიხილავდა მომდევნო წლის სამეცნიერო გეგმის პროექტს, მან მხურვალედ დაუჭირა მხარი ივანე ჯავახიშვილის წინადადებას – გეგმაზომიერად განხორციელებულიყო ძველი წერილობითი ძეგლების გამოცემა და მტკიცედ განაცხადა: „სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობაა საერთოდ ძველი ქართული ტექსტების გამოცემის მხრივ. საჭიროა ინსტიტუტმა დასახოს გარკვეული პროგრამა ამ ძეგლების გამოცემისა და შეუდგეს მის განხორციელებას. უკუგდებულ იუნდა იქნას სრულიად მიუღებელი კანტი-კუნტად აქა-იქ ნასროლი აზრები, რომ თითქოს ზედმეტი და უსარგებლო იყოს, მაგ., ოშკის კოდექსზე მუშაობა“.

თავისი იდეის სისწორეში დარწმუნებულმა აკაკი შანიძემ შეძლო დაეარსებინა სერიები: „ძველი ქართული ენის ძეგლები“ (1944 წ.), „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955 წ.). ამ სერიებში დაიბეჭდა როგორც აკაკი შანიძის, ასევე მისი მოწაფეთა შრომები. თუ რა უზარმაზარი შრომა გასწია ა. შანიძემ ამ სერიულ გამოცემებზე, ამაზე შთამბეჭდავად მეტყველებს თუნდაც სტატისტიკა: „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიით გამოვიდა 13 ტომი, ხოლო „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ სახით – 31 ტომი.

„ძველი ქართული ენის ძეგლების სერია“ აკაკი შანიძემ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან დააარსა 1944 წელს და პირველ წიგნად დაბეჭდა „ხანმეტი ლექციონარი“ (ფოტოტიპირი რეპროდუქცია) სიმფონიითურთ. ამ სერიის მიზანი მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, როცა აკაკი შანიძე წერდა:

„სერია განკუთვნილია ქართული ენის წერილობითი ისტორიის ძველი პერიოდის მთავარი წყაროების გამოცემისა და გამოკვლევისათვის. განზრახულია ამ სერიაში გამოიცეს ძველი და ახალი აღთქმის წიგნები (კერძოდ: ქართული ოთხთავების უძველესი რედაქციები და განთქმული ომკური ხელნაწერი 978 წლისა)... ბუნებრივია აგრეთვე, რომ ამ სერიაში იყოს ნავარაუდები ისეთი რამაც, რაც ძველი ქართული ენის ისტორიის საკითხების გამოკვლევას ხელს შეუწყობს, როგორცაა, მაგალითად, უმნიშვნელოვანეს ძეგლთა სიმფონიები და სპეციალური ლექსიკონები, რომლებიც აუცილებელ წინა საფეხურს წარმოადგენს ვრცელი ისტორიული ლექსიკონის შედგენისათვის“ (ხანმეტი ლექციონარი).

მართლაც, აკაკი შანიძემ შემდგომ ამ სერიაში თვითონ განახორციელა ისეთი პირველხარისხოვანი პუბლიკაციები, როგორცაა „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“ (1945 წ.), „წიგნი ძუელისა აღთქუმისანი“ (I ტ., ნაკ. 1, 1947 წ., I ტ., ნაკ. 2, 1948 წ.), გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი“ (1946 წ.), „ქართული მონასტერი ბულგარეთში“ (1971 წ.). დანარჩენი ტომები მისივე რედაქციით ი. აბულაძის, ივ. იმნაიშვილის, მზ. შანიძისა და ქ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ ტომებს უკავია. ცნობილია, რომ აკაკი შანიძის მიერ განეული რედაქტორობა, ვთქვათ, თანაავტორის შრომაზე ნაკლებს არამც და არამც არ გულისხმობს. მისთვის უმაღლესი მიზანი იყო შრომის მაღალმეცნიერული გამოცემა და მაინცდამაინც არა ის – თვითონ ავტორი იქნებოდა, თანაავტორი თუ რედაქტორი.

აკაკი შანიძის ავტორობით ან რედაქციით გამოვიდა ასევე „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ 31 ტომი. სხვათა შორის, ამ სერიაში გამოსცა აკაკი შანიძემ კაპიტალური შრომა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია“ (1957 წ.) და სახელგანთქმული უძველესი თარიღიანი ძეგლი „სინური მრავალთავი 864 წლისა“ (1959 წ.).

გარდაცვალება

1987 წლის 26 თებერვალს საზეიმოდ აღინიშნა აკაკი შანიძის დაბადების 100 წლისთავი. იუბილარი თავად ესწრებოდა საიუბილეო საღამოს თბილისის ოპერის თეატრში. ასი წლის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში მას უთქვამს: ხუთიოდე წელი კიდევ მინდა, რომ დაწყებული საქმეები დავამთავრო (აკაკი შანიძეს რამდენ ხანსაც უნდა ეცოცხლა, ალბათ, ყოველთვის ექნებოდა რალაც გასაკეთებელი).



სამწუხაროდ, მალევე, 1987 წლის 29 მარტს აკაკი შანიძე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში. მასზე წერენ: „აკაკი შანიძე დიდი ადამიანური თვისებებით იყო დაჯილდოვებული. უაღრესად თავმდაბალი, გულისხმიერი, მოყვარული, ამავე დროს – პირდაპირი, უკომპრომისო, მომთხოვნი, მაღალპრინციპული გახლდათ... არ შეიძლება, აგრეთვე, არ აღინიშნოს მისი მხიარული ბუნება. იგი იყო ხალისიანი, ჯანსაღი იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული, ჩინებული თანამოსაუბრე, კარგი მომლხენი და ოპტიმისტური ბუნება-განწყობილების ადამიანი. აკაკი შანიძე მთლიანი პიროვნება გახლდათ და ამიტომაც უყვარდა ყველას“.

ბიოგრაფიული ნარკვევი დამუშავებულია შემდეგი ლიტერატურის გამოყენებით:

აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა) – კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე 1987 წ.

აკაკი შანიძე – შოთა ძიძიგური, 1967 წ.

3

აკაკი შანიძის ცხოვრების ძირითადი თარიღები (მოვლენები, ჯილდოები, ნოდებები)

- 26/02/1887 წ.** საჯავახოში, სოფელ ნოლაში დაიბადა აკაკი შანიძე. მამა – გაბრიელ შანიძე გლეხი იყო და, როგორც წერა-კითხვის მცოდნე, სოფლის ეკლესიაში მედავითნედ მსახურობდა, აკაკის დედა იყო ეფიზო (ეფემია) იოსების ასული შარაშენიძე.
- 1897 წ.** აკაკი შანიძემ სოფლის სამრევლო სკოლა დაამთავრა და სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო.
- 1904 წ.** აკაკი შანიძემ სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შევიდა.
- 1909 წ.** აკაკი შანიძე პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა.
- 1911 წ.** აკაკი შანიძე პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ფშავსა და ხევსურეთში დიალექტოლოგიური მასალის შესაგროვებლად მიავლინეს.
- 1911 წ.** აკაკი შანიძე პეტერბურგში დაარსებულ „ქართველ სუდენტთა სამეცნიერო წრის“ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.
- 1912-1913 წწ.** აკაკი შანიძე თანამშრომლობდა რუსულ ენციკლოპედიასთან, რომელშიც აქვეყნებდა წერილებს: („ვახტანგ VI“, „ვახუშტი“, „ბესარიონ გაბაშვილი“, „დავით გურამიშვილი“, „ქართული ანბანი“, „ქართული ლიტერატურა“, „ქართული ენა“ და სხვ.).
- 1913 წ.** აკაკი შანიძემ პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა. ნიკო მარის წარდგინებით იგი დატოვეს ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად.
- 1913 წ.** აკაკი შანიძე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ მიავლინა დუშეთისა და თიანეთის მაზრებში ქართული კილოების შესასწავლად.

- 1914 წ.** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, აკაკი შანიძე სომხური ხელნაწერების შესასწავლად ერზიადინში მიავლინეს. აქ მან ახალი სომხური ენა შეისწავლა.
- 1915 წ.** აკაკი შანიძემ ჩააბარა ზეპირი სამაგისტრო გამოცდები ქართული ენათმეცნიერების სპეციალობით და პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების აღწერას შეუდგა.
- 1915 წ.** პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო წრემ ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოსცა კრებული, რომელშიც დაიბეჭდა აკაკი შანიძის გამოკვლევა „ქართული კილოები მთაში“.
- 1915 წ.** აკაკი შანიძე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ქართული ზმნის პრეფიქსების შესახებ გამოკვლევის ბეჭდვას შეუდგა.
- 1916 წ.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით, აკაკი შანიძე სამეცნიერო მიზნით მიავლინეს სამეგრელოსა და რაჭის სოფლებში, სადაც დიალექტოლოგიური მასალები შეკრიბა.
- 1917 წ.** აკაკი შანიძე დაბრუნდა თბილისში და აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის – ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში.
- 1918 წ-დან** აკაკი შანიძე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის წევრია.
- 1918-1920 წწ.** აკაკი შანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანია.
- 1919-1921 წწ.** აკაკი შანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მდივანია. იმავე წლებში განაგებს ქართული ენის კათედრას, კითხულობს ლექციების კურსს არაბულ და სომხურ ენებში, ხოლო 1919 წლიდან – ქართულ ენაში. სხვადასხვა დროს კითხულობდა შემდეგ საუნივერსიტეტო კურსებს: ქართულ დიალექტოლოგიას, ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკას, რუსთაველის ენას, სვანურს.

- 1925-1926 წწ.** აკაკი შანიძემ უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა სწავლებას სათავე დაუდო წოვა-თუშურის შესწავლით.
- 1919-1922 წწ.** აკაკი შანიძე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგეა.
- 9/05/1920 წ.** აკაკი შანიძემ პროფესორთა საბჭოს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარადგინა დისერტაცია: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ოპონირებას უწევდნენ ივანე ჯავახიშვილი და გიორგი ახვლედიანი. ეს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული პირველი დისერტაცია.
- 1920 წ.** აკაკი შანიძე პირველი სამეცნიერო მივლინებით სვანეთში გაემგზავრა.
- 1922 წ.** აკაკი შანიძე კორნელი კეკელიძესთან ერთად მივლინებული იყო მოსკოვსა და პეტროგრადში ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების დასაბრუნებლად.
- 1923 წ.** დაარსდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი ახვლედიანი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად – აკაკი შანიძე. საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა საქართველოში საენათმეცნიერო აზროვნების განვითარების საქმეში.
- 1930-1931 წწ.** აკაკი შანიძე მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში ქართველური ენების სექტორის გამგედ.
- 1933-1936 წწ.** აკაკი შანიძე განაგებდა ქართული ენის სექტორს უნივერსიტეტთან არსებულ რუსთაველის ინსტიტუტში.
- 1933-1935 წწ.** აკაკი შანიძე თბილისში კითხულობს ლექციებს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.
- 1935-1936 წწ.** აკაკი შანიძე ლექციებს კითხულობს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

- 1937 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს პრალის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად.
- 1938 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს ერევნის ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.
- 1938 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს ქალაქ თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მშრომელთა საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1941-1944 წწ. იგი იმავე რაიონის აღმასკომის წევრი იყო.
- 1938 წ.** აკაკი შანიძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის „საპატიო სიგელით“.
- 1939 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.
- 1939 წ-დან** საშუალო სკოლებში ისწავლებოდა აკაკი შანიძის მიერ შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“.
- 1941 წ.** აკაკი შანიძე დაამტკიცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.
- 1941 წ.** აკაკი შანიძე დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.
- 1943 წ.** აკაკი შანიძეს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.
- 1945 წ.** აკაკი შანიძე დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.
- 1945 წ.** ქართული ენის კათედრა აკაკი შანიძის წინადადებით გაიყო ორ ნაწილად: ძველი ქართული ენის კათედრად და ახალი ქართული ენის კათედრად. აკაკი შანიძე სიცოცხლის ბოლომდე ძველი ქართული ენის კათედრას განაგებდა.
- 1945 წ.** აკაკი შანიძე დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისთვის 1941-1945 წწ. დიდ სამამულო ომში“.
- 1946-1948 წწ.** აკაკი შანიძე პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგებდა ქართული ენის კათედრას (შეთავსებით).
- 1946 წ-დან** აკაკი შანიძე განაგებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას.

- 1948-1950 წ.** აკაკი შანიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.
- 1950-1963 წ.** აკაკი შანიძეს ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად (1950, 1953, 1955, 1957, 1959, 1961, 1963 წწ.).
- 1953 წ.** აკაკი შანიძეს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო პრემია ნაშრომისთვის: „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“.
- 1953 წ.** აკაკი შანიძე დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.
- 1960 წ.** აკაკი შანიძემ ირაკლი აბაშიძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად იმოგზაურა იერუსალიმში საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიის ახალი მასალის შესაკრებად. ჯვრის მონასტერში მათ გამოავლინეს და განმინდეს რუსთაველის ფრესკა, რომელიც საღებავით იყო დაფარული.
- 1960 წ.** აკაკი შანიძე დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისათვის“.
- 1966 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.
- 1967 წ.** აკაკი შანიძეს მიენიჭა სომხეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნოდება.
- 1967 წ.** აკაკი შანიძე დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.
- 1970 წ.** ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით აკაკი შანიძე დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისათვის“.
- 1971 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.
- 1971 წ.** აკაკი შანიძეს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ნაშრომისათვის: „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“.
- 1975 წ.** აკაკი შანიძე დაჯილდოვდა „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით.

- 1977 წ.** აკაკი შანიძეს მიენიჭა საუნივერსიტეტო პრემია ნაშრომისათვის: „ძველი ქართული ენის გრამატიკა“.
- 1979 წ.** აკაკი შანიძე ინგლისის „ფილოლოგთა საზოგადოების“ საპატიო წევრი გახდა.
- 1979 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.
- 1982 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს დმანისის საპატიო მოქალაქედ.
- 1984 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს სამტრედიის საპატიო მოქალაქედ.
- 1985 წ.** აკაკი შანიძე აირჩიეს იყალთოს საპატიო მოქალაქედ.
- 1987 წ.** „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენისათვის აკაკი შანიძეს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.
- 26/02/1987 წ.** საზეიმოდ აღინიშნა აკაკი შანიძის დაბადებიდან ასი წლისთავი. იუბილარი თვითონ ესწრებოდა საიუბილეო საღამოს თბილისის ოპერის თეატრში.
- 29/03/1987 წ.** აკაკი შანიძე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.



❧ 4 ❧

ახალგაზრდა აკაკი შანიძე სხვა რაკურსით – „უმცირესობის ჭეშმარიტების“ გადასარჩენად

სიკვდილის წინ ნიუტონის უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „ჩემს თავს ზღვის ნაპირას მოთამაშე პატარა ბიჭუნას ვამსგავსებ, რომელიც ფერადი კენჭების პოვნით ირთობდა თავს და რომელსაც ჭეშმარიტების ოკეანე სრულიად გამოუკვლევია დარჩა“. ერთ-ერთი დიდი მეცნიერი კი სიკვდილის წინ მომვლელს, რომელსაც მისი უკანასკნელი სიტყვების ჩანერა განუზრახავს, გაჰბრაზებია და უთქვამს – გადი აქედან, უკანასკნელ სიტყვებს მსახურებს ისინი აწერიდნენ, ვინც ცხოვრებაში ვერაფრის თქმა ვერ მოასწროო.

ამ მაგალითებით ვიჭერთ წამს, როცა გვწამს – ადამიანები არ კვდებიან მანამდე, სანამ ჩვენ მათზე ვლაპარაკობთ, სანამ მათ ვიხსენებთ, ვეძიებთ და, არა მარტო მათს ნააზრევს, მათს პიროვნულ ხიბლსაც ვულრმავდებით... ასე ვაცოცხლებთ, სანამ ვართ და ვარსებობთ – ზოგს განსაქიქებლად, სხვებს სადიდებლად... ჩვენ გვჭირდება მაგალითები და ამ მაგალითების სიცოცხლისუნარიანობას მრავალ თაობაში ვინარჩუნებთ – ეს არის სადღაც მოკიაფე იმედი ჩვენი უკვდავებისა – დიდისაც და პატარისაც... ეს შესავალი დაგვჭირდა იმ სათქმელთან მისასვლელად, რომ ეგებ შორიახლოდან მაინც მოვახერხოთ – გარს შემოვუაროთ ჩვენი წიგნის მთავარ გმირს, საუკუნოვან მაგალითს – აკაკი შანიძეს და შემდეგ თაობებს ხელთ გადავაბაროთ მისი უკვდავება – „რათა გაგრძელდეს მარად და განმეორდეს“... უბრალოდ, გარდაცვალებამდე ნათქვამ მის ბოლო ნატვრასაც აქვე გაგიმხელთ: მინდა კიდევ 5 წელი ვიცოცხლო, რომ დაწყებული საქმეები ბოლომდე მივიყვანო... დაწყებული კი იმდენი აქვს, რომ ბრიფინგს (ეს ახლა პოპულარული ფორმაა განცხადების გასაკეთებლად) გამართავდა კაცი იმის გასაცხადებლად, რომ „ისევეა ცალკე საკვლევი აკაკი შანიძის მრავალმხრივი, მრავალეტაპიანი და მრავალშრიანი მოღვაწეობა, როგორც იგი ჯერ მარტო ქართულ სიძველეებსა და ძეგლებს სწავლობდა“.

ერთი უცხადესია: აკაკი შანიძე გახლდათ ქართული საქმის მკეთებელი კაცი. მისი მრავალთავიანი თუ მრავალ-მუხლიანი შემოქმედებითი ბიოგრაფიის თანმდევი ღირსებები გახლდათ სიმამაცეც, თავგანწირვაც, ბრძნული სიფრთხილეც, ნიჭიერი ოსტატობაც და ტაქტიც.

დავინწყოთ იმით, რომ ახალგაზრდა აკაკი შანიძე XIX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ვნებათაღელვის გავლენასაც განიცდის (შემოქმედებითი ინტერესების სფეროს მიღმა) და ყურადღებას იქცევს იმ პერიოდის პოლიტიკური მოძღვრებების შეფასებებით, რომელიც ჭრელი საზოგადოებრივი სპექტრითა და მრავალპარტიულობით გამოირჩევა. საზოგადოება დააბნიეს სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მქადაგებლებმა და აკაკი შანიძე შეეცადა, თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე. და, აი, ანარქისტების ყოველდღიურ ორგანოში, გაზეთ „მუშაში“, 1906 წელს იგი, 19 წლისა, აქვეყნებს წერილს – „რას ვუცადოთ?“ (გაზეთი „მუშა“ 1906 წელს გამოდიოდა თბილისში. სულ გამოიცა 52 ნომერი და დაიხურა თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით).

ანარქისტებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებული სოციალ-დემოკრატები, როგორც მენშევიკები, ისე ბოლშევიკები და თვით აკაკი შანიძის გადაწყვეტილება, რომ სტატია დაებეჭდა ანარქისტების გაზეთში, უკვე ნიშნავდა იმას, რომ იგი უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთას. როგორც ირკვევა, ახალგაზრდა აკაკი შანიძე უფრო მეტად „ბრძენ ფილოსოფოსებს“ ემხრობოდა და ფიქრობდა, რომ ანარქია უტოპია იყო. მის ნაწერში საგულისხმო სხვა რამ უფროა, კერძოდ: იგი უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატებს იმ მხრივ, რომ, თითქოსდა, უმრავლესობას ყველაფრის უფლება აქვს, ხოლო უმცირესობა ყოველთვის ცდება. ეს მიაჩნებოდა აკაკი შანიძის პროგრესულ პოზიციას იმ უაღრესად რთულ პერიოდში. აკაკი შანიძე ამბობდა, რომ სიმართლე ყოველთვის უმრავლესობის მხარეზე არ არის და შეიძლება ჭეშმარიტება ანარქიზმის მოძღვრებაშიც იყოს, რომელსაც ძალიან მცირე ნაწილი უჭერდა მხარს. ამ სტატიის დაწერის შემდეგ საქართველოში მალევე დადგა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პერიოდი. კომუნისტური იდეოლოგიის მიხედვით, სიმართლე

ყოველთვის უმრავლესობის მხარეზე იყო და დამხობილ ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობაზე მუშებისა თუ გლეხების ბატონობა პროგრესულ მოვლენად მიიჩნეოდა. აკაკი შანიძე კი 1906 წელს ამტკიცებდა, რომ უმრავლესობა ხშირად ბოროტების წყაროც გამხდარა. ალბათ, ამით იყო განპირობებული, რომ კომუნისტურ სისტემაში გაბატონებულ უმრავლესობასთან აკაკი შანიძე ვერ ითანამშრომლებდა და, შესაძლოა, ამიტომაც მიუძღვნა მან მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალა მეცნიერებას.

უკეთ რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა ამოძრავებდა 19 წლის აკაკი შანიძეს, რომლისთვისაც უპირველეს მოთხოვნილებად მაშინ სიმართლის თქმა და ჭეშმარიტების ქადაგება ქცეულა, აქვე გთავაზობთ მისი წერილის სრულ ვერსიას... წერილის გაცნობა თავად გაგაცემინებთ პასუხს კითხვებზე – განა შეეძლო ამ ადამიანს, ოდესმე, უმრავლესობის ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების თანამოაზრე ან დამცველი ყოფილიყო, რაც არ უნდა ბევრი ყოფითი სიკეთე შეეთავაზებინა ასეთ უმრავლესობას აკაკი შანიძისათვის, როგორც ბრძენკაცი მეცნიერისთვის? განა შეიძლებოდა ამ ადამიანს საერთო ძაფები გაეხა იმ იდეოლოგიასთან, რომელი იდეოლოგიის



აკაკი შანიძე ახალგაზრდობაში

მიღმაც მან მხოლოდლა მეცნიერებაში ჩარგო თავი და ალარასოდეს გამოხმაურებია იმ წყობას, რასაც საბჭოთა რეჟიმი ერქვა... არადა სიცოცხლის უმეტესი დრო ხომ სწორედ საბჭოთა ეპოქამ „შთანთქა“... მაგრამ ახალგაზრდა ჭაბუკის ვნებანი და ძარღვებში ადუღებული სისხლი „უმცირესობის ჭეშმარიტების“ გადასარჩენად, ღრმა მოხუცებულობამდე მის „ეგოს“ ეკუთვნოდა, უჩინარად რომ გარდაქმნა მეცნიერებაში ღრმად ჩაძირულმა... და ასე გადარჩა და გადაურჩა იმ უმრავლესობას, რომლის ძალადობასაც შინაგანად თურმე ებრძოდა... თუმცა კი ცნობილია, როგორც „საბჭოთა მეცნიერი“... ახალგაზრდობის შემდეგ მას თავი აღარასდროს აუნეგია – პოლიტიკაში ჩასახედად... და ამის მთავარ მიზეზს მის წარსულ პოლიტიკურ გამონათქვამებში ვხედავთ...

რას ვუცადოთ?

აკაკი შანიძის ნერილი – გამოქვეყნებული 1906 წელს

ბევრისგან გაგვიგონია: ანარქიზმი თავისთავად კარგი რამ არის, ძალიან სასურველი, ყველასთვის ბედნიერების მომტანი და უსამართლო ცხოვრების სულ ერთიანად გარდამქმნელი. მაგრამო, – დასძენენ ბრძენი ფილოსოფოსები, – მისი (ანარქიზმის) განხორციელება ეხლანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელიაო. „საქმის კაცები“ კი უფრო შორს მიდიან და გაიძახიან: ანარქია, როგორც უტოპია, ვერ განხორციელდება, და კიდევაც რომ განხორციელდეს, არ არის სასურველი, რადგან სარგებლობას და ბედნიერებას კი არა – ზარალს და დიდ უბედურებას მოიტანსო...

ჩვენ არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რამდენად სასარგებლოა ანარქიზმის განხორციელება, თუ რამდენი უპირატესობა აქვს ანარქისტულ სოციალიზმს სახელმწიფოებრივ სოციალიზმთან (იგულისხმეთ კაპიტალიზმთან), რადგან ეს უკვე გამორკვეულია „ნობათის“ ნომრებში, აგრეთვე „ხმა“-ში და „მუშა“-ში; დავანებოთ თავი აგრეთვე იმასაც, რომ ანარქიზმი ნაკარნახევია თვით ცხოვრებისგან და ემყარება ისტორიულ მსვლელობას, რომ ისტორიული ტენდენციები მიმართული არიან ანარქიზმისკენ და მხოლოდ ანარქიზმისკენ და სხვ., გადავიდეთ იმის განხილვაზე, თუ როგორ არგუმენტებსა ხმარობენ ფართად და ხელათ ჩვენი მონინაალმდევნი. ანარქიზმის განხორციელება არსებულ, რეალურ

პირობებში შეუძლებელიაო, და, მაშასადამე ანარქისტულ იდეების ქადაგება ტყუილუბრალო წყლის ნაყვანო. მიზეზი? მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ უმრავლესობას არა აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი ანარქისტული იდეები, რომ ანარქისტრულ მოძრაობას ბევრი, ძალიან ბევრი ჰყავს მტერი, და ამიტომ ანარქისტული მოძრაობა არამც თუ ვერ მოიკიდებს ფეხს თანამედროვე საზოგადოებაში, არამედ უდროვით დაღვეს ჩაილურის წყალს და სამუდამოთ დასჭკნებაო. დიახ, ასე მსჯელობს დღეს ბევრი. ბევრს კიდევ ისეთი წარმოდგენა შეუერთებია ანარქიზმთან, რომ თვალ-ყურზე ხელს იფარებენ, რომ არ დაინახონ ის საშინელება, რომელიც, მათის ფიქრით, თანსდევს ანარქიას, ან და არ გაიგონ მისი შემადრწუნებელი ხმა. ამიტომ არ არის ვასაკვირველი, რომ, ამისთანა „მოაზრენი“ უარს ყოფენ და (განა მარტო უარს ყოფენ?) დღეს დღეობით მონაწილეობა მიიღონ თანამედროვე კერპების დამსხვრევაში და მათ ნანგრევებზე ახალი ღირებულების, ანარქიის, ე.ი. მათი უარყოფის დამყარებაში. ჰო, ეს ასეა, რადგან ადამიანები დიდათ აფასებენ იმ საქონელს, რომელსაც ქვია „ახლა“, რადგანაც ძრწიან საშინელი სურათის არა თუ დანახვაზე, წარმოდგენაზეც კი, ამიტომ მზათ არიან ისინი „ხელი მოაწერონ ყოველგვარ საშინელებას, მხოლოდ დღეს კი არა, – ხვალ, ზეგ“... (მომყავს ზეპირათ ბიდ-ბეის წიგნაკიდან).

უმრავლესობას რომ არ აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი ანარქისტული მოძღვრება, – ეს ჩვენც კარგად ვიცით; მაგრამ ისიც ვიცით, რომ რევოლუციას, დიდ საზოგადოებრივ გარდაქმნას, ქმნის უმცირესობა, რასაკვირველია რევოლუციონური. ვიცით და არც გვაშინებს ის გარემოება, რომ, უმრავლესობა ჩვენი მტერია, რომ კაცობრიობის უმეტესი ნაწილი კონსერვატიზმის წუმპეშია ჩაფლული; ვიცით აგრეთვე, რომ ამის გაგონებაზე „საქმის კაცები“ ერთ განგაშს და ვაი-უბედურებას ასტეხენ და ენის მოსაფხანათ დაცინვის კილოთი გვეტყვიან: თქვენი მოძღვრება კაი ხანია „დაძრახულია“ (SIC!), რასაც თქვენვე ამონებთ, როცა ამბობთ, რომ უმეტესობა ჩვენი მტერიაო. საბრალონო! როგორ ვერ შეგიგინიათ უბრალო ჭეშმარიტება, რომ უმრავლესობა ყოველგან და ყოველთვის ყოფილა და არის უსამართლობისა და ძალმომრეობის განხორციელება, დამყარებული უხემ ძალაზე? სად გინახავთ, ან გაგიგონიათ, რომ უმრავლესობას სამართლიანობა დაეცვა და რაიმე ახალი მოძღვრება მიეღოს? იცის თუ არა ისტორიამ ისეთი მაგალითი, რომ უმრავლესობა ჭეშმარიტების მხარეზე ყოფილიყოს და არ ედევნოს და არ ეწამებინოს მისი (ჭეშმ.) მტარებლები? არა, უმრავლესობა არის, ვიმეორებთ, ჭეშმარიტების მდევნელი ძალა. და, როგორც ასეთი, არ შეგვიძლია მივაკუთვნოთ მას გადამწყვეტი ხმის უფლება ამგვარ შემთხვევებში. მაგრამ ამ აზრის

უფრო ნათლათ გარკვევისთვის მივმართოთ ისტორიულ ფაქტებს. ავილოთ, მაგ., სოკრათი, რომელმაც ჭეშმარიტებისთვის დალია სული სწორეთ იმ უმრავლესობის წყალობით, რომელიც სულს უხუთავდა ყოველ თავისუფალ აზრს ათინაში. ავილოთ სპარტაკი, თავისუფლების მეზიარახტრე ძველ რომში, ავილოთ თუ გინდ თვით ქრისტე, რომლის მოძღვრებაც მიმართული იყო ძალმომრეობის, სახელმწიფოებრივობის, კანონის და სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ. ვინ აცვა იგი ჯვარს? თქვენისთანა „მნივნობრებმა“ და თქვენებრ ფარისევლებმა, იმ უმრავლესობამ, რომელიც ალმაცერათ უყურებდა ნაზარეველის ქადაგებას. არა, ბატონებო, ეგ ძლიერ ვინრო მასშტაბი გაქვთ საქმის ვითარების გასაზომავათ... ჰმ, დღეს ნინდაგი არ არის ანარქიზმის განსახორციელებლათო! კარგი და პატიოსანი, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ამას ამბობთ და მაინც „მეცნიერებათ“ და „მეცნიერულ“ სოციალიზმის იდეოლოგებათ მოგაქვთ თავი. ისეთი მეშჩანური ადგილი, რომელიც თქვენა გაქვთ გასაზომავათ, და ისეთი ვაჭრული „ჩოთქი“, რომლითაც თქვენ ანგარიშობთ მოგება წაგებას, ესეთი სანყაო რომ ქონოდათ ყველა ადამიანებს, მაშინ ისტორიას ვერ დაამშვენებდნენ ისეთი პირები, როგორიც არიან გალილეი, ჯორდანო ბრუნო, კოპერნიკი და სხვ. ნუ თუ მასსის შეუგნებლობას უნდა შეეჩერებინა მხურვალე და პატიოსნებით სავსე გული გალილეისა, რომელიც მედგრად და უშიშრათ ამხელდა ინკვიზიტორებს, ბერებს და ხმამაღლა აღიარებდა სიმართლეს, ჭეშმარიტებას? ნუ თუ არ უნდა აპრიალეზულიყო 1600 წ. რომის ქუჩაზე, ცივ თებერვალში კოცონი, რომელზედაც ზვარაკათ შეინირა ჭეშმარიტებისთვის მებრძოლი ჯორდანე ბრუნო? ნუ თუ ქრისტე უნდა გაჩუმებულყო, რადგან „ნინდაგი არ იყო მომზადებული“ მისი მოძღვრებისათვის, და არ ეტვირთა მას ის ჯვარი, რომელზედაც ის აცვეს? ნუ თუ სოკრათი არ უნდა შებრძოლებოდა სოფისტების წაჯექ-უკუჯექობის შკოლას, მხოლოდ იმიტომ, რომ მას მოელოდა სანამლავით სავსე ფიალის დაცლა? ნუ თუ უნდა გაეკმინდათ ხმა რენესანსის (ალორძინების) ეპოქის დევ-გმირებს და არ შებრძოლებოდნენ საშუალო საუკუნოების კერპებს? არა, და არა! სიმართლისათვის არა სდუმენო, თუ როგორდაცაა ნათქვამი და ამიტომ თუ ჩვენ ვართ გულწრფელი ადამიანები და გვრწამს ჩვენი იდეების პრინციპების სისპეტაკე, ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში უნდა ვეცადოთ მათ გავრცელებას და ჭეშმარიტების გამეფებას; უნდა შეუპოვრათ ვიბრძოლოთ მის დასამყარებლათ, რა შედეგიც უნდა მოყვეს მას (ან კი რა შედეგი უნდა მოყვეს მას გამარჯვების მეტი?). მაშ, ჩვენი იდეების პროპაგანდა ეხლანდელ პირობებში წყლის ნაყვა არ ყოფილა. გაუგებარია ზოგიერთ „გულწრფელი“ ადამიანების „გულწრფელი“ რჩევა: მოიცადეთ, ჯერ ადრეა

თქვენი იდეების ქადაგება, რადგან ნიადაგი მზად არ არისო, ვინ უნდა მოგვიმზადოს ჩვენ ნიადაგი, თუ თვითონ ჩვენმა პროპაგანდა-აგიტაციამ არა? როდემდის და რას ვუცადოთ? არა, დაყოვნების დრო არ არის. მაშ, გაუმარჯოს ჭეშმარიტებას და მის გამომხატველ ანარქიის მგრგვინავ ხმას!..

ან-და-დონ

(მინანური აკაკი და დათიკო, ე.ი. აკაკი შანიძე და დათიკო ყიფშიძე – 1906 წ. 15 ივნისი, გაზეთი „მუშა“)

პუბლიკაცია დაცულია თსუ-ის ბიბლიოთეკაში. გამოი-ფინა აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიე-ბაზე თსუ-ის ბიბლიოთეკის მარო მაცაშვილის დარბაზში.

* * *

აკაკი შანიძის შესახებ პოლიტიკური წიაღსვლებით რომ ვინყებთ საუბარს, გვინდა ამისი მიზეზიც განვიმარტოთ: სამწუხაროდ (და ეს, პირველ რიგში, აკაკი შანიძეს, ალბათ, გულს დასწყვეტდა), დღევანდელი ჩვენი საზოგადოების უმ-რავლესობა ზედმეტად პოლიტიზებულია და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მკითხველიც აკაკი შანიძის ადრეული პერი-ოდის „პოლიტიკური ლეღვებით“ და საზოგადოებრივი მსო-ფლმხედველობით დაინტერესდება უწინარესად, მით უფრო, რომ ამის საფუძველსაც იძლევა „თავისი ნაყოფიერებით მეცნიერების მსხმოიარე ხეს შესადარებელი“ აკაკი შანიძე.

აქვე მოვიყვანთ ერთ მაგალითსაც: 1917 წელს მან დაწერა ქართული ეროვნული ჰიმნი („ალიფაშას“ ხმაზე). ეს ჰიმნი თავისი შინაარსითა და იდეით არის ანტირუსული, რადგან აკაკი შანიძე ქართველთ მოუწოდებს ჩრდილოეთისგან, ანუ რუსეთისგან გამიჯვნისაკენ. „ნუ, ნუ ვალებთ დარიალსა!“ – წერს იგი და ამით ამბობს, რომ აუცილებელია გავემიჯნოთ რუსეთს და ჩვენი წინაპრებივით დასავლეთისკენ გვქონდეს თვალი მიპყრობილი.

* * *

მაშინ, როდესაც პეტერბურგისკენ 5 დღიანი მგზავრობის მეხუთე დღეს, ადგილზე ჩასულ აკაკი შანიძეს ე.წ. ოქტომბრის რევოლუცია უკვე მომხდარი დახვდა და მისთვის უხარებით – ლენინი კარგადააო, აკაკი შანიძეს გალიმებია... აკაკი შანიძეს ის გაუხარდა, რომ რაკი რუსეთში რევოლუცია მოხდა, საქართველოში პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნის საქმეში ხელს ველარავინ შეგვიშლის, რადგან ჩვენთვის (სანამებლად) აღარავის ეცლებაო...

მართლაც, საქართველოში გაიხსნა პირველი უნივერსიტეტი, მაგრამ შემდეგაც არაერთი ტრავმა გადავიტანეთ... უმრავლესობა ბევრჯერ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში უსამართლობისა და ძალმომრეობის განმახორციელებელი... ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული უმრავლესობა საბჭოთა ეპოქის მერეც დაჰყრდნობია უხეშ ძალას, რათა ედევნა და ენამები-ნა ჭეშმარიტების მატარებელნი... მაგრამ აკაკი შანიძისთვის თუკი ისტორიას ამშვენებდნენ ისეთი პირები, როგორიც არიან გალილეი, ჯორდანო ბრუნო, კოპერნიკი და სხვანი, ჩვენ დღეს უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს ისტორიასაც ჰყავს აკაკი შანიძე, რომელიც ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში ეცადა ჭეშმარიტების დამკვიდრებასა და გავრცელებას – სხვა არაფერია მისი თავგანწირული შრომა და მუშაობა ქართული ძეგლების, ენის ისტორიისა და ქართველთა სამწერლობო ენის შესასწავლად. ფასდაუდებელია შანიძის გრამატიკაც, რომელიც, „ვეფხისტყაოსნისა“ არ იყოს, მხოლოდ მისი შინაარსობრივი სირთულის გამო, შესაძლოა, სათანადოდ პოპულარული არ იყო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებში. და მაინც... ნიუტონისა არ იყოს, აკაკი შანიძესაც, ალბათ, მიაჩნდა, რომ „კენჭების პოვნას“ შეაღია საუკუნე და ჭეშმარიტება კვლავაც საკვლევი დარჩა... სინამდვილეში კი აკაკი შანიძის ნაპოვნი გზა დიდი მაგისტრალია – შერწყმული ჭეშმარიტებასთან...

ნინო კაკულია

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქტორი, ჟურნალისტი

❧ 5 ❧

აკაკი შანიძის ღვაწლი პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნისთვის

რას იტყობინებოდნენ პეტერბურგიდან „პირდაპირი მავთულით“

1914 წლის 1 ივლისს იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ხელი მოაწერა კანონს სახალხო განათლების სამინისტროს კერძო სასწავლებლების, კლასებისა და კურსების შესახებ. მეფის ხელისუფლების ეს იძულებითი ნაბიჯი მეტად შეკვეცილი და წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ ყველა, ვინც უმაღლესი სკოლის შექმნაზე ოცნებობდა, აღტაცებით შეხვდა ამ კანონს. სწორედ ეს კანონი გამოიყენეს ქართველმა პატრიოტებმა ქართული კერძო უნივერსიტეტის გახსნისთვის ბრძოლის ლეგალურ საფუძვლად. სხვანაირად ვერც დაარსდებოდა ქართული უნივერსიტეტი. თვითმპყრობელობის დროს, ისევე, როგორც დროებითი მთავრობის ხანმოკლე ბატონობის პერიოდში, სახელმწიფო უნივერსიტეტი აუცილებლად რუსული უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო. 1914 წლის 1 ივლისის კანონით შესაძლებელი ხდებოდა ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა კერძო დაწესებულების სახით. ამგვარი უნივერსიტეტის შემქმნელებს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით უნდა ემოქმედათ, სხვანაირად მკაცრი სანქციები იყო გათვალისწინებული.

ამ დიდი საქმის ყველა სიმძიმე ივანე ჯავახიშვილმა იკისრა.

1917 წლის 12 მაისს მოიწვიეს უნივერსიტეტის დამფუძნებელთა პირველი კრება, რომელსაც ქართული მეცნიერების, მწერლობის, კულტურისა და საზოგადო მოღვაწეთა 28 წარმომადგენელი დაესწრო. მათ შორის იყვნენ: კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი

შანიძე, დიმიტრი უზნაძე და სხვები.

დამფუძნებელთა კრება გახსნა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც ნაიკითხა ვრცელი მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მისი თხოვნით, კრებამ საჭიროდ ჩათვალა თავმჯდომარის არჩევა. თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად – ილია ზურაბიშვილი.



ივანე ჯავახიშვილი

კრებამ გადაწყვიტა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსება სათანადო ფაკულტეტებით. მაგრამ იმჯერად მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უნდა გახსნილიყო. დასასრულ, კრებამ დაადგინა: „დაარსდეს განსაკუთრებული საზოგადოება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტისა, რომლის დამფუძნებელ კრებად დღევანდელი კრება ჩაითვალოს“.

ცარიზმის დამხობის შემდეგ დროებითი მთავრობის ფილიალს ამიერკავკასიაში (ოზაკომი), რომლის თავმჯდომარე იყო კადეტი ხარლამოვი, გეზი რუსული უნივერსიტეტისკენ ჰქონდა აღებული. ოზაკომის შემადგენლობაში იყვნენ კიტა აბაშიძე და აკაკი ჩხენკელი. კიტა აბაშიძე 1917 წელს გარდაიცვალა და ეროვნული ინტერესების დაცვა ამ ორგანოში დაეკისრა აკაკი ჩხენკელს, რომელიც მხარში ედგა ივანე ჯავახიშვილს. ამ საკითხზე თანხმობის მისაღებად ივ. ჯავახიშვილმა პეტერბურგს მიმართა. იგი არ კმაყოფილებოდა მარტო უნივერსიტეტის ძირითადი დებულების პეტერბურგში გაგზავნით – უკავშირდებოდა პეტერბურგელ ქართველ მოღვაწეებს და სთხოვდა, დაეჩქარებინათ მთავრობაში კერძო ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულების დამტკიცების საკითხი.

ამ პერიოდში რუსეთში წარმოიშვა აზრი, რომ თბილისში შეიძლება შეიქმნას კერძო ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ მანამდე უნდა დაარსდეს ამიერკავკასიის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტიო. შალვა ნუცუბიძე იგონებს: „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები მზრუნველი კილოთი გვირჩევდნენ, ხელი აგველო იმ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდებოდა. ქართულ ენას არ აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია, ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელი, უიმედო საქმეაო, გვეუბნებოდნენ ეს გულშემატკივარი ხალხი. თქვენ არც მსმენელები გეყოლებათ, რადგან მათი ნაწილი ძველებურად რუსეთში წამოვა სასწავლებლად, ხოლო მეორე ნაწილი ამჯობინებს რუსულ უნივერსიტეტში სწავლას, რომელიც თქვენს გვერდში იქნება და რომლის მეცნიერულ ღირებულებას თქვენ ვერასოდეს მეტოქეობას ვერ გაუწევთ“.

1917 წლის 14 ოქტომბერს აკაკი შანიძემ გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოაქვეყნა წერილი „ორი უნივერსიტეტი“, სადაც აღნიშნულია: „პეტერბურგიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, რომ ტფილისში იანვრიდან რუსული უნივერსიტეტი იხსნებაო. პეტერბურგიდან ნელ-ნელა ფოსტით მოდის და ჯერ ვერც კი ჩამოსულა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, შეწყნარებული და ორი მუხლის გამოკლებით თითქოს დამტკიცებული დროებით მთავრობის მიერ. ვერ ჩამოსულა, მაგრამ ალბათ როდისმე ჩამოვა და, მაშასადამე, ტფილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქნება, ერთი – რუსული, მეორე – ქართული.“

ტყუილად ელოდნენ ქართველი მოღვაწენი ფოსტით მომავალ არარსებულ მომართვას

დროებითა მთავრობამ გადაწყვიტა, დაეჩქარებინა გახსნა თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლისა, რომელიც უნდა ქცეულიყო კავკასიის ერთიანი უნივერსიტეტის ბაზად. 1917 წლის 11 ივლისს პეტერბურგში სახალხო განათლების



პირველ რიგში მარცხნიდან სხედან: ალექსანდრე წერეთელი, აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ ნათაძე; მეორე რიგში მარცხნიდან დგანან: იასე ცინცაძე, ლუარსაბ ანთაძე, გიორგი გოზალიშვილი, ლევან მუსხელიშვილი.

სამინისტროში გაიმართა საგანგებო უწყებათა წარმომადგენლების, თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის დაფუძნების მთავარი კომიტეტის დელეგატებისა და საგანგებოდ მონვეული პირების თათბირი, რომელზეც დადგინდა, რომ თბილისში უნდა გახსნილიყო პოლიტექნიკური სასწავლებელი, ერთადერთი – სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტით და მომავალში კავკასიის უნივერსიტეტად გარდაქმნის პერსპექტივით.

მიუხედავად პოლიტექნიკურ სასწავლებელში შესვლის მსურველთა მრავალრიცხოვნობისა, რაც კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის აუცილებლობის დადასტურება იყო, ამ სასწავლებელს არც მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდა, არც ჰყავდა მეცნიერ-პედაგოგთა კადრები, რომლებიც იქ იმუშავებდნენ. მიუხედავად რუსეთის დიდი მცდელობისა, ვერც პოლიტექნიკური სასწავლებლის გახსნა გახდა ხელისშემშლელი ფაქტორი ქართული უნივერსიტეტის დაარსების გზაზე.

1917 წლის 27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილმა ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულების დასამტკიცებლად.

ამ დღეებს აკაკი ჩხენკელი ასე იხსენებს: „მე მოწმე ვიყავი, რა ჭაპან-წყვეტა განიცადეს ივ. ჯავახიშვილმა და მისმა ვიწრო ჯგუფმა, სანამ მიზანს მიაღწევდნენ. თუმცა რევოლუციის პირველ ხანაში, მამასადამე, თითქოს სრული თავისუფლების ფრთების ქვეშ, უნივერსიტეტის, თუ გინდა, კერძოსი, ნებადაურთველად გახსნა ყოვლად შეუძლებელი იყო... ვისთვის უნდა მიემართა ი. ჯავახიშვილს ნებართვისთვის? ოზაკომისთვის, რომელიც ატარებდა პეტროგრადის დროებითი მთავრობის ძალა-უფლებას ამიერკავკასიის ფარგლებში. მასში შედიოდნენ თითო წარმომადგენელი სომხებისა და აზერბაიჯანელებისაგან, ორი ქართველებისა, და თავმჯდომარედ რუსი იყო დანიშნული...“

ოზაკომმაც განიხილა ჯავახიშვილის შუამდგომლობა... მისი არა ქართველი წევრები მეგობრულად არ შეხვედრიან ჩვენ განზრახვას, თუმცა გარეგნულად არ იმჩნევდნენ ამას. მათ დააყენეს მეორე კითხვა, რომელსაც უნდა ჩაეშალა არა პირდაპირ საქმე. „ძლივს ველირსეთ იმ დროს, – ამბობდნენ ისინი, – როცა ჩვენ თვითონ მოგვეცა საშუალება ამ დიდი ხნის ნადილის განხორციელების, ფულიც დადებუღია, საცაა საქმეს უნდა შევუდგეთ და თქვენ კი ქართული უნივერსიტეტის კითხვას გვიყენებთ!“ ისინი განმარტავდნენ, რომ რუსული უნივერსიტეტი კავკასიის ერთა ინტელექტუალური ძალების გამაერთიანებელ ცენტრად იქცეოდა, მაშინ, როდესაც ქართულ-სომხური, თათრული უნივერსიტეტები უფრო მათი გათიშვის ბუდედ გახდებიანო.

... მარტო ამითაც არ განისაზღვრებოდა მათი არგუმენტაცია: „უნივერსიტეტის გახსნა ხომ ასე ადვილი არ არის, – ამბობდნენ ისინი ძლიერ თავაზიანათ, – მას ესაჭიროება, გარდა ათასგვარ ტეხნიკური მორთულობისა, პროფესორ-მეცნიერთა მთელი რიგი, აბა, სად შეიძლება ასე ნაუცბათევად ყველა ამ ნაკლის შევსება?“

ოზაკომის დასტური

„ბოლოს ოზაკომმა მაინც მოგვცა დასტური და მოიწონა წარმოდგენილი წინადადება“ (ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928 წელი, პარიზი).

ამ დროისთვის გადაწყვეტილი იყო ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის გახსნა, მაგრამ სრულ უნივერსიტეტად რომ გადაქცეულიყო, საჭირო იყო, არანაკლებ, ოთხი ფაკულტეტი – ისტორიულ-ფილოლოგიური, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, იურიდიული და სამკურნალო. კრებაზე, რომელიც 1917 წლის 9 ნოემბერს ჩატარდა, დადგინდა, რომ ჯერჯერობით დაარსებულიყო ერთი ფაკულტეტი – სიბრძნისმეტყველების, ანუ საფილოსოფოსო ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (რომელიც უდრიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ და აღმოსავლური ენების ფაკულტეტებს); 2) სამათემატიკო და 3) საბუნებისმეტყველო. რაც შეეხება სამკურნალო ფაკულტეტს, გადაწყდა, რომ „ეთხოვოს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს გაბრიელ გრიგოლის ძე ლამბარაშვილს, ერთად იქონიონ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის არის ახლო მომავალში შესაძლებელი, რომ ქართულ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტი დაარსდეს“.

ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, უნივერსიტეტის პირველ რექტორად ცნობილი მეცნიერი, ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს.



ძნელი და მძიმე გზის შემდეგ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ძალისხმევას შედეგი მოჰყვა. 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 1 საათსა და 20 წუთზე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ჭავჭავაძის დის-ნულმა კოტე აბხაზმა იტვირთა.

უნივერსიტეტი აკურთხა და გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „სულითა და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტებიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი“ (ზ. გაიპარაშვილი „საუკუნის ნიშანსვეტი“, გვ. 107).

მოამზადა მაია ტორაძემ

გამოყენებული ლიტერატურა:

- „თბილისის უნივერსიტეტი 1918-1968“ (თბილისი, 1968 წ.)
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გზამკვლევი (2007 წ.)
- ზ. გაიპარაშვილი „საუკუნის ნიშანსვეტი“ (2007 წ.)
- მ. ვაჩნაძე, ვ. გურული „საქართველოს ისტორია IX“ (2000 წ.)

❧ 6 ❧

**როგორ დაიცვა ტირანიის
სამსჯავროზე აკაკი შანიძემ
ივანე ჯავახიშვილი**

თბილისის უნივერსიტეტი თავისუფალ საქართველოში დაარსდა. ამიტომ იგი სტრუქტურით, სასწავლო პროგრამებითა და, რაც მთავარია, პროფესურით ევროპული უნივერსიტეტი იყო. უნივერსიტეტის პროფესურას განათლება რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული. პროფესორთა ამ შემადგენლობას დამფუძნებლის, ივანე ჯავახიშვილის წინამძღოლობით შეეძლო უნივერსიტეტი დიდ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად ექცია. საფუძვლები ამისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921 წწ.) მომზადდა. სამწუხაროდ, უნივერსიტეტმა თავისუფალ საქართველოში მხოლოდ სამი წელი იარსება (1918 წლის იანვარი – 1921 წლის თებერვალი). 1921 წელსვე ცხადი გახდა, რომ ევროპული უნივერსიტეტი საბჭოთა პოლიტიკური სისტემისათვის სრულიად მიუღებელი იყო. ამ დროისათვის საბჭოთა რუსეთში უკვე მიმდინარეობდა ბრძოლა ევროპული უნივერსიტეტების ტრადიციებზე დაარსებული პეტერბურგის, მოსკოვის და სხვა უნივერსიტეტების წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის პროფესურაში სერიოზულ ოპოზიციურ ძალას ხედავდა. პროფესურის აბსოლუტური უმრავლესობა 1917 წელსვე დაუპირისპირდა საბჭოთა წყობილებას. დაპირისპირება კიდევ უფრო გაძლიერდა მომდევნო ხანებში. ბოლშევიკებს, მიუხედავად დიდი სურვილისა, არ შეეძლოთ ხელის ერთი მოსმით დაეხურათ ყველა უნივერსიტეტი. სამაგიეროდ, დაიწყო ბრძოლა უნივერსიტეტების საბჭოთა უნივერსიტეტებად გარდაქმნისათვის. სისხლიან დიქტატურას არ შეუშინდა და საუნივერსიტეტო ტრადიციების შენარჩუნებას შეეცადა მისი პროფესურა. ეს იმხანად თავგანწირვის ტოლფასი იყო. 1921



წლიდან თბილისის უნივერსიტეტიც ისეთივე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც უკვე იმყოფებოდნენ რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების უნივერსიტეტები: მოსკოვის, პეტროგრადის, ოდესის, კიევის, ხარკოვისა და სხვა. თბილისის უნივერსიტეტის საბჭოთა უნივერსიტეტად გარდაქმნას წინ აღუდგა მისი რექტორი ივანე ჯავახიშვილი და პროფესურა: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ივანე ბერიტაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვები. საბჭოთა ხელისუფლებამ ოპოზიციურად განწყობილი უნივერსიტეტების პროფესურა „ძველ პროფესურად“ მონათლა. უნივერსიტეტები არ ნებდებოდნენ, საბჭოთა ხელისუფლება რადიკალურ ღონისძიებებს მიმართავდა. საუნივერსიტეტო განათლების სისტემა საბჭოთა ხელისუფლებამ მოძველებულად ჩათვალა და დაიწყო უნივერსიტეტების დაშლა დამოუკიდებელ სასწავლო ინსტიტუტებად. 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოთხ დამოუკიდებელ, სპეციალიზებულ სასწავლო ინსტიტუტად გარდაიქმნა. ერთ-ერთი

იყო საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის შემადგენლობაში აღმოჩნდა ყველა ჰუმანიტარული სპეციალობა.

ძველი პროფესურის წინააღმდეგ ბრძოლა 1930 წელს გადაიზარდა დიდ კამპანიაში, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით, ცნობილ რუს მეცნიერ-ეკონომისტს ნიკოლაი კონდრატიევს, რომელიც არ იზიარებდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გეგმებს, ბრალი დასდეს არალეგალურ ანტისაბჭოთა საქმიანობაში, გაასამართლეს და ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს (1938 წელს ნ. კონდრატიევი დახვრიტეს). ნიკოლაი კონდრატიევის გასამართლების შემდეგ დაიწყო ბრძოლა ე.წ. კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ, რაც, პრაქტიკულად, საბჭოთა წყობილებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პროფესურის დევნას ნიშნავდა. თითქმის ყველა უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო დისკუსიები, რომელთა მიზანი უნივერსიტეტიდან არასასურველი პროფესურის განდევნა იყო. ასეთი დისკუსია 1930 წლის დეკემბერში გაიმართა თბილისშიც, საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. საბჭოთა ხელისუფლების პოზიცია 1930 წლის 13 დეკემბერს დისკუსიაზე ინსტიტუტის დირექტორმა ივანე ვაშაყმაძემ წარმოადგინა. მოხსენების მიზანი იყო ივანე ჯავახიშვილისა და სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, ძირითადად თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებლების, მეცნიერული დამსახურების უარყოფა და მათი უნივერსიტეტიდან განდევნა. შეიქმნა ძალზე მძიმე ფსიქოლოგიური კლიმატი. ყველა კარგად ხვდებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებდა. ეს ის პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების ბევრი პროფესორი სამსახურებიდან დაითხოვეს, ბევრიც ციხეში იყო გამოკეტილი. ასეთ ვითარებაში უხდებოდათ დამსწრეთ ივანე ვაშაყმაძის ცილისმწამებლური მოხსენების მოსმენა. ივანე ჯავახიშვილი დისკუსიაზე არ გამოცხადდა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება იმისადმი, რაც ხდებოდა. პროფესორთა

აბსოლუტური უმრავლესობა პრინციპულად არ ეთანხმებოდა ივანე ვაშაყმაძის დასკვნებს, მაგრამ დუმილს არჩევდა. ვინც სიმართლის დასაცავად ხმის ამოღება სცადა, თავს დაატყდა „ნითელი პროფესურისა“ და დისკუსიაზე საგანგებოდ მონვეული კომკავშირელი სტუდენტების რისხვა. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი, მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილი მართო არ დარჩენილა: აკაკი შანიძემ ხელთათმანი ესროლა ტირანიის სამსჯავროს.

ოპოზიციურად განწყობილი პროფესურის წინააღმდეგ შეთხზულ ბრალდებათაგან ერთ-ერთი უმთავრესი იყო „ნაციონალიზმი“ და „შოვინიზმი“. სწორედ ეს ბრალდება წაუყენა ივანე ვაშაყმაძემ ჯერ ივანე ჯავახიშვილს, შემდეგ – აკაკი შანიძეს. ცხადია, აკაკი შანიძე „ნითელ რექტორს“ ვერ აუხსნიდა, რომ რასაც საბჭოთა იდეოლოგია ნაციონალიზმს უწოდებდა, უმეტეს შემთხვევაში, ეროვნული ცნობიერების გაღვიძებას, ეროვნული ინტერესების დაცვას ნიშნავდა; ეს კი სრულიადაც არ იყო მიუღებელი და სამარცხვინო. სამაგი-



პირველ რიგში მარცხნიდან სხედან: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი; მეორე რიგში მარცხნიდან დგანან: ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია, გიორგი ჯაკობია, არნოლდ ჩიქობავა.

ეროდ, თავის გამოსვლაში აკაკი შანიძემ მასა და ნიკო მარს შორის გამართული საუბარი გაიხსენა: „როდესაც მან ერთხელ მკითხა, შენ ნაციონალისტი ხარ? ვუპასუხე, რათ გიკვირს, შენი გაზრდილი ვარ-მეთქი“. აკაკი შანიძის გამოსვლას დარბაზში დიდი ხმაური მოჰყვა. საქმე ის იყო, რომ 1930 წელს ნიკო მარი საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრი გახდა და მას დროებით ყველა ის ბრალდება მოუხსნეს, რასაც ადრე უყენებდნენ. დამფრთხალმა სხდომის თავმჯდომარემ აკაკი შანიძეს სიტყვა გააწყვეტინა და ნიკო მარის დასაცავად ასეთი განცხადება გააკეთა: „ამხანაგებო, ყოვლად შეუძლებელია ცილისწამება იმ პიროვნებისადმი, რომელიც შემოსულია კომუნისტურ პარტიაში და ითვლება კომპარტიის წევრად... თუ მასში მოხდა გარდატეხა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მას ცილი დასწამოთ. ამას კომუნისტური პარტია არ მოითმენს და გასცემს სასტიკ პასუხს. მე ამით გამოვხატავ, ამხანაგებო, კრების სურვილს.“ თავმჯდომარის განცხადების შემდეგ დარბაზიდან აკაკი შანიძის მისამართით გაისმა შეძახილი: „გმობთ თუ არა თქვენ პოზიციას?“ აკაკი შანიძემ საუბარი გააგრძელა, მას რამდენჯერმე ისევ გააწყვეტინეს შეძახილებით: „საკითხზე ილაპარაკე!“, „გმობ თუ არა ნაციონალიზმს?“ ბოლოს, როდესაც აუდიტორიის მიერ ათვალწუნებული ორატორი ივანე ჯავახიშვილის დაცვას შეეცადა, ისევ არ მოუხმინეს, დარბაზიდან გაისმა შეძახილი: „ჯავახიშვილზე არ არის დეკლარაციები საჭირო!“ აკაკი შანიძეს კატეგორიული ტონით მოსთხოვეს გამოეთქვა აზრი ივანე ჯავახიშვილის კრიტიკასთან დაკავშირებით. კრების თავმჯდომარეს და იქ შეყრილ კომკავშირელ-კომუნისტ აქტივისტებს ეგონათ, რომ აკაკი შანიძეს მათი ხმაური და შეძახილები უკან დაახევინებდა და მათთვის სასურველ განცხადებას გააკეთებინებდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. სრულიად მოულოდნელად აკაკი შანიძემ ივანე ვაშაყმაძეს მთელი „ნაღვანი“ წყალში ჩაუყარა: „მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩანახლვით გაიკეთონ თავიანთი კარიერა.“ ასეთი გაბედული განცხადება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ კრების თავმჯდომარემ სიტყვაც ვერ გააწყვეტინა მისთვის

არასასურველ პროფესორს, არც დარბაზიდან გამოიდო ვინმემ თავი. ყველაფერი ცხადი იყო: აკაკი შანიძეს ივანე ჯავახიშვილის შესახებ აუგს ვერ დააცდენინებდნენ. ეს კი იმ სიტუაციაში გამირობის ტოლფასი იყო.

ამ ამბების თვითმხილველი, ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მოგვიანებით იტყვის აკაკი შანიძეზე: „ვის დაავინყდება მისი გამოსვლა ტფილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როცა ჩვენს ძვირფასს ივანე ჯავახიშვილს თავს დაესხნენ უგუნური ფილისტერები“.

1940 წლის 18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა. იმ დროისათვის მისი დევნა უკვე შეწყვეტილი იყო, თუმცა მრავალი უბედურების გადამტანი ადამიანები მაინც შიშობდნენ, მართალი სიტყვა ეთქვათ ივანე ჯავახიშვილზე. ზოგიერთმა მათგანმა, ოფიციალური აკრძალვის არარსებობის მიუხედავად, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ივანე ჯავახიშვილის სამარესთან მიახლოებაც კი ვერ გაბედა. თბილისის უნივერსიტეტის სახელით მის დამაარსებელს გამოსათხოვარი სიტყვა აკაკი შანიძემ უთხრა. მან ასე დაინყო: „ძვირფასო მასწავლებლო, სახელოვანო მეცნიერო, დიდო ივანე!“ ეს ისევ პროტესტი იყო, პროტესტი მათ წინააღმდეგ, ვინც ივანე ჯავახიშვილს დევნიდა. ასე დაამკვიდრა აკაკი შანიძემ ქართულ სინამდვილეში უნივერსიტეტის დამაარსებლისა და ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქის ღვანლის ყველაზე ლაკონური და ზუსტი შეფასება: „დიდი ივანე ჯავახიშვილი“.


ვახტანგ გურული,

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

7

მზის 14 სხივით გამთზარი საუკუნე

სქემის სახით ჩამოთვლილია ის ძირითადი პრობლემები, რომლებზეც აკაკი შანიძე მუშაობდა მისი ცხოვრების 100 წლის მანძილზე (ერთი საუკუნე). სქემა მიუთითებს მეცნიერის ინტერესების მრავალმხრივობას.



გრაფიკული გამოსახულება, რომელზეც მზის სხივების სახითაა აღბეჭდილი აკაკი შანიძის სამეცნიერო ინტერესის სფეროები, შესრულებულია აკაკი შანიძის ქალიშვილის, პროფესორ მზექალა შანიძის მიერ.

8

აკაკი შანიძე – ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი

ქართული მეცნიერების ისტორიაში აკაკი შანიძე განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მას პეტერბურგის უნივერსიტეტში კლასიკური თეორიულ-ლინგვისტური მომზადება არ გაუვლია (იგი უფრო როგორც ფართო პროფილის ფილოლოგოსი გადიოდა მომზადებას, ვიდრე საკუთრივ ლინგვისტი-თეორიტიკოსი), აკაკი შანიძე, მის მიერ შექმნილი ქართული გრამატიკული სისტემის წყალობით, ენათმეცნიერებაში, ფაქტობრივად, იმ თეორიულ-ლინგვისტური მიმდინარეობის წინამორბედი აღმოჩნდა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური; მიუხედავად იმისა, რომ აკაკი შანიძეს არ მოუცია თავისი ლინგვისტური კონცეფციის და მეთოდოლოგიის მთლიანი ფორმულირება, ენისადმი (ამ შემთხვევაში ქართული ენისადმი) მთელი თავისი მეცნიერული მიდგომითა და ენობრივი ანალიზის გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების მიხედვით, აკაკი შანიძის ლინგვისტური თეორია უნდა განვიხილოთ როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური და ენათმეცნიერების ისტორიაში იგი იმ მიმდინარეობებს შევადაროთ, რომლებიც შემდგომ ფერდინანდ დე სოსიურის სინქრონიული თეორიისა და პრალის საენათმეცნიერო სკოლის სტრუქტურალიზმის სახით ჩამოყალიბდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით საკმარისია დავასახელოთ ენობრივ ელემენტთა დაპირისპირების, „ოპოზიციის“ ცნება, რომელსაც, როგორც ენობრივი ანალიზის საფუძველს, ასე ფართოდ იყენებს აკაკი შანიძე; სწორედ ლინგვისტური ოპოზიციის პრინციპზე აიგება არსებითად სტრუქტურულ-ფუნქციურ მიმართულებათა ძირითადი კონცეფციები თანამედროვე ენათმეცნიერებაში. აკაკი შანიძის მიერ შექმნილ გრამატიკულ სისტემაში წინადადების ცენტრს, მის სტრუქტურულ ლერძს წარმოადგენს ზმნა, რომლის გარშემოც თავს იყრის წინადადების ყველა დანარჩენი წევრი და მას გარკვეული შინაგანი კავ-

შირით ერწყმის; ზმნა განსაზღვრავს წინადადების შინაგან სტრუქტურას, არსებითად, ენის მთელ გრამატიკულ წყობას. ამგვარი გაგება წინადადებისა ყალიბდება აკაკი შანიძესთან საკმაოდ ადრე, ქართული ზმნის პიველი ცდებისთანავე, რაც ბუნებრივად ნაკარნახები იყო თვით ქართული ზმნის სტრუქტურული ხასიათით, მისი მრავალპირიანობით, რითაც იგი განსხვავდება სხვა ცნობილ ენათა ზმნური სტრუქტურისაგან. ეს კონცეფცია მარტივი წინადადების სტრუქტურაში ზმნის ცენტრალური ადგილის შესახებ ევროპულ მეცნიერებაში ფორმდება გაცილებით უფრო გვიან, XX საუკუნეში. 30-იან წლებში, ფრანგი მეცნიერის ლ. ტენიერის „სტრუქტურული სინტაქსის“ თეორიის სახით. ქართულ ენათმეცნიერებაში ეს პრინციპები მწყობრ კონცეფციად საკმაოდ ადრე ჩამოყალიბდა, რაც დღეს ამერიკის და ევროპის ენათმეცნიერების ასეთ დიდ ინტერესს იწვევს ქართული ენისა და ქართული ენათმეცნიერების მიმართ და რაც აკაკი შანიძის ნამოღვაწარს ამ ინტერესის ცენტრში აყენებს. ქართველმა მეცნიერმა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის თანმიმდევრული ანალიზისა და შესწავლის პროცესში ემპირიული გზით ფაქტობრივად ჩამოაყალიბა იმ მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, რომელიც უფრო გვიან თეორიულ საფუძველს უქმნის ზემოთ დასახელებულ მიმდინარეობებს ენათმეცნიერებაში. ამდენად, აკაკი შანიძემ ქართული ენის მწყობრი გრამატიკული სისტემის ჩამოყალიბებით ისეთი ენათმეცნიერული ღირებულებები შექმნა, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო ქართულ-ქართველური ენების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ თეორიულ-ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც საზოგადოდ და ლინგვისტურ თეორიათა და ენათმეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით – განსაკუთრებით. XX საუკუნის დასაწყისში, უფრო ზუსტად – ოციან წლებში, ენათმეცნიერებაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, იწყება ფენომენოლოგიური ანალიზის პერიოდი, როდესაც საგანთა და მოვლენათა ისტორიულ შესწავლას ცვლის მათი სისტემური ანალიზი, საგანთა და მოვლენათა გააზრება შინაგან სტრუქტურულ მიმართებათა გამოვლენისა და



შესწავლის გზით. მეოცე საუკუნის მეცნიერებისათვის დამახასიათებელია ისტორიზმის, ევოლუციონისტური თვალსაზრისის ერთგვარი შესუსტება და მთელი ყურადღების გადატანა მოვლენათა და მიმართებათა შინაგან სინქრონიულ ანალიზზე. სწორედ ეს პრინციპებია დამახასიათებელი ამ საუკუნის პირველი ნახევრის თეორიული ენათმეცნიერებისათვის. იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად ქართული ენის აკაკი შანიძისეულ ანალიზს. აქ ეძლევა დასაბამი სწორედ ახალ ქართულ ენათმეცნიერებას. „ახალ ქართულ ენათმეცნიერებაში“ და „ახალ ქართულ მეცნიერებაში“, საზოგადოდ, მე გვულისხმობ ქართულ სამეცნიერო დარგებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ და რომლებსაც წინა პერიოდში ნიადაგი მოუმზადა ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა, პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილის, სამეცნიერო შრომებმა. სწორედ ამ შრომებმა ჩაუყარა საფუძველი ახალ ქართულ მეცნიერებას საზოგადოდ, რომელშიც საპატიო ადგილი აკაკი შანიძის საენათმეცნიერო მემკვიდრეობას უკავია.

ამ პერიოდამდე ქართული ენა, ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურა არ იყო საკმაოდ შესწავლილი და შეიცავდა მრავალ ბუნდოვან და გაურკვეველ პრობლემას. ქა-

რთული ენის შესწავლა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სხვა ცივილიზებული ერების ენათა შესწავლას. ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია და ქართული ენის გრამატიკისა და ქართული ენის, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული ენის, შესწავლის მეცნიერულ ნიადაგზე დამყარება აკაკი შანიძის დიდი და უცილობელი დამსახურებაა. იქ, სადაც სტრუქტურული ქაოსი და გაურკვეველობა სუფევდა, აკაკი შანიძემ არაჩვეულებრივი სიცხადე შეიტანა და სტრუქტურული წესრიგი დაამყარა. ამით მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალი ქართული ენათმეცნიერების ფართო ასპარეზზე გამოსვლას და აკაკი შანიძე საერთაშორისო წრეებში ერთხმად აღიარეს კავკასიური ენათმეცნიერების პატრიარქად. დღეს ქართველი ხალხის წარმოჩინება, საზოგადოდ, და საერთაშორისო ასპარეზზე – განსაკუთრებით, სწორედ ქართული მეცნიერების, ქართული კულტურის მეშვეობით უნდა მოხდეს, ამ ცნებათა ფართო გაგებით. ეს ერთგვარი ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცება უნდა იყოს ქართველი ხალხისა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ამა თუ იმ ხალხის საყოველთაო აღიარების საფუძველს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ობიექტური, ნამდვილი და გაუზვიადებელი მეცნიერული თუ კულტურული ღირებულებები ქმნის, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ამ ხალხის მუდმივ ღირებულებებად იქცევა და რომელთა მიხედვითაც ფასდება მისი წვლილი და ადგილი საკაცობრიო ცივილიზაციაში. სწორედ ამგვარი ჭეშმარიტი მეცნიერული და კულტურული ღირებულებანი უნდა გახდეს ჩვენი ხალხის თვითდამკვიდრების უპირატესი საფუძველი. ამგვარ გარდაუვალ ღირებულებად იქცა სწორედ ჩვენი კულტურისათვის აკაკი შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა; სწორედ ამგვარ მუდმივ ფასეულობას წარმოადგენს ჩვენი ერისათვის აკაკი შანიძე. ეს ჩვენი დიდი მამულიშვილი უნდა იქცეს ქართული მეცნიერების, მთელი ქართული კულტურის მარადიულ სიმბოლოდ.

თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი

დაბეჭდილია ნიგნში: „ენა და ენობრივი ნიშანი“



ეროვნული მისია და ევროპული ყაიღის მიცნეარი

(გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი **აპთანდილ არაბული**)

ვინ იყო აკაკი შანიძე?

აკაკი შანიძე გასაოცარი მოვლენაა ქართულ ფილოლოგიაში. ის, რაც მან გააკეთა, ერთი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ზოგადად, ტალანტს შობს განგება და თუ პიროვნების ამქვეყნად მოვლინება ემთხვევა დროისა და სივრცის მოთხოვნას, ტალანტიც რეალიზდება. აკაკი შანიძემ დაოსტატებისა და მეცნიერული უნარ-ჩვევების შეძენის ისეთი გზა გაიარა, რომ, ამის მიხედვითაც შეიძლება თამამად ვთქვათ – განგებისმიერი ბედნიერი დამთხვევაა, რომ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის ერთ პატარა სოფელში დაბადებული ბავშვი უზარმაზარ მოღვაწედ და მეცნიერად ჩამოყალიბდა. ის წარმოუდგენელი, კოლოსალური ენერგია, რომელიც მაშინ პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლების და, მათ შორის, აკაკი შანიძის მოღვაწეობაში გამოვლინდა, სწორედ ასეთი „დამთხვევისა“ და განგების ნების შედეგია. მსგავსი მასშტაბურობა და მრავალმხრივობა, რომელსაც ეს მოღვაწენი ფლობდნენ, თითქოს ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში არც თავსდება. რა მიმართულება გინდათ აიღოთ ქართულ ფილოლოგიაში, რომ მის სათავეებთან ბატონი აკაკის ფუნდამენტური ნაშრომი არ დაგხვდეთ. მარტო გრამატიკულ მემკვიდრეობაზე არ ვსაუბრობ, მას გამოკვლევები აქვს ქართული მნიგნობრობის ისტორიაში, ტექსტოლოგიაში, ფილოლოგიაში, დიალექტოლოგიაში, რუსთველოლოგიაში, ლექსიკოგრაფიაში, ქართულ ეპიგრაფიკაში, პალეოგრაფიაში, ფოლკლორისტიკაში (ტექსტები, რომელსაც ის იწერდა იმისთვის, რომ ყოფილი-


ყო სანდო დასაყრდენი კვლევებისთვის, უმნიშვნელოვანესი ფოლკლორული ჩანაწერებია – უფრო ძვირფასი ფოლკლორული ჩანაწერები მას შემდეგ არ გაკეთებულა). ასე რომ, ეს სიდიდე მისი პიროვნებისა და მოღვაწეობისა, შეუფასებელია.

ფუნდამენტი – მეცნიერული გრამატიკა

აკაკი შანიძემ, ფაქტობრივად, პირველმა დაწერა მეცნიერული გრამატიკა. გივი მაჭავარიანმა (უდიდესი მეცნიერი, მოწაფე აკაკი შანიძისა) იგი შეაფასა, როგორც პირველი სტრუქტურალისტი ქართულ ენათმეცნიერებაში. ბატონი აკაკი, თავისი მოწოდებით, სტრუქტურალისტი არ ყოფილა და ეს თეორია არც ქცეულა მისი ინტერესის საგნად. იგი, ფართო გაგებით, ისტორიულ-შედარებითი მეცნიერების – კომპარატივისტიკის – ნარმომადგენელი იყო, რადგან მეცხრამეტე საუკუნეში დაწყებული ენების შედარებითი კვლევა, რომელიც ჩვენმა დიდმა მასწავლებლებმა უნივერსიტეტის ფარგლებში, და შემდეგ ინსტიტუტებშიც, განავითარეს, ქართველური ენებისთვის და ქართველთა ისტორიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. აკაკი შანიძეც ამ მიმართულებით მოღვაწეობდა, მაგრამ გივი მაჭავარიანმა მას სტრუქტურალისტი იმიტომ უწოდა, რომ აკაკი შანიძის გრამატიკის თეორიაში (უპირველეს ყოვლისა, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ და ცალკეულ წერილებში, რომლებიც დღესაც მეცნიერული კვლევის კლასიკური ნიმუშია) ზედმინვენით არის ჩამოყალიბებული ენის სინქრონიულ დონეზე მოქმედი სისტემა... მაგალითად, აკაკი შანიძემ შეძლო ისე დაელაგებინა ქართული ზმნის ფორმანარმოებისა და სიტყვანარმოების სისტემა, რომ, ფაქტობრივად, დღემდე ხელშეუვალია და მისი სერიოზულად გადასინჯვა ვერავინ შეძლო. თუნდაც ავიღოთ მისი მწკრივთა თეორია, რომელიც მეცნიერმა ასევე ძველი ქართულისთვისაც ჩამოაყალიბა (მისი „ძველი ქართული ენის გრამატიკაც“ დღემდე ტოლდაუდებელია). ეს არის უნიკალური და უნაკლო თეორია, რომელიც



აკაკი შანიძის შრომები



ძალიან ზუსტად მიესადაგება ქართული ზმნის ბუნებას; ურყევია ის კატეგორიები, რომლებიც მან დაადგინა და რაზეც დააფუძნა ზმნური ფორმანარმოების ურთულეს მონაცემთა კლასიფიკაცია. აკაკი შანიძემ პრინციპულად გამიჯნა ერთმანეთისაგან უღლების კატეგორიები, ანუ მწკრივთა მანარმოებელი კატეგორიები, და ე.წ. წარმოქმნის კატეგორიები (აკაკი შანიძის ტერმინით); ეს არის ზმნის კატეგორიები, რომელთა რეალიზაციაც

მწკრივთა სისტემის ფარგლებში არ თავსდება, არამედ მოითხოვს ცალკე საუღლებელ პარადიგმას. თუ ჩვენ ზმნას შევუცვლით ქცევას ან კონტაქტის ფორმას, გვარს და ა.შ.,

საჭირო იქნება, რომ ეს ზმნა ახლიდან ვაუღლოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ახლად „წარმოქმნილი“ ერთეულისათვის თავიდან იწყება ფორმანარმოება ანუ უღლება – აი, ამას გულისხმობს წარმოქმნის კატეგორიები.

შეიძლება ითქვას, აკაკი შანიძეს არ დარჩენია მწკრივთა წარმოებაში არც ერთი ნიუანსი, რომელიც მწკრივთა გამოყოფისთვის, მწკრივთა დიფერენციაციისთვის იქნებოდა აუცილებელი. მაგალითად, ჩვენ ვიცით მესამე სერიის ფორმები – პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი. მათგან პირველი თურმეობითი და მეორე თურმეობითი არ განსხვავდება წყვეტილისგან არც დროის თვალსაზრისით (წარსული დროა) და არც კილოს თვალსაზრისით (თხრობითი კილოა)... აბა რით განსხვავდება? და აქ აკაკი შანიძეს შემოაქვს ახალი – უნახაობის კატეგორია, რითაც აპირისპირებს ნახულ და უნახავ აქტს. მაგრამ როგორ უნდა გაიმიჯნოს უნახავი აქტის გამომხატველი ორი მწკრივი ერთმანეთისაგან? ერთი „ანმყოს უნახავი“ მწკრივია და მეორე – წარსულისა. ასე რომ, ეს არის საოცრად მწყობრი სისტემა იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც შეიძლება სინქრონიულ დონეზე ზმნის ანალიზი ჩავატაროთ. ასე ზედმიწევნით აქვს დიდ მეცნიერს გამოკვლეული ქართული გრამატიკის არსებითად ყველა უბანი, ერთი მხრივ, თანამედროვე და, მეორე მხრივ, ძველი ქართული.

* * *

მას შემდეგ მომდევნო თაობის მეცნიერებმა, აკაკი შანიძის მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა, ბევრი მოვლენა წაიკითხეს სხვაგვარად, მათ შორის, მწკრივთა შედგენილობაში, კატეგორიების განაწილებაში, პირთა მიმართებაში, ინვერსიის საკითხში და ა.შ., ზოგიერთი ფაქტი გადაისინჯა და ზოგი ახალი თვალსაზრისიც წარმოჩნდა, მაგრამ ამას ფუნდამენტურს ვერ ვუნოდებთ. ფუნდამენტური არის ის, რაც აკაკი შანიძემ შექმნა. ჩვენ ვიცნობთ ძველ ქართულ გრამატიკებს, შანშოვანიდან და ანტონ პირველიდან მოკიდებული,

ბევრი საინტერესო გრამატიკა დაინერა, მაგრამ ესენი იყო ე.წ. ფილოლოგიური გრამატიკები და მეცნიერული თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. აკაკი შანიძემ ის კლასიკური განათლება, რაც პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე დიდი მასწავლებლებისგან მიიღო, ჩამოიტანა საქართველოში და, ჩვენში არსებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, საკუთარი მეცნიერული ინტუიციისა და ენის სისტემის გამორჩეული გრძნობის წყალობით, სრულყოფილ ქართულ გრამატიკად ჩამოქნა.

ცნობილია, რომ ქართული ენის კათედრის პირველი გამგე თბილისის უნივერსიტეტში გახლდათ ასევე დიდი მეცნიერი იოსებ ყიფშიძე, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებიდან ძალიან მალე გარდაიცვალა (1919 წელს). ამ დროიდან უკვე აკაკი შანიძემ ჩაიბარა კათედრა და ის უზარმაზარი სამუშაო, რაც ქართული ენის კათედრამ გასწია, აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. კათედრის არსებობის შემდგომი პერიოდიც მისი დიდი მემკვიდრეობის განვითარება და განმტკიცება იყო.

რატომ დაინტერესდა მეცნიერი, მაინცდამაინც, მთის კილოებით?

აკაკი შანიძისთვის უცხო არ არის ქართული ენის არც ერთი დიალექტი და ენობრივი ქვესისტემა. უცნობია – რა პერიოდში, მაგრამ ძალიან სწრაფად შეისწავლა მან, მაგალითად, სვანური და შესანიშნავი გამოკვლევები აქვს ამ მიმართულებითაც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბატონი აკაკის ძიებათა სანყისები, პირველი სამეცნიერო ნათლობა, რითაც მისი ტალანტი გაბრწყინდა, სწორედ მთის დიალექტებთან იყო დაკავშირებული; აქ გადადგა მან პირველი სამეცნიერო ნაბიჯები...

როდესაც აკაკი შანიძე ფშავ-ხევსურეთში ავიდა, ძალიან ახალგაზრდა გახლდათ. მისი ბიძა, ბესო, ფშავში ზედსიძედ იყო და, 1908 წელს, ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე აკაკი ბიძასთან იმყოფებოდა სტუმრად. როგორც ჩანს, მან ფშაურს



მაშინვე აულო აღლო (რაც მომავალი მეცნიერის გასაოცარ ბუნებრივ მონაცემებზე მიანიშნებს)...

1911 წელს იგი პეტერბურგიდან პირველი მივლინებით გამოგზავნეს ფშავსა და პირაქეთ ხევსურეთში. ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ბატონი აკაკი უკვე სრულად ფლობს ამ დიალექტებს, ისე, რომ თავად ინვევს ადგილობრივებს სასაუბროდ და ზოგჯერ საკუთარ კომენტარებსაც კი მათ კილოზე „მოუქცევს“ ხოლმე. იქ მაშინ ბარიდან მოსულ ადამიანებს უცხოობდნენ და ნდობა უნდა მოგეპოვებინა, რომ გაგსაუბრებოდნენ. ერთ მაგალითს გეტყვით: აკაკი შანიძე ფშავში ხატობაში მისულა და ფშავლებისთვის უკითხავს – იცით თუ არა, ლაშარის ჯვარი როგორ შეიქმნაო? და შესაბამისი ლეგენდა ლექსად წაუკითხავს ფშავლებისთვის. ისინიც „გახსნილან“ და უამრავი რამ მოუყოლიათ მკვლევრისთვის.

ორი წლის შემდეგ იგი უკვე, როგორც საპროფესოროდ მოსამზადებელი კადრი, ოთხი თვით გამოგზავნეს პეტერბურგიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. აი, ამ დროს შეასრულა მან უდიდესი სამუშაო ფოლკლორული ნიმუშების უმდიდრესი ჩანაწერების შესაქმნელად.

გასაოცარია, რა გზა გაიარა, რა სულისკვეთება და რა ძალა ჰქონდა მაშინ ჯერ კიდევ გამოუცდელ მკვლევარს. უბრალოდ, წარმოვიდგინოთ ის მარშრუტი, რომელიც მან განვლო: პირველად წავიდა მთიულეთ-გუდამაყარში, გადავიდა ხევში, შემდეგ ავიდა ხევის სათავეებში მდებარე ხევსურულ სოფელში, აქედან გადავიდა არხოტში, სადაც ცხოვ-

რობოდა „ვეფხისა და მოყმის ბალადის“ მეორე ნაწილის ავტორი გიორგი ჯაბუშანიური და იქ სწორედ მასთან დაბინავებულა. არხოტიდან გადმოვიდა უღელტეხილით პირაქეთ ხევსურეთში, აქედან ისევ გადავიდა პირიქით ხევსურეთში, ოლონდ უკვე შატილის თემში, შემდეგ – მილმახევში, იქიდან – თუშეთში, შემდეგ თიანეთში, თიანეთიდან ისევ ფშავში და – უკან თიანეთში... გაოცდები, იმხელა მანძილია გავლილი, სულ სამთო ბილიკები და უღელტეხილები, და თან იმ პირობებში, როცა არ არსებობს გზები, ტრანსპორტი – მთელი ეს გზა მან, ფაქტობრივ, ფეხით გაიარა და, სავარაუდოდ, დიდ გაჭირვებასაც ნახავდა, რადგან ამ დროისთვის მთა მწირია და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკვების მოპოვებაც ჭირს. მიუხედავად ამისა, თქვენ ვერ ნახავთ ვერცერთ ჩანანერს, სადაც აკაკი შანიძე წერდეს, რომ სციოდა, შიოდა, სწყუროდა, ან სხვა რამ დაბრკოლება შეხვდა. მხოლოდ ერთადერთ კაფიაში შეიძლება ამოიკითხოთ, რა პირობებში უხდებოდა მას მუშაობა.

მოკაფიავე აკაკი

აკაკი ხშირად გამოიწვევდა ხოლმე მოკაფიავეებს და მთქმელებს, რათა ახალი მასალა მოეპოვებინა. იყო ფშავში ერთი საოცარი მოკაფიავე ყრუ გიორგი. ეს გიორგი გამოუწვევია სწორედ აკაკის ერთი ასეთი კაფიით: „სულ ფშავის ხევზე დავდივარ, მუცელს გააქვის ნაწნალი, ყოველ სოფელში გამიჩნდა ფშაურის წესით ნაწნალი“, – მერე ყრუ გიორგიმაც, ცხადია, უთხრა თავისები, ანუ გაიმართა კაფიაობა... რაც მთავარია, აი, ეს „მუცელს გააქვის ნაწნალი“ არის ერთადერთი ფრაზა, საიდანაც ჩანს, რომ ხშირად მშიერს უწევდა ფშავისა თუ ხევსურეთის ხეობებში სიარული.

გარდა იმისა, რომ ადგილობრივ იმყოფებოდა ექსპედიციაში, კარგად ჩანს, რომ აკაკი ყველგან ეძებდა ინფორმაციორებს და სადაც ხევსურს, ფშაველს, მოხევეს ნაანყდებოდა, საათობით იჯდა მათთან და ინერდა სხვადასხვა ნიმუშს. ამის

დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ ერთი ამბავი: პეტერბურგში პირველი მსოფლიო ომის მონაწილე დაჭრილი ჯარისკაცები რომ მიჰყავდათ, იქაური ქართველი სტუდენტები ეძებდნენ ქართველებს და პატრონობდნენ მათ. ასე აღმოუჩინია ერთ-ერთ ჰოსპიტალში აკაკი შანიძეს დაჭრილი ხევსური ბესარიონ გაბური, რომელიც არხოტში ჰყოლია ნანახი. რამდენიმე კვირა ეჯდა თურმე გაბურს აკაკი შანიძე და იწერდა მისგან ლეგენდებს, თქმულებებს, ლექსებსა და კაფიებს. გაბური განათლებული კაცი იყო და კარგად წერდა. აკაკის უთხოვია – რასაც ჩანერ, ხევსურულად ჩანერე, ქართულად არაო... თავადაც ხევსურულად სწერდა წერილებს გაბურს და თუ აკაკის ხევსურული შეეშლებოდა, ინფორმატორი საყვედურს ამბობდა, ან მე ვერ გამოვდექი კარგი მასწავლებელი, ან შენ – კარგი მონაფე, – მეცდომებს უშვებო!.. სწორედ ამ ბესარიონ გაბურს მისწერა ერთხელ აკაკიმ ერთ-ერთ კაფიაში, არხოტში ვიყავი და „დიცი მაჭმიეს ხილადა, მახვრიპეს ხინკლის წვენიაო“. დიცი მცენარეა, რომლის ღეროებსაც ფცქენიან და ჭამენ. არც ისე სასიამოვნო საჭმელია – პირს ამწარებს; ხინკლის წვენის ხვრეპა, ცხადია, დავით გურამიშვილის ტყვეობის გამოძახილია. ამ კაფიის გამო გამწყრალა გაბური, ცხადია, ლექსად – უპურადობას გვსაყვედურობ, არხოტელებზე მაგის თქმა როგორ შეიძლებაო! ამგვარ კაფიებსა და ნაკვესებს აკაკი შანიძე ხშირად იყენებდა მთქმელის პროვოცირებისთვის.

არხოტში პირველად რომ მისულა, სოფლის საფიხვნოში მსხდარი ხევსურები დაუნახავს. მისულა და ხევსურულად მიუმართავს „ქალაქურად“ შემოსილ ახალგაზრდას: „მართალია, რომ ამბობენ, არხოტის მთა უნდა გახვრიტონო?“ და კომენტარიც თვითონ დაურთავს: „ღმერთმანი, ბურღს კი ვერავინ დაატრიალებს, ბაბურაულის მეტიო!“ იმ დროს რუსეთი არხოტის ხეობის გავლით რკინიგზის გასაყვანად ემზადებოდა და მთაში გვირაბის გასაყვანი ბურღი, მთიელების წარმოდგენით, ვინმე ძლიერს უნდა დაეტრიალებინა. ასეთად კი აკაკიმ ხევსურთა საამაყო გმირი ბაბურაული დაასახელა. უცხოობაც უმალ დაიძლია.

ბესარიონ გაბურთან მეცნიერის ურთიერთობა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. ლეგენდები, საწესჩვეულებო ჩანაწერები, პოეზია, გაბურის ნათქვამი ლექსები, არხოტული პოეზია – მთელი ეს მასალა შეიკრა და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „ნელინდეულში“ გამოქვეყნდა 1924 წელს.

„ქართული კილოები მთაში“

იმ ფოლკლორული ჩანაწერების ძირითადმა ნაწილმა, რომელთაც ამ დროის განმავლობაში აწარმოებდა აკაკი შანიძე, თავი მოიყარა „ხევსურული პოეზიის“ 1931 წლის გამოცემაში. მას აღმოსავლეთ საქართველოს მთის პოეზია ოთხ ტომად ჰქონდა გათვალისწინებული. ამ ჩანაწერის განხორციელება სხვა დიდი საქმეების გამო ვეღარ შეძლო, მაგრამ დანარჩენი ჩანაწერები (ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული ფოლკლორის ნიმუშები) გამოქვეყნდა აკაკი შანიძის თხზულებათა პირველ ტომში (1984 წ.). აქვე დაიბეჭდა მთის კილოთა ლექსიკონი, რომელიც კიდევ



აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“, რომელიც ხელახლა გამოსცა თსუ გამომცემლობამ 2010 წელს.

ერთი საყურადღებო ნაშრომია – ბატონი აკაკი, ფოლკლორთან ერთად, იწერდა სიტყვების განმარტებებსაც, შემდეგ კი ამოწმებდა – გვხვდებოდა თუ არა იგივე სიტყვა სხვა კუთხეებშიც. ეს არის, ფაქტობრივად, კილოთა შედარებითი ლექსიკონი, რომელიც დღესაც გაოცებას იწვევს თავისი სიზუსტითა და დიალექტური თავისებურებების წვდომით.

მთის კოლოთა თავისებურებებზე დაკვირვებაც პირველივე ექსპედიციე-

ბიდან დაიწყო. აკაკი შანიძემ მთაში მივლინების შედეგები 1913 წლის ბოლოსვე მოახსენა პეტერბურგში. 1915 წელს კი გამოვიდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული (ეს ის სამეცნიერო წრეა, სადაც პირველად გახმიანდა თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის იდეა), რომელშიც დაიბეჭდა ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“.

ეს ნაშრომი დღესაც მნიშვნელოვანია, რადგან მასში გვხვდება არაერთი დაკვირვება მთის კილოების შესახებ; მაგალითად, ე.წ. ორობითი რიცხვის სპეციფიკის დანახვა: ხევსური ამბობს „სოფელთ შუაში“. ეს ნიშნავს ერთი სოფლის შუა ადგილს... ანუ იგი ერთ სოფელს ორად ყოფს და ამას ორობითის (მრავლობითის) ფორმით გამოხატავს. როდესაც ხევსური ამბობს – ჩემნი ძმანო, ის აუცილებლად გულისხმობს ორ ძმას, თუ ამბობს „ძმებიო“, ეს უკვე ორზე მეტია... ანუ განასხვავებს -ებთან და ნარ-თანთან მრავლობითს. აკაკი შანიძემ იმთავითვე ივარაუდა, რომ ეს არის გადმონაშთი ოდინდელი ორობითი რიცხვისა, რომელიც ხევსურულში არის შემორჩენილი.

ასევე საგულისხმოა მისი დაკვირვება ხევსურული მახვილის შესახებ, სიტყვათა ერთ მახვილქვეშ გაერთიანების შესახებ და სხვ. გაბურის ჩანაწერების შესახებ აკაკი შანიძე ამბობს: როცა ბესარიონ გაბური ხევსურულად წერს, სახელობითი ბრუნვის ნიშანს მომდევნო ზმნას მიაკედლებს ხოლმეო. ეს იმიტომ, რომ მომდევნო დამხმარე ზმნა მახვილითაა გაერთიანებული წინა სიტყვასთან და ის მახვილიანი ნაწილი აღიქმება მომდევნო ზმნის დასაწყისად. ესეც ახალგაზრდა მეცნიერის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დაკვირვება იყო.


* * *

როგორც ითქვა, მას მუდმივად ჰქონდა კონტაქტები ამ რეგიონის წარმომადგენლებთან და ჰყავდა ე.წ. „ინფორმატორები“. როგორც კი შეიტყობდა, რომ თბილისში ჩამოვიდა მთიდან ვინმე, ხვდებოდა, სახლში მიჰყავდა, პატივსაც სცემდა და ახალ მასალებსაც მოიპოვებდა მათგან. მის ბი-

ნაში თურმე ხშირად ნახავდით მთიდან ქალაქში სავაჭროდ ან სხვა მიზნით ჩამოსულ უბრალო მთიელებს. სწორედ მათგან მოიპოვებდა ბატონი აკაკი ახალ-ახალ ფოლკლორულ ნიმუშებსა და სხვა დიალექტურ მასალებს.

აკაკი შანიძე სახელმწიფოებრიობის სათავეებთან

ის, რაც აკაკი შანიძემ და მისმა თანამედროვე მეცნიერებმა დაუტოვეს შთამომავლობას, ეს არის განგების მიერ მონიჭებული სასწაულებრივი ძალისა და შესაძლებლობების გამოვლენა. მათ განსაკუთრებული ეროვნული მისია დაეკისრათ – განევითარებინათ ქართული ენა, ქართული მწიგნობრული კულტურა იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც ევროპა ვითარდებოდა. სწორედ აქ, საქართველოში, ქართული ენით უნდა მომხდარიყო ყოველი სამეცნიერო ენის ათვისება. დღეს ძნელი წარმოსადგენია, რომ მაშინ არ არსებობდა ფილოლოგიური ენაც კი, რომ არაფერი ვთქვათ სა-



აკაკი შანიძე და მოსე ჯანაშვილი

მედიცინო, იურიდიული, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის და სხვა სამეცნიერო ენებზე. სწორედ დარგობრივი ენების შექმნის მისია აიღეს თავზე უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა. ცნობილია, რომ სულმნათი ივანე ჯავახიშვილი ყველა ლექტორს ავალდებულებდა, რომ პირველივე ლექციები ქართულად წაეკითხათ და თავადვე ზრუნავდა ტერმინოლოგიების დადგენაზე, რადგან ეროვნული უნივერსიტეტისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. წარმოიდგინო, რა თავდადებითა და ტემპით იქმნებოდა დარგობრივი ენები და სახელმძღვანელოები, თანაც ისეთი ხარისხით, რომ დღესაც იმ ენებით ვხელმძღვანელობთ. ის სამეცნიერო სკოლები, რომლებიც უნივერსიტეტის წიაღში დაიბადა, უპირველესად ამ მიზანს ემსახურებოდა. ეს არის ფუნდამენტი ჩვენი ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობისა და აკაკი შანიძეც ამ სახელმწიფოებრიობის სათავეებთან დგას.

ესაუბრა **მაია ტორაძე**
 გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მთავარი
 სპეციალისტი, ჟურნალისტი

❧ 10 ❧

ქართული ენის კათედრის გაგზის – აკაკი შანიძის ტაქტიკა

(გვესაუბრება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი **რამაზ ქურდაძე**)

რით გაახარა სინამდვილეში ოქტომბრის რევოლუციამ აკაკი შანიძე

მცოვანი აკაკი შანიძე ნიკო მარის 120 წლისთავის იუბილეზე ძალიან საინტერესო მოგონებით წარდგა აუდიტორიის წინაშე (შემდეგ ეს მოგონება მცირედი ცვლილებით დაიბეჭდა) – თუ როგორ წავიდნენ პეტერბურგში 1917 წელს ქართული უნივერსიტეტის გახსნის საკითხზე. იგი ყვებოდა: „1917 წელია, 20 თუ 21 ოქტომბერია... ჩვენ ჩავსხედით მატარებელში და წავედით ბაქოს გავლით პეტერბურგში. ხუთი დღე მოვუნდით გზის გავლას. როცა ჩავედით პეტერბურგში, 26 თუ 27 ოქტომბერი იყო. სანამ ჩავედით, იქ უკვე რევოლუცია მოხდა. მატარებლიდან რომ გადავედით და ჩავსხედით ეტლში, „იზვოშჩიკმა“ მითხრა (აი, ეს სიტყვა იხმარა ქართული ენის პატრიარქმა აკაკი შანიძემ) – „У нас всё в порядке, Ульянов во главе“. აკაკი შანიძე ამას ჰყვებოდა 1986 წელს, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქა იყო და დარბაზში ბევრს გაელიმა. ალბათ, იფიქრეს, რომ აი, მოხუცდა აკაკი და ულიანოვს მთავრობას საამებლად ასე იხსენიებსო. ბატონი აკაკი თითქოს მიხვდა ამას, დაახანა და შემდეგ განაგრძო: „ეს რომ გავიგე, მივხვდი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის გახსნას ხელი არ შეეშლებოდა“. ანუ, იქ რევოლუცია მოხდა და აღარავის ეცალა იმისთვის, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნისათვის დაბრკოლება შეექმნა, – აი, ეს გაუხარდა აკაკი შანიძეს. ხოლო პატარა ბროშურაში, სადაც შემდგომ-

ში მისი სიტყვა დაიბეჭდა, იქ მაინც ის აქცენტი დარჩა, რომ თითქოს მას ულიანოვის ხელისუფლებაში მოსვლა გაუხარდა (ნიკო მარის იუბილესთვის გამოვიდა პატარა წიგნაკი, სადაც დაიბეჭდა იქ წაკითხული მოხსენებები. ამ ბროშურაშია შესული აკაკი შანიძის მოგონებაც). ნიკო მარის საიუბილეო სხდომაზე ბატონმა აკაკიმ შემდეგ დაწვრილებით გაიხსენა – როგორ მივიდნენ ნიკო მართან, როგორ ისაუბრეს უნივერსიტეტის გახსნაზე და, სხვათა შორის, იკამათეს, ვინაიდან ნიკო მარს ამიერკავკასიის უნივერსიტეტის გახსნა უნდოდა. ამ პოლემიკის დროს ისე დაშორებია აკაკი შანიძე მარს, რომ ვერ შეთანხმებულან უნივერსიტეტის საკითხზე. აკაკი შანიძე ძალიან ტაქტიანი ადამიანი იყო. ის დიდი პატივით იხსენებდა თავის მასწავლებელს, ნიკო მარს. ბატონმა აკაკიმ მარის სამეცნიერო დამსახურებებს საგანგებო ყურადღება დაუთმო ამ მოგონებებში. მარს ბევრი საინტერესო ეტომოლოგია აქვსო, აღნიშნა ბატონმა აკაკიმ და მაგალითისათვის სიტყვა ჭემ-მარიტის ეტიმოლოგია დაასახელა. როგორც მარმა ახსნაო – ჭემმარიტი – სპარსული წარმომავლობის კომპოზიტივო და თვალით ნანახს ნიშნავსო. ხოლო იმ ფაქტს, რომ ნიკო მარი ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა თბილისში უნივერსიტეტის გახსნას, აკაკი შანიძე სხნიდა იმით, რომ მარს არ უნდოდა მისი სკოლა დაშლილიყო პეტერბურგში.

პირველი რექტორობა ნიკო მარს სურდა

როდესაც გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, ნიკო მარს ჰქონია სურვილი, პირველი რექტორი ყოფილიყო. ჩამოსულა თბილისში. უნივერსიტეტის დამაარსებელთაგან ბევრი მისი ყოფილი სტუდენტი იყო და, ბუნებრივია, ყველა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ვინაიდან უჭირდათ – უარით გაესტუმრებინათ თავიანთი მოძღვარი. ამ უხერხულობისგან ეს ხალხი ცნობილმა პოეტმა, თბილისის კოლორიტმა, იოსებ გრიშაშვილმა დაიხსნა. მას საჯაროდ მიუმართავს ნიკო მარისთვის: – თუ ვინმეს ეკუთვნის, რომ იყოს პირველი ქართული უნი-



არნოლდ ჩიქობავა



ვარლამ თოფურია

ვერსიტეტის რექტორი, ეს თქვენ ბრძანდებით, მაგრამ თუ ვინმეს უარი უნდა ეთქვას ამ თანამდებობაზე, სამწუხაროდ, ესეც თქვენ ბრძანდებითო. რა თქმა უნდა, მარმა გაიგო, რისი თქმაც სურდა პოეტს და დატოვა თბილისი. როგორც ამბობენ, ასე გადაურჩენია პოეტს პროფესურა თავის მასწავლებელთან უხერხული მდგომარეობისაგან.

ისტორიული რაკურსით

როდესაც 1918 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერთ-ერთი ძირითადი კათედრა, რაც დაარსდა, იყო ქართული ენის კათედრა. მისი პირველი გამგე იყო იოსებ ყიფშიძე, მაგრამ მოხდა ტრაგედია – მოულოდნელად გარდაიცვალა ახალგაზრდა იოსებ ყიფშიძე. იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ ქართული ენის კათედრას სათავეში აკაკი შანიძე ჩაუდგა.

1923 წელს უნივერსიტეტის პირველ კურსდამთავრებულთა შორის იყვნენ აკაკი შანიძის აღზრდილები ვარლამ თოფურია და არნოლდ ჩიქობავა, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობის ენათმეცნიერები გახდნენ.

1945 წელს აკაკი შანიძემ დააყენა საკითხი, რომ ქართული ენის კათედრა ახალ და ძველი ქართული ენის კათედრებად გაყოფილიყო. ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელად მან ვარლამ თოფურია დაასახელა. ძველი ქართული ენის კათედრას კი გარდაცვალებამდე თვითონ ხელმძღვანელობდა. მნიშვნელოვანია ძველი ქართული ტექსტების, ხელნაწერების, წიგნების მომზადება და გამოცემა, რასაც ამ კათედრის პროფესორ-მასწავლებლები ახორციელებდნენ აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით. 1981 წელს ათონის მთიდან ჩამოიტანეს ქართული ხელნაწერების მიკროფირები და ამ მასალაზე მუშაობა მოუხდა „ორიონის“




100 წლის აკაკი შანიძე უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის წევრებთან ერთად, 1987 წლის 7 მარტი

ცენტრს, რომელიც ძველი ქართული ენის კათედრასთან გაიხსნა აკაკი შანიძის თაოსნობით და რომელიც დღემდე ფუნქციონირებს „ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ორიონის“ სახელით. ამჟამად ამ ცენტრის ხელმძღვანელია ქალბატონი მზექალა შანიძე. დღეისათვის ახალი ქართული ენის კათედრის და ძველი ქართული ენის კათედრის მემკვიდრეა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში ორი კათედრაა გაერთიანებული: ქართველური ენათმეცნიერების კათედრა და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა. ამავდროულად ინსტიტუტში შემოდის ზემოაღნიშნული ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“ და ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

1978 წელი, ქართული ენის დაკნინების საკითხი და აკაკი შანიძის პოზიცია

1936 წლის სტალინური კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოში ქართული ენა იყო სახელმწიფო ენა. ბუნებრივია, რუსულიც სახელმწიფო ენა იყო, რადგან საქართველო სსრკ-ს შემადგენელი ნაწილი, მოკავშირე რესპუბლიკა გახლდათ, მაგრამ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი არ იყო შებღალული. ხოლო 1978 წელს, როცა ეს საკითხი გახდა საკამათო, ძველი ქართული ენის კათედრამ, აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, უარი განაცხადა მხარი დაეჭირა კონსტიტუციის იმ პროექტისათვის, რომლითაც ქართული ენა საქართველოში აღარ ცხადდებოდა სახელმწიფო ენად. ეს მაშინ გამირობის ტოლფასი იყო. აკაკი შანიძე მაშინ 90 წელს იქნებოდა მიღწეული. სტუდენტებში საპროტესტო მოძრაობა უკვე დაწყებულიყო და კომუნისტური პარტიის აპარატი, რომლის წარმომადგენლებიც უნივერსიტეტშიც იყვნენ, ცდილობდნენ, შეეჩერებინათ ეს მოძრაობა, მაგრამ არ გამოუვი-

დათ – სტუდენტებს ლექტორებიც უჭერდნენ მხარს და მათში მთავარი ფიგურა ქართული მეცნიერების ბერძენი – აკაკი შანიძე იყო.



უპარტიო აკაკი შანიძე

ქართული მეცნიერების პატრიარქმა 1921 წლიდან 1987 წლამდე იცხოვრა კომუნისტურ-ტოტალიტარულ სახელმწიფოში, იყო კათედრის გამგე, აკადემიკოსი. თავად კომუნისტური პარტიის ნომენკლატურულ წარმომადგენლებსაც ერიდებოდათ მისი. არავის მოუხდენია აკაკი შანიძეზე ზეგავლენა, არავინ აიძულა – გინდა თუ არა პარტიის წევრი გახდო. აკაკი შანიძეს ეს არაფერში დასჭირვებია. მას რომ სურვილი გამოეთქვა – მინდა პარტიაში შევიდეო, ვინ დაუშლიდა? პირიქით, გაუხარდებოდათ კიდეც. მაგრამ კაცმა ეს ყველაფერი აირიდა, ვინაიდან მისი საქმიანობის სფერო სხვა იყო. ეს სფერო იყო ქართული ენის სამყარო, რომელსაც მეცნიერმა თავისი ასწლოვანი ცხოვრება მიუძღვნა.

ესაუბრა **ნინო კაკულია**
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქტორი, ჟურნალისტი



აკაკი შანიძე, ლადო გუდიაშვილი, ედუარდ შევარდნაძე და სხვ.

❧ 11 ❧

**ქართული ენის უკველესი
ქებლები მამიკაძე, მსხნელი და
„ამომხსნელ“-გამომცემელი**

(გვესაუბრება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი **ლარეჯან თვალთვაძე**)

აკაკი შანიძეზე საუბარი მინდა XI საუკუნის ქართველი მწიგნობრის გიორგი მცირის მიერ თავისი მოძღვრისა და მასწავლებლის, დიდი ქართველი მთარგმნელის გიორგი მთაწმინდელის შესახებ ნათქვამი სიტყვებით დავიწყო: „განგებამან გამოაჩინა დიდი ესე მუშაკი საღმრთოესა მადლისაჲ, რომლისათჳს არს სიტყუაჲ ჩუენი და წინამდებარე არს აღწერად და მითხრობად შემდგომთა ნათესავთა საწურთელად და გულისჴმისსაყოფელად.“ აკაკი შანიძე ჭეშმარიტად იყო დიდი მუშაკი იმ საღმრთო მადლისა, რომელსაც ქართული ენა ჰქვია და მისი ნამუშაკევის აღწერა და „შემდგომთა ნათესავთათვის“ მოთხრობა მათდა საწვრთნელად და გულისხმისსაყოფელად ნამდვილად ხამს.

* * *

აკაკი შანიძე იყო ის მოღვაწე, რომლის შესახებაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი საქმიანობით „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაჲ ჩუენი“. მისი როლი და დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე, რაც დრო გავა, მით უფრო თვალსაჩინო გახდება. მისი ნაშრომები იმდენად მნიშვნელოვანი და იმდენად ფართო სპექტრის მომცველია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი მკვლევარი, ვინც სწავლობს ქართული ენის სტრუქტურისა თუ ისტორიის საკითხებთან დაკავშირებულ ნებისმიერ თემას. შუასაუკუნეების ერთი ძველი ქართველი მწიგნობრის მეტაფორა რომ გარდავთქვათ, აკაკი შანიძე არის მოძღვარი და მასწავლე-

ბელი ყოველთა შემდგომთა ენათმეცნიერთა, რადგან მან ქართული ენის უსიერ ტყეში ყველაზე დიდი ხეების მოჭრით გზის გაკაფვა და იმ მთავარი მაგისტრალის გაყვანა შეძლო, რომელსაც დღემდე მიჰყვებიან თაობები. მან შექმნა ქართული ენათმეცნიერების სკოლა, რომლის წარმომადგენლები, დიდი მასწავლებლის „მონაფეები და მონაფეთა მონაფეები“, დღესაც „მისივე დატევებულითა კეტებითა და უროებითა მის მიერ ახოდ გაკაფულ და ლოდოვანებისაგან ყანობირქმნილ ტყეში აგრძელებენ ადგილ-ადგილ სიმაშურალითა დაშთომილი ხეების ამოძირკვას“, რომ „მონაფეობაჲ მისი სრულყონ“.

თავად აკაკი შანიძე კი ნიკო მარს და ივანე ჯავახიშვილს მიიჩნევდა თავის მასწავლებლებად. მათი მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობით შთაგონებული აკაკი შანიძე დიდი ინტერესით მუშაობდა ფილოლოგიის და მისი მომიჯნავე დარგების მრავალი მიმართულებით, მაგრამ მისი კვლევის უმთავრესი საგანი მაინც ქართული ენა იყო. სწორედ ქართული ენის საკითხებს ეძღვნება მისი კაპიტალური ნაშრომები, რომელთა შორის უმთავრესია „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, ფუნდამენტური მონოგრაფია, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა ბევრ საუნივერსიტეტო პროგრამაში, ხოლო მისი „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ დღესაც ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად, რომლითაც ძველი ქართული ენა ისწავლება ჩვენში და უცხოეთშიც. აღსანიშნავია, რომ ასევე ათეული წლების განმავლობაში აკაკი შანიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით ხდებოდა ქართული ენის გრამატიკის მოკლე, მაგრამ ძალიან სერიოზულად წარმოდგენილი კურსის სწავლება ჩვენს სკოლებში.

* * *

ქართული ენის, როგორც ლინგვისტური ფენომენის, მისი ისტორიის, მორფოლოგიის, ლექსიკის და მისი კულტურულ-ისტორიულ მიმართებების კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერილობით ფიქსირებული ენობრივი მასალის ხელმისაწვდომობას, მის შესწავლასა და მეცნიერულ

პუბლიკაციას. ქართული ენის უპირველეს დოკუმენტურ საფუძველს ძველ ქართულ ხელნაწერებში შემორჩენილი ტექსტები წარმოადგენენ. მათ გამოცემასა და კვლევას აკაკი შანიძე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ისევე, როგორც ეპიგრაფიკული მასალის შესწავლასა და გამოქვეყნებას. წერილობითი ტექსტების მონაცემებზე დაფუძნებული ნებისმიერი ლინგვისტური კვლევის სიზუსტე დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, ამ წერილობითი ტექსტების სწორ წაკითხვასა და ტექსტოლოგიური კვლევის მართებულ მეთოდოლოგიაზე.



ტექსტოლოგია ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც სწავლობს ტექსტს, როგორც პირველწყაროს. ტექსტის ნებისმიერი სხვა სახის შესწავლა (ლიტერატურული, ისტორიული და ა.შ.) იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელთ გვაქვს კრიტიკულად დადგენილი და ტექსტუალური კრიტიკის პრინციპების დაცვით გამოქვეყნებული ტექსტი. მხოლოდ ასეთი ტექსტი შეიძლება გამოდგეს სხვადასხვა თეორიისა თუ მოსაზრების (მათ შორის ლინგვისტურის) დასასაბუთებლად ან უარსაყოფად. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ეს დიდი მეცნიერი დიდ დროს უთმობდა ძველი ქართული ენის ძეგლების გამოსაცემად მომზადებას და კვლევას. სწორედ ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლისა და გამოქვეყნების საჭიროებამ უკარნახა აკაკი შანიძეს დაეარსებინა გამოცემათა სერიები „ძველი ქართული ენის ძეგლები“ (1944 წ.) და „თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955 წ.), რომლებშიც ბევრი მანამდე უცნობი ძველი ქართული ტექსტი დაიბეჭდა შესაბამისი სამეცნიერო აპარატითა და გამოკვლევითურთ, ხოლო გარდაცვალებამდე

რამდენიმე წლით ადრე, 1982 წელს, უკვე მხცოვანმა მეცნიერმა საჭიროდ მიიჩნია, საგანგებოდ ძველი ქართული ხელნაწერების შესასწავლად, უნივერსიტეტის იმ კათედრასთან, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა (ძველი ქართული ენის კათედრა) ახალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – ლაბორატორია „ორიონი“ გაეხსნა. მისი მიზანი ათონის ივერთა მონასტრის წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერებისა და ძველი ქართული ენის სხვა ძეგლების შესწავლა და გამოცემა იყო.

აკაკი შანიძეს თავად არაერთი ძველი – მტვერნაყრილი თუ გადაცრეცილი ხელნაწერი გამოუმზეურებია. მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით გამოიცა ძველი ქართული ენის არაერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება: პალიმფსესტების სახით შემორჩენილი უძველესი ტექსტები – ბიბლიური წიგნების ხანმეტი ფრაგმენტები, ხანმეტი ლექციონარი, ჰაემეტი ლექციონარი, ხანმეტი მრავალთავი, სინური მრავალთავი, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია შატბერდული ხელნაწერების მიხედვით, ჭილ-ეტრატის იადგარი, ძველი ალექსის წიგნები ოშკის (ათონის) ბიბლიის ხელნაწერის მიხედვით, პეტრინონის მონასტრის ტიპიკონი, ძველი ქართული ასტროლოგიური ტრაქტატი, „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბას ლექსიკონი და სხვ. როგორც მისი მონაფე ვახტანგ იმნაიშვილი ამბობდა: „უნდა გენახათ, როგორი სიყვარულით ეალერსებოდა ბატონი აკაკი ფერგადასულ ასოებს, როგორ ჩაჰკირკიტებდა გამადიდებელი შუშით ხელში ძნელად გასარჩევ ასომთავრულსა და ნუსხურს. ეს დიდი სიყვარული მან თავის მრავალ მონაფეს გადასდო, რომლებიც მოძღვრის დანყებულ საქმეს მისივე შემუშავებული მეთოდებით და მისებური სიყვარულით აგრძელებენ“.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ, რა მნიშვნელობისა იყო მეცნიერის თითქმის საუკუნოვანი ნაღვანი ქართველი ერის, მისი ენის, დამწერლობისა და კულტურის ისტორიის შესასწავლად, მოკლედ მოგახსენებთ რამდენიმე მეცნიერულ მიგნებასა და უმნიშვნელოვანეს ნაშრომებზე, რომელიც ამ დიდი მეცნიერის სახელს უკავშირდება.

ძველ დროში ქართველები ძველქართულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ როგორი იყო ის ძველი ქართული?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ძველ დროში მცხოვრები ქართველების მიერ შექმნილ წერილობით ძეგლებს – ეკლესიამონასტრების შენობებზე შემორჩენილ წარწერებს, ძველი დროიდან ჩვენამდე მოღწეულ მრავალჭირგამოვ-



ლილ ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებსა და ისტორიულ საბუთებს შეუძლიათ, რადგან სწორედ მათ შემოგვიანახეს ის ენა, რომელსაც ჩვენი წინაპრები სამწერლობო ენად იყენებდნენ. გაცილებით მწირად, მაგრამ მაინც სწორედ ამ ტექსტებშია დაცული ძალიან საინტერესო მასალა, როგორი უნდა ყოფილიყო ამა თუ იმ ეპოქის ქართველთა სასაუბრო ენაც, რომელსაც ძველი მწიგნობრები სალიტერატურო, „წიგნური“ ქართულის საპირისპიროდ, „სოფლურ“ ან „ლიტონ“ ენას უწოდებდნენ.

ყველაზე ძველი წერილობითი ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, ძველი ქართული წარწერები და პალიმფსესტების სახით შემონახული ხელნაწერებია, რომლებიც V-VII საუკუნეებით თარიღდება.

ძველ საქართველოში სანერ მასალად ძირითადად ეტრატს (პერგამენტს/ტყავს) და იშვიათად ჭილს (პაპირუსს) იყენებდნენ. ამ მიზნით ქალაქის გამოყენება ჩვენში შედარებით გვიან (XI საუკუნიდან) დაიწყო. ამიტომ უძველესი ქართული ხელნაწერები ტყავისგან დამზადებულ ფურცლებზე დაწერილი ტექსტებია. მათი ერთი ნაწილი პალიმფსესტებად ინოდება (პალიმფსესტი ეტრატის ისეთი ფურცელია, რომელიც გადაფხეკის ან გადარეცხვის შემდეგ ხელახლა გამოიყენებოდა სანერ მასალად). მიუხედავად იმისა, რომ

ნაშლილ ტექსტზე ზემოდან გადაწერილი ახალი ტექსტი პალიმფსესტების ამოკითხვას ართულებს, სპეციალისტები მაინც ახერხებენ ეტრატზე თავდაპირველად დაწერილი ტექსტის, პალიმფსესტის ე.წ. ქვედა ფენის ნაკითხვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ქართული ენის ადრეული პერიოდის ენობრივ თავისებურებათა შესასწავლად. ქართული პალიმფსესტები, რომელთა რაოდენობა მცირე არ არის, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ სამეცნიერო თუ სამონასტრო ცენტრების წიგნთსაცავებშია დაცული. უნდა ითქვას, რომ ამ მასალის კვლევისთვის გამოყენება მხოლოდ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან გახდა შესაძლებელი. იმ პალიმფსესტების აღმოჩენა, რომლებიც საქართველოში არსებულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში არის შენახული, ივანე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება. ეს პალიმფსესტები შეიცავენ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩვენი ენისა და მწერლობის ისტორიის დასადგენად, რადგან ამით დოკუმენტურად დასტურდება V-VI საუკუნეებში ქართულ ენაზე მწერლობის არსებობა და შესაძლებელი ხდება იმდროინდელი ქართული ენის თავისებურებათა განსაზღვრა.

როგორ დამკვიდრდა ტერმინები „ხანმეტი“ და „ჰამეტი“

აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1920 წელს ივარაუდა მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ქართული ენის რომელიღაც დიალექტში ხ- პრეფიქსის არსებობა და ეს ვარაუდი სულ მალე დადასტურდა კიდევ. 1923 წელს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ II ტომში დაიბეჭდა მისი გამოკვლევა „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში.“ მკვლევარმა ყურადღება მიაქცია ძველ ქართულ წარწერებში დადასტურებულ ზმნურ ფორმებს – შეხენიე, შეხუაბთ, ხეყავ – და, ასევე, ტოპონიმს – ხერთვისი. მეცნიერმა აღნიშნული ტოპონიმი დაუკავშირა



აკაკი შანიძე

ერთვის ზმნას, რასაც მიანიშნებს ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულში – ხერთვისი – აღნიშნავდა ორი მდინარის, ან მდინარის ზღვასთან შეერთებით წარმოქმნილ ნახევარკუნძულს. გეოგრაფიული სახელი – ხერთვისი – ნაზმნარი სახელია იგი უნდა მომდინარეობდეს **ხერთვის** ზმნური ფორმისგან, სადაც **ხ** არის მესამე ობიექტური პირის ნიშანი. ბოლნისისა და მცხეთის წარწერებში დადასტურე-

ბული ფორმების (ხეყავ, შეხენიე და შეხუაბთ) ანალიზის შედეგად აკაკი შანიძემ დაასკვნა, რომ ამ ზმნებს **ხერთვის** ზმნასთან ერთად შემოუნახავთ ნაშთები მესამე ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ და ისინი **არის** ზმნის მე-2 პირის ფორმაში (**ხ-არ**) სუბიექტური პირის გამომხატველი პრეფიქსის ანალოგიურია. ეს ორი პრეფიქსი – სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირისა, მართალია, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა მორფოლოგიურად, მაგრამ თანაბარ ფონეტიკურ პირობებში ერთის ხმარება რომელიმე სახით მეორის იმავე სახით ხმარებასაც გულისხმობდა. სწორედ ამიტომ, თუ გვაქვს სუბიექტური მე-2 პირის გამომხატველი **ხ** პრეფიქსი **ხ-არ** ზმნაში, მოსალოდნელი იყო, რომ აღმოჩნდებოდა ანალოგიური ფორმები, სადაც იგივე პრეფიქსი მესამე ობიექტური პირის ნიშნად გვექნებოდა. აკაკი შანიძე წერდა, რომ „ხარ, ხერთვის, ხეყავ, შეხენიე და შეხუაბთ ფორმები ერთი მეორეს მხარს უჭერენ და ამჟღავნებენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს ანუ კილოს ეკუთვნიანო“. მეცნიერის ეს სიტყვები შესანიშნავი მოწმობაა მისი საოცარი ანალიტიკური ნიჭისა და უნარისა. ხუთიოდე ზმნური ფორმის განხილვის შედეგად მან ივარაუ-

და ქართული ზმნის უღლების არქაული სახის არსებობა, რაც მალევე დადასტურდა სათანადო წერილობითი ძეგლებით.

ამ წერილობითი ძეგლების აღმოჩენა კი მეორე დიდ ქართველ მეცნიერს – ივანე ჯავახიშვილს ხვდა წილად. 1922-1923 წლებში ივანე ჯავახიშვილმა აღმოჩინა და ამოიკითხა ქართული კულტურისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტები, რომლებსაც შემდეგ ხანმეტი პალიმფსესტები ეწოდა. ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მეცნიერებისათვის. VI-VII საუკუნეებით დათარიღებული ეს ძველი ქართული ხელნაწერები ქართული დამწერლობათმცოდნეობის, ენათმეცნიერების, მწერლობისა და კულტურის ისტორიისთვის პირველხარისხოვანია და სადავო საკითხების გადაჭრის საშულებას აძლევდა ქართველოლოგებს. მათი სწორედ ეს მნიშვნელობა იყო ხაზგასმული ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაშიც – „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის.“

ივანე ჯავახიშვილის აღმოჩენამ შეაძლებინა აკაკი შანიძეს სწორად აეხსნა იქამდე სადავოდ ქცეული ტერმინის – ხანმეტის მნიშვნელობა. ეს ტერმინი დასტურდება გიორგი მთაწმინდელის ნარედაქციევი ოთხთავის ანდერძში, სადაც დიდი მთარგმნელი საუბრობს სახარების ქართული თარგმანის ორ რედაქციაზე – ხანმეტურ და საბანძინდურ სახარებებზე. მკვლევართათვის დიდხანს გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა ამ ანდერძში გიორგი მთაწმინდელის მიერ დასახელებული „ხანმეტური სახარება“, ამიტომაც ამასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ამ ტერმინის მნიშვნელობა საბოლოოდ გაარკვია აკაკი შანიძემ. მან სწორედ წინასწარ გამოთქმული საკუთარი ვარაუდისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი პალიმფსესტური ხელნაწერების გამოვლენის შემდეგ ნათელყო, რომ გიორგი მთაწმინდელი ხანმეტ სახარებას უწოდებდა ოთხთავის ისეთ ტექსტს, რომელშიც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნებად ხ- პრეფიქსი იხმარებოდა. ეს პრეფიქსი გიორგი მთაწმინდელის დროს, XI საუკუნეში (ალბათ უფრო ადრეც), ზედმეტად

ალიქმებოდა (ანუ ხანმეტ სახარებაში ასო ხანი იყო ზედმეტი). ასე დამკვიდრდა ტერმინი „ხანმეტი“ ისეთი ტექსტების აღსანიშნავად, რომლებშიც ხანის ზედმეტობა აშკარად ვლინდებოდა. საზოგადოდ, ხანმეტ ტექსტს უწოდებენ ისეთ ტექსტს, რომელშიც სისტემურად არის გატარებული სუბიექტური მე-2 და ობიექტური მე-3 პირის ნიშნებად (ასევე ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში) ხ- პრეფიქსის გამოყენება. ტერმინ ხანმეტის მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმორჩენილ უძველეს პალიმფსესტურ ხელნაწერებსაც ეს ენობრივი თავისებურება ახასითებდათ, ამიტომაც მათ ხანმეტი პალიმფსესტების სახელით მოიხსენიებენ მეცნიერებაში. ამ ტერმინის მიხედვით შეიქმნა თვითონ ამ ენობრივი მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინი – ხანმეტობაც.

* * *

1923 წელს აკაკი შანიძემ მიაკვლია პალიმფსესტს, რომელიც VIII საუკუნით თარიღდება და შეიცავს ძველი რედაქციის ლექციონარის ტექსტს. ამ ძეგლის ენა იმით იყო საყურადღებო, რომ მასში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების გამოსახატავად იხმარება არა ხანი, არამედ ჰაე, რომელიც ხშირად ხმოვნების წინაც კი იყო შენარჩუნებული (ჰიცოდე, მიჰუგო, ჰუბრძანა, დაჰუტევა და სხვ.). მაშასადამე ამჯერად ჰაე აღმოჩნდა ზედმეტი. სწორედ ამიტომაც ამ ძეგლის ენისთვის დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებას აკაკი შანიძემ ხანმეტობის ანალოგიით ჰაემეტობა უწოდა, თვითონ ტექსტს კი ჰაემეტი ლექციონარი. მსგავსი ჰაემეტი ფორმები მეცნიერმა 897 წელს გადანერილ ადიშის ოთხთავშიც გამოავლინა, მოგვიანებით კი ერთი ჰაემეტი ფორმა (აღჰუმართე) დადასტურდა სოფელ წყისეში აღმორჩენილ 616-619 წლით დათარიღებულ წარწერაშიც. საზოგადოდ, ხანმეტი ტექსტები უფრო მეტია შემორჩენილი, ვიდრე ჰაემეტი ტექსტები, თუმცა მათი მნიშვნელობა ძალიან დიდია ქართული ენის ისტორიის მკვლევართათვის, რადგან კარგად წარმოგვიდგენენ სალიტერატურო ქართული ენის

განვითარების გზას. ჰაემეტი ლექციონარი აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ III ტომში (1923 წ.) და ამით ძველი ქართული ენის ეს უნიკალური ძეგლი ხელმისაწვდომი გახდა მეცნიერთა ფართო წრისათვის.

* * *

1926 წელს, იმავე „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VII ნომერში დაიბეჭდა კიდევ ერთი ხანმეტური ტექსტი, VIII საუკუნის მანუსკრიპტი, რომელიც „ხანმეტი მრავალთავის“ სახელით არის ცნობილი. ეს პალიმფსესტური ხელნაწერი აკაკი შანიძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ფონდში აღმოაჩინა (ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – S 3902) და მერვე საუკუნის პირველი ნახევრით დაათარილა. ტექსტის გამოცემას უძღვის გამომცემლის საყურადღებო წინასიტყვაობა, სადაც აკაკი შანიძე მიუთითებს ძველი ქართული წერილობითი ძეგლების გამოსაცემად მომზადებასა და მათ პუბლიკაციასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე და, ფაქტობრივად, აყალიბებს ამგვარი ტექსტების გამოცემის წესს. მის მიერ გამოცემულ ტექსტს ერთვის ძეგლის ენის შესახებ გამოკვლევა, ხელნაწერის რამდენიმე გვერდის ფოტოასლი და შესადარებელი მასალა სხვა, მერმინდელი მრავალთავებიდან. მიუხედავად იმისა, რომ „ხანმეტ მრავალთავში“ სრული სახით არ შენახულა არცერთი ჰომილეტიკური თხზულება (ანუ ეკლესიის მამათა მიერ წარმოთქმული ქადაგებები), აკაკი შანიძემ შეძლო დაედგინა, რომ კრებული შეიცავს იოანე ოქროპირის, ივლიანე ეპისკოპოსის, ევსუქი ხუცესის თხზულებათა ფრაგმენტებს, ასევე ოთხი თხზულების ნაწყვეტს, რომელთა ავტორები სევერიანე გაბალონელი და ანთიპატროს ბოსტრელი არიან. თავისთავად, „ხანმეტი მრავალთავის“ აღმოჩენა უდიდესი მოვლენა იყო, რადგან ამ ძეგლმა არსებითად შეცვალა ჩვენი მეცნიერების წარმოდგენა უძველეს პერიოდში ქართული ლიტერატურის შინაარსისა და მოცულობის შესახებ. „ხანმეტი მრავალთავი“ არის თვალსაჩინო მოწმობა ძველი ქარ-

თული მწერლობის მრავლფეროვნებისა. იგი ადასტურებს მერვე საუკუნის შუა წლებისათვის ქართულ ენაზე მრავალი ჰომილეტიკური და აგიოგრაფიული თხზულების არსებობას და მისი განვითარების საკმაოდ მაღალ დონესაც.

* * *

აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება ძველი ქართული წერილობითი ძეგლების უთვალსაჩინოესი ნიმუშის – „ხანმეტი ლექციონარის“ – მეცნიერული შესწავლა და გამოცემა. ეს ხელნაწერი, დღეს, რამდენიმე სხვა ქართულ მანუსკრიპტთან ერთად, ავსტრიაში, გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება; თავის დროზე კი, სავარაუდოდ, სინის მთიდან წამოღებული ულამაზესი მრგვლოვანი (ასომთავრული) ანბანით შესრულებული ეს უძველესი ხელნაწერი წიგნი გრაციის უნივერსიტეტის პროფესორთან, ცნობილ ქართველოლოგ ჰუგო შუხართთან მოხვედრილა. ავსტრიელმა მეცნიერმა ამ ხელნაწერის შესახებ დაწერილი თავისი გამოკვლევა 1927 წელს აკაკი შანიძეს გამოუგზავნა თბილისში (დაიბეჭდა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VIII ნომერში). ჰუგო შუხართის ნაშრომის გაცნობამ აკაკი შანიძე დაარწმუნა, რომ უცხოელ მეცნიერს ხელთ ჰქონდა აქამდე უცნობი ხანმეტი ხელნაწერი, რომელიც ლექციონარის ტექსტს შეიცავდა. მალე მან გრაციის უნივერსიტეტიდან ხელნაწერის ფოტოასლებიც მიიღო და მის შესწავლას შეუდგა.

ხელნაწერი მეშვიდე საუკუნეში პალესტინაში უნდა იყოს შექმნილი და მოგვიანებით გადატანილი სინის მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში. იქიდან ის როგორღაც სიძველეებზე მონადირე საქმოსნების ხელში აღმოჩენილა, რომლებიც იმხანად საკმაოდ სარფიანად ჰყიდდნენ ძველ ფოლიანტებს. ასე მოხვდა ავსტრიაში რამდენიმე ქართული მანუსკრიპტიც, მათ შორის „ხანმეტი ლექციონარიც“, რომელიც ჩვენამდე მოღწეული ხანმეტი ტექსტებიდან ყველაზე ძველი არაპალიმფსესტური ხელნაწერია. მართალია, მხოლოდ მისი მცირე ნაწილი, სულ 29 ფურცელი შემოგვრჩა (მათგან 27 დაცულია გრაცში, 1 პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში,

1 ფურცელი კი დიდ ბრიტანეთში, ბირმინგემში), მაგრამ ეს ნიგნი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიაში. სწორედ ამიტომ ამ ძეგლის პუბლიკაციით ჩაეყარა საფუძველი აკაკი შანიძის მიერ დაარსებულ სერიას „ძველი ქართული ენის ძეგლები“, რომლის პირველ ტომად 1944 წელს დაიბეჭდა „ხანმეტი ლექციონარის“ ფოტოტიპიური გამოცემა წინასიტყვაობით, გამოკვლევითა და სიმფონია-ლექსიკონით.

უძველესი პალიმფსესტები, რომლებიც მოწმობენ ბიბლიური ნიგნების ქართულად არსებობას უკვე V-VI საუკუნეებში

აკაკი შანიძემ გამოსცა და შესაბამისი სამეცნიერო აპარატი დაურთო კიდევ ერთ ხანმეტ ტექსტს, რომლის ფოტოები მან მიიღო კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, სადაც ეს მანუსკრიპტი დღემდე ინახება. ესაა ორი პალიმფსესტური ფურცელი, სადაც მეცნიერმა ამოიკითხა იერემიას წინასწარმეტყველების უძველესი ქართული თარგმანის ფრაგმენტები. აკაკი შანიძის გამოკლევა ტექსტიტურთ 1937 წელს დაიბეჭდა „ენიკის მოამბის“ II ნომერში სათაურით „ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები“. ეს ხელნაწერი, ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ხანმეტი იერემიას ოქსფორდულ ფრაგმენტებთან ერთად, მოწმობს ბიბლიის ძველი აღთქმის ნიგნების ქართულად არსებობას უკვე V-VI საუკუნეებში. ის, რასაც აკაკი შანიძე ამ ხელნაწერის შესახებ წერს, ფრიად ნიშანდობლივი და ბევრი სხვა ქართული ხელნაწერის თავგადასავლის მსგავსი ისტორიაა: „პირდაპირ საკვირველია მისი ბედი: ქართული ნიგნი, დანერილი დაახლოებით მეექვსე საუკუნეში, ალბათ, იერუსალიმში მეთერთმეტე საუკუნეში დაუხვევიათ და სანერ მასალად გამოუყენებიათ ებრაელებს თალმუდისთვის. მისი მერმინდელი ისტორიიდან ისლა ვიცით, რომ მე-19 საუკუნის მინურულში იგი აღმოუჩენიათ კაიროს სინაგოგის გენიზაში. ერთ ფურცელს იერუსალიმზე გამოგ-

ლით ოქსფორდამდე მიუღწევია, ხოლო ორი ფურცელი კემბრიჯის უნივერსიტეტისათვის შეუძენიათ.“

უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერი, რომელშიც ნუსხური ანბანის გამოყენება დასტურდება

უძველესი ქართული ხელნაწერი წიგნი, რომლის გადანერვის თარიღად 864 წელია მითითებული, „სინური მრავალთავის“ სახელით ცნობილი ხელნაწერია. მრავალთავი საუფლო და მთელი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებული წმინდა მამათა ქადაგებების, ანუ ჰომილიების, აგიოგრაფიული, აპოკრიფული და, რიგ შემთხვევებში, ეგზეგეტიკური თხზულებების კრებულია. კრებულის სახელწოდება „მრავალთავი“, რომელიც პირველად სწორედ სინურ მრავალთავზე დართულ ანდერძში დასტურდება, „ოთხთავის“ ანალოგიით უნდა იყოს შექმნილი. ამ ჰომილეტიკურ-აგიოგრაფიულ კრებულში სხვადასხვა დასახელების მრავალი თავი, ანუ თხზულებაა შეტანილი. „სინური მრავალთავი“, რომელშიც 18 ავტორის 50 ნაწარმოებია შეტანილი, იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრა-

სინური მრავალთავი

864 წლისა

სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა

აკაკი შანიძის

რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით



Handwritten signatures and notes, including the text "მხლავს 11 ტაბულა" (contains 11 tables).



ში გადაწერეს და მაშინვე შესწირეს სინის მთას, სადაც ის დღემდე ინახება წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში (სწორედ ამიტომაც ეწოდება მას „სინური მრავალთავი“). ამ მანუსკრიპტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული დამწერლობის და ჩვენი კულტურის ისტორიაში – ის არის ყველაზე ძველი ხელნაწერი, რომელშიც ნუსხური ანბანის გამოყენება დასტურდება. მოგეხსენებათ, IX საუკუნემდე მხოლოდ ასომთავრული ანბანით შესრულებული ძეგლები გვაქვს. „სინური მრავალთავის“ მთელი ტექსტიც (274 ფურცელი) ასომთავრული ანბანითაა დაწერილი, მაგრამ მასზე დართული გადამწერის ანდერძი დაწერილია ნუსხურით, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ანბანის ამ სახეობის გამოყენების პირველი შემთხვევაა ხელნაწერებში. გარდა ამისა, როგორც თარიღიანი წერილობითი წყარო, „სინური მრავალთავი“ საყრდენია ორთოგრაფიისა და ენის, განსაკუთრებით ლექსიკისა და გრამატიკის საკითხების, ისტორიულ ასპექტში კვლევისას. იგი საყრდენია ქართული პალეოგრაფიისა და ქართული წიგნის მორთულობის საკითხების შესწავლისთვისაც.

„სინურ მრავალთავს“ ჰყავს რამდენიმე გადამწერი (3 ან 5), მათ შორის ამონა, ვახთანგ მოძარღულის ძე, მაკარი ლეთეთელი და პიმენ კახი. ახლავს ვრცელი ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერის შექმნის ინიციატორი მაკარი ლეთეთელია (სავარაუდოდ, გრიგოლ ხანძთელის მოწაფე). 981 წელს წიგნი მესამედ შეუმოსავს (ყდაში ჩაუსვამს) იოანე ზოსიმეს, რომელიც წიგნის სახელსაც გვაუწყებს („შეიმოსა წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა ჴელითა

იოანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა“, მასვე ხელნაწერის ბოლო გვერდზე ჩაუწერია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

ამ ძეგლის მეცნიერულ პუბლიკაციას 1959 წელს „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების“ მე-5 ტომად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, არამედ საერთოდ ჩვენი კულტურის ისტორიის კვლევისთვის.

ოთხთავის ძველი ქართული რედაქციების პირველი მეცნიერული პუბლიკაცია

ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული მწერლობის ჩასახვა, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიური წიგნების თარგმნასთანაა დაკავშირებული. ძველი და ახალი აღთქმის წიგნების უძველესმა თარგმანებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული სამწერლობო ენის ჩამოყალიბებისა და დახვეწის საქმეში. სწორედ ბიბლიის ენა მიაჩნიათ ეტალონად შემდგომი ეპოქების ქართველ მწერლებსა თუ მთარგმნელებს, ამიტომ ქართული ენის ისტორიის კვლევა შეუძლებელია ბიბლიის პირველი ქართული თარგმანების, მათი ენის, წარმომავლობის საფუძვლიანი და კონკრეტული კვლევისა და ამ კვლევის შედეგად მოპოვებული ობიექტური მასალის გარეშე.

ბიბლიურ წიგნთა ქართული ვერსიები მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას ადრიდანვე იქცევდა, ოღონდ ამ კვლევას დიდად აფერხებდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა ამ წიგნების მეცნიერული გამოცემები. სანდოდ დადგენილი ტექსტის გარეშე კი შეუძლებელია გადაწყდეს ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა ბიბლიის ქართული თარგმანების უცხოენოვან წყაროებთან დამოკიდებულება და ქართული თარგმანების სხვადასხვა რედაქციების ურთიერთმიმართება, მათი თარგმნის დრო და სხვ. აკაკი შანიძემ მტკიცე ბალავარი დაუდო ამ უდიდეს საქმეს. მან დაიწყო ახალი აღთქმის უპირველესი წიგნის – ოთხთავის ქართული

რედაქციების მეცნიერული პუბლიკაცია. 1945 წელს თავის მოწაფეებთან, ილია აბულაძესა და ივანე იმნაიშვილთან თანამშრომლობით, გამოსაცემად მოამზადა ოთხთავის სამი უაღრესად საინტერესო თარიღიანი ხელნაწერი – ადიშის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ.) და პარხლის (973 წ.) ოთხთავები და დაბეჭდა მის მიერ დაარსებულ სერიაში „ძველი ქართული ენის ძეგლები“ ასეთი სათაურით: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით.“ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სახარების ქართული თარგმანის საეტაპო და საინიშუშო გამოცემა. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ნუსხა შატბერდშია გადანერილი და არც მათი გადანერის დროა დიდად დაშორებული ერთმანეთისგან, აღმოჩნდა, რომ ისინი ტექსტობრივად დიდ განსხვავებას გვიჩვენებენ. არსებითად კი საქმე გვაქვს ორ რედაქციასთან – ერთი წარმოდგენილია ადიშის ხელნაწერში, მეორე კი – ჯრუჭისა და პარხლის ნუსხებში. სწორედ ამიტომ, აკაკი შანიძემ ამ ორი რედაქციის შემცველი ტექსტი გამოცემაში ცალცალკე სვეტებად წარმოადგინა, ხოლო მათი ვარიანტები და მცდარი ნაკითხვები სქოლიოში მოათავსა. ამით მან საქმის ვითარება უფრო ნათელი გახადა და გამოცემის მნიშვნელობა საგრძნობლად გაზარდა. გაიკვია, რომ ჯრუჭ-პარხლის რედაქცია დასდებია საფუძვლად ოთხთავის ათონურ რედაქციას (გულგატას), ამიტომ აკაკი შანიძემ ჯრუჭ-პარხლის



აკაკი შანიძე

რედაქციას პროტოვულგატა უწოდა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ზოგჯერ თვით ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერთა შორისაც შეინიშნება არსებითი ხასიათის განსხვავებები. ამ გარემოებამ მისცა საფუძველი აკაკი შანიძეს, ევარაუდა, რომ ერთ-ერთი პუნქტუაგანი, სადაც ოთხთავის ქართული ტექსტი სწორდებოდა, შატბერდი იყო.

გამოცემის წინასიტყვაობაში აკაკი შანიძემ მოკლედ, მაგრამ ფრიად საინტერესოდ მიმოიხილა თითოეული ხელნაწერი, მათი ისტორია და მათთვის დამახასიათებელი ზოგი მნიშვნელოვანი ენობრივი თავისებურება. მკვლევართა დიდი ნაწილის მოსაზრებით, სწორედ ოთხთავია ის წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა. ამ მოსაზრებას მხარს უმაგრებს V—VII საუკუნეებით დათარიღებულ პალიმფსესტებში აღმოჩენილი სახარების ხანმეტური ფრაგმენტები. აკაკი შანიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახარება-ოთხთავების ტექსტების პუბლიკაციას, რომელთაც ის, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის ისტორიის წყაროებად მიიჩნევს, ამიტომაც ცდილობს ხელნაწერთა ჩვენების ზუსტად წარმოდგენას. როგორც აკაკი შანიძე წერს, „ამ გამოცემით გარკვეულწილად ამოივსო ის ნაკლი, რომელიც იგრძნობოდა სალიტერატურო ქართულის სათავეების შესწავლის დარგში“. აკაკი შანიძის დაწყებული საქმე გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა და დღეს უკვე გვაქვს ახალი აღთქმის ყველა წიგნის მეცნიერული გამოცემები.

ბიბლიის უძველესი თარიღიანი ქართული ხელნაწერის – ოშკის (ათონის) ბიბლიის გამოცემა

აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება უძველესი თარიღიანი ხელნაწერი ბიბლიის – ათონის, იგივე ოშკის ბიბლიის გამოცემის დაწყებაც. ეს უნიკალური ხელნაწერი – ძველი აღთქმის წიგნების უძველესი კრებული – შეიცავს ეტრატის 954 ფურცელს, დაწერილია ნუსხური ანბანით ოშკში იოანე თორნიკ-ყოფილის დაკვეთით ათონის მთაზე ახლდაარსებული ქართული მონასტრისათვის და დღემდე ინახება მის წიგნთსაცავში.

ათონის (ოშკის) ბიბლია სპეციალისტთა ყურადღებას იმთავითვე იქცევდა, მათ შორის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისას. 1913 წელს ამ ხელნაწერის მიხედვით დაბადების (შესაქმის) წიგნის ტექსტის გამოსაცემად მომზადება დაე-

ვალა ივანე ჯავახიშვილს, გამოსვლათა წიგნისა – აკაკი შანიძეს და ლევიტელთა – იოსებ ყიფშიძეს. გადაწყდა, რომ ეს წიგნები ცალ-ცალკე დაბეჭდილიყო. აკაკი შანიძემ მალევე მოამზადა გამოსაცემად გამოსვლათა წიგნის ტექსტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაიწყო კიდევაც წიგნის აწყობა, მაგრამ მსოფლიო ომმა და მისმა შემდგომმა ამბებმა ხელი შეუშალეს ამ საქმის ბოლომდე მიყვანას. მოგვიანებით აკაკი შანიძე მიუბრუნდა ბიბლიის ტესტის პუბლიკაციას და 1947 წელს „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიის მე-4 ნომერში ორ ნაკვეთად დაბეჭდა „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“ 1947 წელს – დაბადებისა და გამოსვლათა წიგნები, ხოლო 1948 წელს – ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთის, იობისა და ესაიას წიგნები. სამწუხაროდ, ათონის ბიბლიის აკაკი შანიძისეული გამოცემა ამით შეწყდა, თუმცა ტექსტი მთლიანად იყო გადმოწერილი და გამოსაცემად მომზადებული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი შანიძის ამ გამოცემამ დიდი იმპულსი მისცა ძველი აღთქმის წიგნთა ქართული ვერსიების პუბლიკაციას, როგორც ცალკეული წიგნების, ისე მთლიანი ბიბლიის სახით.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის შესწავლა აკაკი შანიძის სახელს უკავშირდება

1083 წელს ბიზანტიის დიდმა დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანისძემ ბულგარეთში დააარსა მონასტერი ქართველებისათვის, რომელიც პეტრიწონის მონასტრის სახელით არის ცნობილი (დღევანდელი ბაჩკოვო). გრიგოლმა თავის დაფუძნებულ მონასტერს შეუდგინა წესდება (ტიპიკონი), რომელიც იმთავითვე დაიწერა ორ ენაზე – ქართულად და ბერძნულად. ტიპიკონის ვერცერთ ენაზე დაწერილმა დედანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მისი გვიანდელი ნუსხები კი საკმაოდ მნიშვნელოვან სხვაობებს გვიჩვენებენ. წესდების ორი ტექსტიდან მეცნიერთათვის პირველად ხელმისაწვდომი გახ-



პეტრინონის მონასტერი

და ბერძნული, მაგრამ არა პირვანდელი ტექსტი, არამედ მისი XVIII საუკუნეში ახალ ბერძნულ ენაზე შესრულებული თარგმანი. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ამ ძეგლის ძველი ხელნაწერი, წესდების ქართულ ტექსტთან ერთად, დაცული იყო კუნძულ ხიოსზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში.

1949 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში, რომლის შემადგენლობაში სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად შედიოდა აკადემიკოსი აკაკი შანიძეც. აღმოჩნდა, რომ ხიოსზე დაცული ხელნაწერი მე-13 საუკუნისა იყო და წარმოადგენდა გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ შედგენილი ტიპიკონის დედნიდან გადანუსხულ პირს, რომელიც დიდად განსხვავდებოდა ტიპიკონის იქამდე ცნობილი ბერძნული ტექსტისგან. გაირკვა, რომ მონასტერი გრიგოლ ბაკურიანისძეს მხოლოდ ქართველთათვის დაუარსებია და ბერძნებს იქ დამკვიდრება აკრძალული ჰქონდათ, გარდა ერთი მწერლისა, რომელსაც მიმოწერა უნდა ეწარმოებინა მონასტერსა და ადგილობრივ საერო ხელისუფლებას შორის. მონასტრის დამაარსებლის აზრით, ასეთი აკრძალვა უნდა ყოფილიყო ბერძენთა შევიწროებისაგან თავდაცვის ერთგვარი საშუალება. გრიგოლის შიში საფუძვლიანი გამოდგა, პეტრინონის მონასტერში ბერძნები თანდათან მომრავლდნენ და მალე ხელშიც ჩაიგდეს ქართველთათვის აშენებული სავანე. XIX საუკუნეში, როდეს-

საც ბულგარეთი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისგან, დაისვა საკითხი, ვის ხელში უნდა გადასულიყო პეტრინონის მონასტერი, რომელსაც, ქართველების ნაცვლად, წინააღმდეგ მისი დამაარსებლის სურვილისა, ბოლო ხნის მანძილზე ბერძნები მართავდნენ. სადავო საკითხის გადაწყვეტა, ცხადია, შეეძლო ტიპიკონს, მაგრამ მონასტრის დაკარგვით შეშინებულმა ბერძნებმა აქამდე პეტრინონში შენახული ეს დოკუმენტი არ გამოაჩინეს, გადამალეს, როგორც ჩანს, გადასცეს კორაისის სახელობის ბიბლიოთეკას კუნძულ ხიოსზე. სწორედ ეს ხელნაწერი, რომელშიც წესდების ბერძნული და ძველი ქართული ტექსტები ერთად აკინძული აღმოჩნდა, შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა. ტიპიკონის ძველი ბერძნული ტექსტი შეისწავლა, ქართულად თარგმნა და გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, ქართული ტექსტის შესწავლას კი აკაკი შანიძე შეუდგა. ხელნაწერის დეტალური შესწავლის შემდეგ 1971 წელს აკაკი შანიძემ „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიის XIII ტომად გამოსცა აღნიშნული ტიპიკონის ქართული ტექსტი ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ, რომელსაც დაურთო რუსული თარგმანიც, რათა ის მოსაზრებები და არასწორი მონაცემები, რომლებიც ბერძნული რედაქციის წაკითხვის შემდეგ გაუჩნდებოდა მკითხველს, გაბათილებულიყო და დედნიდან გადანერილი ტექსტი ხელმისაწვდომი გაეხადა ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აღნიშნულ გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრინონის მონასტრის ისტორიისათვის, რადგან იგი უცილობელი საბუთია მთელი რიგი გაურკვეველი საკითხის გადასაწყვეტად. მას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს, არამედ ბულგარეთისა და ბიზანტიის ისტორიისთვისაც. ცხადია, ტიპიკონის ქართული ტექსტი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული სალიტერატურო ენის შესაწავლად. იგი შედგენილია მეთერთმეტე საუკუნეში და, ძირითადად, ძველი ქართული ენის ნორმების დაცვით არის დაწერილი. ტექსტის შესახებ დაწერილ გამოკვლევაში აკაკი შანიძემ მიმოიხილა ძეგლისთვის დამახასიათებელი ორთოგრაფიულ-გრამატიკული თავისებურებანი და მდიდარი ლე-

ქსიკური მასალა. აკაკი შანიძეს ნაშრომისთვის „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“ 1972 წელს მიანიჭეს ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო პრემია.

* * *

აკაკი შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი სფეროა ეპიგრაფიკა. მეცნიერმა არაერთი ძველი ქართული წარწერა ამოიკითხა, გამოიკვლია, დაათარილა და გამოსცა (ბოლნისის, მცხეთის, მანგლისის, არადეთის, საჰაკდუხტის, ხუნამისის, ბარანის ციხის ქართული წარწერები, სამენოვანი წარწერა გრემში და სხვ.). უნდა ითქვას, რომ იგი იკვლევდა უძველეს და მრავალი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ძეგ-



ლებს. ხშირად წარწერის პუბლიკაციას ახლავს ვრცელი ფილოლოგიურ-ისტორიული ხასიათის კომენტარები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან როგორც ეპიგრაფიკულ ძეგლის ენაზე, ისე ქვეყნის ისტორიისთვის წარწერის მონაცემთა მნიშვნელობის შესახებ.

აკაკი შანიძე არა მარტო გამომცემელი იყო ქართული

ენის ძეგლებისა, არამედ მათი უდიდესი მოამაგეც. მას არაერთი უძვირფასესი ძველი ქართული ხელნაწერი თუ ისტორიული საბუთი უხსნია დალუპვისგან. მაგალითად მხოლოდ ერთის, IX საუკუნის ხელნაწერის „უდაბნოს მრავალთავის“ დასახელებაც საკმარია, რომელიც აკაკი შანიძემ 1920 წელს გურიაში, სოფელ უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში იპოვა და თბილისში ჩამოიტანა (ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). ვისაც ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი გადაუკითხვას, ხშირად წაანწყებოდა ასეთ ცნობას: „იპოვა აკაკი შანიძემ“, „აღმოაჩინა აკაკი შანიძემ“, „შემოწირულია აკაკი შანიძის მიერ“.

დიდ ქართველ მეცნიერზე საუბარი მინდა ისევ ძველი ქართველი მთარგმნელების სიტყვებით დავასრულო, რადგან თავისი მოღვაწეობით, ამ მოღვაწეობის მრავალმხრივობით, მასშტაბითა და მნიშვნელობით აკაკი შანიძის შედარება სწორედ ძველ ქართველ მნიგნობართა, უპირველეს ყოვლისა კი – ექვთიმე და გიორგი ათონელების ღვანლთან არის შესაძლებელი: „გამოჩნდა იგი სამკაულად ნათესავთა ჩუენისა და განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაჲ ჩუენი“.

ესაუბრა **ნინო კაკულია**
 გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
 რედაქტორი, ჟურნალისტი

12

აკაკი შანიძის გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალურობა

(გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პროფესორი **ელგუჯა ხინთიბიძე**)

აკაკი შანიძეს ვეებერთელა ღვაწლი აქვს რუსთველოლოგიაში. იგი ძირითადად იკვლევს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ ერთეულებს, რაც თავმოყრილია წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები“. მასში ცალკეული სიტყვების საინტერესო და მნიშვნელოვანი განმარტებებია მოცემული. სხვას რომ თავი დავანებოთ, აკაკი შანიძე არის შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონისა. მართალია, ძველ ხელნაწერებში არსებობს ლექსიკონები, რომლებიც ვახტანგ მეექვსის განმარტებების მიხედვითაა შედგენილი, მაგრამ მეცნიერულ ეპოქაში „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი ჯერ იუსტინე აბულაძემ შექმნა და შემდეგ აკაკი შანიძემ.

აკაკი შანიძის მუშაობა „ვეფხისტყაოსანზე“ რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მისი წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, რომელიც 1930-იან წლებში მიმდინარეობდა. საქმე ისაა, რომ 1937 წელს ჩატარდა „ვეფხისტყაოსნის“ დიდი იუბილე და მას, მანამდე, წლების განმავლობაში, წინ უძღოდა დაძაბული მუშაობა პოემის ტექსტის დასადგენად. ამ მიზნით შეიქმნა საქართველოში დიდი კომისია, რომელსაც კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე ხელმძღვანელობდნენ. იმ პერიოდში პოლემიკა იყო გამართული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ საკითხებზე: საკუთრივ რუსთველისეული ტექსტისა და ეგრეთწოდებული გაგრძელებების ერთმანეთისაგან გასამიჯნად. სწორედ აკაკი შანიძის კვლევების საფუძველზე გადაწყდა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ამ კომისიის მუშაობაში, და შემდეგ რუსთველოლოგიაშიც. კერძოდ, აკაკი შანიძემ აღადგინა ვახტანგ მეექვსის მიერ 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“.



აკაკი შანიძე

რას ნიშნავს ეს? ჩვენამდე ამ გამოცემის სულ რამდენიმე ეგზემპლარია მოღწეული – სულ რაღაც ორი ათეული, მაგრამ, ამავე დროს, მათი დიდი ნაწილი დეფექტურია და ერთმანეთისგან უნდა შეივსოს. ბუნებრივია, ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა იმ პერიოდშიც. აკაკი შანიძემ აღადგინა ვახტანგ მეექვსის გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, ჩამოასხმევინა იმავე ტიპის შრიფტი, მისცა მას ნიგნის იგივე ფორმა და, ფაქტობრივად, თავიდან გამოსცა. შემდეგ ეს ნიგნი ფოტოპირულად რამდენჯერმე განმეორდა და გამოიცა.

პოემის ტექსტზე მუშაობამ აკაკი შანიძეს გადააწყვეტინა რუსთველოლოგიის ერთი დიდი პრობლემა, რომლის ნინაშეც იდგა მაშინ მეცნიერება: ზოგადად, ჩვენამდე მოღწეული იყო პოემის ვრცელი ვარიანტები გაგრძელებებით (თუმცა, ეს გაგრძელებებიც, ყველა, ან ზოგი მათგანი, მეცნიერთა ერთ ნაწილს რუსთაველისეულად მიაჩნდა). ვახტანგ მეექვსის მიერ 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ კი გვანჯედის პოემის სხვა, მოკლე რედაქციას, მას არ ახლავს გაგრძელებები. ამან მეცნიერებში სხვადასხვა მოსაზრება წარმოშვა. ერთი მოსაზრებით, სამეფო კარზე არსებობდა რაღაც ტექსტი, რომელიც გადაიბეჭდა; ამიტომ ვახტანგის მიერ გამოცემული შემოკლებული ტექსტი ყველაზე სანდოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ნინაშე დადგა პრობლემა: გადასაწყვეტი იყო – ეს რედაქცია, რომელიც ვახტანგ მეექვსის ნაბეჭდ ტექსტშია მოცემული, ძველი ხელნაწერებიდან მოდიოდა (ანუ უშუალოდ ძველი ხელნაწერების გადაბეჭდვა იყო), თუ ვახტანგისდროინდელი კომისიის კრიტიკულად ჩარევის შედეგად იყო გადამუშავებული და შემოკლებული? აკაკი შანიძემ ძალიან საინტერესოდ

გადაწყვიტა ეს პრობლემა: საქმე ისაა, რომ 1712 წლის გამოცემას ახლავს ვახტანგ მეექვსის მიერ დაწერილი – „თარგმანება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ (თარგმანება ნიშნავს განმარტებას). ვახტანგი განმარტებას იწყებს ძველი წესის მიხედვით – თავიდან, ანუ თანმიმდევრულად მიჰყვება ტექსტს და ბოლომდე განმარტავს მას.



მეცნიერმა შენიშნა, რომ ვახტანგი იმ ტექსტსაც განმარტავს, რომელიც 1712 წლის გამოცემაში არაა დაბეჭდილი. მაშასადამე, არავითარი სხვანაირი სამეფო „ვეფხისტყაოსანი“ არ არსებობდა და ტექსტი იქიდან არ გადმოუბეჭდავთ. აკაკი შანიძის დაკვირვებით დადგინდა, რომ ვახტანგ მეფის დროინდელი კომისია კრიტიკულად ამუშავებდა პოემის ძველ ხელნაწერებს. ეს აზრი შემდგომ სხვა კვლევებითაც დამტკიცდა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ აკაკი შანიძე ირაკლი აბაშიძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად იყო წევრი იმ ექსპედიციისა, რომელმაც 1960 წელს იერუსალიმში იპოვა შოთა რუსთაველის ფრესკა. მათ დიდი სამუშაო გასწიეს ამისთვის. ჩვენ ადრინდელი ჩანაწერებით ვიცოდით, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკა არსებობდა, მაგრამ ნიკო მარის მოგზაურობის შედეგად, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში შედგა, გამოიკვია, რომ რუსთაველის ფრესკა უკვე გადაღებული იყო. 1960 წლის ექსპედიცია ბრწყინვალე შედეგით დასრულდა – მათ ნახეს სავარაუდო ადგილი მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე, ჩამოაცილეს იმ ადგილს საღებავი და გამოჩნდა შოთა რუსთაველის ფრესკა წარწერით: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვენ ღმერთმან ამინ!“ აკაკი შანიძის დასკვნების საფუძველზე არის დადგენილი, რომ ფრესკაზე გამოსახულია ის პირი, რომლის ალაპი იმავე მონასტრის მოსახსენებელთა წიგნში შეტანილია შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სახელით.

ასევე უალრესად მნიშვნელოვანი იყო შემდეგი, 1966 წლის იუბილეს პერიოდი. მაშინაც დიდხანს იმუშავა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ, რომლის ერთ-ერთი წევრი აკაკი შანიძე იყო. ამ საიუბილეო სამზადისს პოემის რამდენიმე გამოცემა მოჰყვა. ამავე პერიოდში გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“ აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით. ეს „ვეფხისტყაოსანი“ არის ის, რომლითაც მეცნიერები დღესაც ვსარგებლობთ. მაგალითად, ჩემს ყველა შრომაში ეს გამოცემაა მითითებული, რადგან იგი აკადემიურ გამოცემასთან ყველაზე ახლოსაა. ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-აკადემიური გამოცემა არ გვაქვს. აკადემიურ გამოცემაში საჭიროა შეტანილ იყოს მეცნიერულად დადგენილი ტექსტი და, ამავე დროს, ყველა ხელნაწერისა და გამოცემის ვარიანტები, ანუ, – რომელი სიტყვა თუ სტროფი რომელ ხელნაწერში როგორ იკითხება. მას უნდა ახლდეს ლექსიკონი და ტექსტოლოგიური შენიშვნები. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაში შეტანილია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და ყველა სტროფს ახლავს ხელნაწერებისა და ძველი გამოცემების ვარიანტები. რასაკვირველია, ეს გამოცემაც არ არის სრულყოფილად აკადემიური. როგორც ჩანს, მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ კიდევ გააგრძელებდნენ ამ მიმართულებით მუშაობას, რადგან წიგნს გარეკანზე აწერია: „ვეფხისტყაოსანი“ I“. მეორე ნაწილში უნდა ყოფილიყო ლექსიკონი და კომენტარები, რაც აღარ განხორციელდა. მაგრამ დღეისათვის ყველაზე უფრო ახლოს აკადემიურ გამოცემასთან სწორედ ეს „ვეფხისტყაოსანია“. აკაკი შანიძე ბევრ სიტყვას, ბევრ კონტექსტს განმარტავს სრულიად ახლებურად, რაც ჩვენ გვაძლევს არა მარტო სტიმულს, არამედ ჩვენს წინაშე სვამს დიდ და ახალ საკითხებს შემდგომი კვლევისათვის.

მომამზადა **მაია ტორაძემ**

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
მთავარი სპეციალისტი, ჟურნალისტი

13

ღვანელი ქართული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის წინაშე

აკაკი შანიძემ დიდი შრომა გასწია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის გამოსაცემად, რომლის დასაბეჭდად მომზადება იოსებ ყიფშიძემ დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა. 1928 წლის გამოცემას უძღვის აკაკი შანიძის ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც წარმოჩენილია საბას ლექსიკონის მნიშვნელობა ქართული ენისთვის. აკაკი შანიძეს დაბეჭდილი აქვს საყურადღებო დიალექტური მასალა (ხევსურული პოეზია, ქართული კილოები მთაში) და ლექსიკონები. მათგან მნიშვნელოვანია რამდენიმე: მთის კილოთა ლექსიკონი, ვაჟაფშაველას ოთხტომეულისათვის შედგენილი ლექსიკონი, ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოსაცემად მომზადებულ „იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრების“ ტექსტზე დართული ლექსიკონი, „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემისთვის შედგენილი ლექსიკონი და სხვ. მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს ათობით შრომა ქართული დიალექტოლოგიის, ასევე ქართული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის საკითხებზე.



მარცხნიდან:
ზურაბ ჭუმბურიძე,
მზექალა შანიძე,
აკაკი შანიძე,
იან ბრაუნი.
60-იანი წლები.

დიდი ადამიანის გადაწყვეტილება

(აკაკი შანიძის ყოფილი სტუდენტის, ამჟამად ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის **ზურაბ ჭუმბურიძის** მოგონება)

მე იმ პერიოდის სტუდენტი გახლავართ, როცა საბჭოთა კავშირში ომი მძვინვარებდა. მაშინ, როგორც ბევრ სხვა პოეზიით გატაცებულ ახალგაზრდას, მეც მეგონა, რომ პოეტი ვიყავი და ჩემი ინტერესებიც ფილოლოგიის ფაკულტეტს უკავშირდებოდა; მაგრამ ისე მოხდა, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე შევედი 1944 წელს. პარალელურად, ექსტერნად ვესწრებოდი ლექციებს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რადგან განზრახული მქონდა – სწავლა იქ გამეგრძელებინა. პირველ კურსზე ბატონი აკაკის ლექციები არ მომისმენია, მე მას, როგორც ლექტორს, მხოლოდ მეორე კურსზე შევხვდი.

დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა. ყველამ ვიცოდით, რომ აკაკი შანიძე გახლდათ ის მოღვაწე, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების სათავეებთან იდგა ივანე ჯავახიშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, შალვა ნუცუბიძესთან, დიმიტრი უზნაძესთან, ანდრია რაზმაძესთან, იოსებ ყიფშიძესთან, პეტრე მელიქიშვილთან და სხვებთან ერთად. ისიც ვიცოდით, რომ ბატონი აკაკი დიდი მეცნიერი იყო, რადგან ვეცნობოდით მის ნაშრომებს და მისი გრამატიკით ვსწავლობდით.

რადგან კავკასიური ენების სპეციალობით განვაგრძე სწავლა, მეორე კურსზე ლექციის ჩასატარებლად შემოვიდა ბატონი აკაკი. ეს იყო პირველი კორპუსის მესამე სართულზე, მნ-ე აუდიტორიაში, სადაც ასზე მეტი ადამიანი ეტეოდა. ბევრი სტუდენტი შემოდიოდა აკაკი შანიძის ლექციაზე, ესწრებოდნენ ექსტერნებიც, ასპირანტებიც და ახალგაზრდა მეცნიერებიც.

მესამე კურსზე მე უკვე კავკასიური ენების სპეციალობით ვსწავლობდი და ბატონმა აკაკიმ ძველი ქართული ენა წავვიკითხა. იგი ძალიან კარგი მოსაუბრე იყო და საინტერესო ლექციაც ჰქონდა. მახსოვს, რომ, გარდა პროგრამული საკითხებისა, ხშირად საუბრობდა ისეთ თემებზე, რასაც



ზურაბ ჭუმბურიძე და მზექალა შანიძე

წიგნებში მაშინ ნაკლებად ამოიკითხავდი. მაგალითად, გვესაუბრებოდა თავისი მასწავლებლის, ნიკო მარის მოღვაწეობაზე, დიალექტებზე, საინტერესო კვლევებზე.

ქართული ენის კათედრის ორად გაყოფის მთავარი მიზეზი


ერთი ძალიან საგულისხმო ამბავიც უნდა გავიხსენო – როცა უნივერსიტეტი დაარსდა, 1918 წელს, ქართული ენის კათედრას ახალგაზრდა პროფესორი იოსებ ყიფშიძე ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მას არ დასცალდა დანყებული საქმის განვითარება და ბოლომდე მიყვანა, რადგან 1919 წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ კათედრა აკაკი შანიძეს ჩააბარეს და დაახლოებით 25 წელი ხელმძღვანელობდა იგი უდიდეს საქმეს, რასაც ქართული ენათმეცნიერების განვითარება ჰქვია.

მოგვიანებით მან კათედრა ორად გაყო, რასაც თავისი წინაპირობა ჰქონდა: მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი მაშინ პროფესორთა და ლექტორთა ნაკლებობას განიცდიდა, რის

გამოც უნივერსიტეტის დამფუძნებლები ცდილობდნენ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები შეერჩიათ და საპროფესოროდ მოემზადებინათ. ასეთ ნიჭიერ კადრებად მოიაზრეს მათ არნოლდ ჩიქობავა (რომელიც უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებული იყო, ვინც დისერტაცია აქ დაიცვა), ვარლამ თოფურია და სიმონ ჯანაშია. ბატონი სიმონი თავად ივანე ჯავახიშვილმა დაიტოვა, ხოლო არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია ფილოლოგიის ფაკულტეტზე დარჩნენ. ეს გახლდათ, მართლაც, საამაყო სამეული, რომლებმაც თავიანთი მასწავლებლების დაწყებული გზა გააგრძელეს და სკოლები შექმნეს. ქვეყანაში და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გამო ბატონმა ვარლამმა ძალიან გვიან დაიცვა დისერტაცია, მაგრამ ამ დროისთვის კათედრაზე მისთვის, ფაქტობრივად, ადგილი არ იყო. აქ გამოიჩინა აკაკი შანიძემ შესაშური კოლეგიალობა – მან მოითხოვა ქართული ენის კათედრის ორად გაყოფა. თავად ძველი ქართული ენის კათედრას ჩაუდგა სათავეში, ხოლო ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელობა ვარლამ თოფურიას დაუთმო. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, ასეთი რამ მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ და ასეთი დიდი ადამიანი იყო ბატონი აკაკიც.

მომთხოვნი და შეუვალი ხელმძღვანელი

აკაკი შანიძე და მისი შრომები, გარკვეულწილად, მაპროვოცირებელი გახდა ჩემი სამეცნიერო მომავლისაც. როგორც ვთქვი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დროს ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექციებსაც ვესწრებოდი ექსტერნად, მაგრამ ბატონი აკაკი იმ წელს ჩვენთან არ შემოსულა და არც ვიცოდი, რომ მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა მწკრივთა თეორია. მას შემდეგ, რაც გადავედი ფილოლოგიაზე, გამოცდა უნდა ჩამებარებინა ქართულ ენაში და ჩემით მოვემზადე. გამოცდას იბარებდა სტეფანე ჩხენკელი, რომელმაც მკითხა ზმნის სერიები და მწკრივები. მე ეს არ ვიცოდი და ამიტომაც საკმაოდ ცუდი შედეგით გამომაბრუნა უკან. განმეორებითი გამოცდისთვის განსაკუთრებულად



აკაკი შანიძე ლექციაზე

მოვემზადე – ცხადია, ვისწავლე სერიები და მწკრივებიც. გამოცდა ამჯერად თავად ბატონმა ვარლამ თოფურიაშვილმა ჩაიბარა და იმდენად მოეწონა ჩემი პასუხები, რომ გამომკითხა – საიდან ვიყავი, რა ინტერესები მქონდა. მანვე შემომთავაზა ენის მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. ამის მერე მივედი ბატონ არნოლდ ჩიქობავასთან და გადავედი კავკასიურ განყოფილებაზე.

შემდგომში ჩემი და ბატონი აკაკი შანიძის თანამშრომლობა რამდენჯერმე შედგა. ის გახლდათ მომთხოვნი და შეუვალი ხელმძღვანელი, არაფრით არ გაპატიებდა რაიმე საკითხის მიფუჩჩეებას; გენდობოდა, მაგრამ ყველაფერს თავიდან ბოლომდე გულდასმით ამოწმებდა. ერთ თანამშრომლობას გავიხსენებ: ჩვენ ერთად ვმუშაობდით უდაბნოს მრავალთავზე – ეს გახლავთ ქართული ხელნაწერი, რომელიც გადაწერილა შატბერდში და აკაკი შანიძემ ჩამოიტანა 1920 წელს უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან. მანვე იპოვა ამ ხელნაწერის რამდენიმე ფრაგმენტიც. ამ წიგნზე,

რომელსაც ასე ჰქვია – „უდაბნოს მრავალთავი“ – მთელი კათედრა მუშაობდა და რედაქტორები ვიყავით მე და ბატონი აკაკი. ნიგნი დაიბეჭდა 1994 წელს, როცა ბატონი აკაკი უკვე ცოცხალი აღარ იყო (ნიგნზე ასევე მუშაობდნენ ლელი ბარამიძე, კორნელი დანელია, რუბენ ენუქაშვილი, ივანე იმნაიშვილი, ლევან კიკნაძე, მზექალა შანიძე), მაგრამ მანამდე ეს ნიგნი მის ხელში მზადდებოდა გამოსაცემად. ამ ტექსტზე მუშაობა ათეულობით წელი მიმდინარეობდა. მე ჯერ კიდევ ასპირანტი ვიყავი, როცა უდაბნოს მრავალთავის ტექსტის ნაწილი მომცა შესასწავლად. შემდეგ მთელი კათედრა ჩაერთო მის კვლევაში და გამოსაცემად მომზადებაში. ისეთი ბედი დაჰყვა ამ ნიგნს, რომ ძალიან გვიან გამოიცა, თუმცა ყველაფერი, რაც მასშია მოცემული, შეთანხმებული იყო ბატონ აკაკისთან.

ძალიან სასიამოვნო ადამიანი იყო, სიცოცხლით სავსე, გულისხმიერი და ყურადღებიანი. არ უყვარდა, როცა საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდი. ერთი პერიოდი, როცა ასპირანტურის ბოლო კურსზე გახლდით და დისერტაცია ჯერ დაცული არ მქონდა, ბატონი ნიკო კეცხოველის რეკომენდაციით, მუშაობა დავინწყე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“. ბატონი აკაკისთვის, რომელიც ჩემი ხელმძღვანელი იყო, ამის შესახებ არ მითქვამს. ცხადია, დიდ დროს ვატარებდი გამომცემლობაში და ეს ამბავი ბატონი აკაკის ყურამდეც მივიდა. ერთ დღესაც დამირეკა – სად ბრძანდებითო? ვუპასუხე სადაც იყავი და გამწყრალმა მითხრა – ახლავე მობრძანდით ჩემთან, ვინ მოგცათ დისერტაციის შუა გზაზე მიტოვების უფლებაო. დამიშალა მუშაობა და მართალიც იყო – მე რომ მუშაობა გამეგრძელებინა, დისერტაციას ველარ დავწერდი. ასე განსაზღვრა ბატონმა აკაკიმ ჩემი ცხოვრების გზა, რომლის დიდი ნაწილიც ამ დიდი მეცნიერის გვერდით გავატარე.

მომზადდა **მაია ტორაძემ**

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
მთავარი სპეციალისტი, ყურნალისტი


15

1930 წლიდან მას საქართველოს მასწავლებელს უწოდებდნენ

(აკაკი შანიძის ასპირანტის, ამჟამად ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ
თაღო უთუხრაიძის მოგონებები)

პირველად, როგორც სტუდენტი, ბატონი აკაკის ლექციებს ძველი ქართული ენის გრამატიკაში ვისმენდი. ეს იყო მესამე კურსზე – დაახლოებით 1948 წელს. იმ დროს აკაკი შანიძეს უკვე განთქმული ჰქონდა სახელი, როგორც დიდ მეცნიერს და არც გამკვირვებია, რომ აუდიტორია, რომელშიც ლექციებს კითხულობდა, გადაჭედილი იყო – 100 კაცზე მეტი იჯდა, მათ შორის ასპირანტები და მეცნიერებიც. საინტერესო ლექციები ჰქონდა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, სემესტრის განმავლობაში ხალხი ნელ-ნელა აკლდებოდა. ბოლოს აქა-იქ იხსდნენ ხოლმე. მერე, ასპირანტი რომ გაეხდი, თავად ბატონმა აკაკიმ მითხრა ამის მიზეზი – ასპირანტებს რომ ვხედავ აუდიტორიაში, ლექციას მათთვის ვკითხულობ და სტუდენტისთვის ეს ცოტა ძნელი გასაგებიაო.

ერთი-ორს თუ მოვძებნით ჩვენს ისტორიაში იმ დონის მეცნიერს, როგორც აკაკი შანიძე გახლდათ. გარდა კილოების შესწავლისა, მან გრამატიკაში უამრავი საკითხი დაალაგა სტრუქტურულად, მათ შორის, შემოიტანა ზმნის მთელი რიგი კატეგორიები, ესენია: ჯერობის, გეზის, ორიენტაციისა და სხვა კატეგორიები. როცა ენაში კატეგორია შემოდის, მას დამტკიცება უნდა. ბატონმა აკაკიმ კი ახალი კატეგორი-



აც შემოიტანა და ძველიც დახვენა. შემთხვევითი არაა, რომ 1930 წლიდან მას საქართველოს მასწავლებელს უწოდებდნენ, რადგან ათწლეულების განმავლობაში სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართულს მისი გრამატიკით ასწავლიდნენ.

ბატონი აკაკი ბრწყინვალე პედაგოგი იყო. მან, ბევრ სხვა მონაფესთან ერთად, აღზარდა ვარლამ თოფურია და არნოლდ ჩიქობავა, როგორც მსოფლიო დონის მეცნიერები.

1950 წელს მეც მისი ასპირანტი გავხდი. წესად ჰქონდა – ყოველ ხუთშაბათს მასთან უნდა ვყოფილიყავით და წარგვედგინა – რა გავაკეთეთ. განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას წყაროებთან მუშაობაზე. მას სწავლების თავისებური მეთოდი ჰქონდა. მაგალითად, ერთხელ მომცა „იონანე ოქროპირის ცხოვრება“ (რომელიც ნუსხა-ხუცურითაა ნაწერი) – გადაწერე და მომიტანეო. გადავწერე 12-გვერდიანი რვეული და მივედი. წაიკითხა და არ მოეწონა – ორ ადგილას მითხრა – შენ ამ ტექსტში იყურები და მე ვხედავო, ანუ, რაც ტექსტში ეწერა, არ იყო სწორად, მე უნდა მივმხვდარიყავი და გამესწორებინა. ამით მაიძულა, რომ კრიტიკულად წამეკითხა ტექსტი – თუ დამწერს რალაც გრამატიკული შეცდომა ჰქონდა, სქოლიოში უნდა ჩამეტანა და სწორად დამეწერა. შემდეგ უკვე „პროხორეს ცხოვრება“ (მრგლოვანით დაწერილი ტექსტი) გადამაწერიდა რამდენიმეჯერ.

არასოდეს გაგიშვებდა გამოცდაზე ისე, რომ ჯერ თავად არ შეემოწმებინა, რამდენად მომზადებული ვიყავით – მახსოვს, სვანურს რომ ვაბარებდი, თავისი ჩაწერილი ტექსტები მომცა – მითარგმნეო. მკაცრი არ იყო, მაგრამ, მასთან შეღავათიც წარმოუდგენელო რამ გახლდათ. მახსოვს, ერთი გამოცდის დროს ჩვენი კურსელი შევიდა გამოცდაზე და 5 წუთში გარეთ გამოუშვა – კონკრეტული დავალების მიცემის შემდეგ მიხვდა, რომ ნამუშევარი არ ჰქონდა. მე რომ გამომცადა, ყველაფერი ზედმინევნით კარგად ვუპასუხე და მოვეწონე, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა – ბოლოს მითხრა – ათონზე წამიყვანეო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ის გეოგრაფიული მარშრუტი უნდა მეჩვენებინა, რომლითაც ექსპედიციის შემთხვევაში (ფეხით) ავიდოდით ათონზე. მე კი არ ვიცოდი და ვუთხარი – თვითმფრინავით მოგვინევს წასვლა-მეთქი. ამის გამო ოთხიანი დამინერა.

ძალიან სამართლიანი იყო. მახსოვს, რაღაც წერილი დავწერეთ მე და ალექსი ჭინჭარაულმა, რომელშიც ვაკრიტიკებდით კაცს, რომელიც წერდა: ტექსტები ისე გამოვეცი, როგორც აქამდე იყო გამოცემული, რადგან ის სპეციალისტების ჩაწერილიაო. ჩვენ დავწერეთ, რომ ტექსტებს სწორედ სპეციალისტები იწერენ და შეცდომასაც ისინი უშვებენ-თქო, ამის მაგალითად კი აკაკი შანიძის დაშვებული შეცდომა მოვიყვანეთ. მეორე დღეს ბატონმა აკაკიმ ვიღაც კაცს წარუდგინა ჩემი თავი – ეს ჩემი მოსწავლეა, მაგრამ ახლა აქეთ ისწავლებს. მას არასოდეს აწუხებდა კრიტიკა. როცა მართებული იყო ჩემი მოსაზრება, ასე მომმართავდა: „მართალია, თუშო, მართალი“.

სადისერტაციოდ ჩემს მშობლიურ თუშურ კილოებზე ვმუშაობდი. ბატონი აკაკი სადისერტაციო ხელმძღვანელი გახლდათ და როცა დისერტაცია წარვეუდგინე, ერთ ნაწილზე შემედავა, ზედმეტი იყო. მეც დავეუჯერე და ეს ნაწილი დისერტაციიდან ამოვიღე. ცოტა ხნის შემდეგ იგივე თემა კონფერენციაზე მოხსენების სახით წარვადგინე. გამოვიდა ბატონი აკაკი და დიდად შემაქო. გამიკვირდა, ის ხომ ამ ნაწილში არ მეთანხმებოდა... მერე ფარნაოზ ერთელიშვილისთვის უთქვამს – აჩქარდა თუშო. თურმე ეგონა, რომ ამ ნაწილს დავამუშავებდი და ისე ჩავდებდი დისერტაციაში, მე კი ამოვიღე და ცალკე გამოვეცი.

როგორც პიროვნება, ბატონი აკაკი საოცრად კეთილი ადამიანი იყო. ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება – ვიღაც კაცმა სთხოვა – 200 მანეთი მასესხეო. აკაკიმ უპასუხა, ხელზე მხოლოდ 100 ლარი მაქვს და თუ გეყოფა, არ მენანებაო. დათანხმდა ის კაცი, აიღო 100 ლარი და წავიდა. აკაკი მომიბრუნდა და გამარჯვებული სახით მითხრა: მე ახლა ჩემს თავს 100 ლარი ვაჩუქეო... რატომ, მეთქი და – ეგ ნასესხებ ფულს აღარ აბრუნებს ხოლმე და 200-ის დაკარგვას 100-ის დაკარგვა სჯობდაო...

ესაუბრა **მაია ტორაძე**
 გაზეთ თბილისის უნივერსიტეტის“
 მთავარი სპეციალისტი, ჟურნალისტი

❧ 16 ❧

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ცნობით შექმნილი აკაკი შანიძე და ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილი წერილი



ფოტოზე აღბეჭდილია ვაჟა-ფშაველას სიცოცხლის უკანასკნელი წუთები

აკაკი შანიძე, რომელსაც პირადად ჰქონდა ურთიერთობა ვაჟა-ფშაველასთან და ოთხჯერ შენახვედრიც კი იყო მასთან, შეძრა მისმა გარდაცვალებამ. თავისი გულისწუხილი და ვაჟა-ფშაველას დანატოვარის გამოსაცემად საკუთარი განზრახვანი მან ივანე ჯავახიშვილს გაანდო თავის წერილში.

ძვირფასო ჩემო მოძღვარო ბატონო ივანე!

ეს-ეს არის გაზეთში ამოვიკეთებ გულის გამხეთქი ამბავი ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების შესახებ. ბავშვივით დავინყე ქვითინი. ვაჟა მიყვარდა, მიყვარდა მისი წყაროსავით ანკარა პოეზია და ამიტომ მის სიკვდილის ამბავმა კაცი გამათავა. რა დროსი იყო ჯერ მისი ჩასვენება?

ერთი რამ უნდა გკითხოთ: განსვენებულს იმდენი ნაწერი აქვს, რომ აუარებელი. მათში მრავლად არის გაბნეული მარგალიტი. საჭიროა მათი თავის მოყრა და გამოცემა – გამოცემა რიგიანი და არა ისეთი, როგორც იციან ხოლმე ჩვენში. აზრად მომივიდა (წინადაც ვფიქრობდი და ერთხელ ვაჟასაც კი ვუთხარ) შევკრიბო ყველა მისი ნაწერი, შევისწავლო, დარგებად დავყო (პოეზია, პროზა, პუბლიცისტური ხასიათისა, საეთნოგრაფიო მასალები და სხვა) და გამოვსცე და თან დავურთო შენიშვნები და ლექსიკონი. მინდა აგრეთვე შევკრიბო საბიოგრაფიო მასალები და სხვა – ერთი სიტყვით, რაც კი საჭიროა, რომ გამოცემა რიგიანი გამოდგეს. მაგრამ რაკი ამ საქმეს მალე ვერ შევასრულებ, რადგან სხვა საქმეებით დატვირთული ვარ (მე დარწმუნებული ვარ, რომ ლექსიკონის გამოცემას რომ ვაპირებთ, თითქმის მთელი მისი სიმძიმე ჩვენ დაგვანვება) და თუ ორს წელიწადში დასაბეჭდად მოვამზადე, კარგი უნდა. მე არც კი ვფიქრობდი ამ საქმეს, მაგრამ... მართალი გითხრათ, არავინ მეგულება, რომ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები ისე გამოსცეს, რომ მის ენას არ დაუკარგოს სიმშვენიერე. ჩემი ღრმა რწმენით, ერთნაირად საჭიროა კარგი გამოცემა როგორც ძველის, ისე ახალი სალიტერატურო ძეგლებისა. ამიტომ ვბედავ ვაჟა-ფშაველას, ამ ჩემი სათაყვანებელი მგოსნის, ნაწერების გამოცემას ხელი მოჰკვიდო. როდის დავასრულებ, არ ვიცი, მაგრამ ვეცდები, რაც შეიძლება მალე მოვახერხო. გამოცემაში, რასაკვირველია, სრულებით არ იქმნება სურათები; არა იმიტომ, რომ საჭირო არ იყოს, არამედ იმიტომ, რომ ჯერჯერობით თურმე ჩვენ მწერლის ნაწარმოების დასურათება არ შეგძლება. უნდა იქმნეს რამოდენიმე ტომი...”

1915 წ. VIII. 3 სესტრორეცკი

* * *

ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილ წერილში გამოთქმული განზრახვა აკაკი შანიძეს არ დავინწყებია და – ნაწილობრივ მაინც – იგი შემდგომში შეასრულა: 1922-1933 წლებში ალექსანდრე აბაშელის რედაქციით გამოსულ ვაჟას თხზულებათა ტომებს აკაკი შანიძის ლექსიკონები ერთვის.

წერილის დაწერის დროისათვის აკაკი შანიძეს უკვე დაწყებული ჰქონდა ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა: მთის კილოების შესასწავლად და დიალექტოლოგიური მასალის შეს-

აკრებად მოვლილი ჰქონდა ფშავ-ხევსურეთი, მონაწილეობას იღებდა მუშაობაში ქართული ლექსიკონის შესადგენად. მაგრამ არა მარტო მისმა მეცნიერულმა ინტერესმა მთის კილოებისადმი, არამედ პოეტის გარდაცვალებით გამოწვეულმა მწუხარებამაც გაამჟღავნებინა მას დიდი ხნის სურვილი – შეეკრიბა და გამოეცა ვაჟა-ფშაველას თხზულებანი ისე, რომ მის ენას არ „დაჰკლებოდა სიმშვენიერე“.

(ენათმეცნიერების საკითხები II (VI), თბ, 2000 წ., გვ. 92, მზექალა შანიძის პუბლიკაცია წერილის სრული ტექსტით და კრიტიკული აპარატით).

17

**პირადლ მომსწრე ივანე
ჯავახიშვილის ბარდაცვალებისა**

პროფესორ ვახტანგ გურულის აზრით, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის ურთიერთობა მეცნიერული თუ მოქალაქეობრივი თვალსაზრისით უპრეცედენტოა და ყველა თაობისთვის ზნეობრივ მაგალითად უნდა იქცეს. „როდესაც უნივერსიტეტის დაარსების იდეა მომნიფდა, ამ საქმის სათავეში, განგების ნებით, ივანე ჯავახიშვილი აღმოჩნდა. აკაკი შანიძე მისი თანამოაზრე იყო. მათ შორის უთანხმოება არც დაარსების დროს და არც უნივერსიტეტის მიზნების განსაზღვრისას ყოფილა. იმიტომ კი არა, რომ აკაკი შანიძე უსიტყვოდ ემორჩილებოდა მას, არა, იგი გრძნობდა, რომ ივანე ჯავახიშვილი ზუსტად განსაზღვრავდა უნივერსიტეტის დაარსებისა და მისი განვითარების გზებს. აკაკი შანიძისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების წინა ხანებში, შემდგომ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდშიც შეიძლება გამოიხატოს იმ სიტყვებით, რომლითაც ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ მეფე ფარნავაზს მიმართა. როდესაც ეს ორი დიდი მოღვაწე იწყებდა ძალიან დიდ საქმეს, ქუჯიმ ფარნავაზს შემოუთვალა: – შენ უფალი და მე – მონა! რა თქმა უნდა, ამ ციტატის მნიშვნელობა პირდაპირ არ შეიძლება გავიგოთ. აკაკი შანიძე ივანე ჯავახიშვილის მოწაფედ თვლიდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა, იგივე გააკეთა ქართულ ენათმეცნიერებაში აკაკი შანიძემ. 1940 წელს, როდესაც იგი უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს, უკვე ხანშიშესულმა აკაკი შანიძემ ის კვლავ თავის პედაგოგად მოიხსენია“, – ამბობს ვახტანგ გურული.

1940 წლის 18 ნოემბრის საღამოს 9 საათი და 40 წუთი ის საბედისწერო წუთია, როცა ხელოვნების მუშაკთა სახ-

ლის მსმენელებით გადაჭედული დარბაზის წინაშე დინჯად მჭევრმეტყველ მომხსენებელს ივანე ჯავახიშვილს, ბაგეებზე, მომდგარი წინადადება შუაზე უწყდება და ყველასათვის მოულოდნელად მარტო რჩება სცენაზე ულმობელი სიკვდილის პირისპირ. დარბაზიდან პირველი აკაკი შანიძე – საშინელებით გაოგნებული – სწრაფად აიჭრება სცენაზე და ხელებს მოხვევს უკვე გარდაცვლილ მასწავლებელს. მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვის დღეს შეძლებს აკაკი შანიძე ამ საშინელი წუთით განცდილი მძიმე ტკივილების გამოხატვას: „ყველა იქ მყოფთ ძარღვებში სისხლი გაუშრა, გონება დაეხრა, ყველა შიშის ზარმა აიტანა... მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა. მღელვარება მთელი თბილისი, შორს გაისმა გლოვის ზარი...“

აკაკი შანიძის მიერ წარმოქმული სიტყვა ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე

ძვირფასო მასწავლებლო, სახელოვანო მეცნიერო, ბატონო ივანე!

მე წილად მხვდა უდიდესი მოვალეობა: უკანასკნელი სიტყვა გითხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, იმ უნივერსიტეტისა, რომელსაც შენ ჩაუყარე მკვიდრი საფუძველი.

შენ არაჩვეულებრივი მოვლენა იყავ ჩვენს ცხოვრებაში: შენში თანაბრად შეზავებული იყო ბუნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანისა.

შენ დიდი იყავ, ბუმბერაზი, იყავ იშვიათი ნიჭით, გონების გამჭრიახობით, მრავალმხრივი ცოდნით, ენერგიული შრომით, ფართო საქმიანობით, მდგომარეობით, მოვალეობის შეგნებით, მაგრამ ამასთანავე ერთად შენ გამკობდა და გამშვენებდა ბუნებრივი უბრალოება და მეტისმეტი თავმდაბლობა, რომელიც ეგრე ხიბლავდა ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც რაიმე საქმე ჰქონია შენთან.

დიდო მეცნიერო, შენ მრავალი პირველხარისხოვანი გამოკვლევა დაგვიტოვე: „ქართველი ერის ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „ქართული მუსიკის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ და სხვა და სხვა. მაგრამ შენ მიერ გაკეთებულ

დიდ საქმეებს შორის ყველაზე დიდია და ძვირფასი ის მეთაურობა, რომელიც შენ იკისრე დიდი სამეცნიერო მოძრაობის დროს. ამ მოძრაობის ნაყოფია შენს მიერ საფუძველ-ჩაყრილი უნივერსიტეტი, რომელმაც თავისი წიალიდან რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი წარმოშვა.

სხვა რომ არაფერი გაგეკეთებინა რა, ესეც სრულიად საკმარისი იქნებოდა შენი სახელის უკვდავსაყოფად. მაგრამ შენ აღზარდე მრავალი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც მუდამ კრძალვით და მადლობით ახსენებენ შენს სახელს.



აკაკი შანიძე ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე

დიდო ივანე! შენს მონაფეხებად თვლიან თავს არა მარტო ის პირნი, რომელნიც შენი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ (ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი, ხელოვნების ისტორიკოსები, არქეოლოგები ან ეთნოგრაფები), არამედ მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლებიც: ბუნებისმეტყველები და სხვანი.

ჩვენ ვალად გვაძევს შეუდრეკელი სიარული იმ ფართო სამეცნიერო გზით, რომელიც შენ პირველად გაჰკაფე ჩვენში. ჩვენ ვალად გვაძევს, მთელი ჩვენი ძალღონე შევალით შენს საყვარელ საქმეს – მეცნიერების აყვავებას და ქვეყნის სამსახურს.

ბევრია შენი მადლირი, დიდო მასწავლებლო, კერძოდ მეც დიდად დავალებული ვარ შენგან. პირადად შენთვის მე არასოდეს არ მითქვამს მადლობა იმ დიდი ამაგისათვის, რომელიც შენ განეული გაქვს ჩემზე. ამიტომ ჩემს უძვირფასეს მოვალეობად მიმაჩნია, საჯაროდ მოგახსენო უღრმესი მადლობა შენი დედამიწის ზედაპირზე უკანასკნელი ყოფნის წუთებში.

უღრმესად გმადლობ, ძვირფასო მასწავლებლო!
მშვიდობით, დიდო მეცნიერო და დიდო ადამიანო!

18

აკაკი შანიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ექვთიმე თაყაიშვილის დასაფლავების დღეს



ექვთიმე თაყაიშვილი

ექვთიმე თაყაიშვილის ცხედარი დაკრძალვაზე 48 კაცმა გააცილა. ჩეკისტები იქაურობას თურმე არავის აკარებდნენ. მეცნიერებს უნდოდათ უნივერსიტეტთან გაეჩერებინათ კატაფალკი, რაც მაშინ არ შეიძლებოდა. ქართველ მკვლევარს, იოსებ მეგრელიძეს მძლოლისთვის 30 მანეთი მიუცია – უნივერსიტეტთან გაჩერდი და თქვი – თითქოს მანქანას რაღაც გაუფუჭდაო... მძლოლი ასეც მოიქცა. ბევრი დღემდე წერს, თითქოს ეს მძლოლის

გმირობა იყო, მაგრამ მან არც იცოდა – ვის მიასვენებდნენ. გაზაფხულზე იოსებ მეგრელიძე და აკაკი შანიძე ექვთიმე თაყაიშვილის საფლავზე გასულან. ძლივს მიაგნეს თურმე მის საფლავს. განმინდეს, წარწერაც გააკეთეს და საფლავი გადაარჩინეს.

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას
25. 02. 1953 წ.

ამხანაგებო,
მინას ვაბარებთ ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც მთელი თა-
ვისი სიცოცხლე შესწირა საქართველოს წარსულის შესწავლის
საქმეს.

რამდენი ძვირფასი ნივთი შეუკრებია ექვთიმე თაყაიშვილის დაულალავ შრომასა და შეუნელებელ კვლევა-ძიებას! რამდენი ძვირფასი ძეგლი გადაურჩენია მას დაღუპვისაგან! საკმარისია, მაგალითად, გავიხსენოთ განთქმული ახალგორის განძის ბედი³, „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერის მოპოვების ამბავი⁴, პარხლის ოთხთავის მიკვლევა⁵, რომ ნათლად წარმოგვიდგეს განსვენებულის მუშაობის ხასიათი და მნიშვნელობა.

აურაცხელია ექვთიმე თაყაიშვილის მოპოვებული ცნობები, რომელთაც ნათელი მოჰფინეს ჩვენი წარსულის ბურუსით მოცულ საკითხებს. ასეთია, მაგალითად, „სამი ისტორიული ქრონიკა“⁶, რომელიც მან ახალგაზრდობაში გამოსცა და რომელმაც ერთბაშად მოუხვეჭა სახელი; ასეთია მისი მონაწილეობით და წინასიტყვაობით ფოტოტიპურად გამოცემული ადიშის ოთხთავი 897 წლისა⁷, ასეთებია მრავალრიცხოვანი წარწერები, რომლებიც მან შეკრიბა სხვადასხვა არექოლოგიური მოგზაურობის დროს და გამოაქვეყნა ქართულად და ზოგჯერ რუსული თარგმანით.

ე. თაყაიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ისტორიულად მნიშვნელოვანი ტექსტების გამოცემას: მან გამოსცა მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“, ქართლის მოქცევის ტექსტი (ორივე ვარიანტი, პარალელურად: შატბერდული და ჭელიშური), სუმბატ დავითის ძის ქრონიკა⁸, სიგელ-გუჯრები და სხვა. სხვათა შორის, ამჟამად აწყობილია და მალე დაიბეჭდება მუზეუმის შრომები – ექ. თაყაიშვილის მიერ შესწავლილი და გამოსაცემად დამზადებული ერთი მოზრდილი აპოკრიფი, რომელიც მიუძღვის ქართულის ცხოვრების მაჩაბლისეულ ტექსტს⁹ და სხვა და სხვა.

ე. თაყაიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთი მხარეა ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა. სხვათაშორის მან ვრცლად აღწერა ორ დიდ ტომად 450 ხელნაწერამდე ყოფილის წერაკითხვის საზოგადოების წიგნსაცავისა: კარაბადინები (მათ შორის ცნობილი „წიგნი სააქიმოე“, თამარ მეფის დროს ნათარგმნი ქართულად), ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, „ქილილა და დამანასი“, „ქართლის ცხოვრებისა“¹⁰ და სხვა. არაა გასაკვირველი, რომ ისტორიკოსი ექ. თაყაიშვილი განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა ისტორიულ თხზულებათ, მაგ., მან დიდი გულისმოდგინებით აღნიშნა და დაბეჭდა ვარიანტები ბარათაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ბროსეს გამოცემასთან შედარებით.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე მუშაობამ ექ. თაყაიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ვახტანგ მეფეს (ან მის კომისიას), რომელიმე ერთი ცალი ხელნაწერი კი არ დაუბეჭდავს, არამედ მან

გაცხრილა ვრცელი რედაქციის ხელნაწერი დანართ-ჩანართებისაგან, ე.ი. მან მოგვცა შეძლებისამებრ კრიტიკული გამოცემა. ეს დასკვნა უთუოდ სწორია, როგორც ეს შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1909 წ. ექ. თაყაიშვილმა აწარმოვა საცდელი თხრა არამაზისხევში, და თუმცა მან ბარი იქ დაჰკრა, სადაც პიტიახშების საფლავები აღმოჩნდა 30-იოდე წლის შემდეგ, მაგრამ რაღაც 1 (ერთი) მეტრის დაშორებით საფლავისგან.

ექ. თაყაიშვილის სამეცნიერო კვლევის ობიექტი ქართული პალეოგრაფიის საკითხებიც იყო. მან გამოაქვეყნა 2 პალეოგრაფიული ალბომი⁹, რომლებიც მნიშვნელოვანია მხედრულის ჩასახვისა და განვითარებისათვის.

ექ. თაყაიშვილმა მოიარა მთელი საქართველო და შეკრიბა მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი და ცნობა. ამ ცნობებს ის სისტემებრ აქვეყნებდა ქართულად და რუსულად. ასეთებია, მაგალითად, მისი „Археологические экскурсии, разыскания и заметки“, რომლებიც დაიბეჭდა ხუთ წიგნად (1905-1915), ასეთია მისი არქ. მოგზაურობა სამეგრელოში, ლეჩხუმ-სვანეთში, კოლა-ოლთისში, ჩანგლში და სხვა. ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასია „არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“, რომელიც მოეწყო 1917 წელს ექ. თაყაიშვილის მეთაურობით (ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის მხედრობას დაჭერილი ჰქონდა კარგი მოზრდილი ნაწილი ყოფილი ოსმალთა იმპერიისა). ამ ექსპედიციამ მცირე ხნის განმავლობაში მოახერხა შეეკრიბა ძვირფასი ცნობები ტაო-კლარჯეთში, თორთუმში და პარხალში, გადმოიღო წარწერები, გადაიღო ფოტოსურათები იშხნისა, ოშკისა, ხახულისა, ოთხთა ეკლესიისა, პარხალისა და სხვა. ექ. თაყაიშვილის წიგნი, რომელიც შეიცავს ამ ექსპედიციების შედეგების მიმოხილვას (მრავალი სურათებითურთ), ამ დღეებში გამოვა¹⁰. ეს წიგნი და შიგ მოთავსებული ძეგლები ღალადებენ, თუ რა დიდი უბედურება დაგვატეხეს თავზე თურქებმა ამ ჩვენი ოფლით და სისხლით მორწყული ქვეყნების მიტაცებით და შემდეგ გაპარტახება-გავერანებით.

აქ, რა თქმა უნდა, ვერ ამოვწურავთ ექ. თაყაიშვილის მოღვაწეობის ყველა მხარეს. უნად ვთქვათ მაინც, რომ მან ბევრი გააკეთა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის, რომელიც მან დააარსა და რომლის თავმჯდომარეც იყო¹¹. ეს საზოგადოება, უნივერსიტეტის დაარსებამდე, შეიძლება ითქვას, ერთად-ერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო ჩვენში, რომელიც კრებდა და აქვეყნებდა მასალებს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის.

ე. თაყაიშვილი, როგორც მეცნიერი, ყოველთვის იყო სინდისიერი, ამასთანავე ჩუმი და საქმიანი.

როგორც ადამიანი, ექ. თაყაიშვილი იყო უაღრესად უანგარო და პატიოსანი, რის გამოც ქართველი საზოგადოება დიდ პატივსაცემდა მას.

დღეგრძელი იყო ექ. თაყაიშვილი, მაგრამ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ქვეყნის სამსახურს შეაღია.

ბატონო ექვთიმე, საქართველოს მზის სხივები უკანასკნელად დაგნათის თავზე.

განისვენე მშვიდად, მშვიდო ექვთიმე, შენს სამშობლოში, იმ სამშობლოში, რომელსაც შენ ეგოდენი ამაგი დასდე.

შენიშვნები:

- ¹ ახალგორის განძი 1908 წელს, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. საძეგურთან, მდ. ქსნის ხეობაში. ნაპოვნი ძვირფასეულობა დაიტაცეს კერძო პირებმა. ნივთების ნაწილი კავკასიის მუზეუმისთვის შეისყიდა ექ. თაყაიშვილმა.
- ² ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ექ. თაყაიშვილმა ნაგავში აღმოაჩინა „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც პირველად მანვე გამოსცა 1920 წელს.
- ³ ხაშურის მახლობლად, ზემო ჭალაში, მღვდელ სუხიაშვილთან, 1889 წელს, ექ. თაყაიშვილმა აღმოაჩინა პარხალის სახარება, რომელიც მის იმჟამინდელ მეპატრონეს გორიდან წამოეღო, ადრე კი ივ. აბაშიძის ქვრივს ეკუთვნოდა. მღვდლის გარდაცვალების შემდეგ ოთხთავი გაქრა. 1922 წელს გერმანიის კონსულმა უნივერსიტეტში მიიტანა სახარება, სურდა შექენა, შესაბამისად გარკვევა, თუ რას წარმოადგენდა იგი. კ. კეკელიძისა და ა.შანიძისაგან გაიგო ხელნაწერის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის, რის შემდეგაც უარი თქვა თავის გადაწყვეტილებაზე.
- ⁴ „სამი ისტორიული ქრონიკა“, რომლის წინასიტყვაობა შეიცავს რამდენიმე ცალკე სტატიას, ექ. თაყაიშვილმა გამოსცა ქართულად 1890 წელს, რუსულად – 1900 წელს.

- 5 ადიშის სახარების პირველი გამოცემა ეკუთვნით პ. უვა-როვას, ალ. ხახანაშვილს და ექ. თაყაიშვილს ამ უკანასკნელის წინასიტყვაობით: „Материалы по Археологии Кавказа“, изд. Московского Археологического Общества, Москва 1916 г. ადიშის სახარება შემდეგაც გამოიცა. იხ.: ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1945 წელი.
- 6 ექ. თაყაიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ვარიანტი სამი დამატებითურთ გამოსცა 1906 წელს, ქართლის მოქცევის შატბერდული და ჭელიშური ვარიანტები 1912 წელს, ხოლო სუმბატ დავითის ძის ქრონიკა პირველად გამოიცა 1890 წელს, მეორედ – 1900 წელს, ხოლო მესამედ – 1949 წელს.
- 7 „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 1953 წ., ტ. 17-. ესაა უშუალოდ ექვთიმეს მიერ სამეცნიერო ორგანოსათვის გადაცემული უკანასკნელი ნაშრომი.
- 8 „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения~ т. I, 1902-1904. т. II, 1906-1912. ექ. თაყაიშვილის აღწერილობის ტომეულებს მაღალი შეფასება მისცეს ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ. „Какое же это описание? настоящее исследование“-ო! – იხსენებს ექვთიმე მარის სიტყვებს. (ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1968, ტ. 1, გვ. 338). მართლაც, ორივე მათგანი მოიცავს სხვადასხვა სახის მრავალი წერილობითი ძეგლის ვრცელ აღწერილობას, რასაც, ბუნებრივია, მაღალ შეფასებას აძლევს ა.შანიძე. ჩაფიქრებული იყო აღწერილობის გაგრძელება, მაგრამ ეს არ განხორციელებულა.
- 9 პალეოგრაფიული აღბომის პირველი რვეული 1909 წელს გამოსცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ „საქართველოს სიძველეთა“ II ტომის დამატებად, მეორე რვეული კი გამოვიდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში – 1920 წელს, როგორც იმავე საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმის ერთობლივი გამოცემა.

- ¹⁰ როგორც მ. ლორთქიფანიძის მოგონებიდან ჩანს, ა. შანიძეს ექვთიმეს საფლავზე დასრულებული წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი მიუტანია და თავისი სიტყვის ბოლოსთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაზაც დაუმატებია ზეპირად.
- ¹¹ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1907-1921 წლებში ექ. თაყაიშვილი უძღვებოდა. ბატონი ექვთიმეს მიერ ქვეყნის დატოვების შემდეგ ამ მოვალეობას საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი დ. კარიჭაშვილი ასრულებდა. ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ბოლო კრება 1920 წლის 26 აპრილს ჩატარდა, ხოლო 1921 წლის 17 აპრილიდან მას უკვე დ. კარიჭაშვილი თავმჯდომარეობდა. 1922-1931 წლებში კი საზოგადოებას სათავეში ივ. ჯავახიშვილი ედგა (რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (ისტორიული ნარკვევი, მასალები), გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1982 წ., გვ. 121) და არსებობის ბოლომდე ღირსეულად ხელმძღვანელობდა.

ამონარიდი წიგნიდან „ღიღი ექვთიმე“

❧ 19 ❧

ექსპედიცია იერუსალიმში და რუსთაველის პორტრეტის მიკვლევა

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთერთ სვეტზე გამო-სახული შოთა რუსთაველის ფრესკა 1845 წელს ნიკოლოზ ჩუბინაშვილს ფანქრით გადმოუხატავს. მანამდე ის ტიმოთე გაბაშვილს უნახავს თავისი აღმოსავლური მოგზაურობის დროს (ფრესკა მის ჩანაწერებში უფრო ადრეც იხსენიება). შემდეგ ალექსანდრე ცაგარელმა ნახა 1883 წელს, შემდეგ პეტრე კენჭოშვილმა 1899 წელს, ხოლო ერთი წლის შემდეგ იერუსალიმში ჩასულ ნიკო მარს გადაღესილი კედელი დახ-ვდა – ქართველთა მოხშირებული სტუმრობით შეშფოთებ-ულმა ბერძნებმა სავანეში ქართველთა ნაკვალევის ნაშლა დაინყეს...

„ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დავეკარგეთ. ამათ აღარა უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. აქ უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრების, ნუ იქტ, ნუ და-კარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთი ტრაპეზეს დასადები ადგილი იშოვნოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ. თუ იერუსალიმი დაგეკარგე-ნიან, რასლა სჯული და რასლა პირჯვრის წერა გექნებათ,“ – ამ წერილს საქართველოში წერს თანამემამულეებს წმინდა მინაზე მოღვაწე ერთ-ერთი უკანასკნელი მონაზონი მართა.

და აი, 1960 წელს – იერუსალიმის ჯვრის მონასტერ-ში ქართველთა ექსპედიცია ჩადის აკაკი შანიძის, გიორგი წერეთელისა და ირაკლი აბაშიძის მონაწილეობითა და თაოს-ნობით. როდესაც აკაკი შანიძე გიორგი წერეთელთან და ირაკლი აბაშიძესთან ერთად იერუსალიმში რუსთაველის პორტრეტის მისაკვლევად გაემგზავრა, უკვე 70 წელს იყო გადაცილებული. ირაკლი აბაშიძე მოგვიანებით იხსენებდა: ჩვენ გვეშინოდა, ვაითუ ვერ იაროს, ხანშიშესულია, აკაკი კი ჩვენზე წინ გარბოდაო.



გიორგი წერეთელი,
აკაკი შანიძე და
ირაკლი აბაშიძე
იერუსალიმის ჯვრის
მონასტერში შოთა
რუსთაველის ფრესკის წინ.
1960 წ.

„ისრაელში ღამით, 24 ოქტომბერს დავეშვიტ... მივედით ჯვრის მონასტერთან. სულგანაბული მივადექით გალავნის უზარმაზარ ქვაბში მოთავსებულ რკინის კარებს, ზედ საბელით დაკიდული რკინის ჩაქუჩით მივაკაკუნეთ. გალავნის კარები გაიღო. მივადექით მეორე, რკინის ძველ კარებს. მოიტანეს ვეებერთელა უძველესი გასაღები, ორივე ხელით გადაატრიალეს საკეტში და კარი მძიმედ გაიღო. შევდგით იქ ფეხი. ვეძგერეთ ტაძრის მოხატულობას, ფრესკებს, წარწერებს. აქ ხომ, ცაგარელის ცნობით, ბევრი ქართული ფრესკა და წარწერა უნდა იყოს... მოუსპიათ... დავაგვიანეთ, ასი წლით მაინც დავაგვიანეთ – მწუხარედ ამბობს აკაკი შანიძე.

იქ მოზაიკის იატაკზე ჩაჭედილი ლითონის დისკი შევნიშნე, ზედ ქართული ასომთავრული წარწერით. გავძახი აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელს, ისინიც მოვიდნენ... ამოვიკითხეთ: „დექით მტკიცედ და შეურყევლად“. შემოვუარეთ ირგვლივ სვეტს, სადაც რუსთაველის ფრესკა გვეგულება.

მე და აკადემიკოსი გიორგი წერეთელი მონასტრის მარჯვენა სვეტს მივადექით. სად უნდა ყოფილიყო აქ დიდი

შოთას პორტრეტი?... შემოვუარეთ სვეტს ირგვლივ, შემოვუარეთ საკურთხეველის მხრიდანაც. გიორგი წერეთელი კითხულობს ბერძნულად: „მაქსიმე აღმსარებელი“, „იოანე დამასკელი“. სწორედ აქ, აი, აქ უნდა იყოს რუსთაველიც, – ვამბობთ ჩვენ. წმინდანთა შორის დარჩენილი ადგილი დღეს მთლიანად ლურჯი, შავი საღებავებითაა დაფარული, მაგრამ, აი, აქ, ეტყობა, რაღაც უნდა ყოფილიყო და შემდეგ შეგნებულად წაუშლიათ. კარგად ვაკვირდებით ამ ადგილს: ერთგან, საღებავის ქვეშ, რაღაც ძნელად გასარჩევი კვალია ამობურცული. ჩვენ დიდხანს შევცქერით ამ კვალს, აკაკი შანიძეც თავს ანებებს თავის საქმეს და ჩვენ გვიერთდება. სასწრაფოდ სანთელს ვანთებთ და ამობურცულ ადგილს გვერდიდან ვაშუქებთ. ამობურცული ადგილები სინათლის შუქზე გარკვეულ ჩრდილს გვაძლევენ. დაბეჯითებით, თვალმოუშორებლად ვაკვირდებით სვეტის ამ ადგილს და ჩვენი მეცნიერები ხმადაბლა, დაფარული მღელვარებით მოულოდნელად კითხულობენ: „ამსა დამსატი“... „ამისა დამხატავსა“, უსათუოდ „ამისა დამხატავსა“ – ამბობს გიორგი წერეთელი, – აქაა წარწერა, ცნობილი წარწერა, მივაგენით! მე აღფრთოვანებული ვახალისებ ჩვენს მეცნიერებს ახალი და ახალი სიტყვების ამოსაკითხავად. ისინიც თვალმოუშორებლად ჩაჰკირკიტებენ სვეტს. მერე მე წარწერის ქვემოთ, მუქ ლურჯ, შავ საღებავს კარგად ვაკვირდები, აქ კიდევ რაღაც არის ამობურცული. ეს ხომ თითებსა ჰგავს, თითების ლანდს, თითების კვალს. აგერ თვალის, ნამდვილად თვალის... აკაკი შანიძეც ადასტურებს, რომ იგი თითქოს ამჩნევს თითებისა და თვალის კვალს. გიორგი წერეთელიც ამჩნევს. თითების კვალია, თვალის კვალია, – ვადასტურებთ ერთხმად. ბერძენი ბერიც დიონისიოც გვიდასტურებს. ეს კიდევ ქუდი, ესეც მეორე ხელი... ნამდვილად მეორე ხელი. მივაგენით. ნამდვილად მივაგენით! აქ არის რუსთაველის პორტრეტი! და ნამდვილად რუსთაველის პორტრეტი, სხვისა არავის!

ვამა, გამოჩნდა, დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა, ხოლო ქვემოთ პორტრეტზე „რუსთაველი“ – თეთრად გამო-



იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

ანათა ქართულმა ასომთავრულმა. აწი ველარსად დაგვეკ-
არგება. ვერავინ წაშლის ჯვრის მონასტრის შოთა რუსთავე-
ელს. იგი ჩვენია დღეს, ჩვენს ხალხს ეკუთვნის! ქართველი
თანდათან უბრუნდება „მეუფის სახლს“, რომლის დაკარგვა-
საც ასე მისტიროდა ქართველი მონაზონი“, – ამ სტრიქონების
ავტორი ირაკლი აბაშიძეა (ნანყვეტი წიგნიდან „პალესტინის
დღიური“). ფრესკა, რომელიც საღებავით იყო დაფარული,
ქართველმა მეცნიერებმა 1960 წელს იერუსალიმში ექსპედი-
ციისას აღმოაჩინეს.

აკაკი შანიძის ქალიშვილი, მზექალა შანიძე უნივერ-
სიტეტის გაზეთის კორესპონდენტთან საუბრისას იგონებს:
„იერუსალიმში ექსპედიციის ორგანიზაცია რთული იყო მა-
შინ. მახსოვს, ეს საქმე ირაკლი აბაშიძემ მოაგვარა. იგი დაახ-
ლოებული იყო მთავრობასთან და, როგორც ჩანს, ვილაც
დაარწმუნა ზემოთ, რომ გაგვიშვითო. ექსპედიცია მართლაც
უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან პირველი, ნამდ-
ვილი, მეცნიერულად დასაბუთებული ანგარიში ჩამოვიდა
საქართველოში, რომ ჯვრის მონასტერში მხოლოდ შოთას

პორტრეტი კი არა, არამედ ძალიან ბევრი წარწერა და გვიანდელი ფრესკაა შემორჩენილი, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ იქ ქართველები იყვნენ და რომ ჯვრის მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდათ. ეს ისტორიული ფაქტები კარგად არის ცნობილი არა მარტო ქართული, არამედ სხვა უცხოენოვანი წყაროებიდანაც, მაგრამ მაინც სხვა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ადამიანები იერუსალიმში ჩავიდნენ და თავიანთი თვალთ ნახეს ყოველივე, დაამყარეს კავშირი იქაურ მეცნიერებთან, ჰქონდათ მიწერ-მოწერა და ა.შ.. სამწუხაროა, რომ ამ ბოლო პერიოდში რუსთველის პორტრეტთან დაკავშირებით ატეხილმა დავამ და ზოგჯერ ზედმეტმა ლაპარაკმა, რაც ჩვენ გვჩვევია, სიტუაცია გაამწვავა და ამ 4-5 წლის წინ იყო, რუსთველის ფრესკა რომ კვლავ დააზიანეს. მართალია, ის პიროვნება, ვინც ეს გააკეთა, არ ჩანს პოლიტიკურად ანგაჟირებული, უბრალოდ, მთლად ნორმალური კაცი არ უნდა იყოს, ეტყობა, მაგრამ ფაქტი ერთია – გააფუჭა ფრესკა. მართალია, შემდეგ მას ჩაუტარდა რესტავრაცია, მაგრამ ის აღარ არის, რაც იყო, და ისიც ცალკეა სათქმელი, რომ 1960 წელს აღმოჩენილი ფრესკაც არ ყოფილა პირვანდელი სახისა“.

როგორც გაზეთ „კვირის პალიტრიდან“ ვგებულობთ, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იერუსალიმში ვიზიტის დროს ფრესკა სახელდახელოდ დაახატვინეს თურმე ბერძენ რესტავრატორს, ისე რომ საერთოდ არ შეესაბამებოდა დედანს.... მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა იუნესკოში დააყენა საკითხი, მაგრამ ბერძნები უარს ამბობდნენ საერთაშორისო ექსპერტიზაზე. ყველაზე მთავარი, ალბათ, ის არის, რომ იერუსალიმში თანდათან იკარგება ყველანაირი ქართული კვალი. ვინ დააბრუნებს წარსულს ჩვენივე მომავლისთვის? – ამაზე პასუხი დღემდე არ არის.

მოამზადა **თამარ ჩიხლაძემ**,
ჟურნალისტი

20

აკაკი შანიძე ჰოქტის ამკლუაში

როცა საქართველოში რუსთა ბატონობის დამყარების საკითხი იხილებოდა, დავით ჩერქეზიშვილს უკითხავს გიორგი მეცამეტისათვის: „ბატონო მეფე და კარისკაცნო დარბაისელნო: რომ ალებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთა თვისსა დროსა დახშვასა მისსა?“

გიორგის უპასუხია: „დახშვა კარისა ამის იქნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა; ამისათვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაც ვესავთ, იქნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განალებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“ (პ. იოსელიანი – „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“).

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკაკი შანიძე 1917 წელს დაწერილ თავის ლექსში უკანასკნელი ქართველი მეფისაგან განსხვავებულ აზრს ავითარებს და მოუწოდებს ქართველობას: „ნუ, ნუ ვალებთ დარიალსა!“

აკაკი შანიძის ლექსი რთულ პოლიტიკურ ვითარებაში დაიწერა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. საიმპერიო ხელისუფლების სამართალმემკვიდრემ – რუსეთის დროებითმა მთავრობამ – სამხრეთ კავკასიაში იურისდიქცია შეინარჩუნა და სამხარეო ხელისუფლება ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს – ოზაკომს ჩააბარა. ქართული პოლიტიკური ძალები ოზაკომთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ, მოულოდნელად, ვითარება კარდინალურად შეიცვალა. 1917 წლის ოქტომბერში კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად რუსეთის ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნულ-პოლიტიკურმა ძალებმა არ ისურვეს და 1917 წლის 15 ნოემბერს შექმნეს სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი. მართალია, ჯერჯერობით სახელმწიფოებრივი კავშირი რუსეთთან განყვეტილი არ იყო, მაგრამ ქართული ეროვნული ძა-

ლები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ემზადებოდნენ. დაიწყო დაპირისპირება პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას პრორუსული ძალები აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ. ქართველი საზოგადოება დიდ ისტორიულ გზაგასაყარს მიუახლოვდა.

სწორედ ასეთ ვითარებაში დაიწერა აკაკი შანიძის ლექსი, რომელიც ქართველ ერს რუსეთისაგან გამოყოფისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მოუწოდებს. ცხადია, ლექსში პოლიტიკური და იურიდიული ტერმინები ვერ იქნებოდა გამოყენებული, თუმცა სათქმელი ავტორმა სავსებით გარკვევით თქვა. აკაკი შანიძის ლექსი 1917 წლის 5 დეკემბერს დაიწერა. ლექსი ავტორს 13 წლის შემდეგ, 1930 წლის 17 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიმდინარე ე.წ. დისკუსიის დროს გაუხსენეს. ამ ლექსით საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებს აკაკი შანიძის ნაციონალისტობის დამტკიცება სურდათ. იმხანად ანტირუსული განწყობილების მატარებელი ნაციონალისტად ითვლებოდა, ლექსში კი ანტირუსული განწყობილება აშკარად არის გამოხატული. სხვადასხვა გარემოებათა გამო, საბედნიეროდ, აკაკი შანიძე იმ ძნელბედობის ჟამს გადარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალისტად შერაცხვა მეტად სახიფათო იყო.

ქართული ეროვნული ჰიმნი — აკაკი შანიძის მიერ დანერგილი ლექსი (ალიფაშას ჯმაზე)

*აბა, ფხიზლად ქართველებო, მივჰყვებით მამა-პაპის კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯი-ბოღაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!*

*მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ ჩვენი ქვეყნის მთა და ველი
მზით დამწვარი ჰიჯა ზელი, გაყინული ჩრდილოელი,*

სპარსი, თურქი, ლეკ-მონღოლი, ბერძენი თუ რომაელი,
ყველა ჩვენსკენ ისწრაფოდა, ყველა მაშრიყ-მალრიბელი.

იყო დრო რომ მმართველობა, სამართალი გვექონდა, სხვისი.
ბაღდათსა თუ ყარაყორუმს გზები გვედო ათას დღისი.
მტრისგან ბევრჯელ დარბეულა ტფილისი და ქუთაისი,
იმედს მაინც არ ვჰკარგავდით, – სული გვახლდა შოთაისი.

სად არ დგმულა ჩვენი ფერჯი? სისხლი სად არ დაგვიღვრია?
ერანს, თურანს, ავღანისტანს – ყველგან ჩვენი ძვლები ჰყრია.
ფიცხელ ომში გაჭურვებულთ ეფფრატ-დიჯლა დაგვიშვრია
ჩვენი სისხლით შეღებილი ვისლა დღესაც არი მღვრია.

ოთხი დიდი საწელმწიფო მოგვიჭამ-გაგვიცვეთია:
სადღა არის ძველი რომი, ან ძლიერი სპარსეთია?
არაბების ძლიერება, ამბობენ, დღეს ზღვის წვეთია.
ვის აწსოვან მონღოლები? სხვების ბედიც აგეთია!

სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია, როგორც ერსა.
მრავალ შავ დღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა,
უსიკვდილოდ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა.
გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერთ ჩვენს ტკბილ მრავალჟამიერსა.

სანამ იდენს ალა ზანი, ჭოროხი და რიონ-მტკვარი,
სანამ თავზე მცველად გვადგას ცივ-გომბორი, ლიხ-მყინვარი,
არ მომკვდარა, არც მოკვდება საქართველო მოცინარი,
მეტად აღარ შემცირდება მისი სივრცე, მისი მზღვარი.

აბა, ფხი ზლად, ქართველებო! მიგჰყვეთ მამა-პაპის კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
ყური ვუგდოთ გურჯი-ბოლაზს, ნუ, ნუ ვაღებთ დარიალსა!

5 დეკემბერი, 1917 წელი. დედაქალაქი.
„პრომეთე“ 1918, №1, გვ. 31

21

უნივერსიტეტის გაზეთის რედაქცია აკაკი შანიძის ხშირი მასპინძელი იყო



აკაკი შანიძე და ზაალ ჟვანია უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციაში ტექსტზე მუშაობისას

მკვლევართა გადმოცემით, 1918 წელს, პირველი სამეცნიერო კრებულის – „თბილისის უნივერსიტეტის მოამბის“ – გამოცემასთან ერთად, უნივერსიტეტის დამფუძნებლებს მრავალტირაჟიანი პერიოდული ორგანოს დაარსებაც სურდათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. საარქივო მასალები არაფერს გვეუბნება, თუ კონკრეტულად ვის ეკუთვნოდა უნივერსიტეტში გაზეთის გამოცემის იდეა, მაგრამ უნივერსიტეტის ჟამთააღმწერელი სერგო ჯორბენაძე გვანჯდის ცნობას პირველი საუნივერსიტეტო გაზეთის 1927 წლის იანვარში დაარსების შესახებ.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები სასწავლო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე. 30-იან წლებში ამის შესახებ წერდნენ ისეთი მეც-

ნიერები, როგორებიც იყვნენ შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ხუნდაძე, ნიკო მუსხელიშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე და სხვები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1935 წლის 15 სექტემბრის ნომერი, რომელშიც პირველ გვერდზე იბეჭდება აკაკი შანიძის წერილი „პირველი დღე ჩვენს უნივერსიტეტში“.

ამ წერილით ირკვევა, რომ 1935 წელი უნივერსიტეტში დიდი გარდატეხის წელია, რომ გარემონტდა უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსები, დალაგდა სასწავლო კორპუსები და შეიძინეს ახალი ინვენტარი, რასაც მეცნიერები და სტუდენტები მისალმებიან.

გარდა ამისა, 30-იანი წლების გაზეთებში ხშირად იბეჭდება მასალები სასწავლო კურსების დახვეწისა და ფაკულტეტების რეორგანიზაციის საჭიროების შესახებ. ამ მიმართულებით ხშირად თანამშრომლობენ რედაქციასთან კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე და სხვა მეცნიერები.

გაზეთი ხშირად ბეჭდავს პროფესორთა მოსაზრებებს სხვადასხვა საგნის უკეთ სწავლებისათვის. მაგალითად, 1935 წლის 31 ოქტომბრის ნომერში იბეჭდება აკაკი შანიძის წერილი „ქართული ენის კულტურისათვის“, რომელშიც ნათქვამია, რომ ახალგაზრდობა ვერ ფლობს მშობლიურ ენას და სასწრაფოდ უნდა იქნას ზომები მიღებული ენის სრულყოფილად შესწავლისათვის.

„გამოცდილება გვეუბნება, რომ ჩვენმა სტუდენტობამ სუსტად იცის ქართული ენა, დიდი უმეტესობა ვერ ახერხებს აზრის გამართვას, წინადადების ერთი მეორეზე მოხდენილად გადაბმას, სასვენი ნიშნების თავთავის ადგილას ხმარებას და სხვ. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოელოს. ყოველ დარგის სტუდენტს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე შეუძლებელია მეცნიერების სათანადო შეთვისება და მისი გამოყენება ცხოვრებაში“, – წერს იგი. ასევე დიდი ყურადღებას იჩენენ ამ პერიოდში უცხო ენის სწავლების მიმართ.

როგორც ირკვევა, აკაკი შანიძე აქტიურად თანამშრომლობდა უნივერსიტეტის გაზეთთან. ამის თაობაზე გაზეთის

რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი იგონებს: „ჩემს დროს რედაქტორი იყო ზალიკო ჟვანია. ჩვენთან მოდიოდა ყველა, ვინც უნივერსიტეტში მუშაობდა. მაგალითად, აკაკი შანიძე შემოდიოდა ძალიან ხშირად. მან რამდენჯერმე მოიტანა რედაქციაში წერილი და ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა, რაც მის გაფორმებას სჭირდებოდა. იმ დროისთვის საკმაოდ ხანდაზმული გახლდათ, ამიტომ არ ვანუხებდით. იგი ისედაც ხშირად მოდიოდა რედაქციაში ბატონ ზაალთან. სხვათა შორის, რედაქციაში სურათიც ეკიდა, ზაალის გარდაცვალების მერეც, რომელზეც აღბეჭდილი იყო ბატონი აკაკისა და ზალიკოს მუშაობა გაზეთზე. იმ სურათის გადაღების მომსწრე არა, მაგრამ მსგავსი ეპიზოდების მომსწრე ვარ“, – ამბობს პაატა.

ჟურნალისტი არმაზ სანებლიძეც დიდ პატივად მიიჩნევს წარსულში უნივერსიტეტის გაზეთში კორესპონდენტად მუშაობას და ამას ასე ხსნის: „კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე ჩემი მასწავლებლები იყვნენ. წარმოიდგინეთ, ეს ხალხი რომ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა და იმ გაზეთს კითხულობდა, რომელშიც ჩვენ – პატარა ბიჭები ვწერდით, ეს იყო უდიდესი პრესტიჟი და დაფასება. ამიტომ ჰქონდა უნივერსიტეტის გაზეთს სახელიც და ავტორიტეტიც. ეს გაზეთი არის უნივერსიტეტის მემკვიდრე. მასში ყველაფერია იმ უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც დღემდე ერის სინდისი და ნამუსია“.

მომზადდა **თამარ ჩიხლაძემ**,
ჟურნალისტი

22

აკაკი შანიძე სიცოცხლეშივე აღიარეს ნამდვილ კლასიკოსად



აკაკი შანიძე კოლეგებთან ერთად

1962 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია თავისი ნევრ-კორესპონდენტის აკაკი შანიძის დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით მილოცვაში წერდა: „მთელი თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების გზა, მრავალმხრივი და დაუღალავი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეცნიერებისათვის უანგარო სამსახურის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. თქვენმა შეუწელებელმა კვლევითმა ინტერესმა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთთან დაკავშირებული ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი და კულტურულ-ისტორიული პრობლემების ფართო კომპლექსისადმი დამსახურებულად მოგვიპოვათ თქვენ ერთ-ერთი დიდი საბჭოთა ფილოლოგ-ორიენტალისტის სახელი. თქვენმა მრავალრიცხოვანმა ლინგვისტურმა შრომებმა, მათ



აკაკი შანიძე 90 წლის იუბილეზე

შორის, ისეთმა ბრწყინვალე მონოგრაფიებმა, როგორცაა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I მორფოლოგია“, „უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ქართველური ენების როგორც აღწერილობითს, ისე ისტორიულ-შედარებით გრამატიკაში და აგრეთვე მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ზოგადი ენათმეცნიერების თეორიაში. ძალზე დიდია თქვენი დამსახურება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული პალეოგრაფიის, სომხურ-ქართული ფილოლოგიის, კავკასიის არქეოლოგიის სფეროში. თქვენს სახელთანაა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული კავკასიის ალბანელთა ძველი დამწერლობის შესწავლის პრობლემა. მჩქეფარე ენერგიითა და არაჩვეულებრივი თავდადებით მუშაობთ თქვენ ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ძეგლებზე, რომელთა საუნჯესაც გვაცნობენ თქვენი სანიმუშო ტექსტოლოგიური გამოცემები და გამოკვლევები.

ფასდაუდებელია თქვენი დამსახურება საბჭოურ მეცნიერთა კადრების მომზადებაში. ჩვენ გიცნობთ, როგორც

თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, ქართული ფილოლოგიის განსაკუთრებული მიმართულების ხელმძღვანელს და ქართული საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების ნიჭიერ ავტორს. ბევრი გამოჩენილი ლინგვისტი და ლიტერატურათმცოდნე გაზარდა თქვენმა დაარსებულმა, დღემდე თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა ძველი ქართული ენის კათედრამ. სულ ცოტა, მეცნიერთა ორი თაობა მაინც არის დავალებული თქვენგან ცოდნითა და მეცნიერებისადმი ღრმა დაინტერესებით“.

მადლობა პეტერბურგიდან

აკაკი შანიძეს მადლობას უხდის პეტერბურგის სამეცნიერო საზოგადოება, უპირველესად კი – უნივერსიტეტი, რომლის სახელგანთქმულ ორიენტალისტურ სკოლაშიც გამოიწყო იგი: „ჩვენ ვამაყობთ, რომ გხედავთ თქვენ, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური სკოლის აღზრდილს, უნივერსიტეტის იმ აღზრდილთა შორის, რომლებმაც ასახელეს თავისი „ალმა მატერი“, – სწერენ მას ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1977 წელს მეცნიერის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ მისალოც ბარათში.

მილოცვა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებიდან

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება თავს მოვალედ თვლიდა, განსაკუთრებული მადლიერებით მიემართა 90 წლის იუბილარისთვის. მისალოც ბარათში, რომელსაც ხელს აწერდა 45 მეცნიერი, ვკითხულობთ: „თქვენმა შრომებმა მთელი ეპოქა შექმნეს ქართული ენის მეცნიერულ შესწავლაში. კავკასიო-



აკაკი შანიძე პრეზიდიუმში 90 წლის იუბილეზე

ლოგიაში დიდი შენაძენია თქვენი შრომა, რომელიც ეძღვნება კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ხალხის ანბანს. საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ თქვენს შრომებს დიდი ზოგადთეორიული მნიშვნელობაც აქვთ. თქვენი ნაშრომი შეიცავდა მასტიმულირებელ იდეებს, რომლებიც საფუძვლად დაედო კოლექტიურ მონოგრაფიას, რომელიც შეიქმნა ჩვენს ინსტიტუტში და მის ავტორთაგან მოგეძღვნათ თქვენ“.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიიდან მიღებული ბარათი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების მიერ 1982 წლის 21 მაისს გამოგზავნილ ბარათში, რომელსაც ხელს აწერენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან: ფ. ფილინი, რ. ავანესოვი, ს. ბარხუდაროვი, დ. ლიხაჩოვი, ა. დესნიცკაია, ნ. ბოგოლიუბოვი და სხვები, ნათქვამია: „მხურვალედ მოგესალმებით უდიდეს საბჭოთა მეცნიერ-ფილოლოგს, რომელმაც თქვენი ფუნდამენტური შრომებით დიდი წვლილი შეიტანეთ ჩვენი მეცნიერების საგანძურში. თქვენს სახელთანაა დაკავშირებული სამამულო ქართველოლოგიის ჩამოყალიბება და აყვავება; თქვენ, ფართო კულტურისა და ენციკლოპედიური ცოდნის მეცნიერმა, შეჰქმენით ფუძემდებლური შრომები ქართველოლოგიური

ფილოლოგიის ყველა უბანში; ასახელებთ მეცნიერება სამშობლოში და მის საზღვრებს გარეთაც.

გვაცვიფრებს თქვენი სამეცნიერო ინტერესების მრავალმხრივობა და მასშტაბურობა: ძველი ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი, თანამედროვე სალიტერატურო ენა და მისი ისტორია, დიალექტოლოგია და ეპიგრაფიკა, რუსთველოლოგია და ტექსტოლოგია.

დიდია თქვენი დამსახურება ქართული ენის ისტორიისა და გრამატიკული წყობის კვლევის საქმეში. თქვენი კაპიტალური შრომები – „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, „ქართული ენის ისტორიისა და სტრუქტურის საკითხები“ – მოგვევლინენ დღევანდელი ქართველოლოგიის სიამაყედ“.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შეფასება

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა აკაკი შანიძეს დაბადებიდან 90 წლისთავთან დაკავშირებით 1977 წლის 26 თებერვალს გამოუგზავნა სტამბურად ნაბეჭდი ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიის პრეზიდენტი აკად. ა. ალექსანდროვი, ვიცე-პრეზიდენტი აკად. ი. ფედოსევი და მთავარი სწავლული მდივანი, სსრკ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. სკრიაბინი. მასში ნათქვამია:

„ღრმად პატივცემულო აკაკი გაბრიელის ძევ!

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში მოგილოცავთ თქვენ, დიდ საბჭოთა ფილოლოგს, დაბადებიდან 90 წლისთავს.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ თქვენს შრომებს ქართულ და სხვა ქართველურ ენათა ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხებზე. მონოგრაფიაში „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ და სხვა გამოკვლევებშიც თქვენ დაამუშავეთ რიგი საკვანძო საკითხებისა ქართული ენის სისტემური ორგანიზაციისა და გრამატიკული კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულებისა, ნათელყავით შეუსწავლელ მოკვლენათა რთული ლინგვისტური ბუნება.

დიდია თქვენი დამსახურება ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ძეგლთა ძიება-შესწავლისა და მეცნიერულად გამოცემის საქმეში. თქვენი ისეთი პუბლიკაციების წყალობით, როგორცაა „ხანმეტი ტექსტები“, „სინური მრავალთავი“ და ქართული დამწერლობის ადრეული პერიოდის სხვა ნიმუშები, სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა უმდიდრესი ენობრივი და ლიტერატურული მასალა. თქვენს სახელთაა დაკავშირებული სამამულო რუსთველოლოგიის წარმატებანი. თქვენ მიერ არის აღდგენილი და კვლავ გამოქვეყნებული რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველბეჭდური გამოცემა, თქვენვე ბევრი შრომა მიუძღვენით ამ სახელგანთქმული ძეგლის ენის ანალიზს.

მნიშვნელოვანია თქვენი წარმატებანი ქართული დიალექტოლოგიის, ეპიგრაფიკის, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის დარგებში. თქვენ გეკუთვნით დიალექტოლოგიური ტექსტები, ლექსიკონების, ფოლკლორული ძეგლების, ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების გამოცემები. ფართო აღიარება ჰპოვა თქვენმა შრომებმა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემებზე.

ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს სამეცნიერო-ორგანიზატორულ და პედაგოგიურ მუშაობას. საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის განკუთვნილ თქვენს სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებზე ქართველი ახალგაზრდობის არაერთი თაობა აღიზარდა. თქვენი მოწაფეები – მეცნიერების კანდიდატები, დოქტორები, პროფესორები – წარმატებით შრომობენ ქვეყნის ბევრ დანესებულებასა და უმაღლეს სასწავლებელში.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გისურვებთ, ძვირფასო აკაკი გაბრიელის ძევ, მტკიცე ჯანმრთელობას და ახალ მნიშვნელოვან შრომებს“.



აკაკი შანიძე სამუშაო მაგიდასთან

საერთაშორისო აღიარება

1985 წლის მაისში ამერიკაში, ჩიკაგოში, არასლავური ენების მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია კავკასიის კულტურათა და კავკასიური ენების შესახებ, რომელიც მიეძღვნა აპაკი შანიძეს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით აპაკი შანიძემ 1985 წლის 16 მაისს ჩიკაგოდან მიიღო კონფერენციის პროგრამა, რომლის თავფურცელზე ქართულად იკითხება: „ეძღვნება აპაკი შანიძის დაბადების 90 წლისთავს“, აგრეთვე მილოცვის ფურცელი, რომელსაც ხელს აწერს 30 კაცი, აქედან 8 – ქართულად. წერილში, რომელსაც ხელს აწერენ კონფერენციის ორგანიზატორები, ვკითხულობთ:

„დიდად პატივცემულო ბატონო აპაკი!

ბალკანური და სლავური ენების შემსწავლელი ცენტრისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტის საენათმეცნიერო განყოფილების სახელით პატივი გვაქვს სიამოვნებით გაუწყოთ, რომ კონფერენცია კავკასიის კულტურათა და კავკასიური ენების შესახებ საბჭოთა კავშირის არასლავური ენების მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე მოგეძღვნათ თქვენ, როგორც ცდა, პატივი მოგაგოთ და მადლობა მოგახსენოთ თქვენი მრავალრიცხოვანი და განთქმული ნაშრომებისთვის ქართულსა და ქართველურ ენათმეცნიერებასა და ფილოლოგიაში. ჩვენ, კავკასიური ენებისა და კულტურის მდიდარ მასალაზე



იულიუს ასფალგი და აპაკი შანიძე. 1965 წ.

მომუშავენი დასავლეთში, დიდად ვართ დავალებული თქვენგან და თქვენი მეცნიერული ნაშრომებისაგან, რომელთაც კარი გაგვიღეს მაგ ქვეყანაში. თქვენმა ნაშრომებმა ქართულ გრამატიკაში ხელმისაწვდომი გაგვიხადა ეს რთული ენა ჩვენ, ვისთვისაც იგი მშობლიური ენა არ არის. თქვენ მოაწესრიგეთ, რაც ქაოსური ჩანდა ქართული ენის სტრუქტურაში და ხელი შეგვიწყეთ, გავცნობოდი ვრცელსა და მდიდარ ქართულ ლიტერატურას, როგორც სამეცნიეროს, ისე მხატვრულს, როგორც თანამედროვეს, ისე კლასიკურს. ამიტომაც, რომ მადლობის ნიშნად ამ შეხვედრას თქვენ გიძღვნი.

ბედნიერი ვართ აგრეთვე გაცნობით, რომ კონფერენციაზე ნაკითხული მოხსენებები კავკასიური ენათმეცნიერების შესახებ, ისევე როგორც დასავლეთის მეცნიერთა მოხსენებები, რომლებიც ვერ იქნა წარმოდგენილი ამ შეხვედრებზე, გამოქვეყნდება თქვენს პატივსაცემად.

მიიღეთ, გეთაყვა, უფულწრფელესი სურვილები კონფერენციის ყველა მონაწილისგან, რომლებიც გისურვებენ ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობის, ჯანმრთელობისა და განუწყვეტელი მიღწევების კიდევ მრავალ წელს. მიიღეთ ჩვენი გულითადი მადლობა თქვენი მუდმივი წვლილისათვის მსოფლიო მეცნიერებაში.

პატივისცემით ერიკ ჰამბი (დირექტორი),
ჰოვარდ არონსონი, ბილ დარდენი (თანადირექტორები).

* * *

ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორმა რენე ლაფონმა პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მომამბის“ ოთხ ნომერში გამოაქვეყნა აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებზე“ დამყარებული ვრცელი ნაშრომი „ქართული ენის უკეთ შესწავლისათვის“, რომელშიც აღნიშნა: „ამიერიდან ძალიან საჭიროა, რომ ქართული ენა გახდეს ცნობილი არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში, რადგან ეს ენა ამას იმსახურებს... ქართული ლამაზი, ორიგინალური ენაა, აქვს ძალიან მდიდარი ლიტერატურა. ქართული ენა ოსტატურად გამოიყენება დღევანდელი ცხოვრების ყველა გრძნობისა და იდეის გამოსახატავად“.

ეს ის რენე ლაფონი გახლავთ, რომელიც ათიოდე წლის წინ წერდა: „დაახლოებით ორმოცი წელი მაკავშირებს აკაკი

შანიძესთან. იგი იყო ჩემი მასწავლებელი და არის დღესაც როგორც ქართულ ენაში, ისე სხვა ქართველურ ენებში“.

* * *

1967 წლის 22 აპრილს ციურიხელი ქართველოლოგები იოლანდა მარშევი, ლეა ფლური და რუთ ნოიკომი ა. შანიძეს სწერდნენ: „იმ დღიდან, რაც ჩვენ ქართული ენის შესწავლა და ქართულ ენაზე მუშაობა დავიწყეთ, თქვენი სახელი ლამაზად პარივით გვიდგას თვალწინ“.

* * *

ლუვენის უნივერსიტეტის ბელგიელმა პროფესორმა ჟერარ გარიტმა 1968 წელს დაბეჭდა ვრცელი წერილი „აკაკი შანიძე – ქართველოლოგიის მამამთავარი“, რომელშიც აღნიშნულია: „აკაკი შანიძე არის პიონერი ქართული ენათმეცნიერების და ფილოლოგიის ყველა დარგში.... მაგრამ, მისი მოღვაწეობა არ იფარგლება მარტო ქართული ლინგვისტიკითა და ძველი ქართული ფილოლოგიით, მისი მეცნიერული საქმიანობა უფრო შორს მიდის და სამართლიანად იმსახურებს მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის სახელს“.

* * *

აკაკი შანიძის მოძღვრებით თავს დავალებულად თვლიან ცნობილი უცხოელი ორიენტალისტები სხვადასხვა ქვეყნიდან: ინგლისელი დავიდ ლანგი, ნევილ ბერძოლი, ჯორჯ ჰუიტი, გერმანელი კარლ შმიდტი, გერტრუდ პეჩი, იულიუს ასფალგი, ჰაინც ფენრიხი, ვინფრიდ ბოედერი, ფრანგი შარლ მერსიე, ბერნარ უტიე, ნორვეგიელი ჰანს ფოგტი, ბელგიელი მიშელ ვან ესბროკი, პოლონელი იან ბრაუნი, ამერიკელი ა. ჰარისი, ჰ. არონსონი, დ. ჰოლისკი და სხვა.

აკაკი შანიძის საქმიანი მიმოწერა ჰქონდა ამერიკელ რობერტ ბლეიკთან და ავსტრიელ ჰუგო შუხართთან. აკაკი შანიძის დახმარებით დაწერა ავსტრიელმა ლინგვისტმა ფრიდრიხ ნაისერმა სადოქტორო დისერტაცია „ქართული სიტყვანარმოების შტუდიები“, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს გამოიცა.

დიდი ქართველების შეფასებები

გიორგი ახვლედიანი: „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომელიც ღირსეულად დაჯილდოვდა (იგულისხმება 1953 წლის თსუ-ს პირველი სამეცნიერო პრემია ნაშრომისთვის: „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“), წარმოადგენს ქართველოლოგიის ახალ, უფრო მაღალ ეტაპს. და თუ დღეს კიდევ უფრო ახალი და ახალი მიღწევები გვაქვს ქართველოლოგიაში, ეს უპირველესად მიეწერება აკაკი შანიძის გოლიათისებურ მუშაობასა და შემოქმედებას“.

კორნელი კეკელიძე: „დიდია და განუზომელი შენი ღვანლი ქართული ფილოლოგიის, კერძოდ, ენათმეცნიერების დარგში. თუ ქართულ ენათმეცნიერებას დიდი მიღწევები მოეპოვება, ეს, პირველ რიგში, შენი წყალობით. ამას ადასტურებს სახელოვანი შენი შრომები; რადგან მათი „აღრიცხვაჲ კნინლა-და შეუძლებელ არს, ჩუენ რაოდენნიმე მოვიწესენნეთ“, როგორც ამბობდა გიორგი ათონელი ექვთიმე ათონელის შესახებ“.



გ. როგავა, გ. ჯიბლაძე, ა. ჩიქობავა, ა. შანიძე, ვ. თოფურია

შოთა ძიძიგური: „აკაკი შანიძე მშობლიური სულიერი კულტურის საუკეთესო ტრადიციების წარმომადგენელია და მისი ნათელი მერმისისათვის შეუპოვარი მეზრდოლი. იგი ღირსეულად დგას იმ სახელოვან ადამიანთა რიგებში, რომლებიც ქმნიან საბჭოთა მეცნიერების პრესტიჟს და თავგამოდებით იღვწიან განახლებული ქვეყნის აღორძინებისათვის“.

გივი მაჭავარიანი: „აკაკი შანიძის მიერ მოპოვებული პოზიტიური შედეგები არა მარტო მყარ საფუძველს ქმნის ქართული ენის შემდგომი სინქრონიული კვლევისათვის, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ კვლევის მიმართულელებას“.

აკაკი განერელია: „ქართული ზმნის დახლართულ ლაბირინთებში, სადაც ურჩხული არა, მაგრამ წყვილი იყო გამეფებული, აკაკი შანიძემ, ბერძენთა მითიური გმირივით, თავისი იშვიათი ანალიტიკური ნიჭიერებითა და ძლიერი გონების „ძაფით“ თამამად შეაღწია და იქიდან გამარჯვებული დაბრუნდა. მეტიც, აკაკი შანიძემ ნათელი გახადა თითქმის ყოველი კუნჭული ამ ლაბირინთისა“.

კონსტანტინე გამსახურდია: „მე მრავალი ფილოლოგიური შრომა წამიკითხავს სხვადასხვა ენებზე, მაგრამ როცა მისი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ გადავიკითხე, ჩემს ახლობლებს ვუთხარი: ეს შრომა ისევე რთულია და ღრმა, როგორც იმანუელ კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“, აკაკი შანიძის ყოველი შრომა უცხოურ ენებზე რეზონანსს ჰმატებს ქართულ ენასა და მის პრესტიჟს მთელს მსოფლიოში“.

ამონარიდები წიგნიდან:

*აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა),
კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, 1987 წ.*

ოჯახური გარემო



თამარ ცქიტიშვილი

აკაკი შანიძის მეუღლე – თამარ ცქიტიშვილი – აკაკი შანიძის სტუდენტი ყოფილა. მასზე 16 წლით უმცროსი გახლდათ. შეეძინათ ორი ქალიშვილი – მზექალა და ლელა შანიძეები. ქალბატონი თამარი დიასახლისი იყო და მთელი ცხოვრება შვილების აღზრდას მიუძღვნა.

აკაკი შანიძის პირველი ქალიშვილი – მზექალა შანიძე – 1926 წლის 16 იანვარს დაიბადა. დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. გახლავთ ფი-

ლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის პრემიათა ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე; ხელმძღვანელობს თსუ-ს ძველი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელ სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიას – „ორიონი“; იგი დღესაც აქტიურად ეწევა სამეცნიერო საქმიანობას ქართული ენის ისტორიისა და ფილოლოგიის დარგში.

აკაკი შანიძის მეორე ქალიშვილი – ლელა შანიძე – 1929 წლის 22 მარტს დაიბადა. დაამთავრა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, არის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

აკაკი შანიძეს 4 შვილიშვილი ჰყავდა და მოესწრო 2 შვილთაშვილსაც.

24

მზექალა შანიძე: პირადად არასოდეს გამომიყენებია მამაჩემის სახელი

აკაკი შანიძის ქალიშვილს, მზექალა შანიძეს, ქართული საზოგადოება საკმაოდ კარგად იცნობს. მამისა და მისი ლეგენდარული თაობის შინაარსიანი ცხოვრება მის თვალწინ მიმდინარეობდა. აკაკი შანიძის ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს უნივერსიტეტის დამაარსებლები და პატარა ბავშვს მათი მსჯელობა თუ საუბარი ხშირად ესმოდა. მას დღესაც ახსოვს ბევრი იმდროინდელი ამბავი. გარდა საკუთარი სამეცნიერო ღვაწლისა, ქალბატონ მზექალა შანიძეს „მოარულ ლეგენდად“ ყოფნაც ჰმატებს იმ ხიბლს, რაც განსაკუთრებით დღევანდელი თაობის დასაფასებელია. მართალია, ბატონი აკაკი შანიძე ამბების მოყოლით ნაკლებად ანებივრებდა შვილებს, მაგრამ იმდროინდელი სამყაროს აღქმის შესატყვისად ჩამოყალიბებულ მეხსიერებას კვლავაც შეუძლია გაგვიზიაროს ის წარსული შთაბეჭდილებანი, რომლებიც უნივერსიტეტის ისტორიას კიდევ რამდენიმე ფურცელს სძენს.

რას მაჩვენდა მამა?

ბევრი ლაპარაკი მამაჩემმა არ იცოდა. სანამ ბავშვები ვიყავით, წაგვეთამაშებოდა ხოლმე ცოტას. რაც შეეხება ამბების მოყოლას, განსაკუთრებით რაიმეზე ლაპარაკი არ იცოდა. თუ ვინმე მოვიდოდა და საგანგებოდ სთხოვდა, მხოლოდ მაშინ ჰყვებოდა. ბოლო ხანებში კორესპონდენტები დადიოდნენ ხშირად და ეკითხებოდნენ, თავისუფალ დროს რას აკეთებთო... ყოველთვის იყო პასუხი, რომ თავისუფალი დრო მისთვის არ არსებობდა.

მამა, ძირითადად, თავისი საქმიანობით იყო დაკავებული – ახლა და ახლა, როდესაც უფრო კარგად გამოჩნდა აკაკი შანიძის საზოგადოებრივი საქმიანობა, ძალიან ადვილი წარმოსადგენია, რომ ოჯახისთვის მაინცდამაინც ვერ იცლიდა.



მზექალა შანიძე

ბავშვები ძალიან უყვარდა – ბავშვის მოფერება იცოდა, პატარა ბავშვებთან ლაპარაკიც უყვარდა, მაგრამ იმისთვის, რომ ძალიან აქტიური მონაწილეობა მიეღო ბავშვების წაყვანა-წამოყვანაში, მათ აღზრდაში (რასაც ახლავთ ხოლმე მამაკაცებს) წამდვილად არ ეცალა. მაგრამ ერთი რამ წამდვილად ახასიათებდა: ჩვენს სწავლას ძალიან ადევნებდა თვალყურს. მაგალითად, იზრუნა იმაზე, რომ სულ პატარა ასაკიდანვე დაგვეწყო უცხო ენის სწავლა.

საზოგადოდ, ზედმეტად ფულის ხარჯვა ჩაცმა-დახურვაზე, თავისთვის თუ სხვისთვის, არ უყვარდა, მაგრამ სწავლისთვის ფულს არ დაიშურებდა. როცა დავინწყე ინგლისურის სწავლა, ცდილობდა ჩემთვის კარგი მასწავლებლის მოძებნას. ბევრი სპეციალისტი მაშინ არ იყო და მიაგნო იმ დროს ცნობილ ერთ მასწავლებელს – ინგლისელ ქალს, რომელთანაც შემდეგ დავდიოდი.

ბევრჯერ მითქვამს, რომ მე 14 წლის ასაკში ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებას დავესწარი. რატომ? იმიტომ, რომ აკაკი თვლიდა, რომ უკვე ბავშვობიდანვე ადამიანს უნდა ჰქონდეს რაღაც მიმართულება და რაღაცა გზა – სწორედ ამიტომ ვახლდი ივანე ჯავახიშვილის ლექციაზეც, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებლისათვის ბოლო აღმონაწილეა. ეს მიმართულება და გზა მამაჩემმა თავად კი იპოვნა, მაგრამ იმაზეც ზრუნავდა, რომ შვილებიც დროულად დასდგომოდნენ საკუთარ გზას. 12 თუ 13 წლისა ვიყავი, როდესაც მომცა ბერძნული სახარება და, პარალელურად, ძველი ქართული ტექსტი და მითხრა: – ასე იკითხო. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგი მეთოდია ენის სწავლისა. აი, ასე ზრუნავდა

მამა ჩვენს განათლებაზე და ივანე ჯავახიშვილის იმ უკანასკნელ ლექციაზეც იმიტომ წამიყვანა, რომ თვლიდა – 14 წლისა უკვე გარკვეული უნდა ვყოფილიყავი საკუთარ ინტერესებსა და მისწრაფებებში. კინო-თეატრებში ჩვენს წაყვანაზე ნაკლებად ზრუნავდა და ამისთვის თავადაც არ ეცალა.

მახსოვს, რომ მასწავლიდა ქართულ ტექსტში კორექტურის კითხვას. დაპირებული იყო – რამდენ შეცდომასაც იპოვი, იმდენ კანფეტს მოგცემო (თუ რაღაც სხვა ჯილდო იყო, აღარ მახსოვს). ასე ბავშვობიდან მიმაჩვია კორექტურის კეთებას (რომელიც საკმაოდ ძნელი ამბავია), ამით – ტექსტის დაკვირვებით კითხვას. მერე და მერე, უკვე სამეცნიერო მუშაობაში აკაკიმ ზედმეტი ჩარევა არ იცოდა. ზოგიერთს ჰგონია, რომ მამაჩემი გვერდით მეჯდა და ყოველ სტრიქონს მისწორებდა, მაგრამ ასე არ ყოფილა – ყველაფერი თვითონ უნდა მეკეთებინა!

იმის მაგივრად, რომ აკაკი შანიძის სახელი რამეში დამხმარებოდა, პირიქით ხდებოდა ხოლმე, რადგან ყოველთვის მეუხერხულებოდა – არ ეთქვათ ჩემთვის, რომ ამა და ამ კაცის შვილი ხარ და ისე არ იქცევი, ან ისე არ სწავლობო. ძველ ქართულში რომ გამოცდა ჩავაბარე, მესამე კურსზე ვიყავი; მამაჩემმა მთელი კათედრა დაასწრო ჩემს გამოცდას და ტყავი გამაძრეს. პირადად არასოდეს გამომიყენებია მამაჩემის სახელი. თვითონაც ძალიან გაჯავრდებოდა, მსგავსი რამ რომ გამეკეთებინა. სხვათა შორის, მის სიცოცხლეში აკადემიაში ჩემს წარდგენაზე რომ იყო საუბარი, მამაჩემი ამას შეენინაალმდევა – არაფერი გაუკეთებია საიმისო, რომ აკადემიკოსი გახდესო; რას იტყვიან, მე აკადემიაში ვარ და ეგეც აქ იყოსო?!

ბარნოვის ქუჩა №74

რაც პეტერბურგიდან ჩამოვიდა, მამა აქ ცხოვრობდა. ამ სახლში აკაკი შემთხვევით მოხვდა. ეს სახლი ამენებულის ერთი ჩეხის მიერ (ლათინისტი გახლდათ) – დრბოგლავი იყო



აკაკი შანიძე სამუშაო კაბინეტში

გვარად. გარდაცვალების შემდეგ დარჩა ბევრი ლათინური და ბერძნული წიგნი. როცა ბიბლიოთეკისთვის წიგნებს აგროვებდა, მამაჩემს რაღაცა გზით გაუგია ამის შესახებ და მისულა ამ დრბოგლავის ქვრივთან. აკაკიმ ნახა, რომ მოხუცი ქალი ოთახსაც აქირავებდა, რაც ძალიან გახარებია, რადგან ამ სახლიდან უნივერსიტეტი ძალიან ახლოს იყო, და დადგა აქ მდგმურად (შემდეგ, როცა სახლები ყველას ჩამოართვეს, ეს სახლიც ე.წ. „ჟაქტის“ სახლად გადაიქცა და მდგმურებიც – „ჟაქტის“ მაცხოვრებლებად).

ამ სახლში დიდი სტუმრიანობა და ქეიფი არ მახსოვს, საქმისთვის თავშეყრილნი კი ბევრი მინახავს – ისხდნენ და მსჯელობდნენ მამასთან. სერგი ჯიქია, გიორგი წერეთელი, ვარლამ თოფურია, ილია აბულაძე ხშირად იყვნენ აქ. გიორგი ახვლედიანი ჩემს ბავშვობაში ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა და სულ იყო მისვლა-მოსვლა, უფრო ხშირად კი ჩვენთან დადიოდა.

როცა უნივერსიტეტი დაარსდა, მაშინ არ ვიყავი დაბადებული, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვობისას ყველა

მათგანი, ვინც ამ საქმეს ხელმძღვანელობდა, აი, ამ ოთახში ძალიან ხშირად მინახავს. ისინი, როგორც ბავშვს, მეფერებოდნენ და მელაპარაკებოდნენ.

ახლა რომ სუფრების გაშლა და მოლხენა იციან, მაშინ არც იყო ამის საშუალება და რომც ყოფილიყო, დამერწმუნეთ, არც ერთი მათგანი რამდენიმე საათს სუფრასთან არ დახარჯავდა. მეგობრობდნენ, საუბრობდნენ... მამაჩემს საათობით სუფრასთან დროსტარება უნესობად მიაჩნდა.

მამას არასდროს უფიქრია იმაზე, რომ სახლი მოენყო, ეყიდა ძვირფასი ავეჯი, ძვირფასი ნივთები... თავადაც წერდა: მე არაფერი შემიძენია ჩემს ცხოვრებაში და ჩემი ყველაზე ძვირფასი შენაძენი ჩემი ბიბლიოთეკააო.

ვინ იყო აკაკი შანიძის მეუღლე?

დედაჩემი, აკაკი შანიძის მეუღლე – თამარ ცქიტიშვილი – აკაკის ნასტუდენტარი იყო. დედა ძველებური ქალი იყო, ჩუმი, ნყნარი... ძალიან კეთილი, უხმო და ულაპარაკო... გაჯავრება, ყვირილი და, მით უმეტეს, ბავშვის ცემა მისთვის წარმოუდგენელი ამბავი იყო, თუმცა საკმაოდ მკაცრი გახლდათ.

დედაჩემმა თავისი ცხოვრება ჩვენს მოვლას და ჩვენზე ზრუნვას შეაღია. ნათესაობაშიც თუ ვინმეს რაიმე უჭირდა, ამაზე სხვები ლაპარაკს რომ დაიწყებდნენ, დედა ჩუმად იყო. მერე გაირკვეოდა ხოლმე, რომ დედაჩემი მასთან უკვე ნამყოფიც კი იყო და თურმე დახმარებია კიდევ. დედამ კარგი კერვა იცოდა და ბავშვებს ტანსაცმელს უკერავდა. ჩემი ნათესავები, ვისაც მშობლები დაჭერილი ჰყავდათ, დღემდე იხსენებენ: „თამარა მამიდა“ მოვიდოდა, შეგვიკერავდა წინსაფარს და ჯიბეში თითო კანფეტს ჩაგვიდებდაო, და ეს ყველაფერი უხმოდ და ჩუმად...

აი, ასეთი ქალი იყო დედაჩემი, რომელიც ადრე, 60 წლისა გარდაიცვალა.

როგორ გადაურჩა საბჭოთა რეპრესიებს აკაკი შანიძე?

მერე და მერე მივხვდი, რომ იმ მძიმე პერიოდში მამაჩემი ძალიან ნერვიულობდა. მაშინ არც არავინ იყო დამშვიდებული, ვინაიდან არავინ იცოდა – ვის მოხვდებოდა „ბადე“. მახსოვს, ერთხელ სკოლაში მივდიოდი და გზად სკოლის მასწავლებელი (ხანშიშესული კაცი) ნიკო ღუმბაძე შემხვდა. ჩურჩულით მეკითხება: – ბატონი აკაკი დიდი ხანია არ მინახავს, ხომ არ... და გაჩერდა, სიტყვა განყვიტა... მაშინ სიტყვა „დაჭერის“ ხსენებისაც კი ეშინოდათ. მიმაჩნია, რომ უბრალო შემთხვევითობის ამბავი იყო, რომ აკაკი შანიძე გადარჩა.

პაპა

ყველა შვილიშვილი და შვილთაშვილი აკაკის „პაპას“ ეძახდა, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში „ბაბუა“ იცინან. აკაკის სიტყვა „ბაბუა“ არ მოსწონდა (გვიან შემოსული ტერმინიაო, – ამბობდა). შვილიშვილებს და შვილთაშვილებს ძალიან ეფერებოდა, ეთამაშებოდა, ყოველთვის ჰქონდა მათთვის მომარაგებული ტკბილეული.

ბატონი ივანე მისთვის განსაკუთრებული იყო

აკაკი შანიძე 1908 წელს ჩავიდა პეტერბურგში და მას შემდეგ ივანე ჯავახიშვილთან ერთად იყო. მათი ურთიერთობის ამსახველი წერილები კი ბევრი არ არის, რადგან სულ ერთად იყვნენ. როგორც კი ერთმანეთს დაშორდებოდნენ, მამაჩემი მაშინვე მისწერდა ხოლმე – სად იყო? რას აკეთებდა? რას სწავლობდა? ერთ წერილში აკაკი ამცნობს ივანე ჯავახიშვილს – ვაჟა-ფშაველას სიკვდილი გავიგეო და უზიარებს თავის „დიდ მოძღვარს“ საკუთარ მწუხარებასა და გულისტკივილს.

ერთ-ერთ წერილში სწერს: სვანური ენის შესწავლა გამიჭირდა, ძნელი ენა არისო... ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეცნიერულ საკითხებში ყველაფერში ისინი ერთმანეთს ეთანხმებოდნენ. მაგალითად, მამაჩემი არ იზიარებდა ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის მეცნიერული და მოქალაქეობრივი ეთიკის ფარგლებს არ სცილდებოდა.

მამასთვის ივანე ჯავახიშვილი სულ სხვა იყო. ბატონი ივანე ისედაც სხვანაირი კაცი იყო – ძნელია წარმოიდგინო, რომ მას რაღაც ადამიანური სისუსტე ჰქონდა. ყოველდღიურ ყოფაში ივანე ჯავახიშვილი უაღრესად სადა, უბრალო და ყველას მიმართ ერთნაირად თავაზიანი იყო. დამლაგებელიც რომ შესულიყო ბატონი ივანეს კაბინეტში, იგი აუცილებლად ფეხზე წამოდგებოდა. სწორედ ასეთი უბრალოება ასხვავებდა მას სხვებისგან. ქუჩაში ყველა ესალმებოდა და ქუდს იხდიდა. ალბათ, ასეთი გიჟის ადამიანებისგან გამოდიოდნენ ძველად წმინდანები. ბატონ ივანეს სულ სხვანაირად უყურებდა აკაკი და თავისი დამოკიდებულება გამოხატა კიდევ იმ გამოსათხოვარ სიტყვაში, რომელიც მან ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე წარმოთქვა.

ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ როცა 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის დევნა დაიწყო, ბევრმა ზურგი აქცია ბატონ ივანეს, აკაკი შანიძემ კი საჯაროდ განაცხადა, – მე ივანე ჯავახიშვილის ლანძღვით კარიერის გაკეთებას არ ვაპირებო.

როდესაც პარიზიდან დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში იყო, აკაკის არ მიუტოვებია მოხუცი მეცნიერი და ხშირად დადიოდა მასთან. მაშინ უფროსი კლასის მოსწავლე ვიყავი და მეც რამდენჯერმე წამიყვანა თან.

100 წლის იუბილარი საკუთარ საღამოზე

100 წლის იუბილე ოპერაში რომ გადაუხადეს, მამა თავად ესწრებოდა ამ ღონისძიებას. ოფიციალურ, პარტიულ კრებას რომ ჰგავს, ასეთი ნამდვილად არ ყოფილა მისი საიუბილეო საღამო. სცენაზე იდგა დიდი სკამი, იყო ყვავილები და გარშემო – ბავშვები... მთავრობის წარმომადგენლები მთავრობის ლოჯაში ისხდნენ. შეკრება ცოტა ხანს გაგრძელდა (მანც ეშინოდათ, ბატონი აკაკი მოხუცებულია და ზედმეტი შეწუხება არ მოგვივიდესო). სულ ერთ საათში დასრულდა საზეიმო სხდომა, მილოცვები, მრავალჯამიერი... შემდეგ მთავრობის ლოჯაში ავედით და იქ იყო პატარა ბანკეტივით. სხვათა შორის იქ გადასცეს ორდენი „Знак Почёта“, რომლის ოფიციალურად გამოცხადება ვერ გაბედეს, რადგანაც 100 წლამდეც მეცნიერულად აქტიურად მოქმედი მამაჩემი წარდგენილი იყო სოციალისტური შრომის გმირობაზე და ეს ნოდება არ მისცეს – თუ რა მოსაზრებით, არ ვიცი. ვფიქრობ, ენათმეცნიერი და, განსაკუთრებით, ქართული ენის სპეციალისტი რომ იყო, ალბათ, ამიტომ. ვთქვათ, მეტალურგი ან ქიმიკოსი რომ ყოფილიყო, შეიძლება მიეცათ... შევარდნაძე მაშინ უკვე



მოსკოვში იყო. ერთი პირობა, თქვეს: – მივწეროთ, რომ ამ ორდენის საქმეს თვალ-ყური მიაღვენოსო. მის ყურამდე ეს ამბავი რომ მისულიყო, ალბათ მართლაც მიაქცევდა ყურადღებას და არ ეტყოდნენ უარს (მაშინ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო). მაგრამ მოსკოვში ვილაც ჩინოვნიკებმა, ეტყობა, იფიქრეს – ვინ არის ეს ბებერი, ქართული ენა რა საჭიროაო და მისცეს ყველაზე პატარა

ჯილდო (მამაჩემს კი უკვე რამდენიმე ლენინის ორდენი ჰქონდა მიღებული). ამის გამოცხადება ვერ გაბედეს საჯაროდ ოპერაში გამართულ საღამოზე (ხომ არ იტყოდნენ, ამ დაბალი რანგის ორდენით დააჯილდოვა, ანუ ასე დააფასა სახელმწიფომ აკაკი შანიძე 100 წლის იუბილეზე) და ამიტომ ეს ორდენი აკაკის ლოჯაში მცირე თავყრილობისას გადასცეს. საიუბილეო საღამოზე კი გამოცხადდა, რომ მას რუსთაველის პრემია მისცეს (უხერხულობის გამოსასწორებლად სასწრაფო დადგენილების საფუძველზე). საერთოდ, მამაჩემი ორდენების დიდი მოყვარული არ იყო, არასოდეს ატარებდა. მამაჩემის სურათი, სადაც ორდენი უკეთია, იშვიათია.

რაც შეეხება 100 წლის იუბილეზე აკაკი შანიძის წარმოთქმულ სიტყვას, მან თქვა: ხუთიოდე წელი კიდევ მინდა, რომ დაწყებული საქმეები დავამთავრო – ამას ბოლო ხანებში ხშირად ამბობდა ხოლმე, მაგრამ რამდენ ხანსაც უნდა ეცოცხლა, ყოველთვის ექნებოდა რალაც გასაკეთებელი.

მერე, მალე, 9 მარტს უკვე ავად გახდა და 29 მარტს გარდაიცვალა.

მოამზადა **ნინო კაკულიამ**,
 გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
 რედაქტორი, ჟურნალისტი

25

ლელა შანიკა: ყველგან პატივისცემით მიღებენ, ქალიან მეხმარება აკაკის სახელი

თვისება და ხასიათი

ბოლო 15 წელი მე ჩემი ოჯახით (ჩემი მეუღლე, ბავშვები და მამაჩემი) ერთად ვცხოვრობდით ამ ბინაში (კეკელიძის ქ. № 1). ახალგაზრდობიდან ბევრი რამ მახსოვს: ურთიერთობაში ყველას მიმართ ძალიან ყურადღებიანი იყო; არ არსებობდა ადამიანი, რომელსაც ის უყურადღებოდ გაუშვებდა. თუ რაიმე დახმარება შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. ერთი შემოჩვეული ფოსტალიონი გვყავდა; სანყალი, გაჭირვებული ქალი იყო; როცა მან თავისი შვილისთვის დახმარება სთხოვა – ეგებ დამისაქმოთო, მამაჩემმა, როგორც შეძლო და რაზეც ხელი მიუწვდებოდა, სამსახური უშოვა.

ვერ იტანდა ტყუილს. თუ კაცი რაიმეს მოატყუებდა, მისი აღარაფერი სწამდა; იგი მისთვის აღარ არსებობდა. ანუ ფლიდობას და უსინდისობას ვერავის პატიობდა. იყო შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტში რაღაც უსიამოვნო ხდებოდა, რაც მას არ მოსწონდა და ამ ცუდს აკაკი აქტიურად უარყოფდა. ცნობილი ამბავია: ერთხელ ივანე ჯავახიშვილზე, როცა იგი დევნაში იყო, მამაჩემს რაღაც ჰკითხეს და აკაკიმ უპასუხა: – მე იმ ადამიანების წრეს არ მივეკუთვნები, ვინც თავისი მასწავლებლის ჩანიხვლით ცხოვრებას აინცობსო. არადა, იყო შემთხვევები, როდესაც ჯავახიშვილს მისმა მოწაფეებმაც კი უღალატეს.

პოლემიკა შვილიშვილთან

მე ფილოლოგი არა ვარ. ისტორია მაინტერესებდა, უფრო სწორად ხელოვნების ისტორია და რომ ვუთხარი, – ისტორი-

ულზე მინდა შესვლა-მეთქი, არაფერი უთქვამს ჩემთვის. თუმცა, როცა ჩემმა შვილ-მაც ისტორია აირჩია, მაშინ კი კითხა აკაკიმ, – არ გინდა ფილოლოგიურზეო? ჩემმა შვილმა ასე უპასუხა: რად მინდა, ფილოლოგიური რა არის, უნდა უკირკიტო „პ“ წერია თუ „ჰ“ წერიაო... აკაკიმ კითხვა შეუბრუნა: აბა, ისტორიული რაღა არის, უნდა იკვლიო, რომ შაჰაბაზი ამ გზით შემოვიდა საქართველოში თუ იმ გზითო? – ასე დამთავრდა ეს პოლემიკა. საბოლოოდ კი ჩემმა შვილმა მაინც ისტორიულზე სწავლა აირჩია.



ლელა შანიძე

რამდენი ენა იცოდა?

მისთვის რომ გეკითხათ, იტყოდა, ქართულიც კი არ ვიცი ხეირიანადო... მაგრამ არაჩვეულებრივად იცოდა გერმანული, ფრანგული, არაბული, სომხური, სპარსული, ინგლისური, რუსული ხომ თავისთავად და ძველი ენები...

მინდა გავიხსენო: აკაკის სიცოცხლეში, ბოლო ხანს, ძალიან უარყოფითად უყურებდნენ რეპეტიტორებს – ამ საწყალი მასწავლებლების მიმართ ისეთი დევნა იყო, რომ ლამის საციხოდ ჰქონდათ საქმე. ჩუმად, რომ არავის გაიგო, ისე, ბავშვებს მაინც ამზადებდნენ... მამას ამაზე ძალიან მოსდიოდა გული: – რა არის ამაში ცუდი, თუ ბავშვი კარგად ვერ სწავლობს და მშობელი ეხმარება, რომ კარგად ისწავლოსო... როგორ შეიძლება ამის აკრძალვაო... თავად, მამაჩემს, სტუდენტობისას ჰყოლია მოწაფეები და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათემატიკაში ამზადებდა. ...და რა იყო ამაში ცუდი?

პოლიტიკა მისთვის სხვა პლანეტა იყო

არასოდეს ერეოდა პოლიტიკაში. ერთხელ ასეთი რამ თქვა: სად პარტია და სად მეცნიერება, საერთო არაფერი აქვთო. არასოდეს ყოფილა პარტიის წევრი. ედუარდ შევარდნაძე ინტელიგენციის მიმართ კარგად იყო განწყობილი და მამასაც ძალიან პატივს სცემდა. მაგრამ ისე, რომ აქედან აკაკის რაიმე მატერიალური ნახალისება ჰქონოდა, გამორიცხული იყო. თავადაც საერთოდ არ იყო ორიენტირებული მატერიალურ კეთილდღეობაზე და თუკი რაიმეს შეძენაზე იყო საუბარი, არაფრის ყიდვა არ უფიქრია, წიგნების გარდა.

ბოლო ნაშრომი ჯერაც გამოუქვეყნებელია

100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე რომ გადაუხადეს, ძალიან დაძაბული იყო, მაგრამ საბოლოოდ კმაყოფილი დარჩა, თუმცა შემდეგ რალაცნაირად მოეშვა... დიაბეტი ჰქონდა... ერთ დღეს ცუდად გახდა, გაჟონვასავით დაემართა. სამი კვირა იავადმყოფა, ბოლოს უკვე ველარ ლაპარაკობდა... მანამდე ამბობდა: – მინდა, კიდევ 5 წელი ვიცოცხლო... (ბევრი რამ ჰქონდა ახალგაზრდობაში ჩანერილი, მთელი საქართველო ჰქონდა მოვლილი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, გურია... ყველგან იყო და უამრავ ჩანანერს აკეთებდა... ეს არის უზარმაზარი მასალა და ამის გამოქვეყნებას ფიქრობდა)... არ დასცალდა... დარჩა ერთი ძალიან დიდი ნაშრომი გამოუქვეყნებელი, ის მზექალასთან ინახება (ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მისი გამოცემა).

შანიძის გრამატიკის გამო შვილიშვილს „მოხვდა“

ჩემი ქალიშვილი – ანა კახაძე – სკოლაში რომ სწავლობდა, იცოდნენ, რომ აკაკი შანიძის შვილიშვილი იყო და ბავშვები, თურმე, სულ ეჩხუბებოდნენ: – ბაბუაშენს მეტი საქმე

არ ჰქონდა, ასეთ რთულ რაღაცებს რომ წერდო?! – და მიუთითებდნენ გრამატიკის წიგნზე. ამას ხშირად იხსენებს ჩემი ქალიშვილი, რომელსაც ასეთი ჩანაწერიც კი აქვს ბაბუაზე: „მერვე კლასში რომ ვიყავი, ერთხელ რაღაც ვერ გავიგე გრამატიკაში და მივედი პაპასთან, ვთხოვე – აეხსნა... დამსვა და გრამატიკის წიგნის კითხვა თავიდან, ანუ პირველი გვერდიდან დამაწყებინა. ვიდრე იმ ადგილამდე არ მივედი, სადაც გამიჭირდა გაგება, არ მომეშვა, მთელი სამი საათი მეჯდა და მამეცადინებდა, მიხსნიდა... – აღარ მინდა-მეთქი, ვიძახდი, მაგრამ ვის ესმოდა... ამის შემდეგ აღარასოდეს მიმ-იმართავს თხოვნით, რომ რამე აეხსნა. პაპა ძალიან თბილი კაცი იყო. მისგან ხმამაღალი სიტყვა არ გამიგია, არც გაბრაზება მახსოვს, არც ტონის აწევა... თუ საყვედურს იტყოდა, ისიც ძალიან მშვიდად. ძალიან განონასწორებელი, მონესრიგებელი ადამიანი იყო. თავისი რეჟიმი ჰქონდა, კვების რეჟიმს იცავდა, რადგან ბოლო წლებში ინსულინს იკეთებდა... დილით ადრე, 7-8 საათზე დგებოდა და სამუშაოს მიუჯდებოდა ხოლმე... შესვენების დროს ოთახში რამდენჯერმე გაივლიდა, გამოივლიდა – ასე განიტვირთებოდა... ძალიან ბევრს მუშაობდა და ეს იყო მისთვის გართობაც, დასვენებაც და სიამოვნებაც ასეთი მახსოვს პაპა“, – წერს ანა კახაძე.

მოამზადა **ნინო კაკულიამ**
 გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
 რედაქტორი, ჟურნალისტი



აკაკი შანიძის ქალიშვილი ლელა შანიძე და
შვილიშვილი ანა კახაძე შვილთან ერთად



ნათია რევიშვილი – შვილთაშვილი და აკაკი შანიძე, 1977 წ.

26

ნოღელუბი აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის აღდგენას ითხოვენ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღის საჯარო სკოლა მისი დამფუძნებლის, აკაკი შანიძის სახელს ატარებს. სკოლა, რომელიც 1967 წელს გაიხსნა, სხვადასხვა სოფელს (ტოლები, ჭოგნარი, გორმალაი, ქვაყუდე, ვაზისუბანი) ემსახურებოდა. ამჟამად სკოლა მეზობელ სოფელშიცაა გახსნილი და, სკოლის მოსწავლეების სიმრავლის მხრივ, აკაკი შანიძის სახელობის სკოლას შვება მიეცა. წყალი, რომლითაც ნოღის სკოლა სარგებლობს, აკაკი შანიძის ძალისხმევითაა გამოყვანილი და ამ ღვანლსაც ძალიან უმადლიან დიდ მეცნიერს.

„2005 წელს, როდესაც სკოლები საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთდა, ბატონი აკაკის სახელი აღარ ჰქონდა სკოლას. კანონის თანახმად მოვითხოვე, რომ როგორმე ეს სახელი დაბრუნებოდა ისევ ჩვენს სკოლას. მიიღეს ეს წინადადება და შარშან ისევ დაფუზრუნეთ მას აკაკი შანიძის სახელი“, – აცხადებს სოფელ ნოღის საჯარო სკოლის დირექტორი ციალა ძნელაძე.

26 თებერვალს სოფელ ნოღის საჯარო სკოლაში აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. „ღონისძიებაში მოსწავლეები ჩავრთეთ. მათ თემები წარმოადგინეს აკაკი შანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მეცნიერის მუშაობის წლებზე, ასევე მის სახუმარო გამონათქვამებზე. აკაკი შანიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ამ სკოლის დაარსებაში და გვინდა სახელოვანი მოღვაწე და მეცნიერი მუდამ ახსოვდეთ ბავშვებს“, – ამბობს სკოლის დირექტორი.

სკოლის მახლობლად პატარა ეზოში სახლი დგას, რომელიც ასევე აკაკი შანიძის სახელზეა აშენებული. სახლი აკაკი შანიძის ყოფილი სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზეა. როგორც ირკვევა, სახლ-მუზეუმი, რომელიც აკაკი შანიძის 100 წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა, მხოლოდ 2006 წლამდე



გაუქმებული მუზეუმის მიტოვებული შენობა



სოფელ ნოლის საჯარო სკოლა

შეინარჩუნეს. ის ძველი ქოხი, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა აპაკი შანიძე, უკვე აღარ არსებობს. ამჟამად გაუქმებული მუზეუმის მიტოვებულ სახლში (რომელიც შემდგომ აშენდა) არავინ ცხოვრობს.

„მე ვიყავი საკრებულოს დეპუტატი და ბევრი ღონისძიება მაქვს გატარებული, რათა 2006 წელს გაუქმებული სახლ-მუზეუმი აღდგენილიყო. ჩვენი სკოლაც და სოფელიც დაინტერესებულია ამ სახლ-მუზეუმის ფუნქციონირებით, მაგრამ უშედეგოდ ჩაიარა ყველა ღონისძიებამ. არაერთ მთავრობას მივმართეთ წერილით, რასაც არავინ გამოხმაურებია. რაიონის გამგებელსაც წერილით ახლაზან მიუმართავს კულტურის სამინისტროსთვის, რომ როგორმე აღდგეს ეს მუზეუმი. სხვადასხვა ექსპონატები, სურათები და აპაკი შანიძის ჩანთა ამჟამად სკოლაში გვაქვს და აქ ინახება.“

როდესაც საკრებულოს წევრი ვიყავი, დავაყენე საკითხი, რომ ეს ეზო, სადაც აპაკი შანიძის სახელზე პატარა სახლი დგას, რეესტრში გაგვეტარებინა, რათა დაფიქსირებულიყო, რომ ეს ნამდვილად აპაკი შანიძის სახლ-მუზეუმის ეზოა. ეს მართლაც მოვახერხეთ და ამჟამად სახლი ნამდვილად ეკუთვნის აპაკი შანიძის მუზეუმს. იმედია, აღარავინ შეეხება მას. ამ ადგილს დღემდე ბევრი სტუმრობს – ზუგდიდიდან, წალენჯიხიდან ახლაც მოდიან ბავშვები და აწყობენ ღონისძიებებს. ჩვენც დაგვემილი ღონისძიება მის პატარა სახლში ჩავატარეთ“, – აღნიშნავს სოფელ ნოდის საჯარო სკოლის დირექტორი ციალა ძნელაძე. მისი თქმით, აპაკი შანიძის შთამომავლები იშვიათადღა სტუმრობენ სკოლას, თუმცა ახსოვთ მზექალა შანიძისა და მისი შვილიშვილის ვიზიტი.

ნათელა ბრეგაძე, რომელიც 1999 წლიდან 2007 წლამდე აპაკი შანიძის მემორიალური სახლ-მუზეუმის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი გახლდათ, დღეს სკოლაში მუშაობს. იგი ექსკურსიებს წინამძღოლობდა და იმ შენობას მეთვალყურეობდა, სადაც აპაკი შანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოექსპოზიცია იყო გამოფენილი. „დღეს შემოგვრჩა ერთი ჩანთა, რომლითაც ბატონი აპაკი ბოლო წლებში დადიოდა უნივერსიტეტში და გვაქვს, ასევე, რამდენ-

იმე მისი გამოცემა – თხზულებათა კრებულები. მართალია ბევრი აღარაფერია, მაგრამ მნახველი მაინც ბევრი გვყავს. მაგალითად, ხობიდან მოდიან ხოლმე პედაგოგები თუ მოსწავლეები და 14 აპრილს ყოველთვის აქ ატარებენ დედანის დღესასწაულს“, – ამბობს ქალბატონი ნათელა ბრეგაძე. მისი თქმით, ნოღელებს ძალიან საამაყო პიროვნება ჰყავთ აკაკი შანიძის სახით. „ბატონი აკაკი ნამყოფია ამ სახლ-მუზეუმში. 90 წლისთავი სოფელმა მას აქ გადაუხადა. მის სახელზე პატარა ქვევრიც არის მიწაში ჩადებული, საიდანაც ბატონმა აკაკიმ ერთხელ კოპით ღვინო ამოიღო და მიანოდა თავის სტუმრებს, დაილოცა და ადღეგრძელა თავისი მშობლიური სოფელი. ჩვენ ძალიან გვიყვარს ბატონი აკაკი, ვაფასებთ მას და არასოდეს გამოგვრჩება მისი დაბადების დღე. 130 წლისთავთან დაკავშირებით მაინც გვინდოდა სახლ-მუზეუმის აღდგენა, მაგრამ არ გამოგვივიდა. სამტრედიის გამგებელს ვალერი ფოცხვერიასაც მივმართეთ და იმედი მოგვცა, რომ თუკი კულტურის სამინისტრო დაგვიდგება გვერდით, თანხის ნახევარს მე გავიღებ თანამედროვე მუზეუმის გასაკეთებლად. ჩვენ მადლობელნი ვიქნებით, თუკი ასე მოხდება“, – დასძენს სოფელ ნოღის საჯარო სკოლის პედაგოგი.

მომზადა **ნინო კაკულიამ**
 გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
 რედაქტორი, ჟურნალისტი

27

ლიბილიანი მეცნიერი

ნოლის საჯარო სკოლაში აკაკი შანიძის 130 წლის თავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გასახმოვანებლად სკოლის X კლასის მოსწავლემ ლიკა რუხაძემ აკაკი შანიძის ის თავგადასავლები „შეაგროვა“, რომელნიც მკითხველს ღიმილს მოჰგვრის. ვინაიდან ჩვენს კრებულში აკაკი შანიძის ირგვლივ არსებული ნაირგვარი მასალის ასახვა გვინდა, წარმოგიდგინთ ნოლის საჯარო სკოლიდან მოწოდებულ იუმორისტულ ჩანაწერებსაც.

* * *

ნოლაში ერთ-ერთი ჩამოსვლისას აკაკი მშობლების საფლავის სანახავად იყო სასაფლაოზე ასული. უკან რომ ბრუნდებოდა, წინ მისი ბავშვობის მეგობარი გერმანე შანიძე შემოხვდა და მიესალმა. აკაკიმ ვითომ ვერ იცნო. გერმანე გაბრაზდა:

- აკაკი, ვერ მიცანი ხომ? მე გერმანე ვარ, გერმანე!
- გერმანე? ხოო, აბა შენ გერმანული გეცოდინება, – გაეხუმრა აკაკი მას.

* * *

50-იან წლებში აკაკი შანიძე ჩამოსულა სამტრედიაში. აკაკი ნოლისკენ მიმავალ საბარგო მანქანის ძარაზე ასულა, რადგან კაბინაში მძღოლის გვერდით ქალი მჯდარა. გზაში მაგრად განვიმებულა. როცა ნოლაში ჩასულან, ძარიდან ჩამომხტარ აკაკის მძღოლისთვის შეუჩივლია:

- კაცო, ძალიან დავსველდი!
- გესწავლა ჩემსავით და იჯდებოდი კაბინაშიო, – უთქვამს მძღოლს.

აკაკის ბევრი უცინია ამის გამო.

* * *

აკაკი შანიძე და კონსტანტინე გამსახურდია ერთად სწავლობდნენ და ცხოვრობდნენ პეტერბურგში. მოგვიანებით კონსტანტინე გერმანიაში წავიდა სასწავლებლად. კონსტანტინე გამსახურდიას გერმანიიდან პეტერბურგში გამოუგზავნია წერილი აკაკი შანიძისთვის. ის სთხოვდა აკაკის:

— მომიკითხე ჩემი სატრფო, დუნდუას ქალი მაროო!

აკაკის ვერ უნახავს ეს ქალი და ლექსი მიუწერია ბატონი კონსტანტინესათვის:

მოვიკითხო? რომ არ ვიცნობ
დუნდუას ქალს, მაგ შენს მაროს,
ღმერთმა ტკბილად შეგაბეროს
და კეთილად მოგახმაროს.

შენ მანდ იყო, ის კი აქა,
ვაი, თუ ვინმე დაემუშტრა,
ეს ბუნების კანონია,
ამას ამბობს ზარატუშტრა.

* * *

ან გარდაცვლილი ოთარ კახიანი იხსენებს: პროფესორი აკაკი შანიძე ქართული ენის გრამატიკას გვასწავლიდა. ყველას გვიყვარდა და პატივს ვცემდით დიდ მეცნიერს. საზაფხულო არდადეგებზე წასვლის წინ პროფესორს ვკითხვით:

— ბატონო აკაკი, თქვენ არ გაქვთ არდადეგები?

— არა, ახალგაზრდავ, მე „აქადადეგები“ მაქვს! – მითხრა და კათედრას დაჰკრა ხელი.

* * *

ერთხელ ერთი ლექტორი მისულა აკაკი შანიძესთან და უთხოვია დახმარება რალაც საკითხზე, რომელზეც მუშაობდა და წიგნს წერდა. აკაკი შანიძეს უთქვამს: – „20 წლის წინ დავწერე ამის შესახებ და ზეპირად არ მახსოვს, ახლავე მოვძებნი წიგნსო“. მიადგა თურმე კიბე წიგნების თაროებს და ასასვლელად მოემზადა.

ლექტორი ძალიან ახალგაზრდა იყო, ზრდილობიანი და ფეხზე წამოდგა. ბატონმა აკაკიმ უთხრა, – დაბრძანდიო. რას დაჯდებოდა ახალგაზრდა კაცი.

როცა ბატონი აკაკი ავიდა კიბის რამდენიმე საფეხურზე, მოიხედა. ხედავს, სტუმარი ისევ ფეხზე დგას. მაშინ შეცბუნებულ ახალგაზრდას კიდევ ერთხელ უთხრა, – დაჯექიო. სტუმარი მაინც არ დაჯდა. ორიოდ საფეხურის მერე ისევ მოიხედა დიდმა მეცნიერმა და ფეხზე მდგომ ახალგაზრდა ფილოლოგს ღიმილით მიმართა: – „მესამე ფორმას ნუ გამომაყენებინებო!“

* * *

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ბატონ აკაკის ინგლისიდან მიუღია წერილი ერთ-ერთი ქართველოლოგისაგან; ის სწერდა: – ბატონო აკაკი! ქართული ტექსტის თარგმნის დროს შემხვდა სიტყვა „წინკვი“, მე არ ვიცი მისი განმარტება. გთხოვთ ამიხსნათ ამ სიტყვის მნიშვნელობა.

ბატონმა აკაკიმ ბევრი ეძება ეს სიტყვა სხვადასხვა ლექსიკონში, მაგრამ ვერსად მიაგნო. თურმე ერთ დღეს მასთან ბინაზე სტუდენტი მისულა, კარების გაღებისთანავე უკითხავს დიდ მეცნიერს მისთვის: – აბა, თუ მეტყვი, რას ნიშნავს სიტყვა „წინკვი“? ახალგაზრდა არც დაფიქრებულა, ისე უპასუხნია: – ეს არის ახალშეღერებული, ლამაზი გოგონაო.

— აგაშენა ღმერთმა, – გახარებია პროფესორს და იმ დღესვე გაუგზავნია პასუხი ინგლისში.

* * *

ჟურნალისტ ზვიად გურულის დედა იხსენებს – დიდი მეცნიერი როგორი დიდბუნებოვანი პიროვნება ყოფილა:

ძველი ქართული ენის ჯგუფს ბატონი აკაკი ხელმძღვანელობდა. ჯგუფში ერთი პროვინციელი ყმანვილიც სწავლობდა – ნიჭიერი, მაგრამ ცოტათი გამოუსვლელი, რომელსაც თურმე ძველთაძველი, უზარმაზარი საათი ეკეთა ხელზე



აკაკი შანიძე და ნოდარ დუმბაძე



აკაკი შანიძე

და ამხანაგებიც ამის გამო ამასხარავებდნენ. ერთხელაც ამ ყმანვილისთვის ხელზე საათი ბატონ აკაკისაც შეუნიშნავს. ჩუმად ჩაღიმებია და თავისთან მოუხმია ახალგაზრდა; – ეს რა კარგი საათი გაქვს, სად გიშოვია? – უკითხავს.

— ბაბუაჩემისეულია, – ალაღად უპასუხნია სტუდენტს.

— რა კარგია, კაცო, ყველაფერი ჩანს, ისრებიც, ციფრებიც. აბა, ახლა რა საათებს უშვებენ, არაფერი არ ჩანს ზედ, ისრებიც ერთი ბენო აქვს. აი, ეს შენი საათი ზუსტად საჩემოა.

სტუდენტმა მაშინვე მოიხსნა საათი და მაგიდაზე დაუდო. — არა, ყმანვილო, რახან ეგრე გემეტება, ხვალ მე ჩემს საათს მოვიტან და თუ მოგეწონება, გავცვალოთ, – უთქვამს აკაკის.

მეორე დღეს აკაკიმ მართლაც მოუტანა ახალგაზრდას თურმე იაპონური საათი – ძვირფასი, მოდური, საოცნებოდ რომ ჰქონდა ბევრს. ის დიდი საათი კი გამოართვა და ალბათ არასოდეს გაუკეთებია.

* * *

აკაკის თბილისში ესტუმრა მისი უფროსი ძმა ნოე. იმ ღამით კარგად მოილხინეს, მეორე დილით კი მსუბუქი საუზმე მოართვეს. სუფრაზე იყო ჩაი, „იკრა“ (ხიზილალა) და კარაქი. ნოეს ეს საუზმე არ აკმაყოფილებდა. აიღო დიდი ნაჭერი პური, გადაუსვა „იკრა“ ბლომად და მიირთვა. ეს რამდენჯერმე გაიმეორა. აკაკიმ მოქაჩა სახელოში და უთხრა:

— ნოე, მაგი იკრაა, იკრა!

— იკრა უძახე შენ და რაცხა კაი კი ყოფილა! – უთქვამს ნოეს.

❧ 28 ❧

აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი იუზილე უნივერსიტეტი

2017 წლის 26 თებერვალს 130 წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერის, პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, აკაკი შანიძის, დაბადებიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად მიაგებს პატივს მის ხსოვნას და სხვადასხვა ღონისძიებით ახსენებს თაობებს იმ ადამიანის ღვაწლსა და მემკვიდრეობას, ვინც ქართველოლოგია საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერულ დისციპლინად აქცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის მიერ აკაკი შანიძის საიუბილეოდ გამოცემულ ბროშურაში ვკითხულობთ: „აკაკი შანიძის კვლევის სფეროში შედიოდა: ქართული ენა – ძველი და ახალი, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ფოლკლორი, რუსთველოლოგია, ლექსიკოგრაფია, ქართული ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, ქართველური ენები – მეგრული, სვანური, ლაზური, საქართველოს ისტორია;“ იქვე, ცოტა ქვემოთ, მოყვანილია ამერიკელი ქართველოლოგის არონსონის სიტყვები: „ძალიან ცოტა მეცნიერს – და კიდევ უფრო ცოტა ენათმეცნიერს – შეუსრულებია ისეთი დიდი როლი თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორც აკაკი შანიძემ შეასრულა“. სწორედ ამიტომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მას იმ მოამაგეთა პლეადას მიაკუთვნებს, რომლებმაც მეცნიერებას საქართველოში ფართოდ გაუღეს კარი.

27-28 თებერვალს უნივერსიტეტმა რამდენიმე საიუბილეო ღონისძიება გამართა: ფოტოდოკუმენტური გამოფენა „აკაკი შანიძე – 130“, რომლის ორგანიზატორიც თსუ-ს მუზეუმი იყო; ამავე თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და მეცნიერის ნაშრომების გამოფენა, რომელიც დამთვალიერებელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ წარუდგინა.


ექსპოზიციაში გაცოცხლებული ბიოგრაფია

გამოფენაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმმა შემოგვთავაზა, წარმოდგენილი იყო აკადემიკოს აკაკი შანიძის ხანგრძლივი და მდიდარი სამეცნიერო ცხოვრების ამსახველი მასალა – 50-მდე ფოტო და 20-ზე მეტი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, მათ შორის აკაკი შანიძის დისერტაცია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა“ – ავტორისეული კომენტარებით; აკაკი შანიძის წერილი ჰოვარდ არონსონისადმი, ერიკ ჰამპის წერილი აკაკი შანიძეს (გადანერილი ადრესატის მიერ), სტატია „სვანური კულტის ტერმინი ჯგრაგ“ (მანქანაზე ნაბეჭდი, ავტორის ხელით ჩასწორებული), პეტრინონის მონასტრის ჯვრის ასლი – შესრულებული პერგამენტზე აკაკი შანიძის ხელით, ივანე ჯავახიშვილის მიერ აკადემიკოს შანიძისადმი მიძღვნილი რუკები და სხვა. ექსპონატების დიდი ნაწილი ინახება თსუ-ს მუზეუმში, ნაწილი – საქართველოს ეროვნულ აქრივში და ნაწილიც აკაკი შანიძის ქალიშვილის, ლელა შანიძის ოჯახში.

გამოფენაზე თსუ-ის მუზეუმმა საზოგადოებას შესთავაზა აკაკი შანიძის საიუბილეო გზამკვლევი, რომელიც მოამზადეს მუზეუმის თანამშრომლებმა: ისტორიის დოქტორმა ალექსანდრე მარუაშვილმა და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა მაია გურაბანიძემ.

ბუკლეტში მოცემულია აკაკი შანიძის ბიოგრაფია და რამდენიმე საინტერესო დოკუმენტი, რომლებიც დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად მიიჩნევა. კერძოდ, მასში შესულია 1917 წელს დაწერილი და ჟურნალ „პრომეთეში“ დაბეჭდილი აკაკი შანიძის ლექსი: „ქართული ეროვნული ჰიმნი“, აკაკი შანიძის მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვები ექვთიმე თაყაიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის მიმართ, მისივე წერილი ვაჟა ფშაველას გარდაცვალების თაობაზე და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

გამოფენა გახსნა მუზეუმის ხელმძღვანელმა მაია გურაბანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპოზიციის შექმნაში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია 1971 წლისათვის

მუზეუმს დახმარება გაუწია საქართველოს ეროვნულმა არქივმა, აკაკი შანიძის ოჯახმა და მუზეუმის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით გამოკვეთა გამოფენის ავტორის, ალექსანდრე მარუაშვილის, წვლილი. „წარმოუდგენელია, გაიაზრო – რამდენი რამ დატოვა ამ ადამიანმა. არ არსებობს ენათმეცნიერების დარგი, მიმართულება, რომ ფუნდამენტური ნაშრომი არ დაეტოვებინა ამ დიდ მეცნიერს. იგი გახლდათ მსოფლიო დონის მოღვაწე და ამიტომაც ამ ექსპოზიციაში შევეცადეთ სხვადასხვა კუთხით წარმოგვეჩინა ის, როგორც მეცნიერი, როგორც უნივერსიტეტის დამფუძნებელი, საზოგადო მოღვაწე და როგორც, უბრალოდ, ადამიანი. აქ გამოფენილია მისი მემორიალური ნივთები, ის, რაც დაცულია ჩვენთან მუზეუმში და ასევე არქივიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი,“ – აღნიშნა მათა გურაბანიძემ.

აკაკი შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა და გამოფენა შეაფასა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპოზიციის მთავარი არსი სტუდენტებისთვის ქართული მეცნიერების სათავეებთან მყოფი

დიდი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჩვენებაა: „ძალიან საინტერესო და ცოცხალი ექსპოზიციაა. აკაკი შანიძესთან მთელი ეპოქაა დაკავშირებული და კარგია, რომ გვაქვს საშუალება ფართოდ აღვნიშნოთ მისი იუბილე. ასევე კარგია, რომ სტუდენტებს აქვთ საშუალება, გაეცნონ, რა ხალხი იდგა უნივერსიტეტის სათავეებთან და რა სიმაღლეზე ასწიეს მეცნიერების თამასა საქართველოში. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ იმ დონეს და იმ სტანდარტს, რომელიც შემოიტანეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა, უპირველესად კი, აკაკი შანიძემ,“ – განაცხადა მან.

აკაკი შანიძე, როგორც მეცნიერი და პიროვნება, გაიხსენა მისმა მოსწავლემ, პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აკაკი შანიძის ქალიშვილის, აკადემიკოს მზექალა შანიძის მიმართვა: „ასეთი გამოფენები ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. გამოფენა, მუზეუმი, არქივი – ეს არ არის მკვდარი მასალების გროვა. ეს არის ცოცხალი ორგანიზმი. აქ არის ხალხი, რომელთა შრომაც ამ მასალებს ახალ სიცოცხლეს აძლევს და საყოველთაო კუთვნილებად ხდის. მე რომ ახლა აკაკი შანიძის ღვანლზე ლაპარაკი დავინყო, დიდი დრო დასჭირდება, უბრალოდ, მინდა გითხრათ, რომ აკაკი შანიძეს ქართველოლოგიის და, საზოგადოდ, ენათმეცნიერების 15-მდე სხვადასხვა დარგში აქვს ნაშრომები გამოქვეყნებული. დღევანდელ დროში რთული საკითხია მეცნიერების სხვადასხვა დარგების ურთიერთმიმართების საკითხი. ძალიან დასპეციალებულია ცალკეულ დარგებში კვლევა-ძიება. ასეთ ვითარებაში კი საჭიროა ერთიანი ხედვა და მეცნიერების მონათესავე (ზოგჯერ არამონათესავეც) დარგთა განვითარების ერთ ჭრილში წარმოდგენა – ეს აკაკი შანიძეს და მის თანამოაზრე მეცნიერებს: ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს და სხვებს ჰქონდათ – ისინი სხვადასხვა დარგებში მუშაობდნენ, მაგრამ არცერთ დარგში არ ყოფილან დილექტანტები, ყველგან იყვნენ უმაღლესი პროფესიონალები და ჰქონდათ სხვადასხვა დარგების მონაცემების ერთად შეკრებისა და გაანალიზების უნარი, რათა სათანადო სამეცნიერო დასკვნა მიეღოთ. ამ თვალსაზრისით, აკაკი შანიძე და მისი თაობის

მეცნიერები დღესაც სანიმუშოდ რჩებიან საზოგადოებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. ამ იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ აკაკი შანიძის წერილობით მემკვიდრეობაში კიდევ ბევრი რამაა გამოსაქვეყნებელი და შესასწავლი. მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დღიურები, ექსპედიციების ჩანაწერები ფასეულ საისტორიო მასალას წარმოადგენს, – აღნიშნა მზექალა შანიძემ და მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლებს გაწეული მუშაობისათვის.

აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

27-28 თებერვალს უნივერსიტეტმა აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლისთავს სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა (საორგანიზაციო კომიტეტი: აკადემიკოსი მზექალა შანიძე, პროფესორები: დარეჯან თვალთვაძე, რამაზ ქურდაძე, ნანა გაფრინდაშვილი და ასოცირებული პროფესორი მათა ლომია).

კონფერენციის გახსნით სხდომაზე პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აკაკი შანიძის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც ყოველწლიურად იმართება, არის ერთგვარი ანგარიში მეცნიერის წინაშე მისი მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეებისა. „დღევანდელი კონფერენციაც ამ ნიშნით იქნება აღბეჭდილი. აქ გამოვლენ მეცნიერები, რომლებიც დიდი მეცნიერის გზას აგრძელებენ და მის მემკვიდრეობაზე გაიზარდნენ“, – აღნიშნა მან.

კონფერენცია გაიხსნა აკაკი შანიძის 100 წლის იუბილესათვის მომზადებული ფილმით, რომელიც თსუ-ს არქივში ინახება.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, ფრანკფურტის

უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანელი ქართველოლოგი იოსტ გიპერტი.

სხდომაზე წარადგინეს ასევე აკაკი შანიძის თორმეტ-ტომეულის ფარგლებში გამოსული მორიგი (რიგით მეოთხე) ტომი. ამ გამოცემის შესახებ მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ. „პირველად ეს წიგნი დაიბეჭდა 1931 წელს. ავთანდილ არაბულმა და მე იმ გამოცემაში, რომელიც 2010 წელს გამოვიდა, ზუსტად გავიმეორეთ პირველი გამოცემა. ეს წიგნი არ არის ჩვეულებრივი კრებული. ეს არის უდიდესი შრომის შედეგი. 1908 წელს აკაკი შანიძე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მთის კილოებს გაეცნო მაშინ, როცა მთაში ჩასახლებულ ბიძასთან წავიდა სტუმრად და დასავლეთში, გურიაში გაზრდილმა ყმაწვილმა პირველად გაიგონა ხევსურისა თუ ფშავლის სხვა-ნაირი მეტყველება. იქ ნახა პირველად ვაჟა-ფშაველა და ისე მოიხიბლა ამ ყველაფრით, რომ მთის კილოებისადმი ინტერესი და განსაკუთრებული სიყვარული მთელი სიცოცხლის განმავლობაში შერჩა. ამ კრებულის სამეცნიერო აპარატში, რომელიც ორჯერ უფრო დიდია ჩანანერ ტექსტებზე, რამდენიმე ტექსტზე არის მითითება, რომ მასალა მას 1908 წელს, გიმნაზისტს, ჩაუწერია. ამ საკითხზე მუშაობა აკაკის პეტერბურგის უნივერსიტეტშიც გაუგრძელებია და კიდევ ორჯერ მარტოდმარტო წასულა ექსპედიციაში (თუ ამას ექსპედიცია ერქვა). იმისათვის, რომ თითოეული თხზულებისა და ლექსის ვარიანტები დაეძებნა, მან მთლიანად გადასინჯა ძველად გამოქვეყნებული ფოლკლორული მასალები და მუზეუმებში დაცული ჯერ კიდევ გაუხსნელი არქივები. ამის შედეგად ისე გამოვიდა, რომ ამ წიგნში არის არა მხოლოდ ტექსტები, არამედ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია ამ ტექსტებისა და მათი ვარიანტულობის შესახებ. ამიტომ ამ წიგნს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა,“ – განაცხადა მზექალა შანიძემ.

ორდღიან ფორუმზე 50-მდე მოხსენება იქნა წარდგენილი. მომხსენებელთა შორის იყვნენ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე („აკაკი შანიძე – ახალი ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი“), აკადემიკოსი მზექალა შანიძე („შენიშვნები ოშკის ბიბლიის შესახებ“), თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

სალომე ომიადე („მცირით დაწყებული დიდი საქმე“), საქართველოს ეროვნული არქივის მეცნიერ-თანამშრომელი ქეთევან ასათიანი („ნაცნობი და უცნობი აკაკი შანიძე“ (მეცნიერის პირადი არქივი), თსუ-ს პროფესორი დარეჯან თვალთვაძე („აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“), გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი მანანა თანდაშვილი („აკაკი შანიძის კვლევითი კონცეპტიდან დიგიტალურ ქართველოლოგიამდე“), პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე („სიტყვა იუბილე ქართულში“), პროფესორი დამანა მელიქიშვილი („სამი დიათეზისა და სამი სერიის ურთიერთმიმართებისათვის“) და სხვ.

კონფერენციაზე რამდენიმე სექციის ხუთი სხდომა ჩატარდა. წარმოდგენილი მოხსენებები ეყრდნობოდა იმ მეცნიერულ მემკვიდრეობას, რომელიც აკაკი შანიძემ დატოვა. სამეცნიერო თემათა მრავალფეროვნება კიდევ ერთი დასტურია იყო, თუ რაოდენ დიდია ღვაწლი, რომელიც აკაკი შანიძემ ქართველოლოგიური დარგების განვითარებას დასდო.

აკაკი შანიძის შრომების გამოფენა

27 თებერვალსვე თსუ-ს ბიბლიოთეკაში გაიმართა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო აკაკი შანიძის 100-ზე მეტი შრომა. მათ შორის აღსანიშნავია მეცნიერის პირველი ნერილი – „რას ვუცადოთ?“, რომელიც გაზეთ „მუშაში“ 1906 წელს გამოქვეყნებულია.

დამთვალეირებელს გამოფენაზე ასევე შეეძლო ეხილა ნერილები: „რად არის მთვარეზე შავი ადგილები? (ფშაური ლეგენდა)“ (1908 წ. „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის); „ლაშარის ხატი (ფშაური ლეგენდა ლექსად)“ (1910 წ. „ნაკადული“ მოზრდილთათვის); „ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებისა და წიგნების გამომცემლობებისადმი პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობის მიმართვა – ბიბლიოგრაფიის შედგენის აუცილებლობის შესახებ“ (1913 წ. „სახალხო გაზეთი“); ასევე



ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში დაცული
აკაკი შანიძის ფოტო
და
მის მიერ გამოცემული
ვახტანგისეული
„ვეფხისტყაოსანი“



მისი სამეცნიერო ნაშრომები, რომელთა გამოქვეყნება 1918 წლიდან იწყება.

გამოფენის ამსახველ კატალოგს (შემდგენელი ეკა გოჩიაშვილი) უძღვის ბიბლიოთეკის დირექტორის ზურაბ გაიპარაშვილის წინასიტყვაობა, რომელშიც ჩანერილია: „სანიმუშოა აკაკი შანიძის ზნეობრივი გმირობის მაგალითები. მას არ გაუწყვეტია მეგობრობა საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებულ ივანე ჯავახიშვილთან და ექვთიმე თაყაიშვილთან. ხშირად, საკუთარი მდგომარეობისა და სიცოცხლის რისკის ფასადაც კი, საჯაროდ გამოუხატავს ამ ორი დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მიმართ პატივისცემა, დაუდასტურებია ერთგულება უფროსი მეგობრებისა და მასწავლებლებისადმი“...

ასეთი იყო აკაკი შანიძე – ქართველოლოგიის პატრიარქი, უდიდესი მეცნიერი, რომელმაც სისტემაში მოიყვანა ქა-



რთული ენის გრამატიკა და შექმნა არაერთი გრამატიკული ნორმა; ვინც მივიწყებს გადაარჩინა ფოლკლორის მრავალი ნიმუში, შეისწავლა ქართველური ენები და მომავალ თაობას დაუტოვა ეპოქალური მნიშვნელობის ქართველოლოგიური ნაშრომები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ სამეცნიერო ღირებულება.

მომავლის საქმე – აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკისა და ტექსტკორპუსის შექმნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტმა ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო. ეს ინიციატივა აკაკი შანიძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე გაცხადდა. პროექტი აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკისა და ტექსტ-კორპუსის შექმნას გულისხმობს, რაც მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის საქართველოს ციფრულ რუკაზე წარმოჩენას ითვალისწინებს. „დღეს, როცა დიגיტალურმა ეპოქამ მეცნიერების ყველა

დარგი „გააციფრა“, ენის ელექტრონულ დოკუმენტირებას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ლინგვისტური კვლევების განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, დღეს საგანმანათლებლო სისტემაში ელექტრონული რესურსების არსებობის გარეშე თითქმის შეუძლებელია სწავლების თანამედროვე მეთოდების შემოტანა და დანერგვა. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა და სტუდენტთა ერთობლივი პროექტი „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“ სწორედ ამ საჭიროებებს მორგებული მრავალფუნქციური პროექტია, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, თანამედროვე ციფრულ ეპოქაში უზრუნველყოს აკაკი შანიძის შრომების ელექტრონული სახით ხელმისაწვდომობა და ამით დაეხმაროს სტუდენტებს თავიანთი საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებაში, მეორე მხრივ, აკაკი შანიძის სამეცნიერო შრომების ტექსტურ მონაცემთა ბაზის შექმნით ხელი შეუწყოს ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსლინგვისტური კვლევების განვითარებას. პროექტი ხორციელდება ქართული ფილოლოგიის სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აქტიური ჩართულობით, რაც გამოკვეთს მის კიდევ ერთ – დიდაქტიკურ მიზანს”, – აღნიშნა პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ, რომელიც ამ საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორია.

მოამზადა მაია ტორაძემ,
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
მთავარი სპეციალისტი, ჟურნალისტი



სამტრედიის მუნიციპალიტეტის 1964 წლის ტოპოგრაფიულ რუკაზე ეს მთა ოფიციალურად დაფიქსირებულია როგორც უსახელო მწვერვალი, ხოლო 2016 წლის 30 ივლისს მას აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელი მიანიჭეს



თბილისში,
მთაწმინდის რაიონში,
ქუჩა, რომელიც აკაკი
შანიძის სახელობისაა,
მდებარეობს იაკობ
გოგებაშვილისა და
პეტრე მელიქიშვილის
ქუჩებს შორის





გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქცია, 2017